კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Darejan Kldiashvili

# EARTHQUAKES
## IN OLD GEORGIA

Georgian Historical Sources
4th-18th cc.

Tbilisi
2023

დარეჯან კლდიაშვილი

# მიწისძვრები
## ძველ საქართველოში

ქართული საისტორიო წყაროები
IV-XVIII სს.

თბილისი
2023

რედაქტორები: თამარ აბულაძე
ნოდარ ბახტაძე

Editors: Tamar Abuladze
Nodar Bakhtadze

ტექნიკური რედაქტორი: ნათია დუნდუა

Technical editor: Natia Dundua

დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

Layout: Giorgi Bagrationi

წიგნში გამოყენებულია: მიწისძვრების შემსწავლელი ექსპედიციებისას 2017-2020 წლებში გიორგი ბაგრატიონის და გიორგი კირკიტაძის მიერ გადაღებული ფოტოები და აეროსურათები, აგრეთვე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის არქეოლოგიური ექსპედიციის და სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტოსურათები

ყველა უფლება დაცულია
All rigts reserved

© დარეჯან კლდიაშვილი, 2023
**© D. Kldiashvili, 2023**

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023
**© Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, 2023**

**ISBN 978-9941-9811-5-9**

## სარჩევი


წინათქმა 9

წარმოდგენები და ცოდნა მიწისძვრების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში 15

*წერილობითი წყაროები* 20

*მატერიალური ანუ ნივთიერი წყაროები* 27

ქართული წელთაღრიცხვისათვის 51

1 IV ს. 20-30-იანი წლები. აღმოსავლეთ საქართველო – მცხეთა 57

2 411-423 წწ.; 413/17-425/29 წწ. აღმოსავლეთ საქართველო – მცხეთა 69

3 VI ს. 50-80-იანი წლები. აღმოსავლეთ საქართველო – მთა ზედაზენი 77

4 VIII-IX სს.; X ს. პირველი მეოთხედი. სამხრეთ საქართველო – ზარზმა, უწნა 87

5 1068 წ. 18 მარტი. ეგვიპტე – სინას მთა 95

6 1088/89 წ. აღმოსავლეთ საქართველო: 1 აპრილი – თმოგვი; 31 მაისი – გარეჯის წამებულის მონასტერი, ალავერდის ტაძარი 99

7 1190/91 წ. აზერბაიჯანი – შემახა; სომხეთი – გეტიკის მონასტერი 121

8 1275 წ. 10-13 აპრილი. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო – აწყურის ტაძარი, მცხეთა, სვეტიცხოველი; აღმოსავლეთ ანატოლია და ჩრდილოეთ ირანი – კილიკია; ნიშაბური; თავრიზი; ხლათი 131

9 1330-იანი წლები. დასავლეთ საქართველო – რაჭა-ლეჩხუმი: ლაბეჭინის ეკლესია; სვანეთი: წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია 161

10 XV ს. შუახანები. კახეთი – ალავერდის ტაძარი 183

11 1545 წ. სამხრეთ საქართველო 195

12 1614/15 წ. დასავლეთ საქართველო – ცაიშის საკათედრო ტაძარი, ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესია 197

13 1668 წ. 4 იანვარი. აღმოსავლეთ საქართველო – ალავერდის ტაძარი, თბილისი; აზერბაიჯანი / ირანი / სომხეთი – შემახა, განჯა, თავრიზი, დამურღაფუნი; ატრპატაკანი: არდებილი, ახპატის ეკლესია, ტესევანცის ეკლესია; ერევანი 209

14 1721 წ. 15/16 აპრილი. ჩრდილო-დასავლეთ ირანი – თავრიზი 239

15 1742 წ. 24 ივლისი-აგვისტო. აღმოსავლეთ საქართველო – კახეთი: ალავერდის ტაძარი, ლალისყურის და ახმეტის ციხეები; იალბუზის მთები; ქართლი – სვეტიცხოველი 247

16 1766 წ. [22] მაისი. თურქეთი – სტამბოლი 256

17 1772 წ. 14 თებერვალი. აღმოსავლეთ საქართველო – [თბილისი] 257

18 1778 წ. 30/31 ივნისი. აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი 259

19 1779 წ. [იანვარი]. სამხრეთ საქართველო – ახალციხე, სოფ. ველი 265

20 1784 წ. [18] ივლისი. თურქეთი – ერზინჯანი, ერზერუმი 267

21 1785 წ. 7 მაისი. დასავლეთ საქართველო – შემოქმედი 279

22 1796 წ. ოქტომბერი. სამხრეთ საქართველო – ახალციხე 281

23 1799 წ. თებერვალი. სამხრეთ საქართველო – ახალციხე 283

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 285

*Appendix 1*

ცნობარი წყაროებისა და ავტორების შესახებ 192

*Appendix 2*

ძირითადი სეისმური ტერმინები 300

*Appendix 3*

List of historical earthquakes in the South Caucasus and other seismic zones: Georgian historical sources 4th-18th cc. 303

და ვიხილე, რაჟამს აღაღო მეექუსჱ ბეჭედი, და ძრვა იქმნა დიდი, და მზჱ შავ იქმნა, ვითარცა ძაძაჲ ბალნისაჲ, და მთოვარჱ ყოვლითურთ იქმნა ვითარცა სისხლი. და ვარსკულავნი ცისანი გარდამოცჳვდეს ქუეყანად, ვითარცა ლეღუმან რაჲ დაყარის ყუავილი თჳსი, ქარისაგან დიდისა შერყეულმან. და ცაჲ წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი. და ყოველნი მთანი და ბორცუნი ადგილთა თჳსთაგან  შეიძრნეს.

და მეფეთა ქუეყანისათა და მთავართა და ათასისთავთა და ძლიერთა და ყოველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქუაბთა შინა და კლდეთა შინა მთათასა. და ეტყოდეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩუენ ზედა და დაგვიფარენით ჩუენ პირისაგან საყდართა ზედა მჯდომარისა და რისხვისა მისისა, და ვინ შემძლებელ არს დადგომად?

იოანეს გამოცხადება, 6, 12-17

# წინათქმა

ბუნებრივი კატასტროფები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა კაცობრიობის ისტორიაში. პროგრესთან ერთად მატულობს ცოდნა ბუნებრივ მოვლენებზე, ამასთანავე, იმის აღქმა, რომ ისინი დიდი საფრთხის და რისკის მატარებლები არიან მსოფლიოს მრავალი რეგიონისათვის. მიუხედავად ამისა, მიწისძვრების წინასწარი პროგნოზირება სეისმოლოგიის განვითარების დღევანდელ დონეზე შეუძლებელია.

კავკასია გლობალური ტექტონიკური ზონის – ალპურ-ჰიმალაური კოლიზიის სარტყლის ნაწილია. ტერიტორია, რომელიც მოიცავს საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ირანის ჩრდილო-დასავლეთ და თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილს, სეისმურად აქტიურ რეგიონს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე სეისმურად აქტიურ ზონას გამოყოფენ, რომლებიც ისტორიულად დამანგრეველ მიწისძვრებს უკავშირდება. ეს ზონებია: კავკასიონის მთავარი ქედი, ჯავახეთის ვულკანური ზეგანი და აჭარა-თრიალეთის ქედის რღვევათა სისტემა.

საისტორიო წყაროებმა შემოინახეს ცნობები და კვალი ისტორიული მიწისძვრებისა, რომელთა დამანგრეველი შედეგებიც, ხშირ შემთხვევაში, რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფის, პოლიტიკური და ეკონომიკური დეპრესიის, დემოგრაფიული სურათის ცვლილებებისა და მასობრივი მიგრაციების მიზეზი ხდებოდა. მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებზე, უპირველეს ყოვლისა, მიწისძვრებზე და მათ შედეგებზე უხვ და ფასეულ ინფორმაციას შეიცავენ როგორც ადგილობრივი – ქართული და უცხოენოვანი – სომხური, აღმოსავლური და ევროპული წერილობითი წყაროები, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლები – არქიტექტურული ნაგებობები და არქეოლოგიური ძეგლები.

წერილობით წყაროებში შემონახული ცნობები მიწისძვრების შესახებ, ძირითადად, აღწერითი ხასიათისაა, ან მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით შემოიფარგლება. მიწისძვრების შესახებ ცნობები გაბნეულია საეკლესიო და საისტორიო თხზულებებში, ქრონიკალურ ჩანაწერებში, ისტორიულ დოკუმენტებში, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებში და სხვ. მათგან განსაკუთრებით ფასეულია თანამედროვეთა და თვითმხილველთა მიერ მოწოდებული ის ცნობები, რომლებშიც აღწერილია

მიწისძვრასთან დაკავშირებული ბუნებრივი მოვლენები – მზისა და მთვარის დაბნელება, მეტეორის ჩამოვარდნა, ლავის და კუპრივით შავი წყლის ამოფრქვევა, მომწამვლელი კვამლი და სუნი, ძლიერი ქარი, ღვარცოფი (მეწყერი, ზვავი, წყალდიდობა), მდინარეების, ტბებისა და წყაროების წარმოქმნა-დაშრობა და ა.შ.; თარიღი, ნგრევის მასშტაბები და მსხვერპლის რაოდენობა, კატასტროფით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესი და შიში, მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად ხელისუფლების მიერ გატარებული ზომები. ამ ცნობების წყაროთმცოდნეობითი და სეისმური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს მიწისძვრის თარიღი, ეპიცენტრი და არეალი, დარტყმების თანმიმდევრობა (ე. წ. აფტერშოკი), ხანგძლივობა და სიძლიერე, მიწისძვრის თანმდევი ბუნებრივი მოვლენები, სეისმურ ადგილებში ისტორიულად მომხდარი მიწისძვრების განმეორადობის სიხშირე და სხვ.

ისტორიული და ინსტრუმენტული პერიოდის სეისმური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონში მომხდარი ძლიერი მიწისძვრები მაგნიტუდით ± 7.0-7.5 და მაკროსეისმური ეფექტით 8-9 ბალით (MSK სკალით) განისაზღვრება. სამხრეთ კავკასიაში მიწისძვრებზე და მათ თანმდევ ბუნებრივ მოვლენებზე ინსტრუმენტული დაკვირვება მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო (კავკასიაში პირველი მექანიკური სეისმოგრაფი, ე.წ. ბოშის ქანქარი დამონტაჟდა თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში 1899 წლის დეკემბერში), შესაბამისად, ინსტრუმენტული დაკვირვების მხოლოდ საუკუნოვანი პერიოდი უმნიშვნელოა და საკმარისი არაა კავკასიის სხვადასხვა სეისმური კერის (სეისმურად აქტიური რღვევის) მაქსიმალური პოტენციალის სრული შეფასებისათვის. ამ მხრივ სწორედ ისტორიული წერილობითი წყაროები და მატერიალური მონაცემები გვაწვდის უაღრესად საჭირო ინფორმაციას წარსულში მომხდარი მიწისძვრების შესახებ, რომელთა ანალიზიც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა რეგიონის სეისმური საფრთხის შეფასებისა და პრევენციისათვის.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ისტორიული მიწისძვრების კატალოგების და მონაცემთა ბაზების შექმნის მდიდარი გამოცდილება არსებობს. ამ მხრივ სანიმუშოა XX საუკუნის 90-იან წლებში ბოლონიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ მომზადებული ხმელთაშუა რეგიონის და სომხური არეალის ისტორიული მიწისძვრების კატალოგები (Guidoboni, Comastri, Traina 1994; Guidoboni, Traina 1995; Ambraseys 2009 და სხვ.), რომლებიც მოიცავენ ანტიკური ხანიდან მოყოლებული თითქმის ყველა ენაზე არსებული წერილობითი წყაროდან მასალას. სამწუხაროდ, ამ კატალოგებში, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ქართული მასალა თითქმის არაა ასახული. ამას გარდა, მიუხედავად სომეხი და ქართველი გეოგრაფების და სეისმოლოგების მიერ ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოებისა, ისტორიული მიწისძვრების

შესახებ არ არსებობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში სხვადასხვაენოვან წერილობით მონაცემებზე დაფუძნებული ერთიანი, შეჯერებული მონაცემთა ბაზა და კატალოგი, რომელშიც ქართული მასალაც იქნება წარმოდგენილი. ამდენად, სამხრეთ კავკასიის ისტორიული მიწისძვრების ერთიანი კატალოგის შედგენა სამომავლო საქმედ რჩება.

საქართველოს მიწისძვრათა კატალოგი პირობითად ორ განსხვავებულ ნაწილს მოიცავს – ისტორიულსა (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამლევამდე) და ინსტრუმენტულს (XIX საუკუნის მიწურულიდან დღემდე). საქართველოს ისტორიული მიწისძვრების კატალოგზე მუშაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (დირექტორი – ზაზა ალექსიძე) და გეოფიზიკის ინსტიტუტის (დირექტორი – მერაბ ალექსიძე) ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაიწყო.




**საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ვ. პაპალაშვილის მიერ შედგენილი მიწისძვრების ეპიცენტრების რუკა. 1991 წ.**

საწყის ეტაპზე ისტორიკოსთა ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოები ითვალისწინებდა მიწისძვრებზე ცნობების მოძიებას და ამოკრეფას ქართული და სომხური წერილობითი წყაროებიდან, მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და სისტე-მატიზაციის გარეშე. გეოფიზიკის ინსტიტუტისათვის გადაცემული პირველადი მასალა, რომელიც მოიცავდა სეისმურ მოვლენებს ქრისტიანული ერის დასაწყისიდან XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, ბუნებრივია, არასრული და დაუმუშავებელი იყო და საჭიროებდა როგორც შევსებას, ასევე წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით დამუშავებას. სამწუხაროდ, ისტორიკოსებისა და სეისმოლოგების თანამშრომლობა იმჟამად ქვეყანაში განვი-თარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო შეწყდა და შემდგომ აღარ გაგრძელებულა. ამ მიზეზით საისტორიო წყაროების მონაცემები (განსაკუთრებით ეს ეხება ადრეული პერიოდის მიწისძვრებს) სათანადოდ ვერ აისახა მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ 2011 წელს მომზადებულ საქართველოს ისტორიული მიწისძვრების ახალ ინგლისურენოვან კატალოგში. საქართველოში ისტორიულად მომხდარი ძლიერი მიწისძვრების მაგნიტუდები სეისმოლოგთა მიერ შეფასებულ იქნა ± 6.5-7, ხოლო მაკროსეისმური ეფექტი ეპიცენტრში – 8-9 ბალით MSK შკალით (Varazanashvili – Tsereteli 2011: 77).

პროექტი *ბუნებრივი კატასტროფები სამხრეთ კავკასიაში: ისტო-რიული მიწისძვრები და თანმდევი ბუნებრივი მოვლენები უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე* შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით 2017-2020 წლებში განხორციელდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ (სამეცნიერო ხელმძღვანელი: *დარეჯან კლდიაშვილი*, ძირითადი მონაწილეები: *მიხეილ ელაშვილი, მაია დიასამიძე, მანუჩარ გუნცაძე, გიორგი კირკიტაძე, გიორგი ბაგრატიონი*). ინტერდისციპლინარული პროექტი მიზნად ისახავდა ისტორიკოსებისა და სეისმოლოგების მიერ თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით სამხრეთ კავკასიის ისტორიული მიწისძვრების ორენოვანი დოკუმენტირებული მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნასა და საქართველოს ისტორი-ული მიწისძვრების კატალოგის მომზადებას. კვლევა ამ მიმართულებით გულისხმობდა როგორც ისტორიული მიწისძვრების შესახებ სხვა-დასხვაენოვანი წერილობითი წყაროებიდან მასალის გამოვლენასა და წყაროთმცოდნეობით ანალიზს, დათარიღებასა და სისტემატიზაციას, ასევე გასვლითი საველე სამუშაოებისას საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და მეზობელი ქვეყნების მომიჯნავე ტერიტორიების (აზერ-

ბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) სეისმური თვალსაზრისით შესწავლას, სეისმური რისკის მქონე ადგილების და მიწისძვრებით დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიქსაციას; თავმოყრილი მასალის საფუძველზე, კოორდინატების და გავრცელების არეალის დადგენას, მაკროსეისმური ეფექტის განაწილების რუკების შედგენას, ისტორიული მიწისძვრების ეპიცენტრებისა და მაგნიტუდის (სიდიდის) განსაზღვრას.

პროექტის განხორციელების შედეგების ამსახველი მასალა წარდგენილ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმსა და სემინარზე (Kldiashvili 2019: 26-27, 60-61; Kldiashvili, Guntsadze 2019: 40-41; Kldiashvili, Diasamidze 2020: 105-119; Kldiashvili, Elashvili 2020: 165-169).




**საქართველოს მიწისძვრათა რუკა და სეისმურ რღვევათა სქემა (გამყრელიძე და სხვ. 1998)**



ტაბაწყურის დარბაზული ეკლესია.  შ. ლეჟავას  ფოტო

# წარმოდგენები და ცოდნა მიწისძვრების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში

მიწისძვრა (ქართ. ძრვა, ძვრა), ბერძ. Σεισμός (სეისმოს), ლათ. terrae motus (ტე́ ́რრე მო́ ტუს), სომხ. շարժ (შარჟ), არაბ. زلزلة (ზალზალათ), სპარ./ოსმ. زلزله (ზელზელე), ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ღმერთის, როგორც შემოქმედის, უზენაესი ნების გამოხატულებაა. ამიტომაა, რომ ბუნებრივი მოვლენებისა თუ კატასტროფების შესახებ წერილობითი წყაროების ცნობებში ხშირია დამოწმებები ფსალმუნიდან თუ წინასწარმეტყველთა ტექსტებიდან. მათში მიწისძვრა განიხილება, როგორც ადამიანთა ცოდვების გამო ღმერთისგან მოვლენილი რისხვა და გაფრთხილება, ასევე, აპოკალიფსის, ანუ მეორედ მოსვლის, ერთ-ერთი ნიშანი: „და ვიხილე, რაჟამს აღაღო მეექუსჱ ბეჭედი, და ძრვაჲ იქმნა დიდი, და მზჱ შავ იქმნა, ვითარცა ძაძაჲ ბალნისაჲ, და მთოვარჱ ყოვლითურთ იქმნა ვითარცა სისხლი. და ვარსკულავნი ცისანი გარდამოცჳვდეს ქუეყანად, ვითარცა ლეღუმან რაჲ დაყარის ყუავილი თჳსი, ქარისაგან დიდისა შერყეულმან. და ცაჲ წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი. და ყოველნი მთანი და ბორცუნი ადგილთა თჳსთაგან შეიძრნეს“ (იოანეს გამოცხადებაჲ, 6, 12-14).

ქვეყნის აღსასრულის და მეორედ მოსვლის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ მაშინ იჩენდა თავს, როდესაც ხდებოდა რაიმე სტიქიური უბედურება ან ძნელბედობის პერიოდი დგებოდა.[1] არც ისაა შემთხვევითობა, რომ წერილობით წყაროებში, ძირითადად, იმ მიწისძვრების შესახებაა მოწოდებული ცნობები, რომლებიც დიდ საეკლესიო დღესასწაულებს, განსაკუთრებით კი აღდგომას, უკავშირდება.[2]

სამყაროს მოწყობისა და ბუნებრივი მოვლენების შესახებ უძველესი წარმოდგენა გაცხადებულია ქართლის გაქრისტიანების ამსახველ თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, წმ. ნინოს მიმართვაში მირიან მეფისადმი:

---

1 ბიბლიური შეხედულებით, ღვთის წინაშე ათასი წელი ერთი დღეა (ფსალ. 89, 4), ხოლო სამყარო შვიდი დღის განმავლობაში შეიქმნა. ამის საფუძველზე ქრისტიანულ ლიტერატურაში და ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში ფეხი გაიდგა რწმენამ, რომ ქვეყანა მხოლოდ შვიდი ათას წელს იარსებებს, მერე დადგება მეორედ მოსვლა, რომლის შემდეგაც დამყარდება დაუსრულებელი სუფევა (ქვეყნის არსებობის შვიდი ათასი წელი შვიდი საუკუნეა, ხოლო მომავალი ცხოვრება – მერვე). ბიზანტიაში (მათ შორის რუსეთში) გავრცელებული შეხედულებით, შვიდი ათასი წელი ქვეყნის გაჩენიდან დასრულდებოდა 1492 წელს, ქართული წელთაღრიცხვით – 1496 წელს (კეკელიძე, 1957: 105-109).

2 ქრისტეს აღდგომა იდღესასწაულება გაზაფხულის ბუნიობის (დღე-ღამის გათანაბრების) პირველ კვირას, სავსე მთვარის შემდეგ, ამიტომ იგი მარტისა და აპრილის, ზოგჯერ მაისის თვეში მოდის.

> მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან, ცისა და ქუეყანისა შემოქმედმან, დამბადებელმან ყოვლისა დაბადებულისამან... და გულისჴმა-ჰყო სიმართლე ცისაჲ და სინათლე მზისაჲ, სიღრმჱ ზღვისაჲ და საძირკუელნი მისნი, სივრცჱ ქუეყანისაჲ და საფუძველნი მისნი, და რაჲთა უწყებულ იყო შენ, მეფე, თუ ვინ შემოსნა ცანი ღრუბლითა და ქუხილნი ჴმითა ჰაერისაჲთა, და იძრვნ ქუეყანაჲ სიმძაფრითა მისითა და რბიოდიან მეხის-ტეხანი, კუალსა მისსა ეგზებინ ცეცხლი გულისწყრომითა მისითა, ანუ ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი,[3] რომელ არს ზღუასა შინა და შეძრის ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრემდის დაირღვან მთანი მყარნი და კლდენი; და მეცნიერ გყავნ შენ ამას ყოველსა ამას ზედა-მიწევნით (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963: 132-133; შატბერდის კრებული 1979: 340).

საზოგადოების ინტელექტუალური ელიტის ნატურალისტური შეხედულება მიწისძვრის გამომწვევი მიზეზის შესახებ საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ წიგნიერ ცოდნას ემყარებოდა. თუ ორთოდოქსები მიწისძვრას ღმერთის სასჯელით ხსნიდნენ, მეცნიერები, არისტოტელესა (ძვ. წ. 384-322) და მის გვიანანტიკურ კომენტატორებზე დაყრდნობით, თვლიდნენ, რომ მიწისძვრის პირველმიზეზი ღმერთის ნებაა, ხოლო მისი უშუალო გამომწვევი ბუნებრივი მიზეზი დედამიწის ნაპრალებში დაგროვილი შეკუმშული ჰაერის დიდი მასა, რომელიც დიდი ძალით ზედაპირზე გამოსავალს ეძებს და იწვევს მიწის რყევას (Guidoboni, Comastri, Traina 1994: 42-51; Культура Византии 1989: 296-334). საქართველოში არისტოტელეს და მისი კომენტატორების ნატურალისტური თეორიის გავრცელებასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის ასულისა და დავით აღმაშენებლის მამიდის (მიქაელ VII დუკას (1071-78) და ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-81) მეუღლე), ბიზანტიის დედოფლის – მარიამ ალანელის დაინტერესება მეტეოროლოგიური საკითხებით, მათ შორის კი მიწისძვრებით. 1089 წელს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის ახლო ხანებში ბიზანტიის ქართველი დედოფლის დაკვეთით, არისტოტელეს კომენტატორმა და ალექსი I კომნენოსის კარის ფილოსოფოსმა ევსტრატე ნიკიელმა (†1117) დაწერა ნარკვევი, რომელშიც არისტოტელეზე და გვიანანტიკურ კომენტატორებზე დაყრდნობით გადმოსცა კოსმოგონიაზე და სტიქიურ მოვლენებზე თავისი თანამედროვე ნეოპლატონიკოსების ქრისტიანულ საფუძველზე დამყარებული შეხედულებები. თხზულება, რომელსაც, სავარაუდოდ, სასწავლო დანიშნულება ჰქონდა, მან მიუძღვნა დედოფალ „მარიას ალანიდან" და შემდეგი ფრაზით დაიწყო: „ჩემო ქალბატონო, თქვენ დამისვით კითხვა

3 მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თვლიდნენ, რომ მიწისძვრის მიზეზი გიგანტური თევზი („ვეშაპი") იყო, ხოლო ძველბერძნულ მითოლოგიაში მიწისძვრებსა და ცუნამს ზღვის ღმერთის პოსეიდონის რისხვა იწვევდა.

ჭექა-ქუხილის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ“. ნაშრომში, მიწისძვრის გარდა, ევსტრატეს მიერ ყურადღება გამახვილებულია ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ჭექა-ქუხილი, დედამიწის მასშტაბები, მიწასა და ცას შორის მანძილი, სტიქიები და მიწისძვრები, ვარსკვლავები, თხრობა ოთხი ზღვის შესახებ და სხვ. (Aleksidze 2002: 312; Caudano, Eustratios of Nicaea 2012: 611-634; Eustratios of Nicaea 1965-1966: 285–304).

დაახლოებით ექვსი საუკუნის შემდეგ მიწისძვრის თითქმის მსგავს ახსნას ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „ლექსიკონში“, რომელშიც ძრვა/ძვრა შემდეგნაირადაა განმარტებული:

> მიწის რყევა (45,3. ფსალმ.). ძრვა ამის გამო იქმნებიან, რამეთუ ქვეყანათა შორის არიან ღრუნი და სორონი, და ყოველივე სიღრუვე სავსე არს ქარითა. და ვინადგან ვერღარა დაიტევს, გასთქდების მიწა, გამოვალს (+ქარი) და ქართა სიძლიერისაგან შეირყევიან ადგილი გარემონი. ვიეთთა ფსალმუნი უმოწმებიათ: „რომელი მოხედავ ქვეყანასა და ჰყოფ მას შეძრწუნებულ“, და იცილებიან ამის გამო. ესე არა თუ რყევისათვის თქმულა, არამედ მეორე მოსვლისთვის იესო ქრისტესსა. რამეთუ მაშინ შეძრწუნდენ ყოველი პირი ქვეყანისა. არა თუ ამა ერთისა თემისა შეძრვასა აგრძნობს ქვეყანა (სულხან-საბა ორბელიანი 1993: 357-358).

წერილობით წყაროებში შემონახულ ცნობებში ყურადღება ძირითადად მიწისძვრის, როგორც ბუნებრივი სტიქიის, აღწერასა და შედეგებზეა გამახვილებული. შუა საუკუნეებში სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. „წინასწარმეტყველების“ ტექსტები, რომლებშიც მოცემული იყო პრაქტიკული რჩევები იმის თაობაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა წლის სხვადასხვა დროს მომხდარ მიწისძვრას პოლიტიკური ცხოვრების, სიკვდილიანობის, სხვადასხვა დაავადებათა ეპიდემიის გავრცელების, შიმშილობის და მოსავლიანობის მხრივ.

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული პასქალისტური ხასიათის ნაშრომი, რომელშიც სხვადასხვა კალენდარულ გამოთვლასთან ერთად შესულია ამგვარი ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიური რჩევა-შენიშვნები, X საუკუნის შუახანებს განეკუთვნება. სინას მთაზე მოღვაწე ცნობილი ქართველი მწიგნობრის იოანე-ზოსიმეს სახელთან დაკავშირებულ ორ ქართულ ხელნაწერში – ლიტურგიკულ კრებულსა (949 წ.) და ოთხთავში (979 წ.). შეტანილ ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიურ ტრაქტატში „კალანდაჲ თქმული ეზრა წინასწარმეტყუელისაჲ“ ცალკე მუხლადაა გამოყოფილი „მე-ბ (2) კალანდაჲ ძრვისა და ქუხილის გამოცხადებაჲ“ (Sin. georg. 34, ფრაგ.; Sin. georg. 38, 140v-141r). XI-XII საუკუნეების ნეოპლატონიკოსი თეოლოგ-ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი თხზულებაში „მთოვარისა დღენი სათუა-

ლავნი“ ჩამოთვლის რა, თუ როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ საქმეს ან მოვლენას კონკრეტული მთვარის რიცხვში, აღნიშნავს, რომ დიდმა საეკლესიო მამამ ბასილი დიდმა (IV ს.): „ცნობაჲ ოთხთა ჟამ-თა ქცეულებისაჲ, თუ ვითარ იქმნებიან განწესებულისა მისგან მნათობთა მოძრაობისა... და მნათობთა მათ ნიშნებისა გამომკვლეველობაჲ, რომელ-ნი ნოტიობასა ცხად ჰყოფენ ანუ უნოტიობას, გინა ქართა მძვრელობასა ანუ სხუასა რასმე ესევითარსა, არა განაგდო, არამედ შეიწყნარაო“ (საქარ-თველოს ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007: 589-590).

ერთ დროს ლაბეჭინის ეკლესიის კუთვნილ XIII საუკუნის ოთხთავში, რომ-ელზედაც დართულ დოკუმენტში რაჭა-ლეჩხუმში მომხდარი სასტიკი მიწისძ-ვრის შესახებაა მოთხრობილი, ხელნაწერის გადაწერიდან მოგვიანოდ ჩაურ-თავთ „ესე კალანდაჲ თქმული ეზრაჲსი“ და „ზედნადები ქორონიკონისანი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1563, 68v-69v, 70v-72r, 113r-114v). მსგავსი ტექსტი შეტანილია XV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ „კურთხევანში“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1110), ხოლო კინკლო-სის ისტორიულ მინაწერებში აღნიშნულია XI-XII საუკუნეებში მომხდარი და-მანგრეველი მიწისძვრების შესახებ. მათში მოცემულია განსაზღვრება იმის თაობაზე, თუ როგორი იქნებოდა წლის ესა თუ ის დრო ზედნადების რიცხ-ვისა და ნიშნების მიხედვით, ასევე ცალკე მუხლადაა გამოყოფილი თვეების მიხედვით ძვრისა და ქუხილის შედეგების წინასწარმეტყველება, სათაურით „ძრვისა და ქოხილისა“:

> **ძრვისა და ქოხილისა**: ი ა ნ ვ ა რ ს ა თუ იქუხნეს, იფქლისა და ღჳნისა სავსებ(ა)ჲ იყოს, თუ იძრას ერთობით ყოველსა ქუეყ-ანასა სიკდილი იყოს. ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ს ა თუ იქუხნეს, ყოვლისა კეთილისა ნიშანი აქუს, თუ იძრას ბრძოლანი იყვნენ ფიცხელ-ნი. მ ა რ ტ ს ა თუ იქუხნეს, იფქლისა და ღჳნისა სავსებაჲ იყოს, თუ იძრას არა დიად იყოს [ბრძოლანი იყვნენ, არა არე ლალ-ვან]. ა პ რ ი ლ ს ა თუ იქუხნეს, იფქლისა და ღჳნისა სავსებაჲ იყოს, თუ იძრას არა დიად იყოს. მ ა ი ს ს ა თუ იქუხნეს, შფო-თი იყოს, თუ იძრას მშჳდობაჲ და დაცხრომაჲ ფრიადი იყოს. ი ვ ნ ი ს ს ა თუ იქუხნეს, დიდ დიდთა დაცემაჲ იყოს, თუ იძრას ფიცხელნი ბრძოლანი. ი ვ ლ ი ს ს ა თუ იქუხნეს, დიდ დიდთა დაცემაჲ სიკუდილითა იყოს, თუ იძრას, სიყმილი იყოს. ა გ ჳ ს -ტ ო ს ს ა თუ იქუხნეს, სისხლი იყოს [და] დაცემა იყოს. ს ე კ -დ ე ნ ბ ე რ ს ა თუ იქუხნეს, იფქლისა სავსებაჲ იყოს, თუ იძ-რას, სალმობანი იყვნენ. ო კ დ ო ნ ბ ე რ ს ა თუ იქუხნეს, ქარნი აღშფოთნენ, თუ იძრასა, დიდი კაცი მოკუდეს. ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა თუ იქუხნეს, სალმობაჲ იყოს. დ ე კ ე ნ ბ ე რ ს ა თუ იქუხნეს, დიდი სიკუდილი იყოს, თუ იძრას, იფქლი მრავლად იყოს.



სურ. 1. „ზედნადებნი ქორონიკონისანი“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1563, 68v-69r



სურ. 2. „კალანდრა თქმული ეზრა წინასწარმეტყუელისა“ და „ძრვისათჳს და ქუხილისა“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1110, 83v-84r

✧ ✧ ✧

ბუნებრივი მოვლენებისა და წარსულში მომხდარი კატასტროფების შესახებ ქართული საისტორიო წყაროები ორ დიდ ჯგუფად იყოფა – *წერილობითი* და *ნივთიერი* წყაროები.

## წერილობითი წყაროები

### აგიოგრაფია

ქართულმა ორიგინალურმა აგიოგრაფიულმა ძეგლებმა, რომლებშიც ადგილობრივი ქრისტიანი წმინდანების ცხოვრება და წამებაა გადმოცემული, ჩვენამდე V საუკუნის მეორე ნახევრიდან მოაღწიეს. ამ ლიტერატურული ჟანრის თხზულებები დანიშნულებით ლიტურგიკულ ძეგლებს წარმოადგენენ, მაგრამ მათში გადმოცემული წმინდანის ისტორიული ბიოგრაფია მათ წყაროთმცოდნეობით ღირებულებასაც სძენს და საისტორიო მწერლობის რიგში აყენებს. მათში, მიუხედავად უხვად შეტანილი საღვთისმეტყველო, ნახევრად ლეგენდარული და ტრაფარეტული შაბლონებისა, ასახულია რეალური ისტორიული პირების ბიოგრაფია, თანადროული ისტორიული ფაქტები და მოვლენები.

ამ ტიპის თხზულებებში ბუნებრივი მოვლენების შესახებ შემონახული ცნობები ქრონოლოგიურად ერთ-ერთი ადრეულია და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, მის განმტკიცებასა და სამონასტრო აღმშენებლობას უკავშირდება. ისეთი მოვლენები, როგორებიცაა: მზის დაბნელება, მიწისძვრა, ანომალიური სეტყვა, მეხის დაცემა, წყალდიდობა თუ სხვა, უმეტესწილად, წმინდანთა მიერ მოხდენილ სასწაულებშია ჩართული და, ხშირ შემთხვევაში, რეალურ ფაქტებს ასახავს. ამ ფაქტების მოხმობა აგიოგრაფს სჭირდება ადამიანთა ცოდვების გამო ღვთიური რისხვისა და გაფრთხილების გამოსახატავად, ასევე წმინდანის მიერ მოხდენილი სასწაულის მოწმობად. IV-IX საუკუნეებში საქართველოში მომხდარი მიწისძვრების შესახებ ინფორმაცია სწორედ აგიოგრაფიულმა თხზულებებმა შემოგვინახა. ქართულ საისტორიო და აგიოგრაფიულ თხზულებებში (მოქცევაჲ ქართლისაჲ, პეტრე იბერის ცხოვრება, იოანე ზედაზნელის ცხოვრება) დაცული ცნობების თანახმად, IV-VI საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა რამდენიმე მიწისძვრას. წერილობითი წყაროების ამ ცნობების უტყუარობა ბოლო ხანების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა და კვლევებმაც დაადასტურა.

აგიოგრაფიულ თხზულებებში, როგორც წესი, თარიღი მითითებული არ არის, ამიტომ ბუნებრივი მოვლენისა თუ მიწისძვრის დროის განსაზღვრა, ზოგ შემთხვევაში, მიახლოებითაც კი ჭირს. ამ შემთხვევაში დახმარების გაწევა შეუძლია ისეთ ირიბ მონაცემებს, როგორებიცაა: თხზულებაში

მოხსენიებული პირები, პოლიტიკური და სოციალური ვითარება, ონომასტიკა, თანადროული თუ შემდეგდროინდელი ისტორიული წყაროების მონაცემები, ტერმინოლოგია და სხვ. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არ არის შესაძლებელი მეტ-ნაკლები სიზუსტით ძეგლისა და მასში აღწერილი მოვლენის დათარიღება. ამის მაგალითია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც დაწერილია ზარზმის ეკლესიის აღმშენებლის, წმ. სერაპიონის, გარდაცვალების ახლო ხანებში, მისი ძმისწულის, ბასილი ზარზმელის მიერ. ვინაიდან თხზულებაში არცერთი თარიღი მითითებული არ არის, მკვლევრები, სათანადო ისტორიული რეალიებისა და არგუმენტაციის მოშველიებით, „ცხოვრების“ დაწერის დროსა და, შესაბამისად, მასში გადმოცემულ ფაქტებს განსხვავებული თარიღებით განსაზღვრავენ: VII საუკუნის პირველი ნახევარი, VIII საუკუნის 80-იანი წლები, IX-X საუკუნეების მიჯნა. შესაბამისად, ვერ ხერხდება თხზულებაში აღწერილი მიწისძვრისა და ზარზმის ეკლესიის აშენების დროის დადგენა.

### ნარატიული წყაროები

თხრობითი ხასიათის წყაროებიდან სტიქიური უბედურებებისა და მიწისძვრების შესახებ ცნობები დაცულია საისტორიო კრებულში „ქართლის ცხოვრება“ (საქართველოს ისტორია), რომელშიც შემავალი ძველი და ახალი ციკლის თხზულებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობენ ქართველი ერის ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით.

ქართულ ნარატიულ წყაროებში მიწისძვრების შესახებ შემონახული ცნობების ზუსტი დათარიღება და დამატებითი ინფორმაციის მოპოვება სხვა წყაროს უქონლობის შემთხვევაში ყოველთვის ვერ ხერხდება. ამის მიზეზი ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებების ძირითადი ნაწილი ქრონოლოგიური მითითებებით მწირია, ნაწილში კი თარიღები საერთოდ არ არის მითითებული. ისიც აღსანიშნავია, რომ მოგვიანო ხანის, XIV-XVI საუკუნეების ნარატიული ხასიათის წყაროები გარკვეული ისტორიული მიზეზების გამო სიმწირით გამოირჩევა ან საერთოდ არ გვაქვს, რაც ართულებს ინფორმაციის მოპოვებას ამ პერიოდის ბუნებრივი სტიქიების შესახებ. წარსულში მომხდარ მიწისძვრებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ფასეულია ცნობები, რომლებიც დაცულია დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ისტორიკოსების და XIII-XIV საუკუნეების მიჯნის უცნობი ჟამთააღმწერლის თხზულებებში.

## ქრონიკები და კინკლოსები

„ქრონიკა“ საისტორიო თხზულების სახეობაა, რომელშიც ამბები ქრონოლოგიური პრინციპით მოკლედ და მშრალადაა წლების მიხედვით გადმოცემული. ქართულ სინამდვილეში ქრონოგრაფიის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს: მესხური დავითნის, ქსნის ერისთავთა, ე.წ. პარიზის და დღიურის სახით წარმოებული XVIII-XIX საუკუნეების ქრონიკები და სხვ.

ქართული ეროვნული ქრონოგრაფიის პირველსახედ ე.წ. კინკლოსების ისტორიული მინაწერები მიიჩნევა. კინკლოსი საეკლესიო-ლიტურგიკული ცხრილია (იხ. ქართული წელთაღრიცხვა), რომლის აშიები და სტრიქონებს შორის ადგილები გამოყენებულია სხვადასხვა დროის ქრონისტ-ავტორების მიერ ისტორიული ხასიათის ჩანაწერების შესატანად, ასეთებია: მეფე-მთავართა ზეობის თარიღები, ცალკეულ საგვარეულოთა საოჯახო ჩანაწერები, მტრის შემოსევები და ომები, ასევე, ბუნებრივი მოვლენები და კატასტროფები.

კინკლოსური ცხრილის მარცხენა ან მარჯვენა აშიაზე მითითებულია ქორონიკონის თარიღი (უმეტეს შემთხვევაში, მე-14 მოქცევის, 1312 წ.), მე-13 მოქცევის შემთხვევაში, ქორონიკონულ თარიღთან (780 წ.) ერთად მოცემულია წელი ქვეყნის გაჩენიდან, დაანგარიშებული ქართული ან ბერძნული წელთაღრიცხვით. ცხრილში სტრიქონები ნაკიანი წლების მიხედვით ოთხეულებად არის დაყოფილი, რომლის თითოეული სტრიქონი ერთ წელს შეეფარდება.



სურ. 3. „ქრონიკონი იჵრუსალიმულთა, მართალი, ჭეშმარიტი, ხუთას ოცდათორმეტისა წლისა. ოდეს დასრულდეს თავსავე იწყების“. „აფხაზთა ქრონიკის“ სახელით ცნობილი კინკლოსური ქრონოგრაფი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1110, 75v-76r

ისტორიული ქრონოლოგიისათვის, მიუხედავად მათში შეტანილი ქრონიკალური ჩანაწერების ფასდაუდებელი მნიშვნელობისა, დამახასიათებელია ერთი-ორი და რამდენიმეწლიანი შეცდომები. ამის საფუძველი უფრო სუბიექტური ხასიათისაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი უმეტესი ადრეული ნაწილი ავტორის მიერ გადმოღებულია უფრო ადრინდელი ქრონიკიდან, ან სხვადასხვა ქრონიკიდან გადმოტანილ ცნობათა კომპილაციას წარმოადგენს. ამას გარდა, ცხრილში ადგილის შეზღუდულობისა და რამდენიმე ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, ერთი კინკლოსური ქრონიკიდან მეორეში მინაწერის გადატანისას დამწერს ცხრილის შესაბამის სტრიქონთან ჩანაწერის გაკეთებისას ხშირად მოსდიოდა შეცდომა, რაც იწვევდა ცხრილში შეტანილი ფაქტის თარიღში ცდომილებას ორი-სამი, ზოგჯერ ათი წლითაც კი.

მიწისძვრის შესახებ პასქალურ ცხრილზე შესრულებულ ქრონიკალურ ჩანაწერებს შორის ერთ-ერთი ადრეულია სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ლიტურგიკულ კრებულსა (949 წ.) და ოთხთავში (979 წ.) შეტანილი მინაწერები.[4] იოანე ზოსიმეს მიერ 979 წელს გადაწერილ ოთხ-

4 X საუკუნის 50-70-იან წლებში სინაზე მოღვაწე მწიგნობრის იოანე-ზოსიმეს მიერ Sin. georg. 34 ლიტურგიკული ხელნაწერის სათვეო ნაწილში 13 თებერვალს გაერთიანებულია წმ. დემეტრეს „ძრვის" (?) და კესარიელი წმ. მამის მარტინიანეს ხსენებები: „[თ(უეს)ა ფ(ე)ბ(ერვალ)სა] იგ (13). ძრვაჲ წ(მიდი)სა დემეტრესი, და მარტინიანოზ მონაზონისაჲ". ჟ. გარიტის აღნიშვნით, 13 თებერვალს მომხდარი ამ მიწისძვრის შესახებ ინფორმაცია სხვა ცნობილ არცერთ წყაროში არ დასტურდება და საეჭვოა, რამდენადაც ბიზანტიურ ლიტურგიაში დიდმოწამე დემეტრეს ხსენება აღინიშნება 26 ოქტომბერს და არა 13 თებერვალს (Le calendrier palestino-géorgien 1958: 158). კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის და გიორგი მთაწმინდელის დიდ სვინაქსარში (XI ს.), რომელიც ღვთისმსახურების კონსტანტინეპოლური წესის ამსახველია, „ჴსენებაჲ დიდისა მის ძვრისაჲ" დაწესებულია კონსტანტინეპოლში მომხდარ შემდეგ დიდ მიწისძვრებთან დაკავშირებით: 557 წლის 14 დეკემბერს წმინდა მოწამეების თჳრსო, ლევკი და კალინიკოჲს, ფილიმონ, აპოლონ და იპატის; 740 წლის 26 ოქტომბერს დიდმოწამე დემეტრეს, ხოლო 17 მარტს კონსტანტინე VI-ის მეფობაში (780-797) წმ. მოწამე მარინოს და წმ. კაცი ღმრთისა ალექსის ხსენების დღეს (Guidoboni, Comastri, Traina 1994: 341-345; 364-365; 371-372; დიდი სჳნაქსარი 2017: 53, 97, 189). გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარში 26 ოქტომბერს კონსტანტინეპოლში მომხდარ დიდ მიწისძვრასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ამასვე დღესა ჴსენებაჲ დიდისა მის ძვრისაჲ, რომლისაგან გარეგან სასოებისა გჳჴსნა ღმერთმან, რომელი იქმნა სოფლის დაბადებითგან ექუს ათას ორას ორმეოდამეცხრესა წელსა მოქცევასა მზისასა ხუთსა და სათუალავსა მთოვარისასა ათექსუმეტსა, ინდიკტიონსა მეცხრესა, ლეონის ზე ისავროჲსა ხატთა მბრძოლისაჲ" (დიდი სჳნაქსარი 2017: 53). რაც შეეხება 13 თებერვლის მიწისძვრის შესახებ X საუკუნის ქართულ კალენდარში შეტანილ ცნობას, ის ბოლონიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ისტორიული მიწიძვრების კატალოგში მოხმობილია 863 წლის 13 თებერვალს დვინში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით. სამი ათეული წლის შემდეგ, 893 წლის 27 დეკემბერს მომხდარი ძლიერი მიწისძვრისას ქალაქი და საპატრიარქო კათედრალი დაინგრა და სომხეთის საპატრიარქო დვინიდან – ერევნიდან 10 კმ-ის დაშორებით, ეჩმიაძინის სიახლოვეს, ზვართნოცში გადაიტანეს (Guidoboni, Comastri, Traina 1994: 386-387; Guidoboni, Traina 1995: 66; 121-123; 389-392).



სურ. 4. სინას მთა
მოსეს მთის წვერზე 1068 წლის მიწისძვრით დანგრეული ეკლესიის ადგილას მდგარი ახალი ეკლესია. ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც ძველი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ქართული ასომთავრულითაა შესრულებული და X საუკუნით თარიღდება

თავზე დართულ პასქალურ ცხრილში სინას მთაზე მოღვაწე ქართველმა ბერმა შესაბამისი წლის გასწვრივ შეიტანა ჩანაწერი (Sin. Georg. 38, 118v), რომელიც 1068 წელს ვნების კვირის სამშაბათ დღეს[5] სინაზე მომხდარ მიწისძვრასა და მთის ეკლესიის (იგულისხმება მოსეს მთის წვერზე მდგარი ძველი ეკლესია, სადაც ქართველი ბერებიც მოღვაწეობდნენ – დ.კ.) დანგრევას ეხება:

> [ქკ̃ნი] ხქოზ (6672), სპჱ (288) – ამას ნაკსა ზედა იძრა ქუეყანაჲ,
> ოდეს მთისა ეკლესია დაეცა, სამშაბათსა ვნებისასა.

ადრეული პერიოდის მიწისძვრების შესახებ განსაკუთრებით ფასეული ცნობები შემოგვინახა „აფხაზთა ქრონიკის“ სახელით ცნობილმა კინკლოსურმა ქრონოგრაფმა (XV ს. მეორე ნახევარი. კურთხევანი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1110, 65r-77v). მასში შეტანილი ცნობები ეხება საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 1089 და 1192 წლებში მომხდარ ძლიერ მიწისძვრებს.

მიწისძვრების შესახებ ასევე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან XVII-XVIII საუკუნეების ქრონიკალური ჩანაწერები და კერძო პირთა დღიურები, რომლებიც, ძირითადად, ამ პერიოდში თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში მომხდარ მიწისძვრებს ეხება.

5 იგულისხმება ბზობის კვირიაკესა და ქრისტეს აღდგომას შორის ვნების შვიდეულის დიდი სამშაბათი.

## დოკუმენტური წყაროები

წერილობით წყაროებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი დოკუმენტური მასალაა, რომელიც დანიშნულების თვალსაზრისით იურიდიული ხასიათის აქტებად და არაიურიდიულ დოკუმენტებად იყოფა. საისტორიო საბუთებში დაცული ცნობები ბუნებრივი კატასტროფების შესახებ, მართალია, მწირია, მაგრამ მათში ასახული მიწისძვრის ფაქტი თანამედროვის მიერ ზედმიწევნითი უტყუარობითაა გადმოცემული. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 1492 წელს ალავერდის ტაძრისათვის მიცემული შეწირულების წიგნი, რომლიდანაც ცნობილი ხდება 1492 წლამდე ახლო ხანებში კახეთში მომხდარი მიწისძვრისა და კახთა მეფის, ალექსანდრე I-ის, მიერ მიწისძვრით დანგრეული ალავერდის ტაძრის მეორედ აღშენების შესახებ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448-10021).

## ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები

ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები, ანუ კოლოფონები, ხელნაწერი წიგნის ნაწილია და მის ისტორიას უკავშირდება. ხელნაწერის შექმნის თანადროული თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მასში შეტანილი ანდერძ-მოსახსენებლები, ისტორიული ხასიათის ჩანაწერები და მინაწერი დოკუმენტები ასახავენ ხელნაწერის რამდენიმესაუკუნოვან ისტორიას. ეს მინაწერები, ზოგ შემთხვევაში, შეიცავს ინფორმაციას ბუნებრივი მოვლენების და სტიქიური უბედურებების (მიწისძვრა, მზის დაბნელება, კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა, ჟამიანობა და სხვ.) შესახებაც. ამ შემთხვევაში, ანდერძ-მინაწერის ცნობა, მიუხედავად ავტორის ემოციური ფონისა და ზოგჯერ მომხდარი ფაქტის გაზვიადებისა, შესანიშნავი უტყუარი პირველწყაროა სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის თუ სტიქიური უბედურების შესახებ, რომლის დამწერიც მომხდარი ფაქტის თვითმხილველ-თანადამხვდური თუ არა, მისი თანამედროვეა.[6] ავთენტურობისა და ქრონოლოგიური სიზუსტის თვალსაზრისით, ანდერძ-მინაწერების ცნობები გაცილებით ფასეულია, ვიდრე ზოგჯერ ათეული და ასეული წლის შემდეგ დაწერილ საისტორიო თხზულებებსა და ქრონიკებში ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მოწოდებული ცნობები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა XIII საუკუნით დათარიღებული ერთ-ერთი ოთხთავის ბოლო გვერდებზე შეტანილი „დაწერილი" ანუ ანგარიშგება, რომელიც წარმოადგენს რაჭა-ლეჩხუმში მდებარე ლაბეჭინის მთავარანგელოზთა ეკლესიაში გაბრიელ ლაბეჭინელის

6 ერთ-ერთი ასეთი მინაწერი მზის დაბნელების შესახებ ეკუთვნის ხელნაწერის გადამწერს, ვინმე გიორგის. მასში აღნიშნულია, რომ 1460 წლის 18 ივლისს, პარასკევს, წყვდიადი ჩამოწვა და ხელნაწერის გადაწერა შეუძლებელი გახდა: „აქა დაბნელდა დღე ასრე, რომე წერაჲ აღარა იქმნებოდა და გალატოზნი [ველარა ჰხედვი]დეს საქმესა. თუე იყო ივლისი, დღე პარასკევი, თუჱ თურამეტი, ქრონიკონი რმჱ. თუ რაჲ მოჰხდების, ღმერთმან უწყის" (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A- 570, 146r).



სურ. 5. კალას წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის წარწერა მიწისძვრის შესახებ

ნაღვაწისა და შემატებული ქონების ანგარიშს. დოკუმენტში მოთხრობილია 1330-იან წლებში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ, რომლის დროსაც საფუძვლიანად დაინგრა ლაბეჭინის ეკლესია და გაანადგურა საეკლესიო მოწყობილობა და ქონება (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1563, 269v-272v).

### ეპიგრაფიკა

დოკუმენტურ წყაროებთან და ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებთან ერთად, როგორც უტყუარ პირველწყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეპიგრაფიკულ ძეგლებს – მაგარ მასალაზე (ქვა, ლითონი, კერამიკა, ხე და სხვ.) შესრულებულ წარწერებს. არის შემთხვევები, როცა მხოლოდ ეპიგრაფიკული წყარო იძლევა შესაძლებლობას, მოვიპოვოთ ინფორმაცია წარსულში მომხდარი მიწისძვრისა და მისი არეალის შესახებ. ამ ტიპის წყაროს მნიშვნელობას ასევე განაპირობებს თავად წარწერისა და მასში დასახელებული მიწისძვრის თანადროულობა და ქრონოლოგიური განსაზღვრის შესაძლებლობა. მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დავით გარეჯის წამებულის უდაბნოში ამოკაწრული წარწერა XI საუკუნეში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ, სვანეთში კალას თემის წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის ფრესკული წარწერა XIII საუკუნის დამლევს ეკლესიის მიწისძვრით დანგრევის თაობაზე, ასევე ცაიშის ეკლესიის ჭედური ხატების წარწერები დასავლეთ საქართველოში 1614/1615 წელს მომხდარი მიწისძვრის შესახებ და სხვ.

## მატერიალური ანუ ნივთიერი წყაროები

### არქიტექტურის ძეგლები

საქართველოს სხვადასხვა კუთხის საკულტო, საფორტიფიკაციო და სხვა საერო ნაგებობების, კომპლექსების, ძველი ქალაქების, სოფლებისა თუ განაშენიანების სეისმური თვალსაზრისით ფიქსაცია-შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს, რომ მათი დიდი ნაწილი დღესაც ატარებს წარსულში მომხდარი მიწისძვრების კვალს. ეს შეიძლება ითქვას ყველასათვის ცნობილი ისეთი ძეგლების მაგალითზე, როგორებიცაა: სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი, ნეკრესი, ატენი, წრომი, ხცისი, რუისი, ურბნისი, სამწევრისი, აწყური, ცაიში, ლაბეჭინა, უფლისციხე, ვანის ქვაბების, ვარძიისა და დავით გარეჯის ქვაბოვანი კომპლექსები და მრავალი სხვ.; არქიტექტურის ძეგლების უმრავლესობაზე სეისმური კვალის გამოვლენა და დათარიღება მათი ცუდი დაცულობისა და წერილობითი წყაროს უქონლობის გამო განსაკუთრე-

ბით ძნელია. საუკუნეთა განმავლობაში საერო და საეკლესიო ნაგებობებისა და ციხე-სიმაგრეების დიდი ნაწილი საერთოდ განადგურდა, ახლად აშენდა ან სხვადასხვა დროს არაერთხელ იქნა აღდგენილ-გადაკეთებული. გარდა ამისა, ახალ დროში რესტავრირებულ მთელ რიგ ძეგლებზე ძველი საამშენებლო აღდგენა-რესტავრაციის კვალი თითქმის წაიშალა. ამიტომ, ძეგლის სამშენებლო ფენების ქრონოლოგიური გამიჯვნა, რომელიც დაგვეხმარებოდა სხვადასხვა დროს მომხდარ მიწისძვრებთან ამ ფენების დასაკავშირებლად, სირთულეებთანაა დაკავშირებული, მით უმეტეს, რომ, ხშირ შემთხვევაში, წერილობითი ინფორმაციის უქონლობის გამო საამისო საფუძველი არც არსებობს. საკულტო თუ საერო (საფორტიფიკაციო და საცხოვრებელი) ნაგებობების ცალკეული საამშენებლო ფენების თანმიმდევრობისა თუ ცალკეულ ფენათა ფარგლების დადგენა, მართალია, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია და სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიყოს არქიტექტურული ძეგლების გარკვეული ჯგუფები, რომელთა აღდგენა-შეკეთება თუ ახლად აშენების საჭიროება აშკარად უკავშირდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარსულში მომხდარი მიწისძვრებისა და მათი შედეგების აღმოსაფხვრელად ჩატარებულ სამუშაოებს. ეს კარგად ჩანს სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე, სადაც XIII საუკუნეში მომხდარი აწყურის ცნობილი მიწისძვრის შემდგომ პერიოდში სამცხის ათაბაგთა მიერ ინტენსიურად დაიწყო არა მარტო მიწისძვრით დანგრეული ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების აღდგენით-საამშენებლო სამუშაოები, არამედ ახლის აგება საფარაში, ზარზმაში, ჭულესა და სხვა ადგილებში (ბერიძე 1955: 18-19).

ძეგლზე მიწისძვრით გამოწვეული ნგრევისა და შემდგომი აღდგენა-რესტავრაციის თაობაზე მხოლოდ ნაგებობაზე შემორჩენილი კვალის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. მაგალითად, VII საუკუნის წრომის ტაძარზე მიწისძვრით გამოწვეული პირველი ძლიერი ნგრევა, გიორგი ჩუბინაშვილის დაკვირვებით, მოქმედებდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ ტიპის ნგრევა აღინიშნებოდა წრომის მახლობლად, მის აღმოსავლეთით და დასავლეთით არსებულ ადრე შუა საუკუნეების მთელ რიგ ეკლესიებზეც, აგრეთვე, 10-12 კმ-ის რადიუსზე 1002 წელს ხცისში აგებულ წვიმოეთის დიდ ეკლესიაზე. ხცისის აშენების თარიღი – 1002 წელი – წრომის ტაძრის ნგრევის დროის ქვედა ზღვარი უნდა იყოს; ხოლო ზედა ზღვარი განისაზღვრა 1200 წელს აგებული ყინწვისის გუმბათიანი ეკლესიით, რომელიც არ დაზიანებულა. მიწისძვრის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარზე ასევე მიანიშნებდა წრომის ტაძრის აღდგენისას გამოყენებული საშუალებები და კარნიზის პროფილი. ამ შემთხვევაში წრომის ტაძრის ნგრევა უნდა უკავშირდებოდეს XIII საუკუნეში აწყურის მიწისძვრის სახელით ცნობილ ერთ-ერთ ძლიერ მიწისძვრას. მიწისძვრით გამოწვეული მეორე დიდი ნგრევა, წრომის ტაძარზე ჩატარებული აღდგენითი სამუშაოებისა და გამოყენებული მასალის (აგური) თანახმად, დაახლოებით XVI-XVII საუკუნეებში მომხდარა. სავარაუდოდ, ამ მიწისძვრამ გამოიწ-



სურ. 6. წრომის ტაძარი. 626-634 წწ. 1950-70-იან წლებში ჩატარებული რესტავრაციის შემდგომ. ზ. სხირტლაძის ფოტო

ვია ბზარები კედლებზე, რამაც შემდგომ ბიძგი მისცა საკურთხევლის შემამკობელი ადრეული მოზაიკის ჩამოშლას. მიზანმიმართული ნგრევა, რომელიც ნაგებობამ ვერ გადაიტანა, გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, უკავშირდებოდა 1731 წლის ლეკთა თავდასხმას, რაც ნაკლებ მოსალოდნელია. სავარაუდოდ, ნაგებობამ დაზიანებები იმ ძლიერი მიწისძვრით მიიღო, რომელიც მოხდა 1668 და 1742 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში. 1940 წელს მომხდარმა მიწისძვრამ ტაძარი საბოლოოდ დაანგრია – დასავლეთ კედლის ერთი ნაწილი შიგნით ჩაიქცა, მეორე ნაწილი გარეთ, ხოლო ისტორიულად აღდგენილი გუმბათის ბარაბანი ჩამოიქცა. ძეგლს რესტავრაცია გაუკეთდა 1961-1966 წლებში არქიტექტორ ლევან ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით (Чубинашвили 1969: 11).



სურ. 7. ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია რესტავრაციამდე

6-1
წრომის ტაძარი.
პუბლიკაციიდან –
Чубинашвили 1969.
სამხრეთი ფასადი.
თ. კიუნეს ფოტო.
1919 წ.



6-2
ჩრდილოეთი ფასადი.
ი. თულაშვილის
ფოტო. 1932 წ.



6-3
დასავლეთი ფასადი.
ს. შიმანსკის ფოტო.
1952 წ.









6-4
ინტერიერის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ჩრდილოეთი კედელი; პუნქტირით აღნიშნულია 1940 წლის მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის შედეგები



6-5
ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და დასავლეთი ფასადის სამხრეთ მონაკვეთი რესტავრაციამდე.
ვ. ცინცაძის ფოტო 1954 წ.

6-6
გუმბათის ბარაბანის ფრაგმენტი ტრომპით.
ი. თულაშვილის ფოტო. 1932 წ.





6-7
დასავლეთი ფასადი რესტავრაციის შემდგომ. ვ. ცინცაძის ფოტო. 1967 წ.

### მიწისძვრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი არქიტექტურულ ძეგლებში

ძველადვე სამშენებლო საქმეში ნაშენის საერთო სიმტკიცისათვის და სეისმომედეგობისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამშენებლო მასალასა და შესაბამისი საინჟინრო მეთოდებისა და კონსტრუქციების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით ძველ ქართულ არქიტექტურის ძეგლებში მიწისძვრის საწინააღმდეგოდ გამოყენებული სამშენებლო ხელოვნების ხერხები და მასალები უზრუნველყოფდა მათ კონსტრუქციულ მედეგობას და ნაგებობას მიწისძვრისას იცავდა ფუძე-საძირკვლის ჯდენის, კედლების დაბზარვის, გახსნისა და რღვევისაგან. მათ რიგს მიეკუთვნება:

სურ. 8-11 ა. ნაგებობის მედეგობის შესანარჩუნებლად ნაგებობის ყველაზე უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო ნაწილის, გუმბათის კონსტრუქციის გამოყოფა და დამოუკიდებლად დაყრდნობა გუმბათქვეშა ოთხ სვეტზე, დანარჩენ ნაშენში შეუერთებლად. ამის ერთ-ერთი ადრეული მაგალითია წრომი. ასევე, მომდევნო საუკუნეების ტაძრები.

ბ. ნაგებობის გარეთა კედლების საძირკვლების ასიმეტრიულობა და გარეთა მხარეების გაფართოება, რაც ანტისეისმურ ღონისძიებას წარმოადგენდა და გამიზნული იყო ნაშენის სიმტკიცისათვის. მაგალითად, თბილისში „ლურჯი მონასტერი“ (XII ს.).

სურ. 12-13 გ. „ჯაჭვური სარტყელი“ ქვის წყობით. ამის მაგალითია: ისტორიულ ტაოში, ხახულის მთავარი ტაძრის (X ს.) სამხრეთი მკლავის კარნიზის ქვედა რეგისტრში დატანილი „ჯაჭვური სარტყელი“; ყარსიდან სამხრეთ-დასავლეთით 80 კმ-ში, მდ. არაქსის ხეობაში ჩანგლში მდგარი ქართული მართლმადიდებლური ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (XI ს. პირველი ნახევარი); ისტორიულ ლორეში (სომხეთი) აქორის ქართული ტაძარი (XIII ს.), სადაც ხუროთმოძღვარმა ამ მეთოდით უზრუნველყო ცენტრალური ნავის კამარის საბჯენი თაღის მედეგობა.

დ. კედლის, საძირკვლისა და გუმბათის ყელის ქვის (ან აგურის) წყობის ხით არმირება და ანტისეისმური ხის ძელებისა და ჩარჩოების გამოყენება (წრომი, VII ს. პირველი ნახევარი; ანანური, XVII ს.; თბილისის სიონის ტაძრის გუმბათი, XVIII ს.; ყაურმის ეკლესია, XI ს. პირველი მეოთხედი; კახეთში ზეგანი, VIII ს.; ნინოწმინდა, VI ს.) (მშვენიერიძე 1950: 7-34; Мшвениеридзе 1952).

სურ. 14-16 ე. კონტრფორსის – მზიდი კედლის გასწვრივ აგებული სამაგრი ვერტიკალური ბურჯის გამოყენება, რომელსაც გადაეცემა კედლის დაწოლა. ამგვარი კონსტრუქცია გვხვდება: ქართლში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, უძველეს ქალაქ ურბნისში მიწისძვრით არაერთხელ



სურ. 8. ხანძთის ტაძარი. X ს.



სურ. 9. იშხნის ტაძარი. XI ს.



სურ. 10. წირქოლი. ცენტრალური სივრცის დამაგვირგვინებელი უყელო სფერული გუმბათი. გ. ჩუბინაშვილის (1936 წ.) და რ. შმერლინგის (1953 წ.) ფოტოები. პუბლიკაციიდან – Чубинашвили, 1970





სურ. 11. ჰნევანქი (სომხეთი). ძელიჭეშმარიტის ეკლესია. XII-XIII სს. გუმბათი ქართული ასომთავრული წარწერით



სურ. 12
ხახული. X ს.





12-1. ტაძრის „ჯაჭვური სარტყელი“ სამხრეთ მკლავზე



სურ. 13
აქორი. XIII ს.
ცენტრალური ნავის კამარის საბჯენი თალი



სურ. 14
ურბნისი. V ს.
ხედი ჩრდილო-
დასავლეთიდან



სურ. 15
გუდარეხის კოშკი



სურ. 16
სვეტიცხოველი. კარიბჭე. XX ს. პირველი ნახევარი





14-1. ურბნისი. ჩრდილოეთის კონტრფორსი

დაზიანებულ V საუკუნის სამნავიან ბაზილიკაზე;[7] კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში 1588 წელს აგებულ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან ორი კონტრფორსი აქვს მიშენებული; სამთავისში, სადაც 2009 წელს სარესტავრაციო სამუშაოებისას გამოვლინდა კოშკი და კონტრფორსი; სვეტიცხოველში კარიბჭეზე (1029 წ.); ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გუდარეხში კლდის ქანობზე აგებულ გვიანი შუა საუკუნეების სათვალთვალო კოშკზე და სხვ.

7 V-VI საუკუნეების მიჯნაზე აგებული ურბნისის სიონის ბაზილიკის ერთ-ერთი შეკეთებისას ჩრდილოეთ ფასადზე ჩაუდგამთ უძველესი სამშენებლო წარწერა, რომელშიც იხსენიებიან ეკლესიის მაშენებლები – კოსტანტი და მამა მიქელი. დაძველებული და დანგრეული ტაძრის ახლად აშენებაზე ანუ აღდგენაზეა საუბარი სამხრეთი ფასადის კარის თავზე შესრულებულ სხვადასხვა დროის ორ საალმშენებლო წარწერაში. ურბნელი ეპისკოპოსი თევდორე ლუკას ძის X საუკუნით დათარიღებული საალმშენებლო რელიეფური ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს ნაგებობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, რაც, ნაწილობრივ, მიწისძვრითაც შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული: „...იყო ესე სიონი დაძუელებულ უფროჲს ზომასა: ოთხნი კუთხენი და კონქი განპებულ იყუნეს, სუეტნი ქარტოცისანი დამპალ იყუნეს“ (ქართული წარწერების კორპუსი, I, 1980: 27-28; 196-197). სამხრეთ კარის ტიმპანის მეორე, 1668 წლის, მხედრულ წარწერაში კი ვახტანგ V შაჰნავაზის მეუღლე, დადიანის ასული მარიამ დედოფალი, გვაუწყებს „ძირითურთ“ დანგრეული ტაძრის ახლად აშენების შესახებ: „აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხვრული ტაძარი“. როგორც ეს ძეგლის შესწავლამ აჩვენა, ამ დროს ტაძრის აღსადგენად დიდი სამუშაოები ჩაუტარებიათ და კონტრფორსებით გაუმაგრებიათ. ტაძრის დაზიანება 1668 წელს მომხდარ მიწისძვრას უნდა უკავშირდებოდეს.

**არქეოლოგიური ძეგლები**

არქეოლოგების მიერ დაზვერვითი სამუშაოებით მიკვლეულ-დაფიქსირებული თუ გათხრებით გამოვლენილი და შესწავლილი არქეოლოგიური მასალა, ხშირ შემთხვევაში, წერილობითი წყაროს ცნობის უტყუარობას ადასტურებს და გვაწვდის დამატებით ინფორმაციას წარსულში მომხდარ მიწისძვრებზე; წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების თანხვედრის შემთხვევაში, ყოველივე ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს მიწისძვრის თარიღი, სიმძლავრე და გავრცელების არეალი. მაგალითად, IV-VI საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრების შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" და აგიოგრაფიული თხზულებების (იოვანე ზედაზნელის ცხოვრება, პეტრე იბერის ცხოვრება) ცნობები, მიუხედავად მათი ნახევრად ლეგენდარული ხასიათისა, დადასტურდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში შიდა ქართლსა და კახეთში გათხრებისას მოპოვებული ახალი არქეოლოგიური მონაცემებით, რომლებიც მიუთითებენ ამ პერიოდში იქ არსებული დასახლებების, წარმართული და ზოროასტრული სამლოცველოებისა და ადრექრისტიანული ბაზილიკების (დედოფლის გორა, ქასური, ნეკრესი, არეში, საბუე და სხვ.) მრავალჯერ განახლებასა და დანგრეულის ადგილას, რაც ნაწილობრივ მიწისძვრითაც შეიძლება ყოფილიყო



სურ. 17. ნაქალაქარი ნეკრესი. ჭაბუკაურის ბაზილიკა. ცენტრალურ ნავში სვეტების მიწისძვრით ნგრევის სურათი. პუბლიკაციიდან – ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020

გამოწვეული, ახლად აშენებაზე (გაგოშიძე 1999; ჭილაშვილი 1999; 2004; ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020).

კახეთში ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, 1998-2006, 2015-19 წლებში, ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში „ნაგებები“ (მარანი, ვრცელი ინტერიერით და თაღედიანი შესასვლელით), „ნაზვრევი გორის“ ძირში ვაკეზე (მაზდეანური ტაძარი, II-IV სს.), „ჭაბუკაური“ (დიდი ბაზილიკა, IV ს.) ადრექრისტიანული ხანის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები გამოვლინდა, რომლებზეც მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის კვალი შეინიშნებოდა. ნაქალაქარ ნეკრესის ცენტრალურ ნაწილში, „ჭაბუკაურში“, გაითხარა ბაზილიკური ტიპის დიდი ეკლესია (40x15), რომლის აშენებაც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, IV საუკუნის 70-80-იან წლებში მეფე თრდატს მიეწერება. გათხრების დროს გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები (IV-VI სს-ის კერამიკული ნიმუშები, ორიგინალური ბრინჯაოს ლამპები, მინის ჭურჭელი და სხვ.) მყარად მიუთითებდნენ ტაძრის ფუნქციონირებაზე IV საუკუნეში ბაზილიკა მიწისძვრის შედეგად უნდა დანგრეულიყო V საუკუნის დამლევამდე (სპარსელების შემოსვლამდე), რაზეც, არქეოლოგთა აზრით, მიანიშნებს მიწისძვრისას ჰორიზონტალური ბიძგის გამო ბაზილიკის კედლების გადაწვენა ჩრდილო-აღმოსავლეთით



სადგარიანი დასაკიდი ზეთის ლამპარი დამანგრეველი მიწისძვრისას ტაძრის ჭერში ან კედელში ჩაჭედილ სამაგრზე ბრინჯაოს ძეწკვებით ყოფილა ჩამოკიდებული



17-1. ჭაბუკაურის ბაზილიკის გეგმა მიწისძვრისგან გადაწოლილი სვეტების ჩვენებით. ბაზილიკის გრძივი ჭრილი



სურ. 18
დოლოჭოპის ბაზილიკა გათხრების დაწყებამდე. პუბლიკაციიდან – ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020

(ჭილაშვილი 2004: 47-48). წერილობით წყაროებთან ტაძრის ხუროთმოძღვრულ-სტილისტური ანალიზის და არქეოლოგიურ-სტრატიგრაფიული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ IV საუკუნის მეორე ნახევარში იბერიის მეფე თრდატის მიერ ჭაბუკაურში აგებული დიდი ბაზილიკის დესტრუქცია უკავშირდებოდა V საუკუნის 20-იან წლებში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას (დიდი ალბათობით 427 წელს ქალაქ განჯის მიდამოებში დადასტურებულ 9 ბალიან მიწისძვრას) (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 79-82).

ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ნოდარ ბახტაძე) 2012-2019 წლებში კიდევ ერთი გრანდიოზული სამნავიანი ქრისტიანული ბაზილიკა და სატაძრო კომპლექსი გამოვლინდა ნეკრესის მონასტრიდან და ნაქალაქარიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ქ. ყვარლის მიდამოებში, მდ. დურუჯის მარჯვენა ნაპირზე, გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარ დოლოჭოპის ტერიტორიაზე, ტყითა და ეკალ-ბარდით დაფარული მოზრდილი ხელოვნური ბორცვის გათხრებისას.

დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის იატაკის ქვედა სივრცის არქეოლოგიური კვლევისას გაირკვა, რომ ბაზილიკა უფრო ადრეული ქრისტიანული ტაძრის (25x15) ნანგრევებზე იყო აღმართული. თავდაპირველი ტაძრის გათხრისას აღმოჩენილი, IV საუკუნისთვის დამახასიათებელი, ნივთიერი

მასალის საფუძველზე მიჩნეულ იქნა, რომ ტაძარი ამავე საუკუნეში იქნა აგებული, რაც დაადასტურა დოლოჭოპის ბაზილიკის ფენიდან აღებულმა ნახშირის რადიოკარბონულმა ანალიზმაც. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ დოლოჭოპში IV საუკუნის შუა წლებში აგებული პირველი, ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკის ტაძარი იმავე საუკუნის მეორე ნახევარში მიწისძვრით დაინგრა, რომელმაც ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციები, სავარაუდოდ, სანახევროდ დაანგრია. მომხდარი კატასტროფიდან მალევე, V საუკუნის დასაწყისში, ტაძრის ნანგრევებზე აგებულ იქნა ახალი დიდი ბაზილიკა, რომელიც დაახლოებით VI საუკუნის დასაწყისსა და იმავე საუკუნის შუახანების მეორე ნახევარში (მიწურულს) მომხდარმა მიწისძვრებმა ძლიერ დააზიანა (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე 2015; ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 127,139-147, 155-56).



18-1. დოლოჭოპის ბაზილიკა. არქეოლოგიურ-საკონსერვაციო სამუშაოების შემდგომ

## მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები რესტავრაციამდე და შემდეგ







სურ. 19
შიდა ქართლი. რუსეთის მიერ ოკუპირებული ქსნის ხეობა. წირქოლის ეკლესია. VIII ს. აღდგენილია 1950-იან წლებში. რ. მეფისაშვილის, რ. შმერლინგის და ვ. ცინცაძის ფოტოები. პუბლიკაციიდან – Чубинашвили 1970





სურ. 20. შიდა ქართლი. სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესია. VII ს. პირველი ნახევარი. 1950-იან წლებში ჩატარებული რესტავრაციის შემდგომ. 2005 წ.





20-1. ხედები 1940 წლის მიწისძვრის შემდგომ. ვ. ცინცაძის და ნ. ჩუბინაშვილის ფოტოები. პუბლიკაციიდან – Чубинашвили 1970



20-2.1940 წლის მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის ამსახველი სამი სქემა





სურ. 21. კახეთი. ერელაანთ საყდარი. V-VI სს. ი. გილგენდორფის და ნ. ჩუბინაშვილის ფოტოები. 1960-იანი წლები. პუბლიკაციიდან – Чубинашвили 1970



21-1
ერელაანთ საყდარი რესტავრაციის შემდეგ. 1969 წ.



სურ. 22. შიდა ქართლი. რუისის საკათედრო ტაძარი. VII-IX სს. დ. ერმაკოვის ფოტო. 1880-იანი წწ.

22-1. 1920 წლის გორის მიწისძვრის შემდეგ. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. გ. ნათიძის ფოტო. 1938 წ. პუბლიკაციიდან – Чубинашвили 1970

22-2. 1950-იან წლებში ჩატარებული რესტავრაციის შემდეგ. 2005 წ.





## 1991 წლის რაჭის მიწისძვრის დროს განადგურებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მხატვრობა და საფასადო რელიეფები

1991 წლის 29 აპრილს 13 საათსა და 13 წუთზე რაჭაში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ (რიხტერის სკალით 6.9) მოიცვა საქართველოს ჩრდილოეთი რეგიონები (რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, შიდა ქართლი) კავკასიონის ქედის სამხრეთ განშტოების ჩათვლით (78 000 კვ. კმ.). მიწისძვრას მოჰყვა 5.3, 6.2 მაგნიტუდის ძლიერი აფტერშოკები 3, 4 და 15 მაისს. მიწისძვრის შედეგი მძიმე იყო: 100 000-მდე ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი, 100 ადამიანი დაიღუპა, დაინგრა 700-მდე სოფელი (სოფ. ხახიეთი მცხოვრებლებიანად ჩაიმარხა) და დასახლება, 46 000 ნაგებობა დაზიანდა. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიადგა კულტურული მემკვიდრეობის 250-მდე ძეგლს – ნიკორწმინდა, ზემო კრიხი, ბარაკონი, ონის სინაგოგა, ბუგეული, ჯოისუბანი, მრავალძალი და სხვ. (რაჭა – 1991, 2008).



სურ. 23. რაჭა. ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესია. X-XI სს.



23-1



სურ. 24. რაჭა.
ჯოისუბნის მცხეთის
წმ. გიორგის ეკლესია.
X-XI სს.



სურ. 24. რაჭა. მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია. X-XI სს., XIX ს.



სურ. 25. შიდა ქართლი. რუსეთის მიერ ოკუპირებული ლიახვის ხეობა. ქემერტის წმ. გიორგის ეკლესია. VIII ს., XII-XIII სს.; აღდგენილია 1994 წელს



სურ. 26. შიდა ქართლი რუსეთის მიერ ოკუპირებული ქსნის ხეობა. კაბენის გეთსიმანიის ეკლესია. IX-XIII სს. ვ. ცინცაძის ფოტო



26-1. გ. ბაგრატიონის ფოტო. 2004 წ.





სურ. 27. იოანე-ზოსიმეს კალენდარი. მზისა და მთვარის ციკლების გამოსათვლელი ცხრილი კომენტარებით. 979 წ. Sin. georg. 38, 141v

## ქართული წელთაღრიცხვისათვის

ისტორიული მიწისძვრების დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს *ქრონოლოგიას*, ისტორიის ერთ-ერთ დამხმარე დისციპლინას, რომელიც შეისწავლის დროის გამოთვლის სისტემებს და შეიმუშავებს ერთი ქრონოლოგიური სისტემიდან მეორეზე თარიღების გადაყვანის პრინციპებს, ამოწმებს და აზუსტებს საისტორიო წყაროში მოცემულ თარიღებს, აგრეთვე, თვით წყაროს შედგენის თარიღსა და დროს. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში თარიღის გადმოსაცემად, ძირითადად, გამოიყენებოდა წელთაღრიცხვის სამი ერა ანუ სისტემა: ა. „დასაბამითგან“ ანუ ქვეყნის გაჩენიდან; ბ. „ქრისტესით“ – ქრისტეს შობიდან ან ამაღლებიდან; გ. „ქორონიკონი“.

ქართულ წერილობით წყაროებში წელთაღრიცხვის სისტემებიდან თარიღი ყველაზე ხშირად ქორონიკონული წელთაღრიცხვით, ანუ „ქორონიკონით“, არის გადმოცემული. ქრისტიანულ სამყაროში VI საუკუნეში შემოღებული ქორონიკონის სისტემა საქართველოში ემყარებოდა 5604 წლიან ქართულ ციკლს, ანუ ინდიქტიონს,[8] რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს 532 წლიან ციკლს. თითოეული 532 წლიანი მოქცევა, ანუ ციკლი, წარმოადგენს მზის 28 და მთვარის 19-წლიან წრეთა ნამრავლს (=28x19). მის ყოველ ახალ მონაკვეთში მეორდება მთვარის ასაკი, თვისა და კვირის დღეთა თანმიმდევრობა. ძველად მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნის გაჩენიდან, ანუ ახ. წ. 780 წლამდე, 12 მოქცევა იყო გასული, ანუ 6384 წელი (=532x12), ხოლო ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე – 5604 წელი (=6384-780). საქართველოში პრაქტიკულად თარიღის გადმოსაცემად გამოიყენებოდა ქორონიკონული წელთაღრიცხვის 781 წელი, როცა დაიწყო მე-13 მოქცევა, რომელიც დასრულდა 1312 წელს (=780+532); მე-14 ციკლი დაიწყო 1313 წელს და დასრულდა 1844 წელს (=1312+532). ქორონიკონულ სისტემას ეფუძნება „კინკლოსი“, რომელიც წარმოადგენს ციკლურ ცხრილს და გამოიყენება აღდგომის, ანუ პასექის, დღესასწაულისა და სხვა მოძრავი საეკლესიო დღესასწაულების თარიღებისა და ნაკიანი წლების გამოსაანგარიშებლად. წელთაღრიცხვის ეს სისტემა საქართველოში XVIII საუკუნემდე განაგრძობდა არსებობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების ცნობებს შორის შეუსაბამობა ზოგჯერ ქრონოლოგიური შეც-

8 ინდიქტიონი – წელთაღრიცხვის სათვალავი ქრისტიანულ ქვეყნებში. ცნობილია მცირე და დიდი ინდიქტიონი. მცირე ინდიქტიონი 15 წლიანი ციკლია, რომელიც 7 სექტემბრიდან აღირიცხებოდა, დიდი ინდიქტიონი, ანუ მოქცევა – 532 წლიანი ციკლი.

დომების ერთ-ერთი წყაროა, რასაც ხშირად სხვადასხვა სტილის წელიწადის (იანვრის, მარტის, სექტემბრის, ულტრამარტის) გაუთვალისწინებლობა იწვევს. სექტემბრის სტილის წელიწადი იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება 31 აგვისტოს. ის ქვეყნის შექმნის ბიზანტიური ერით აღინიშნებოდა, მაგრამ საქართველოში ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ, როგორც „ქრისტეს აქეთ" წლებით, ისე ქორონიკონებითაც. საქართველოში VII საუკუნის პირველი ნახევრიდან შემოსული ეს წელი სამოქალაქო წელიწადად ითვლებოდა. ქორონიკონული წელთაღრიცხვის შემოღებასთან დაკავშირებით IX საუკუნის დამდეგიდან სექტემბრის წელიწადის პარალელურად გამოიყენებოდა მარტის სტილის წელიწადი, რომელიც X საუკუნემდე განაგრძობდა არსებობას. ამ დროიდან მოყოლებული, იანვრის წელიწადის შემოღებასთან დაკავშირებით, სექტემბრის წელიწადი ხდება საეკლესიო წელიწადი და სხვა სტილის წელიწადებთან ერთად განაგრძობს არსებობას.

„ქრისტეს აქეთ" წლებით ისტორიული ფაქტების დათარიღება ხდებოდა როგორც იანვრის სტილის სამოქალაქო წელიწადით, ისე სექტემბრის სტილის საეკლესიო წელიწადით, რომელიც, ძირითადად, საეკლესიო მსახურთა მიერ გამოიყენებოდა. საეკლესიო წელიწადი იანვრის სამოქალაქო წელთან შედარებით ერთი წლით მეტია სექტემბერ-დეკემბერში და ემთხვევა იანვრის წელს იანვარ-აგვისტოში, რაც იწვევს ერთგვარ „მოჩვენებით" შეუსაბამობას სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების ცნობებს შორის (გუჩუა 1984: 99-104).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ალექსიძე 2010** = ზ. ალექსიძე, *ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საფუძვლები*, *ქრისტიანული კავკასია*, I, თბილისი, 2010: 292-313.

**ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე 2015** = ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში, *ონლაინ არქეოლოგია*, 8, 2015: 110-132 (http://www.heritagesites.ge/upload/file/1451029896. pdf).

**ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020 =** ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, ჯ. ჩხვიმიანი, *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები,* თბილისი, 2020.

**ბერიძე 1955** = ვ. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება*. XIII-XVI სს., თბილისი, 1955.

**გაგოშიძე 1999** = ი. გაგოშიძე, ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიისათვის, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 43-ბ, 1999: 57-67.

**გუჩუა 1984** = ვ. გუჩუა, ქრონოლოგიური შენიშვნები, კრებ.: *საქართველო და აღმოსავლეთი*, თბილისი, 1984: 99-114.

**დიდი სჯნაქსარი 2017** = *დიდი სჯნაქსარი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მ. დოლაქიძემ და დ. ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2017.

**კეკელიძე 1950** = კ. კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი, *თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები*, XXXIX, თბილისი, 1950.

**კეკელიძე 1956** = კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I, თბილისი, 1956.

**კეკელიძე 1957** = კ. კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV, თბილისი, 1957: 105-109.

**მანია 2010** = მ. მანია, *თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია. ისტორია და არქიტექტურა*, თბილისი, 2010 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

**მცირე ქრონიკები 1968** = *მცირე ქრონიკები. კინკლოსების ისტორიული მინაწერები.* ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968.

**მშვენიერიძე 1950** = დ. მშვენიერიძე, *ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი*, თბილისი, 1950.

**საქართველოს ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007** = *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენელნი: ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი, 2007.

**სულხან-საბა ორბელიანი 1993** = სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1993.

**ქართული წარწერების კორპუსი, I, 1980 =** *ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს.)*, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980.

**ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963** = *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები* (V-X სს.), I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963.

**შიდა ქართლი** 2002 = *შიდა ქართლი. პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა (ცხინვალის რაიონი).* 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები, თბილისი, 2002.

**ჭილაშვილი 1999** = გ. ჭილაშვილი, საბუის წმ. შიოს ეკლესია, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 43-ბ, 1999: 115-122.

**ჭილაშვილი 2004** = ლ. ჭილაშვილი, *ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები*, თბილისი, 2004.

**Aleksidze 2002** = A. Aleksidze, Martha-Maria, An outstanding personality in the cultural history of Georgia and Byzantium, in: M. Koromila, *The Greeks and the Black Sea from the Bronze Age to the early twentieth century*, Athens, 2002.

**Ambraseys 2009** = N. Ambraseys, *Earthquakes in the Mediterranean and Middle East: A multidisciplinary study of seismicity up to 1900*, Cambridge University Press, 2009.

**Caudano, Eustratios of Nicaea 2012**= A. L. Caudano, Eustratios of Nicaea on "Thunder and Lightning", in: *Byzantinische Zeitschrift*, 105 (2), 2012: 611-634.

**Eustratios of Nicaea 1965-1966** = P. Polesso-Schiavon (ed.), Eustratios of Nicaea, Meteorologia, in*: Rivista di Studi Bizantini e Neoellenici*, 2-3 (1965-1966): 285–304.

**Guidoboni, Comastri, Traina 1994** = E. Guidoboni, A. Comastri and G. Traina, *Catalogue of ancient earthquakes in the Mediterranean area up to the 10th century*, ING-SGA, Roma, 1994.

**Guidoboni, Traina 1995** = E. Guidoboni and G. Traina, A New Catalogue of Earthquakes in the Historical Armenian Area from Antiquity to the 12th Century, *Annali di Geofisica*, Vol.38, N. 1, March, 1995.

**Kldiashvili 2019** = D. Kldiashvili, Earthquakes on the Territory of Georgia According to Historical Sources: 1089 Earthquake, *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ტექნოლოგიური ცოდნა ხელნაწერებსა და არტეფაქტებში. სემინარი და მასალები.* 27-28 ივნისი, 2019 // *Natural Sciences and Technological Knowledge in Manuscripts and Artefacts. Workshop, June 27–28, 2019. Program and Materials,* Tbilisi, 2019: 26-27, 60-61.

**Kldiashvili, Diasamidze 2020** = D. Kldiashvili, M. Diasamidze, Earthquakes in the East Anatolia Region According to the Georgian and Armenian Sources from the Late Antiquity to the 19th Century, in: *Tarih Bouynca Anadolu – Gürcistan İlişkileri Sempoz-*

*yumu*, 27-29 Ekim, 2018, Erzurum / Anatolia-Georgia Symposium, October 27-29, 2018, Erzrum. Anatolian-Caucasus Relations Research Series: 1, Ankara, 2020: 105-119.

**Kladiashvili, Elashvili 2020** = D. Kldiashvili, M. Elashvili, Earthquakes on the Territory of the Davit Gareji Desert according to the Historical Sources, International Conference – *David Gareji*. Multidisciplinary Study and Development Strategy. April 18, 19, 20, 2019, Georgia. Proceedings, Tbilisi 2020: 165-169.

**Kldiashvili, Guntsadze 2019** = D. Kldiashvili, M. Guntsadze, Natural Disasters in the South Caucasus. Earthquakes and Attending Natural Phenomena in Historical Sources from the Ancient Period up to the $19^{th}$ century, *"Georgian Manuscript" – International Summer School & Conference Program and Absracts*, 19-20 July 2019, Tbilisi: 40-41.

**Le calendrier palestino-géorgien 1958** = G. Garritte, Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (Xe siècle), *Subsidia hagiographica,* 30; Brussels: Société des Bollandistes, 1958.

**Varazanashvili – Tsereteli 2011** = O. Varazanashvili, N. Tsereteli, E. Tsereteli, *Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Sources Analysis and Catalogue Compilation*, Tbilisi, 2011.

**Культура Византии 1989** = *Культура Византии. Вторая половина VII–XII в*., Москва, 1989.

**Материалы по археологии Кавказа** = *Материалы по археологии Кавказа,* вып. XII, Под редакцией графини Уваровой, Москва, 1909.

**Мшвениеридзе 1952** = Д. М. Мшвениеридзе, *Строительное дело в древней Грузии,* Тбилиси, 1952.

**Чубинашвили 1969** = Г. Чубинашвили, *Цроми. Из истории грузинской архитектуры первой трети VII века*, Москва, 1969.

**Чубинашвили 1970** = Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства, Исследования и заметки*, т. I, Тбилиси, 1970.



წმ. ნინო. დაკარგული რელიეფი ოშკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან. დ. უინფილდის ფოტო

# 1

## IV ს. 20–30-იანი წლები
## აღმოსავლეთ საქართველო – მცხეთა

*პირველწყარო: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“*

ქართლის გაქრისტიანებასთან და წმინდა ნინოსთან დაკავშირებულ ნახევრად ლეგენდარულ სასწაულებში, რომლებიც შესულია აგიოგრაფიულ-ისტორიული ჟანრის თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“,[9] აირეკლა ის ბუნებრივი მოვლენები და კატასტროფები, რომლებიც IV საუკუნის 20-30-იან წლებში მცხეთაში უნდა მომხდარიყო. „მოქცევაჲში“[10] მათ რიგს რამდენიმე ეპიზოდი განეკუთვნება.

არმაზის წარმართულ დღესასწაულზე ცეცხლთმსახურების დროს ნინოს მიერ ქრისტესადმი აღვლენილი ლოცვისას ძლიერი ქარი ამოვარდა და ანომალიური სეტყვა მოვიდა, რასაც მოჰყვა მთებზე აღმართული წარმართული კერპების („ქუეყანასა ქართლისასა იყუნეს ორნი მთანი და მათ მთათა ზედა ორნი კერპნი *არმაზ* და *ზადენ*“) მსხვრევა. სამეფო ქალაქ მცხეთაში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მტკვრისა და არაგვის შესართავის პირისპირ, იმ ადგილას, სადაც ძველი ქალაქი და ციხე ბაგინეთი ანუ არმაზციხე („ძუელ ქალაქი ყოფილ-იყო და ციხჱ“) იყო, ნინოს მონათხრობით:

> და წამის-ყოფაჲ თვალისაჲ იყო, დასავლით ჰაერნი და ქარნი შეჲძრნეს და ჴმა-სცეს ღრუბელთა ქუხილისა ჴმითა, ჴმითა საზარელითა და საშინელითა. და აჩნდა ღრუბელი მოსწრაფჲ ნიშან-საშინელი. და მოჲღო ნიავმან დასავლისამან სული ჯერკუალი სიმწარისაჲ და სიმყრალისაჲ. მაშინ ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად ... და მეყსეულად მოჲწია რისხვაჲ იგი ღრუბელი მცირჱ და მოჲღო სეტყუაჲ ლიტრის სწორი მას ოდენ ადგილსა, დალეწნა კერპნი იგი, დაფქვნა

9 ქართლს აქ პოლიტიკური შინაარსი აქვს და ამ შემთხვევაში გულისხმობს მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს.

10 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ისტორიულ-აგიოგრაფიული ხასიათის, სხვადასხვა მთხრობელისა და ავტორის მიერ შედგენილი კომპილაციური თხზულებაა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ოთხი რედაქციით (სინური – N/Sin-48 – X ს., N/Sin-50 – X ს. პირველი ნახევარი; შატბერდული – X ს. 70-იანი წწ.; ლეონტი მროველისეული – XI ს.; ჭელიშური – XIII-XIV სს.).

> და დაამწუღილნა, და დაარღვენა ზღუდენი იგი ქარმან მან სასტიკმან, და ჩაყარნა კლდეს მას, რომელსა იგი თუალნი თქუენნი ჰხედვიდეს (მოქცევაჲ ქართლისაჲ... სინური რედაქციები 2007: 38; ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა 1955: 88-91).

შემდეგი სასწაული უკავშირდება მუხრანის სანახებში სანადიროდ მყოფი კერპთმსახური ქართლის მეფის მირიანის თხოთის მთის თხემზე (საიდანაც კარგად ჩანდა კასპი და უფლისციხე) სრულ წყვდიადში მოხვედრას 20 ივლისს, შაბათ დღეს, შუადღისას მომხდარი მზის დაბნელებისას და ნინოს ლოცვით მზის გამობრწყინებას (მოქცევაჲ ქართლისაჲ... სინური რედაქციები 2007: 38; ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა 1955: 108-110).

ქართლის მოქცევის ერთ-ერთი უმთავრესი სასწაული, რომელშიც აღწერილია მცხეთაში მომხდარი მიწისძვრა, სვეტიცხოვლის ეკლესიის ადგილას სამეფო ბაღში („სამოთხე“) ეკლესიის ასაშენებლად ლიბანის ნაძვის სვეტად შემზადებას და აღმართვას უკავშირდება. მცხეთელ ებრაელთა მღვდლის, აბიათარის ასულის, სიდონიას მონათხრობით, ახალგაქრისტიანებული მეფე მირიანის მიერ ეკლესიის აშენებისას საძირკველში შუა სვეტის აღმართვასთან დაკავშირებით დიდი სიძნელე შეიქმნა. ღამით მარტო დარჩენილი ნინო, თანმხლებ 12 დედასთან ერთად, „გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა სულ-თქმით“ და მთელი ღამე ლოცულობდა. შუაღამეს ქალაქში მოხდა მიწისძვრა, რომელიც ტექსტში არა რეალური, არამედ სიმბოლური და ხილვის სახითაა წარმოდგენილი. სინური უძველესი რედაქციით, თხზულების მე-7 თავში, რომლის სრული სათაურია „ქ. თავი: ზ: აღწერილი მისივე სიდუნიაჲსაჲ, ჰურისა დედაკაცისაჲ, რომელი იხილა, დაწერა მირიან მეფისა მოქცევისა, შევრდომისა ნინოჲსა და ჯუარისა აღმართებისათჳს, და ეკლესიათა შენებისათჳს და ყოველთა სასწაულთათჳს“, ნინოს მოწაფის, სიდონიას მიერ მცხეთაში მომხდარი მიწისძვრა მეტად ზედმიწევნით და რეალურადაა გადმოცემული:

> ...და ვითარცა შოვა ღამეს ოდენ იყო, წარმოიქცეოდეს მთანი ესე ორნი, ზადენ და არმაზ, რეცა თუ ესრჱთ ჩამოჲრღუეს და დააყენეს ორთავე წყალნი. და მტკუარმან გარდამოჰხეთქა და წარჰქონდა ქალაქი და შეიქმნეს ჴმანი საზარელნი ტყებისა და სივლოტოლისანი. და მეყსეულად დასცხრეს ჴმანი იგი და იყო არარაჲ. და დადგა იგი ნეტარი იგი და განეპყრნეს ჴელნი ცად მიმართ და თუალნი ღმრთად და ითხოვდა, რაჲთა არა დაებრკოლოს საქმჱ ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფჱ (მოქცევაჲ ქართლისაჲ... სინური რედაქციები 2007: 48-49).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ (X ს.) და ლეონტი მროველისეულ (XI ს.) რედაქციებში ტექსტის ეს პასაჟი ბევრად უფრო გავრცობილია და შემდეგნაირადაა გადმოცემული:

> ...და ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა, წარმოიქცა ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე: მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს ჴმანი საზარელნი ტყებისა და გოდებისანი: და ეგრეთვე არაგჳ გარდამოჴდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგჳანი. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს. ხოლო ნეტარი დედა ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან, წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე რომელ მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლსა შინა, და წყალნი რომელ დაეყენნეს, სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიერ შეწირული, დაეყენოს. ხოლო ჴმა ესე ტყებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგი თავსა თჳსსა, რომელ არიან მეოტ ადგილით ძალით მაღლისათა და ჯუარითა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ“. და მეყსეულად დასცხრეს ჴმანი იგი და, და იყო და არა რა (ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა 1955: 112-113; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963: 138-139).

მცხეთაში ამ პერიოდში მომხდარ მიწისძვრაზე უნდა მიანიშნებდეს კიდევ ერთი სასწაული, რომელიც ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, კლდოვანი მთის წვერზე ხის ჯვრის აღმართვისას მომხდარ ძვრას უკავშირდება (შემდგომ აქ, 545-586 წლებს შორის, ქართლის ერისთავ გუარამის მიერ აგებულ იქნა ჯვრის მცირე ტაძარი).

„მოქცევაჲს“ შატბერდული რედაქციის მე-14 თავში: „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“, მოთხრობილია ქართლში წარმართული კერპებისა და საკერპო ტაძრების ნგრევის, აღდგომიდან მესამე კვირას („აღვსების ზატიკის ზატიკს“) ჯვრის დღესასწაულის დაწესებისა და კიდევ ერთი სასწაულის შესახებ, რომელიც სულიწმიდის მოფენის დღესასწაულის (აღდგომიდან ორმოცდამეათე დღე) ოთხშაბათს მოხდა.[11] ამ დროს, სავარაუდოდ, მოხდა მიწისძვრა, რომელსაც ახლდა ძლიერი ქარი და ღრუბელ-ნისლი ცეცხლისფერი ელვა-ნათებით:

---

11 უნდა აღინიშნოს, რომ „მოქცევაჲს“ სხვადასხვა რედაქციაში ჯვრის აღმართვისას მომხდარი სასწაული იდენტურია იმ ტრაფარეტული აღწერებისა, რომლებიც უკავშირდება იმპერატორ კონსტანტინესადმი კირილე ალექსანდრიელის გზავნილში იერუსალიმში მომხდარ ჯვრის სასწაულს, ასევე, კონსტანტინე დიდის მიერ მტერზე გამარჯვების აღსანიშნად რომში ჯვრის აღმართვას (Кекелидзе 1912: 239-245).

და ვითარცა აღემართა ნიშნი ჯუარისაჲ ქუეყანასა მას ქართლისასა, მეყსეულად მას ჟამსა დაეცნეს ყოველნი კერპნი, რომელნი იყუნვნეს საზღვართა ქართლისათა, და შეიმუსრნეს, და საკერპონი დაირღუეს, ვითარცა იხილეს ესე საკჳრველი საქმჱ და სასწაული, რომელი ქმნა ძლევის-მყოფელმან მას ნიშმან ჯუარისამან კერპთა ზედა ... და დააწესეს დღესასწაული ძლევით შემოსილისა ჯუარისაჲ აღვსებისა ზატიკის ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა, ყოველმან ქართლმან, ვიდრე დღენდელად დღემდე და ვიდრე უკუნისამდე.

და იყო რამოდენისამე ჟამისა შემდგომად, მარტვილიისა[12] უკუანა, იხილეს სასწაული დიდი და საშინელი დღესა ოთხშაბათსა. აჰა ესერა სუეტი ნათლისაჲ სახედ ჯუარისა დგა ზედა ჯუარსა მას და თორმეტნი ანგელოზნი დაგჳრგჳნებულ იყვნეს გარემოჲსა მისა, ეგრევე სახედ ათორმეტნი ვარსკულავნი დაგჳრგჳნებულ იყვნეს. ხოლო ბორცჳ იგი ჯუარისაჲ ერთ-სახედ კუმოდა სულნელად...

და მერე კუალად იხილეს სხუაჲ სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ: ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ედებოდა ზედა თვსა ჯუარისასა სამგზის მზისა უბრწყინვალესი, ვითარცა საჴუამილის[13] რაჲ ნაბერწყალი აღვალნ ძლიერად, ეგრე სახედ იყო: აღვიდოდეს ანგელოზნი და გარდმოვიდოდეს ზედა პატიოსანსა ჯუარსა. ხოლო ბორცჳ იგი ჯუარისა იხარებდა ძლიერად და ყოველი ქუეყანაჲ იძრვოდა, და მთათა და ბორუცუთა და ღელეთა არმური[14] სურნელებისაჲ აღვიდოდა ცამდე, და კლდენი შეიმუსვროდეს და სულნელებაჲ დიდძალი მიეფინებოდა ყოველსა ქუეყანასა. და ეს არა ზედამოჲთ იყო და არცა თანა – წარსლვით, არამედ მყოვარ[15] ჟამ. და ჴმანი დიდნი ისმოდეს, და ყოველი იგი ერი ჰხედვიდა მას და ესმოდა ოხრაჲ იგი გალობისაჲ; შეშინდეს და დაუკჳრდა ფრიად* (შდრ. ფს. 47,6) შიშით და ძრწოლით თავყუანისცემდეს პატიოსანსა ჯუარსა და სიხარულითა დიდითა ადიდებდეს ღმერთსა.

და იყო რაოდენისამე ჟამისა შედგომად, ვითარა სასწაულნი და ხილვანი დასცხრებოდეს, ეგრევე ძრვანი იგი დიდ-დიდნი და

---

12 სულიწმიდის მოფენის ქრისტიანული დღესასწაული აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს.

13 *საჴმილი* არის ცეცხლთა საგზებელი ანუ საცეცხლე (სულხან-საბა ორბელიანი, II, 1993: 79).

14 *არმური* არის ღრუბელ-ნისლი ძლიერი და ქარიანი/ცეცხლ-ქარიანი (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991: 65).

15 *მყოვარ* ნიშნავს ხანდაზმით (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991: 536).

საშინელნი და-ვე-სცხრეს. და შემდგომად ამისა სხუანი მრავალ-ნი სასწაულნი და ნიშნი იქმნებოდეს ზედა პატიოსანსა ჯუარსა ზეცით გარდამო (შატბერდის კრებული 1979: 350-352).

ლეონტი მროველისეულ (XI ს.) რედაქციაში ტექსტის ეს ადგილი ასევე ვრცლადაა გადმოცემული:

...და იყო რაოდენისამე დღის შემდგომად, მარტვილი[ა]-სა უკანას, იხილეს სასწაული დიდად საშინელი, დღესა ოთხ-შაბათსა: აჰა ესერა, სუეტი ნათლისა, სახედ ჯუარისა, დგა ჯუარსა მას ზედა, და თორმეტნი ვარსუკლავნი, სახედ გჳრგჳნისა, გარემოს მისსა, ხოლო ბორცჳ იგი კუნოდა სახედ სულნელებად. და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი, და მრავალნი ულმრთოთაგანნი მოიქცეს და ნათელ-იღეს მას დღესა შინა. ხოლო ქრისტიანნენი უფრო მორწმუნე იქმნე-ბოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. მერე იხილეს უფრო დიდი სასწაული ჯუარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისსა, შჳდ წილ მისი უბრწყინვალესი, ზედა დაადგრა მას და, ვითარცა საჴუმილისა (საცეცხლიდან – დ.კ.) ნაბერწყალ-ნი აღვლენ, ეგრე სახედ ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა. ხოლო ბორცჳ იგი იძვროდა ძლიერად, და ვითარცა სასწაული იგი დასცხრებოდა, ეგრევე ძრვა დასცხებოდა (ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა 1955: 122).

ბუნებრივი მოვლენებისა და სტიქიების შესახებ „მოქცევაჲში“ ქართ-ლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით წმ. ნინოს სასწაულებში ჩართული ცნობების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისტორიულ სინამდვილეს მოკლებული აბსტრაქტული ხასიათის, ტრაფარეტულობის და ნახევრად ლეგენდარული ხასიათის მიუხედავად, ისინი რეალურ ფაქტებს უნდა ასახავდნენ და აღწ-ერდნენ მზის სრულ დაბნელებასა და მიწისძვრას, რასაც მცხეთასა და მის შემოგარენში IV საუკუნეში, შესაძლოა, მართლაც ჰქონდა ადგილი.

## მიწისძვრის თარიღი

ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შესახებ „მოქცევაჲს“ ხელნაწერებში ერთმანეთის გამომრიცხავი სულ სხვადასხვა თარიღებია დასახელებული, თუმცა ფაქტია, რომ ქართლში ქრისტიანო-ბის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება მოხდა IV საუკუნის 20-30-იან წლებში იმპერატორ კონსტანტინე I დიდის (325-337) დროს, წმ. ნინოს გარ-დაცვალებამდე (†338), არა უგვიანეს 337 წლისა, სავარაუდოდ, 326 წელს.

წერილობითი მონაცემებით, მეფე მირიანის მიერ ქრისტიანობის აღი-

არება უშუალოდ უკავშირდება 20 ივლისს, შაბათ დღეს, შუადღისას მომხდარ მზის დაბნელებას.[16] IV საუკუნეში მცხეთა-კასპის რაიონში მზის დაბნელება რამდენჯერმე მოხდა: 319 წლის 6 მაისს, საღამოს 6 ¼ საათზე; 346 წლის 6 ივნისს, დილის 8 საათზე; 355 წლის 28 მაისს, დილის ¼ საათზე და დასრულდა 8 საათზე (კეკელიძე 1957: 283, შენ. 1).[17] მზის დაბნელების დროის ასტრონომიული მონაცემების და უძველესი ლიტურგიკული დღესასწაულის, „აღვსების ზატიკის ზატიკის", გამოთვლის საფუძველზე, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართლში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა 319 წლის 6 მაისს მომხდარი მზის სრული დაბნელების ერთი წლის თავზე – 320 წლის 1 მაისს, როდესაც მცხეთის მოპირდაპირე მთის წვერზე აღიმართა პირველი ჯვარი ნიშნად ქართლში ქრისტიანობის გამარჯვებისა და დაწესდა ჯვრის დღესასწაული, „აღვსების ზატიკის ზატიკი" (მგალობლიშვილი 2018: 175-190).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ალექსიძე 2019 =** ზ. ალექსიძე, *„საქმენი იოვანე ზედაზნელისანი" და „მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ". სინური რედაქციები*, თბილისი, 2019.

**ანისი და საქართველო 2020 =** *ანისი და საქართველო.* ნარკვევები, მასალები, რედ. ზ. სხირტლაძე, ტ. II, თბილისი, 2020.

**კეკელიძე 1957 =** კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* ტ. IV, თბილისი, 1957: 252-292.

**ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა 1955 =** *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955: 81-163.

**მგალობლიშვილი 2018 =** თ. მგალობლიშვილი, ქართული ქრისტიანობის სათავეებთან, კრებულში: *ელენე მეტრეველი – 100*, თბილისი, 2018: 175-190.

**მოქცევაჲ ქართლისაჲ 1963 =** *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X)*, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ.

16 „მოქცევაჲ"-ს სინური და ჭელიშური რედაქციებით, წმ. ნინო ქართლში მოსვლიდან ოცდამეთხუთმეტე, 338 წელს გარდაიცვალა, ანუ იგი საქართველოში მოსულა 302 წელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წმ. ნინო სამი წელი მაყვლის ბუჩქში ფარულად ცხოვრობდა, მეოთხე წელს იწყო ქადაგება, მეექვსე წელს მოაქცია ნანა დედოფალი, მეშვიდე წელს – მირიან მეფე, გამოდის, რომ მირიანმა ქრისტიანობა აღიარა 309-310 წლებში (ალექსიძე 2019: 110).

17 მზის დაბნელებათა გამოანგარიშება Oppolzer-ის „კანონების" მიხედვით ეკუთვნის ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის და უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის ასისტენტს ე. ბჲუსს (კეკელიძე 1957: 282-283).

გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის რედ., თბილისი, 1963: 319-347.

**მოქცევაჲ ქართლისაჲ... სინური რედაქციები 2007 =** *მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები.* გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 2007.

**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2013 =** *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, წ. 5, თბილისი, 1990.

**სულხან-საბა ორბელიანი I (1991), II (1993) =** *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული,* ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, I,1991; II, 1993.

**შატბერდის კრებული 1979 =** *შატბერდის კრებული X საუკუნისა,* გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

**Dimitri Ermakov 2014 =** Masters of 19th Century Photography. D*imitri Ermakov Photografher and Collector,* Publisher: Uitgeverij Pegasus, 2014.

**Кекелидзе 1912 =** К. Кекелидзе, *Иерусалимсий Канонарь VII века (Грузинская версия),* Тифлис, 1912.



სურ. 1
თხოთის მთა. აქ მირიან მეფემ აღმართა ჯვარი და ააგო მცირე „ეგვეტერი“. ზ. სხირტლაძის ფოტო



სურ. 2. მცხეთა. ხედი სვეტიცხოველზე და ჯვარზე. დ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს. დამლევი. პუბლიკაციიდან – Dimitri Ermakov 2014



სურ. 3. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. ცხოველმყოფელი სვეტი



სურ. 4. ანისი. წმ. გრიგოლის ეკლესია. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაულის სცენა განმარტებითი წარწერებით – „† აქა ცხოველი სუეტი აღემართა ანგელოზთა მიერ“; „დედანი რომელნი დახუდეს, ნინოსავე თანა ამათცა იხილეს სასწაული ესე“. პუბლიკაციიდან – ანისი და საქართველო 2020



მცხეთა. მტკვრისა და არაგვის შესართავი. XIX ს. დამლევი. პუბლიკაციიდან – Dimitri Ermakov 2014

## 2

411–423; 413/17–425/29 წწ.
## აღმოსავლეთ საქართველო – მცხეთა

*პირველწყარო: იოანე რუფუსი, პეტრე იბერის ცხოვრების სირიული ვერსია;*
*პეტრე ქართველის ცხოვრების ქართული ვერსია*

შეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარი მიწისძვრების შესახებ ცნობები შემოგვინახა ადრექრისტიანული ხანის თეოლოგისა და ფილოსოფოსის, მაიუმის ეპისკოპოსის, პეტრე იბერის ცხოვრების სირიულმა და ქართულმა ვერსიებმა.[18] პეტრე იბერის ცხოვრების სირიულ ვერსიაში დაცულია ცნობა აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შესახებ. თხრობა, რომელშიც ეს ცნობაა ჩართული, წმინდა მამის ცხოვრების იმ პერიოდს ეხება, როცა პატარა უფლისწული საქართველოში სპარსელთაგან ფარულად ძიძასთან იზრდებოდა. მიწისძვრის შესახებ „ცხოვრების" სირიულ ვერსიაში შემონახული ამ ცნობის სანდოობა ეჭვს არ იწვევს, რამ-

18 მიწისძვრასთანაა დაკავშირებული პეტრე იბერის მიერ ბიზანტიაში მოხდენილი ერთ-ერთი სასწაული, რომელიც მხოლოდ სირიულ ენაზე დაწერილი პეტრე ქართველის ცხოვრების მაკარ მესხისეულმა XIII-XIV საუკუნეების ქართულმა თარგმანმა შემოინახა (სირიულ ვერსიაში ეს სასწაული მიწისძვრას არ უკავშირდება). 437 წელს კონსტანტინეპოლის მალულად დატოვების შემდეგ იერუსალიმის მოსალოცად გზაში მიმავალი პეტრე იბერი და იოანე ლაზი იმპერატორის მდევრების ბრძანებით ერთ-ერთი ქალაქის მთავრის მიერ საპყრობილეში იქნენ დატყვევებულნი. ამ დროს ქალაქში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის დროსაც მთავარს ჰქონდა ხილვა, რომ მიწისძვრა ყველაფერს გაანადგურებდა, თუ დატყვევებულებს არ გაათავისუფლებდა. პეტრეს ცხოვრების ქართული ვერსიით: „და მას ღამესა იყო ძრვაჲ დიდი ქალაქსა მას შინა, ვიდრემდის არ დაეცემოდეს სახლნი მრავალნი და იხილნა მთავარმან ჩუენებასა შინა კაცნი ვინმე საშინელნი, რომელნი ეტყოდეს მას, ვითარმედ: „განუტევენ პყრობილნი ეგე უკუეთუ არა, დაქცევად არს ქალაქი ესე ყოველი" (ცხოვრება პეტრე ქართველისა 1967: 226). ეჭვს არ იწვევს, რომ სასწაულში ჩართული მიწისძვრის ეს ეპიზოდი გამოძახილია პეტრეს მიერ კონსტანტინოპოლის დატოვებისას მომხდარი ძლიერი მიწისძვრისა, რომელიც ბიზანტიელი ქრონისტის, თეოფანეს (760-818) თანახმად, კონსტანტინოპოლში 437 წლის 25 სექტემბერს მოხდა და ოთხი თვე გაგრძელდა. ეს მიწისძვრა გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისით, რომ მიწისძვრის შეწყვეტასთანაა დაკავშირებული *trisagion*-ის ანუ სამწმიდას სახელით ცნობილი საგალობელი („წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ"), რომელმაც V საუკუნის შუახანებიდან დიდი მნიშვნელობა შეიძინა აღმოსავლურ ლიტურგიაში, ხოლო კონსტანტინოპოლურ სვინაქსარში შეტანილ იქნა დიდი ძვრის სახელით (Guidoboni, Comastri, Traina 1994: 289-290).

დენადაც ის თავად პეტრეს მონათხრობს ემყარება. პეტრეს გადმოცემით, მისი დიდედა მამის, ბუზმარის, მხრიდან – ოსტდუხტია – იმდენად წმინდა იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი წმინდა ნაწილების იმ ციხეში მიტანისას და დაკრძალვისას, რომელიც მიწისძვრისას ყოველთვის ინგრეოდა, ნგრევა მაშინვე წყდებოდა. „ცხოვრების"თანახმად:

> ხოლო ოსდუხტია, ცხონებული პეტრეს ბებია მამის მხრიდან, იმ ზომამდე იყო წმინდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, როდესაც რომელიმე ციხე-სიმაგრეს ააგებდნენ და მიწისძვრის გამო ყოველთვის ინგრეოდა, ნგრევა მაშინვე წყდებოდა, როგორც კი მის ნეშტს მოიტანდნენ და იქ დაკრძალავდნენ, როგორც ერთ-ერთი წმინდანის ნაწილს.

ასევე სიწმინდით გამოირჩეოდა ძუძო, პეტრე იბერის აღმზრდელი ძიძა, რომელთანაც პატარა უფლისწული ფარულად იზრდებოდა, რათა ის სპარსელებს მძევლად არ წაეყვანათ. პეტრეს მონათხრობით:

> ერთხელ, როდესაც მიწა იძრა და ყველაფერი შეარყია, ცხონებულმა [ძუძომ] თავის სახლს, რომელსაც რვა ქონქი ჰქონდა, გარს შემოურბინა, თითოეულ სვეტს ხელები მოჰხვია და გულწრფელად წამოიძახა: „უფალო, დაინახე, როგორ გემსახურები, და შემიბრალე მეცა და ჩემი შვილებიც!" თხოვნა შესრულდა: მხოლოდ მისი სახლი გადარჩა დაუზიანებელი მაშინ, როდესაც ამ მიწისძვრამ ბევრი დაანგრია (ცხოვრება პეტრე იბერისა 2008: 21; 1988: 86).

## მიწისძვრის თარიღი და არეალი

მიწისძვრა თარიღდება პეტრე იბერის (411/17-491) ყრმობის პერიოდით. პეტრეს „ცხოვრების" სირიული და ქართული ვერსიების თანახმად, ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450) მოთხოვნით, იბერთა მეფე ბუზმარმა უფლისწული ნაბარუნგი (ქართ. წყაროს მურვანი, შემდგომ პეტრე იბერი) კონსტანტინოპოლში მძევლად 12 წლის ასაკში გაგზავნა. ამდენად, პეტრე სამშობლოში იზრდებოდა 411/17-423/29 წლებში; შესაბამისად, ამ დროს მომხდარ მიწისძვრას უნდა ასახავდეს თხრობაც.

იმ ხანებში მცხეთასა და ნეკრესში მომხდარ მიწისძვრაზე მიანიშნებს წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით, V საუკუნის 20-იან წლებში, არჩილ მეფისა (422-432) და იოანე მთავარეპისკოპოსის დროს, დაინგრა ანუ „დაეცა ქუემოჲ ეკლესიაჲ", რაც, სავარაუდოდ, მიწისძვრამ გამოიწვია: „და შემდგომად მისა [მირდატის] მეფობდა არჩილ და მთავარეპისკოპოსი იყო იონა. და დაეცა ქუემოჲ ეკლესიაჲ, და ჲონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო" (მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლადაღმოჩენილი

სინური რედაქციები 2007: 17). მიწისძვრით დანგრეული „ქუემოჲ ეკლესიაჲ“, უნდა იყოს მირიანის ანდერძში მოხსენიებული „წმიდაჲ წმიდათაჲ“, იმავე „წმიდაჲს“ სახელით წოდებული ის ეკლესია, რომელიც IV საუკუნის 70-80-იან წლებში, ქართლსა და სომხეთში სპარსთა მპყრობელობის დამყარებისას, წმ. ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის „მოთაულად“ ანუ თანაზიარად იქნა აგებული. „მოქცევაჲს“ სინური რედაქციით: „და მეოთხჱ ... დაჯდა ვარას-ბაკურ მეფედ და მის ზე სპარსთა მეფისა მარზპანნი სივნიეთა შემოვიდეს და იგი ჴიდრად უკუმოჯდა. მთავარეპისკოპოსი იყო იგივე იობ. მაშინ მოვიდა ქარმაზ ხუარ ბარზადურ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილის, კალა<ა>დ ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხეთი და სივნიეთი და გუასპურაგანი. და მის ზე აღაშჱნეს აზნაურთა ეკლესიაჲ იგი წმიდაჲ მცხეთას და დაამოთაულეს[19] დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა“[20] (მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები 2007: 17). აზნაურების მიერ აშენებულ ამ ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია.[21] მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა აქ ახალი ეკლესია ააშენა, ხოლო 1010-1029 წლებში აგებულ იქნა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.

## მატერიალური და არქეოლოგიური მონაცემები

პეტრე იბერის ცხოვრების სირიული ცხოვრებისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობების მინიშნება იმის თაობაზე, რომ საქართველოში V საუკუნის 20-იან წლებში მოხდა მიწისძვრა, სავსებით თანხვდება არქეოლოგიურ მონაცემებს. კახეთში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალებით, ამ დროს მიწისძვრა დასტურდება ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე, სადაც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, პირველი ეკლესია IV საუკუნის 70-80-იან

19 *მოთაულ-ი*, სულხან-საბას განმარტებით, არის თავად მყოფი, ხოლო *მითუალვა* ნიშნავს მონაბარების მიცემას (სულხან-საბა ორბელიანი (აბულაძის გამოც.) 1991: 497; 481); ი. აბულაძის განმარტებით, *მოთაულ-ი* არის მოზიარე, თანასწორი, თანაზიარი, ხოლო *მითუალვა* – მიღება, შეწყნარება, მირთმევა (აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი 1973: 244).

20 *ქარდაგ-ი* არის მამული, აგარაკი, სახნავ-სათესი (ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, 2014: 288).

21 1970-1971 წლებში ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს სვეტიცხოვლის ტაძარში აღმოჩნდა ადრინდელი ნაგებობის საძირკვლის ნაშთები, რომელიც, სავარაუდოდ, წარმოადგენდა სწორკუთხა ნაგებობას (დაახლოებით 6 x 12), შედგენილს ერთი მთლიანი სათავსისა და მის წინ მდებარე ანტებიანი სათავსისაგან (ანტიკური შენობის გრძივი კედლის ამგვარი გამონაშვერი დამახასიათებელი იყო ანტიკური ტაძრების გარკვეული ჯგუფისათვის). ნაგებობის ეს ნაშთები მიჩნეულ იქნა ნინოსეულ ეკლესიად (Цинцадзе 1983; ბერიძე 2014: 92). სავარაუდოდ, ნაგებობის ნაშთები ქვის იმ ეკლესიას ეკუთვნოდა, რომელიც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, აშენებულ იქნა ნინოსეული ხის ეკლესიის თანაზიარად და რომელსაც აზნაურებმა შესწირეს მრავალი სოფელი და აგარაკი.

წლებში აიგო: „და მესამჱ დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი (ბაკურის) თრდატ და მთავარეპისკოპოსი იყო ნერსეს სომეხთა კათალიკოზისა მთავარდიაკონი იობ. და მეფემან რუჲსთავისა რუჲ გამოიღო და მის ზევე <და> ეკლესიისა საძირკველი დადვა, კახეთს ნეკრესისა ეკლესიაჲ აღაშჱნა გასრულებით“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები 2007: 16).

თრდატის მიერ ნეკრესში აგებული ეკლესია იდენტიფიცირებულია ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, „ჭაბუკაურში“, 1998-2006 და 2015-2019 წლებში არქეოლოგიური გათხრებით მიკვლეულ ბაზილიკური ტიპის დიდ ეკლესიასთან (40x15).[22] გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები მყარად მიუთითებდა ტაძრის ფუნქციონირებაზე IV საუკუნეში (IV-VI სს-ის კერამიკული ნიმუშები, ორიგინალური ბრინჯაოს ლამპები, მინის ჭურჭელი და სხვ.), რომელიც ძლიერი მიწისძვრის შედეგად უნდა დანგრეულიყო V საუკუნის დამლევამდე, სპარსელების შემოსვლამდე. ამაზე, არქეოლოგთა აზრით, მიანიშნებდა მიწისძვრისას ჰორიზონტალური ბიძგის გამო ბაზილიკის კედლების გადაწვენა ჩრდილო-აღმოსავლეთით (ჭილაშვილი 2004: 47-48). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ჭაბუკაურის დიდი ბაზილიკის დესტრუქცია უკავშირდებოდა V საუკუნის 20-იან წლებში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას (დიდი ალბათობით, 427 წელს ქალაქ განჯის მიდამოებში დადასტურებულ 9 ბალიან მიწისძვრას) (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 79-82).

V საუკუნის დიდი ზომის ჯვრის გეგმის სამნავიანი ბაზილიკა (44x29) არქეოლოგიური გათხრებით ასევე გამოვლენილ იქნა ისტორიული ქალაქ ნეკრესის უკიდურეს დასავლეთ უბანში, ქ. ყვარლის შემოგარენში, მდ. დურუჯის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნასოფლარ დოლოჭოპის ტერიტორიაზე 2012-2019 წლებში. ბაზილიკის იატაკის ქვეშა სივრცის არქეოლოგიური კვლევის შედეგად, გაირკვა, რომ ტაძარი უფრო ადრეული ქრისტიანული ტაძრის (25x15) ნანგრევებზე იყო აგებული, რომელიც, იქ აღმოჩენილი ნივთიერი მასალის საფუძველზე, IV საუკუნეში უნდა აეგოთ. ბაზილიკის ამ ფენიდან აღებულმა ნახშირის რადიოკარბონულმა ანალიზმა ასევე დაადასტურა, რომ დოლოჭოპში თავდაპირველი, სამეკლესიანი ბაზილიკა მართლაც IV საუკუნის შუა წლებში აიგო და იმავე საუკუნის დამლევს (დიდი ალბათობით, 385 წელს) ან, ყველაზე გვიან, V საუკუნის

22 ხშირი ტყით დაფარულ ბორცვზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოხდა მონუმენტური ქრისტიანული ბაზილიკის და მის იატაკქვეშ შემონახული წინარე წარმართული საკულტო ტაძრის ხუროთმოძღვრული სახის წარმოჩენა. კონსტრუქციების ერთდროულად ჩამონგრევის გამო ერთმანეთში იყო არეული კედლებისა და თაღების მასიური ქვები, კრამიტისა და ბათქაშის ნამსხვრევები, რომელიც სამნავიანი ბაზილიკის ნაშთებს ფარავდა, ხოლო ძვირფასი ინვენტარი ნანგრევების ქვეშ მძარცველთაგან ხელუხლებლად იყო მოქცეული. ნაგებობის ნგრევის ასეთი სურათი იმაზე მიანიშნებდა, რომ ის ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაინგრა და ჩვენამდე რესტავრაცია-რეკონსტრუქციის გარეშე, სრულად დაკონსერვებული სახით მოაღწია (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 48-51).

20-იან წლებში მიწისძვრამ დაანგრია; თუ გავითვალისწინებთ, რომ რადიოკარბონული ანალიზი ±50 წლიან ცდომილებას იძლევა, სავსებით შესაძლებელია, რომ მიწისძვრამ ეს ტაძარი მართლაც V საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დაანგრია (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 79-82). ეს ის პერიოდია, როცა პეტრე იბერი საქართველოში იმყოფებოდა და მცხეთაში „დაეცა“ აზნაურთა მიერ სვეტიცხოვლის ადგილზე წმ. ნინოს ხის ეკლესიის ნაცვლად აგებული ეკლესია.

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი** 1973 = ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი,* თბილსი, 1973.

**ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე** 2015 = ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში, *ონლაინ არქეოლოგია*, 8, 2015: 110-132 (http://www.heritagesites.ge/upload/file/1451029896. pdf).

**ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი** 2020 = ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, ჯ. ჩხვიმიანი, *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები,* თბილისი, 2020.

**ბერიძე** 2014 = ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 2, თბილისი, 2014.

**კვირკველია** 1971 = თ. კვირკველია, ხუროთმოძღვრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1971.

**მამიაშვილი** 2018 = ვ. მამიაშვილი, ნაქალაქარ ნეკრესში დოლოჭოპის ბაზილიკის 2017 წლის არქეოლოგიური კვლევების მოკლე ანგარიში, 2017 *წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშები*, თბილისი, 2018.

**სულხან-საბა ორბელიანი I (1991), II (1993)** = სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, I,1991; II, 1993.

**ცხოვრება პეტრე იბერისა** 1988 = ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1988.

**ცხოვრებაჲ პეტრე ქართველისა** 1967 = ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს.), II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვლმა, ნ. გოგუძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1967.

**ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი,** 2014 = ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, III, ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძის და მ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 2014.

**Guidoboni, Comastri, Traina** 1994 = E. Guidoboni, A. Comastri and G. Traina, *Catalogue of ancient earthquakes in the Mediterranean area up to the* 10*th century*, ING-SGA, Roma, 1994.

**Horn** 2006 = C. B. Horn, *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine*: The Career of Peter the Iberian, Oxford, 2006.

**Rufus** 2008 = John Rufus, *The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and the Monk Omanus*, Edited and Translated with an Introduction and Notes by C. B. Horn and R. R. Phenix Jr., Leiden, Boston: Brill, 2008.

**Цинцадзе** 1983 = В. Цинцадзе, Некоторые вопросы научной охраны памятников архитектуры Грузии, *ხუროთმოძღვრების ძეგლების ანალიზისა და რესტავრაციის საკითხები. თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებული*, თბილისი, 1983.



სურ. 1. ნაქალაქარი ნეკრესი. ჭაბუკაურის ბაზილიკა გათხრების და ნაწილობრივი რესტავრაციის შემდეგ. ხედი აღმოსავლეთისაკენ. პუბლიკაციიდან – ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020



1-2. ცენტრალური ნავი იატაკქვეშ აღმოჩენილი წარმართული კედლების ჩვენებით



დარბაზის სვეტებთან და საკურთხ-ევლის მიმდებარედ აღმოჩენილი IV-V საუკუნეების მიჯნის რომაულ სამყაროში გავრცელებული ბრინჯაოს ლამპრები



სურ. 2. ნაქალაქარი ნეკრესი. დოლოჭოპის ბაზილიკა. არქეოლოგიურად გამოვლენი-ლი ნაშთები. აეროფოტო. პუბლიკაციიდან – ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020



2-1. ჭრილი თავდაპირველი ეკლესიის ნაშთების ჩვენებით



ზედაზენი. წმ. იოანე ზედაზნელის ლუსკუმა

# 3

## VI ს. 50–80-იანი წლები

## აღმოსავლეთ საქართველო – მთა ზედაზენი

*პირველწყარო: იოვანე ზედაზნელის ცხოვრება;*
*შიოსა და ევაგრეს ცხოვრება*

ცნობა მიწისძვრის შესახებ დაცულია VI საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობის განსამტკიცებლად სირიიდან ქართლში ჩამოსული ასურელ მამათა მეთავის, წმ. იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფის ევაგრეს ცხოვრებაში (ცხორებაჲ იოვანე ზედაძნელისა 1963: 191-217). მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე აღმართულ მთის წვერზე, იმ ადგილას, სადაც ადრეულ ხანაში წარმართული ქართული ღვთაების ზადენის კერპი იდგა, იოანემ გამოქვაბულში („ქუაბი“) „დაყუდებით“ ოცდაათი წელი ილვაწა და გარდაცვალების წინ თავის მოწაფეებს, თათას და ელია დიაკონს, დაუბარა, იქვე დაეკრძალათ. მოწაფეებმა მისი სურვილი არ შეასრულეს („უდებ ყვეს“) და წმ. მამა თავისი მოწაფის, თათას, მიერ ზედაზნის მთის ძირში აგებულ მონასტერში დაკრძალეს: „მოვიდეს მღდელნი და დიაკონნი და სიმრავლე ერისაჲ და წარმოიხუნეს ნაწილნი ბერისანი, დასხნეს მონასტერსა თათაჲსსა, მოწაფისა მისისასა, და შექმნეს ლუსკუმაჲ პატიოსანი და მუნ შინა დაჰკრძალნეს წმიდანი იგი ჴორცნი მამისა ჩუენისა იოანესნი“. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა „სასტიკი“ მიწისძვრა და იქ მყოფთა დაღუპვა. იოანეს მოწაფეები იძულებულნი გახდნენ წმ. მამის ნაწილები მისი მწირობის ადგილზე, მთის წვერზე, დაებრუნებინათ და ეკლესია აეგოთ:

> ხოლო წმინდამან იოვანე არა თავს-იდვა უდებ-ყოფაჲ სიტყჳსა მისისაჲ, არამედ სადა-იგი მოეპოა დაყუდებით მადლი ... ვითარმედ შემდგომად მიცვალებისაცა ცხოველ არს და აქუს კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა, ამისთჳსცა ინება ნაწილთა მისთა მუნვე დასხმაჲ. და იქმნეს ადგილს მას, სადა ისხნეს ხორცი მისნი, სასტიკი ძრვანი, და კაცნი მის ადგილსანი, იგუემნეს, და მოეჴსენა მცნებაჲ იგი ბერისაჲ და გულისჴმა-ყვეს, ვითარმედ მისთჳს არიან ძრვანი იგი. ამისთჳსცა აუწყეს მამა-მთავარსა. ხოლო იგი განკჳრდა და წარვიდა მღდელთა თანა და დიაკონთა და დიდითა პატივითა აღიყვანეს ადგილსავე თჳსს და მითვე ლუსკუმითა დაასუენნეს ნაწილნი მისნი. და შემდგომად

მისსა აღაშენეს ეკლესიაჲ. ხოლო შემდგომად აღმოყვანებისა დასცხრა ძვრაჲ იგი (ცხორებაჲ შიოსი და ევაგრესი 1963: 228).

## მიწისძვრის თარიღი და არეალი

მიწისძვრა თარიღდება VI საუკუნის შუახანებით, კონკრეტულად, სირიელი მამის, იოანე ზედაზნელის გარდაცვალების შემდგომი პერიოდით, მისი ახლო ხანებით. სირიელი მამების ქართლში ჩამოსვლის დროის გათვალისწინებით, რაც ქვეყნის გაქრისტიანების 200 წლის შემდეგ მომხდარა, წმ. იოანეს გარდაცვალების თარიღად ლიტერატურაში მითითებულია სხვადასხვა წელი: 553, 575, 580, ბოლო მონაცემებით – 543 წელი (ალექსიძე 2019: 107).

## არქეოლოგიისა და არქიტექტურის ძეგლები

წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ამ პერიოდში მიწისძვრით გამოწვეული ნგრევა ფიქსირდება ისტორიული ქართლისა და კახეთის შემდეგ ადგილებში: შიდა ქართლში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას – დედოფლის გორა; მცხეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე ალმართულ მთაზე – ზედაზნის სამონასტრო კომპლექსი (ზედა ზადენი); საგურამოს სამხრეთით, ზედაზნის მონასტრისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მთა ზედაზნის ფერდზე – ქასური წმ. გიორგის მონასტერი (ქვედა ზადენი); კახეთში, ნაქალაქარი ნეკრესის ტერიტორიაზე — ქ. ყვარლის შემოგარენი, მდ. დურუჯის მარჯვენა ნაპირზე ნასოფლარ დოლოჭოპში მდგარი სატაძრო კომპლექსი.

*დედოფლის გორა.* შიდა ქართლის მხარეში, მდინარეების აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრონეებს შორის, სოფ. არადეთის სამხრეთით, სოფ. დოღლაურის მახლობლად (ქარელის მუნიციპალიტეტი) დედოფლის მინდვრის კომპლექსში შემავალი ე.წ. დედოფლის გორა მრავალფენიანი ნამოსახლარია, სადაც არქეოლოგიურად დასტურდება ენეოლითის, ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, ადრერკინის, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ფენები. დედოფლის გორა, რომელიც დაფუძნებულია ახ. წ. IV საუკუნეში იბერიის მეფეების სამეფო სასახლის უკვე კარგა ხნის მიტოვებულ ნანგრევებზე, წარმართული კულტმსახურების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა IV-VI საუკუნეებში; იქ მდგარი წარმართული საკურთხევლები მრავალჯერ არის განახლებული, ხოლო დანგრეული სამლოცველოების ნაცვლად იმავე ადგილზე ახალია აშენებული; კულტურული სტრატიგრაფიული თანმიმდევრობით აქ გამოიყოფა ახ. წ. VI, V-VI, V და IV საუკუნეების საალმშენებლო ფენები, რომელთაგან მესამე სამშენებელო დონიდან აღებული ნახშირის რადიოკარბონული კვლევის შედეგად მიღებული ±485 წლის კალიბრირება იძლევა 552± 22 წელს (გაგოშიძე 1999: 57-60).

*ზედაზენი (ზედა ზადენი).* მდებარეობს მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე,

საგურამოს ქედის წვერზე. სახელწოდება მომდინარეობს უძველესი წარმართული ღვთაების ზადენის სახელიდან. აქ საეკლესიო მშენებლობის დაწყება და მონასტრის დაარსება დაკავშირებულია ერთ-ერთი ასურელი მამის, წმ. იოანე ზედაზნელის, სახელთან. 1968 წელს ნიკო ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, 760-70-იან წლებში კათალიკოს კლემენტოსის მიერ აგებულ წმ. იოანე ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკის სარესტავრაციო სამუშაოებმა დაადასტურა აგიოგრაფიული წყაროს ცნობა, რომ VI საუკუნის ბოლოს ან VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე წმ. მამის საფლავზე მართლაც იდგა პატარა დარბაზული ეკლესია ნახევარწრიული აფსიდის გარეშე (ამჟამად მოქცეულია ეკლესიის ჩრდილოეთ ნავში); იქვე, საკურთხეველთან, მიკვლეულ იქნა ქვის კუბო (66x42x40 სმ), რომელიც თათას მონასტრიდან გადასვენებული წმ. მამის ნეშტის განსასვენებელს წარმოადგენდა (ჩუბინაშვილი 1971: 101-103).

*ქასური*[23] *წმ. გიორგის მონასტერი (ქვემო ზადენი).* ზედაზნის მონასტრისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მთა ზედაზნის ფერდზე (ამჟამად მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი საგურამო), ტყეში მდებარე ქასური წმ. გიორგის ეკლესია აშენებულია VI საუკუნის 30-იან წლებში, წმ. იოანე ზედაზნელის სიცოცხლეში († 543), მისი მოწაფის, თათა სტეფანწმინდელის მიერ. იოანე ზედაზნელის „ცხოვრების" თანახმად, იოანე ზედაზნელის „ერთმა მოწაფეთაგანმან, სახელით თათა, ქუეშე ძირსა მის მთისასა ალაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაზონნი" და „ქუემოჲსა მონასტრის" პირველი მამასახლისი (წინამძღვარი) გახდა (ცხოვრებაჲ იოანე ზედაძნელისაჲ 1963: 217; ალექსიძე 2019: 155, 161). ზედა ზადენს წმ. იოანეს გარდაცვალებისას „მაშინ მოკრბა სიმრავლჱ მღვდელთა და დიაკონთაჲ და ერი დიდძალი. და აჲხუნეს ჴორცნი იგი ნეტარისა ბერისაჲ და ჩამოჲხუნეს ... ქუემოსა მონასტერსა, თათაჲს შჱნებულსა, დიდითა პატივითა, კერიონებითა და საცეცხურებითა, ფსალმონებით, ვითარცა არს წესი ქრისტეანითაჲ. და შთასხნეს იგი ლუსკუმასა და დაჰკრძალეს იგინი ეკლესიასა შინა" (ალექსიძე 2019: 164). ამ ეკლესიის ნაშთია ამჟამად მთლიანად დანგრეული ქასური წმ. გიორგის ბაზილიკა (10,5 x 12,9). ქასური წმ. გიორგის ეკლესია (10,5x12,9) წარმოადგენს ადრე შუა საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული „სამეკლესიანი ბაზილიკის" სახელით ცნობილი უგუმბათო ტაძრის ნაირსახეობას, ერთ შენობაში გაერთიანებულ სამ დამოუკიდებელ სამლოცველოს. ქართლისა და კახეთის საზღვარზე მდებარე ეკლესია არქიტექტურული ფორმებითა და პროპორციებით კახეთის ძეგლებთან დგას ახლოს, სამშენებლო მასალითა და მშენებლობის ტექნიკით კი ქართლის ხუროთმოძღვრებასთან (ბანძელაძე, კიკნაძე, სხირტლაძე 2008).

*მცხეთა.* ამავე პერიოდს უკავშირდება, მეფე მირიანის თხოვნით, კონსტანტინე I-ის გამოგზავნილი ხუროების მიერ „მაყვლოვანში" აგებული გარეუბ-

23 სახელწოდება „ქასური" უნდა მომდინარეობდეს ქვის იმ ჯიშის სახელისაგან, რომლის კარგად გათლილი კვადრებისაგანაც არის აშენებული ტაძარი.

ნის ქვის ბაზილიკა, სადაც ამჟამად სამთავროს XI საუკუნის ტაძარი დგას. წერილობითი წყაროების და არქეოლოგიურ-არქიტექტურული მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მირიანის ბაზილიკამ არცთუ დიდი ხნით იარსება. როგორც ვარაუდობენ, ბაზილიკა განადგურდა ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლო პერიოდში სპარსთა შემოსევების შედეგად და XI საუკუნემდე განახლების გარეშე უყურადღებოდ იყო მიტოვებული (ყიფიანი 2009: 753-754). არ გამოირიცხება, რომ მირიანის ბაზილიკა VI საუკუნის დასაწყისში მომხდარი მიწისძვრისას მნიშვნელოვნად დაზიანდა, მაგრამ განაგრძობდა ფუნქციონირებას. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია „მოქცევაჲ"-ს სინურ, შატბერდულ და ჭელიშურ X საუკუნის რედაქციებში თანამედროვე შემდგენლის მიერ შეტანილი მითითება მაყვლოვანში წმ. ნინოს სამი წლის განმავლობაში ფარული ლოცვის ადგილის და მირიანის ქვის ეკლესიის შესახებ: „და ადგილი იყო [ქალაქის] ზღუდესა გარეგან, ხოლო მაყუალთა ადგილი არს ზემოჲსა ეკლესიისა საკურთხევლისა ადგილი" (ალექსიძე 2004: 11; შატბერდის კრებული 1979: 322).

*ნაქალაქარი ნეკრესი.* დურუჯისპირა კომპლექსი დოლოჭოპში, V საუკუნით დათარიღებულ გრანდიოზულ სამნავიან ბაზილიკაზე (44x29) ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2012-2017 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ეს ბაზილიკა, რომელიც IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში მიწისძვრით დანგრეული ტაძრის ნანგრევებზე იყო აშენებული, დაახლოებით VI საუკუნის დასაწყისსა და მეორე ნახევარში მომხდარი ორი ძლიერი მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 127, 139-147, 155-56).

ნანგრევებით დაფარული ბაზილიკის იატაკებზე არქეოლოგების მიერ მოპოვებული ნივთიერი მასალის (სამშენებლო კერამიკის, სალიტურგიო თუ საყოფაცხოვრებო ნივთების ნაშთების) განფენის და გამოვლენილი მასალის სტილისტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა, რამდენიმე ათწლეულის სიზუსტით განსაზღვრულიყო ბაზილიკის სახით ტაძრის ფუნქციონირებისა და კატასტროფით გამოწვეული ნგრევის დრო.

საკმაოდ ძლიერ მიწისძვრას, რომელიც VI საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, როგორც ვარაუდობენ, ბაზილიკის მხოლოდ ზოგიერთი ნაწილი უნდა დაეზიანებინა.[24] ბაზილიკის მეორე, გაცილებით მასშტაბური,

24 მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად და სეისმომედეგობის გაზრდის მიზნით, ბაზილიკის და სამხრეთი გალერეის მთელ სიგრძეზე (ეგვტერის ჩათვლით) მოწყობილი კრიპტა მიწით ამოუვსიათ, ხოლო დაზიანებული ჩრდილოეთის გალერეის აღმოსავლეთ ნაწილი ეგვტერითურთ ახლებურად აუგიათ. იმჟამად უნდა მოეხდინათ ბაზილიკის ჩაქცეული მთავარი საკურთხევლის რეკონსტრუქციაც და აფსიდის სეისმომედეგობის გაზრდის მიზნით დანგრეული კრიპტისა და მასში ჩადგმული ლუსკუმის ნანგრევის შემავსებელი მასით (მასში, ქვებთან ერთად, მრავლად იყო შერეული ბაზილიკის გადახურვის შემადგენელი, მიწისძვრისას დამსხვრეული კრამიტების და ასომთავრული ასო-ნიშნებიანი ანტეფიქსების ფრაგმენტები) ამოვსება (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 142-143, შენ. 198).

ნგრევა ასევე მიწისძვრას უკავშირდებოდა და დაახლოებით იმავე საუკუნის მიწურულს (VI საუკუნის შუახანების მეორე ნახევარში – დ.კ.) უნდა მომხდარიყო. ამ ძლიერი მიწისძვრის შედეგად, „გარდა დარბაზისა და გალერეის სახურავების სრული ჩანგრევისა, ბაზილიკის სამხრეთის ნავისა და სამხრეთის გალერეის კედლები თითქმის სრულად გადაწოლილა სამხრეთით, ნავების დამყოფი სვეტები სანახევროდ დანგრეულა, დარბაზის ჩრდილოეთ კედელი და ჩრდილოეთ გალერეის თაღნარიანი კედელი კი მთლიანად გადარჩენილა“ (ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020: 142-145).

*არეში (მთისძირი).* კავკასიონის ქედის მთისწინა ზოლში მომხდარ მიწისძვრებს უნდა უკავშირდებოდეს ის ძლიერი ნგრევა, რომელიც სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ 1973-1982 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებით (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი) დაადასტურა ყვარლიდან 26 კილომეტრის დაშორებით, ისტორიული არეშის (სოფელ მთისძირის) ტერიტორიაზე არსებულ ადრე შუა საუკუნეების დარბაზულ და სამეკლესიან ბაზილიკებზე, სამაროვნებზე და ნასახლარებზე. ნაქალაქარ არეშის ცალკეულ უბნებში მდგარი ამ ძეგლების ქრონოლოგია მოიცავს ვრცელ პერიოდს, IV-XIV საუკუნეებს. მათი ძირითადი ნაწილი ნანგრევებად იყო ქცეული და მიწითა და მცენარეული საფარით დაფარული.

IV საუკუნეს განეკუთვნებოდა სოფლის თავში, მდინარე არეშის მარცხენა ნაპირზე, უსახელო ბორცვზე თავდაპირველად მდგარი ადრექრისტიანული დარბაზული ეკლესია და სამაროვანი. როგორც ვარაუდობენ, აქ მდგარი დარბაზული ეკლესია V-VI საუკუნეთა მიჯნაზე დაინგრა და VI საუკუნეში აღდგენილ იქნა სამეკლესიანი ბაზილიკის სახით, რომელმაც IX საუკუნეში მეორედ დანგრევის შემდგომ ფუნქციონირება საბოლოოდ შეწყვიტა. ეკლესიის პირველი ნგრევის მიზეზად ვახტანგ გორგასლის დროს მტრის, კერძოდ კი სპარსელების, შემოსევას განიხილავენ (ჭილაშვილი 1991: 153-155; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2013: 411-412); თუმცა, უფრო სარწმუნოა, რომ ნაქალაქარი ნეკრესის მახლობლად მდებარე დარბაზული ეკლესიის ნგრევა მიწისძვრამ გამოიწვია.

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ალექსიძე 2004** = ზ. ალექსიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ «მატიანის» ახალი რედაცია. N/Sin-48, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 3, 2004: 3-16.

**ალექსიძე 2019** = ზ. ალექსიძე, *„საქმენი იოვანე ზედაზნელისანი“ და „მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ“. სინური რედაქციები,* თბილისი, 2019.

**ბანძელაძე, კიკნაძე, სხირტლაძე** 2008 = გ. ბანძელაძე, მ. კიკნაძე, ზ. სხირტლაძე, *2008 წელს ქასური წმ. გიორგის ეკლესიაზე ჩატარებული წინასწარი არქეოლოგიური სამუშაოს ანგარიში* (ხელნაწერი).

**ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე** 2015 = ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში, *ონლაინ არქეოლოგია,* 8, 2015: 10-132 (http://www.heritagesites.ge/upload/file/1451029896. pdf).

**ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი** 2020 = ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, ჯ. ჩხვიმიანი, *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები*, თბილისი, 2020.

**გაგოშიძე** 1999 = ი. გაგოშიძე, ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიისათვის, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,* 43-ბ, 1999: 57-67.

**მამიაშვილი** 2018 = ვ. მამიაშვილი, ნაქალაქარ ნეკრესში დოლოჭოპის ბაზილიკის 2017 წლის არქეოლოგიური კვლევების მოკლე ანგარიში, 2017 *წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშები*, თბილისი, 2018.

**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა** 2013 = *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, წ. 1-I, თბილისი, 2013.

**ყიფიანი 2009** = გ. ყიფიანი, მეფე მირიანის ბაზილიკა, *ბიზანტიოლოგია საქართველოში – 2. ეძღვნება აკადემიკოს გრიგოლ წერეთლის ხსოვნას,* II, თბილისი, 2009: 733-789.

**შატბერდის კრებული 1979** = *შატბერდის კრებული X საუკუნისა,* გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

**ცხორებაჲ იოვანე ზედაძნელისა** 1963 = *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* (V-X), I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის რედ., თბილისი, 1963: 191-217.

**ცხორებაჲ შიოსი და ევაგრესი** 1963: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* I (V-X), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის რედ., თბილისი, 1963: 217-229.

**ჭილაშვილი** 1991 = ლ. ჭილაშვილი, *არეში*, თბილისი, 1991.

**Чубинашвили** 1959 = Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, Тбилиси, 1959.

**Чубинашвили** 1982 = Н. Чубинашвили, Зедазени, Кликис Джвари, Гвиара, *ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრომები, A სერია* №7, 1971.



სურ. 1.  ქვემო ზადენი. ქასური წმ. გიორგის ეკლესია. ინტერიერი გაწმენდითი სამუშაოების დაწყებამდე. 2008 წ.



1-1. სამხრეთ-აღმოსავლეთ ფასადი

1-2. გეგმა და აღმოსავლეთის ფასადის სქემა  ნ. სევეროვის მიხედვით. 1922 წელს ტაძრიდან ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა არქიტექტურული დეტალები და ქვა ასომთავრული წარწერით. 2008 წელს სარესტავრაციო პროექტის მოსამზადებელი სამუშაოებისას არქეოლოგიურმა შურფებმა მთლიანად შეცვალეს ტაძრის მანამდე ცნობილი გეგმა





სურ. 2. ნაქალაქარი ნეკრესი. დოლოჭოპის ბაზილიკა. პუბლიკაციიდან – ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი 2020



2-1. სამხრეთი გალერეა. მიწისძვრის დროს ნანგრევი მასების განფენა იატაკზე




2-2. აკლდამა № 110



2-3. საკურთხეველი და მიწისქვეშა კრიპტა



სურ. 3. არეში (მთისძირი). დარბაზული ეკლესიის ადგილას მდგარი სამეკლესიანი ბაზილიკის ნაშთები. 2020 წ.



ზარზმის მონასტერი

# 4

## VIII–IX სს., X ს. პირველი მეოთხედი

## სამხრეთ საქართველო – ზარზმა, უწნა

*პირველწყარო: ბასილი ზარზმელი, „ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“*

ამბავი ტბის ქვიან ადგილად გადაქცევის შესახებ უკავშირდება ისტორიულ სამცხეში ზარზმის ეკლესიის აშენებისას მომხდარ სასწაულს, რომელიც ბასილი ზარზმელის თხზულებაში „ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“ თვითმხილველის, აწყურის ეპისკოპოსის, გიორგი შუარტყლელის მონათხრობს ემყარება. სიუჟეტის თანახმად, ზარზმის ეკლესიის მაშენებელი წმ. სერაპიონი და მისი თანმხლები ძმები ეკლესიის ასაშენებელი ადგილის შესარჩევად გოდერძის ხევის ტყიანი და ლოდიანი მაღალი ქედების გადალახვის შემდეგ, ნადირთა შესაკრებელ, ბაკთას სახელით ცნობილი ადგილის აღმოსავლეთით მდებარე, ქედზე მიადგნენ მოწითალო ფერის, მღვრიე და ლაფიან, მყრალი სუნის ტბას; თახვების სიმრავლის გამო ტბა სათახვის ტბის სახელით იყო ცნობილი და მახლობელი ადგილებიდან მისულ მონადირეთა შორის მუდმივი შფოთის და ბრძოლის მიზეზი იყო. გიორგი შუარტყლელის მონათხრობით:

> და წარვემართენით აღმოსავლით კერძო და ვიდოდით ქედთა რათმე მაღალთა, ტყიანთა და ლოდიანთა. და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჰკითხა მას კაცსა წმინდამან მან: „საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას? ხოლო იგი ეტყოდა, „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ და ბაკთა ეწოდების. ხოლო წმინდამან მან აღილო ჴელითა თჳსითა ორთოჴი რკინისაჲ და გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა ... კუალად მიიხილა წმინდამან და იხილა აღმოსავლით კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ აღრეული ლალითა, რომელი იგი სახედ მწჳრისა იხილვებოდა.[25] დაგჳკჳრდა ჩუენ ფრიად და ვჰკითხეთ კაცსა მას: „რაჲ არს ადგილი ესე უცხოჲსა ამის წყლისაჲ?“, ხოლო ია მომიგო ჩუენ: „ესე

25 შენიშვნა ტექსტისათვის: „ტბაჲ აღრეული ლალითა, რომელი იგი სახედ მწჳრისა იხილვებოდა“. სულხან-საბას განმარტებით: *ლალის* შესატყვისია წითელი, ხოლო *მწვირი* ნიშნავს მყრალ ლაფს (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 404, 548).

> არს ტბაჲ მღრჳე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათაჴუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაჴუთა და სხუათა ნადირთაჲ და დედაჲ შფოთთა და ბრძოლათაჲ, რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მდევარნი ნადირთანი, შეკრებულნი თჳთოეულთა სანახებთანი და ურთიერთას მდევარნი საქმეთა უჯეროთანი (ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ 1964: 329).

ბაკთას დაბანაკებულ წმ. სერაპიონთან და მის თანხმლებ ძმებთან მესამე ჟამის ლოცვისას შიშით თავზარდაცემული ადამიანები მივიდნენ და უამბეს, თუ როგორ დაფარა გამთენიისას დასავლეთით აღმართული კლდის გაპობისას გადმოდინებულმა ლაფიანმა მღვრიე ნიაღვარმა („მდინარე“) ტბა და წყლის შესაკრებელი ადგილი მონადირეებთან და წისქვილთან ერთად. გარბანელის მონათხრობით, ტბის ლოდიან და ქვიშიან ველად გადაქცევას ახლდა „ძრვაჲ და ოხრაჲ[26] რაჲმე, ვითარცა ქარისაჲ“. თვითმხილველის გადმოცემით:

> ...და ვითარცა იყო ჟამი სამჟამისაჲ, ვილოცევდით რაჲ ადგილსა მას, და აჰა ესერა კაცი იგი გარბანელი და ჭაბუკი იგი და, მოძღუარი ჩუენი (შემდგომ გიორგი მაწყვერელი), და ორნი კაცნი, უცხონი კაცნი, და მოიწინეს სწრაფით ჩუენდა...და იგინი იყვნეს შეპყრობილ შიშითა რაჲთმე დიდითა, და კაცნი იგი უცხონი – ვითარცა მკუდარნი ხილვითა... ხოლო იწყო თხრობად გარბანელმან და ჰრქუა წმიდათა მათ: „... ხოლო გან-რაჲ-თენა, წინაშე თქუენსა წარმოსვლად ვემზადებოდით. აჰა ესერა იქმნა ძრვაჲ და ოხრაჲ რაჲმე, ვითარცა ქარისაჲ და განვკჳრდით ფრიად. და შემდგომად მცირედისა მოვიდეს კაცნი ესე, ვითარცა-ესე ხედავთ, და ძლით იწყეს სიტყუად. და ვითარცა ვჰკითხევდით, თუ: „რაჲ-მე იყო ჴმა ესე და ძვრაჲ? ხოლო ამათ მოგჳგეს და გრქუეს, რამეთუ „განიპო კლდე იგი, რომელ იყო დასავლით ტბასა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღჳენი, და ჩუენ, რომელნი ვიპოენით გარემოს ადგილისა მის, განვიბნიენით ძლიერისა მისგან ზარისა და შთამოვდით კაცისა ამის, რამეთუ მეცნიერ იყო ჩუენდა.“ და ვითარცა იგინი ამას იტყოდეს მოწამედ სიტყუათა მათთა იხილვებოდა მდინარე იგი, რამეთუ არღარა იტევდეს ადგილნი თჳსნი, რამეთუ ყოვლით კერძო გარდაეცა მრღჳე, ვითარცა მწჳრე, რომლისათჳსცა განკჳრვებამან შეგჳპყრა ყოველნი .... ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროაჲ, ვცანით ჭეშმარიტი, ვითარმედ ადგილი იგი ტბისაჲ იხილვების ველად ლოდოინად, ხოლო ადგილი იგი წისქვილ-წყალთაჲ კუალად

---

26 სულხან-საბას განმარტებით, *ოხრა* არის ხმა (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991: 612).

წარღუნილ და უჩინო (ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ სერაპი-
ონ ზარზმელისაჲ 1964: 332).

ადგილობრივმა მთავარმა, გიორგი ჩორჩანელმა, „რომლის ტაძარნი შენ იყვნენ სანახებსა ზანავისა და ჩორჩანისასა", ასევე თვითმხილველთაგან შეიტყო, რომ „ადგილი ტბისაჲ მის ველოან ქმნილ არს და შესაკრებელი იგი წყალთაჲ დაფარულ იყო ქვშათა მიერ და ლოდთა, რომელსა კაცნი იგი ჭირისა მისგან განრომილნი თჳთ წარმოიტყოდიან" (ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ 1964: 333).

ტბის სასწაულებრივი „განჴმობის" ადგილს თავზარდაცემულმა თვითმხილველებმა განცდილი შიშის გამოსახატავად, აგიოგრაფის გადმოცემით, „ზარზმა" უწოდეს („მიერითგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელი ზარითა და შიშითა მოუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს". ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ 1964: 333-334). სათახვის ტბის ადგილის მოვაკების შემდგომ, წმ. სერაპიონმა ამ ადგილას ეკლესია ააშენა,[27] რომლის ხუროთმოძღვრად და მშენებლობის ზედამხედველად დაადგინა „გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისასა განერნეს" (ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ 1964: 334-335).

სათახვის ტბის „დანთქმამდე" (შესაძლოა, თანადროულადაც) ამ მხარეში მიწისძვრა მომხდარა. აგიოგრაფის გადმოცემით, ზარზმაში ეკლესიის აშენების მიზნით კატასტროფის ადგილი მოავაკეს, მაგრამ ტყის ხშირი საფარის გამო ქვის მოპოვება გაჭირდა და მშენებლებმა რიყის ქვა მდინარიდან „ჭირით და შრომით" ამოიტანეს. ამის გამო გიორგი ჩორჩანელმა წმ. სერაპიონს შესთავაზა, საშენ მასალად გამოეყენებინათ ზარზმიდან 12 მილიონით (12 000 ნაბიჯით)[28] დაშორებული მიწისძვრით დანგრეული ეკლესიის ქვები უმწადან: „არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიაჲ მისი დაცემულ არს ძრვისაგან ... ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უჴმრად მდებარე არს ეკლესიაჲ იგი ... იწყეს მოღებად მეყსეულად რაოდენი ეჴმარებოდა ეკლესიჲსა მისთჳს. და იცნობებიან ქვანი იგი ზოგს-რაჲმე კუთხთა მიერ და კამარათა, ხოლო არს სახელი მის უმწაჲ, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ" (ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ 1964: 335).

27 ქვაბლიანის ხეობის იმ ადგილას, სადაც ამჟამად ზარზმის სამონასტრო კომპლექსია, სერაპიონ ზარზმელის მიერ აგებულ თავდაპირველ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია; ანსამბლი შედგება XIV საუკუნის დასაწყისში ბექა მანდატურთუხუცესის დროს აგებული გუმბათიანი ტაძრის, დიდი სამრეკლოსა და რამდენიმე ადრეული ხანის ერთნავიანი სამლოცველოს ნაშთისაგან.

28 სულხან-საბას განმარტებით, მილიონი მანძილის საზომია: „მილი და მილიონი ორივე ლათინურია. მილი არს ათასი ბიჯი, რომ ფერჴი მეორედ გარდაინაცვლო, რომ ხუთი ტერფი გამოვიდეს; და სხვა წიგნში ორი წყრთა ეწერა ხუთი ტერფის ნაცვლად, ხოლო მილიონი არს ბევრის ბევრი. ქართულში მილი და მილიონი არ გაურჩევიათ" (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 482).

## მიწისძვრის თარიღი და არეალი

სათახვის ტბაზე მომხდარი კატასტროფის დროის განსაზღვრა არათუ ზუსტად, არამედ მიახლოებითაც კი ჭირს. ამის მიზეზი ისაა, რომ მკვლევართა მიერ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროსთან დაკავშირებით: VI ს-ის დამლევი ან VII ს-ის დასაწყისი (პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, პ. პეეტერსი, ა. ბოგვერაძე, გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, მ. ჩხარტიშვილი); VII-VIII სს-ის მიჯნა (მ. ჯანაშვილი); VIII-IX სს. (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი); IX ს. / 825-900 წწ. (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ე. გაბიძაშვილი, ს. ცაიშვილი, ნ. ვაჩნაძე); X ს. I მეოთხედი (ე. ჭელიძე).

აგიოგრაფიულ თხზულებაში დაცული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სათახვის ტბაზე[29] მომხდარი კატასტროფა, შესაძლოა, გამოწვეული იყო არა მიწისძვრით გამოწვეული კლდეზვავით, არამედ კლდის გაპობისას გადმოსული ლავის აქტივობით, რომლის დროსაც ქვაბლიანის წყლის მარჯვენა ნაპირზე ქედის წვერზე არსებული ტბა მყრალი სუნის ლავის ნიაღვარმა ქვიან და ქვიშიან ველად აქცია. შეიძლება გვეფიქრა, რომ კატასტროფა ლოკალური იყო და ახლომდებარე ადგილებს ნაკლებად შეეხო. თუმცა, ამავე წყაროს ცნობით, მიწისძვრა ფიქსირდება ზარზმის მახლობლად უმწაში (ახალციხის ქვაბულში[30] მდებარე სოფ. უწნა, მდ. ქვაბლიანის მარცხენა შენაკადის, მდ. ოცხის ხეობაში; ადიგენიდან 14, ხოლო ახალციხიდან 15,5 კმ-ის დაშორებით, ზ.დ. 1090-1145 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს). ეს მიწისძვრა, რომელიც თანადროულად მოხდა ან წინ უსწრებდა ზარზმის კატასტროფას, შეიძლება მაპროვოცირებელიც გახდა სათახვის ტბაზე მომხდარი ტრაგედიისა. სათახვის ტბა საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე ყარაგელის სახელითაა აღნიშნული და ფიქსირებულია სოფელ ზარზმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზ.დ. 1896 მეტრის სიმაღლეზე (ადიგენის მუნიციპალიტეტი). ტბა თითქმის დამშრალია და

29 სამცხე-ჯავახეთის ტბები, ძირითადად, ვულკანური ან ვულკანურ-ტექტონიკური წარმოშობისაა. ტბების სიმრავლის გამო ჯავახეთს „ტბათა მხარესაც" უწოდებენ. გეოლოგიურად ერუშეთ-არსიანის თხემური ნაწილი, რომელიც ახალგაზრდა ლავური განფენებითაა აგებული, „გოდერძის წყების" სახელით არის ცნობილი; ამ წყებას, გოდერძის უღელტეხილის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ახალციხის დეპრესიასა და ჯავახეთის ქედის ჩრდილო ნაწილშიც, თუმცა აქ ნამდვილი ვულკანური ცენტრები იშვიათია (საქართველოს გეოლოგია 1997: 151). მიუხედავად იმისა, რომ გოდერძის წყების არეალში ვულკანური ცენტრები იშვიათად გვხვდება, აქ ვულკანურ აქტივობას უნდა უკავშირდებოდეს გაქვავებული ხეების გამორჩეული სიმრავლე, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ადგილში სწორედ მომატებული აქტიური ვულკანური მოქმედების არეალებში დასტურდება.

30 ახალციხის მთიანი ქვაბული განეკუთვნება მთათაშუა ქვაბულების ტიპს, რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება არსიანის ქედის ჩრდილო ნაწილი, ჩრდილოეთიდან აჭარა-იმერეთის ქედი, აღმოსავლეთიდან თრიალეთის ქედის დასავლეთ დაბოლოება, ხოლო სამხრეთიდან ერუშეთის მთიანეთის ჩრდილო კალთები.




სათიბად იყენებენ. ნიშანდობლივია, რომ აქვეა ნასოფლარი თახვირი. ტბის და ნასოფლარის სახელწოდება მიანიშნებს აქ წარსულში თახვის გავრცელებაზე (ნიკოლაიშვილი, სართანია, უჯმაჯურიძე, ლაღიძე, ტრაპაიძე, ნანობაშვილი 2016: 110,195).

სათახვის ტბის კატასტროფა, სავარაუდოდ, მოხდა დაახლოებით 1100 წლის წინ, IX საუკუნეში ან X საუკუნის პირველ მეოთხედში, ადიგენიდან 6-7 კილომეტრის დაშორებით.

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ** 1963 = *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, (V-X სს.), I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის რედ., თბილისი, 1963: 319-347.

**ზარზმა** 2007 = *ზარზმა*, მთავარი რედაქტორი – რ. მეტრეველი, შემდგენელი და რედაქტორი ნ. ვაჩნაძე, თბილისი, 2007.

**ნიკოლაიშვილი, სართანია, უჯმაჯურიძე, ლაღიძე, ტრაპაიძე, ნანობაშვილი 2016** = დ. ნიკოლაიშვილი, დ. სართანია, ა. უჯმაჯურიძე, ლ. ლაღიძე, ვ. ტრაპაიძე, თ. ნანობაშვილი, *სამცხე-ჯავახეთი. ცნობარი*, თბილისი, 2016.

**საქართველოს გეოლოგია** 1997 = ნ. მრევლიშვილი, *საქართველოს გეოლოგია*, თბილისი, 1997.

**სულხან-საბა ორბელიანი, I,** 1991 = სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, ავტოგრაფული ნუსხის მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1991.



სურ. 1. ზარზმის ფერისცვალების ეკლესია. სცენა გიორგი ჩორჩანელის, სერაპიონ ზარზმელის და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის გამოსახულებით



სურ. 2. ზარზმის მონასტრის სიძველეები



2-1



2-2



2-3



მინიატიურა სინას მთის გამოსახულებით და წარწერით: „ესე არს მთა სინა და მონასტერი მისი“. XVII ს. მიწურული (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, MS I-182)

## 5

1068 წ. 18 მარტი

## ეგვიპტე – სინას მთა

*პირველწყარო: 979 წელს სინაზე გადაწერილი ოთხთავის კინკლოსური ჩანაწერი*

სინას მთაზე, იქ, სადაც მოსე წინასწარმეტყველს უფალი გამოეცხადა და სჯულის ფიცრები გადასცა, X-XI საუკუნეებში ძლიერი ქართული კოლონიის არსებობა წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერებით, ხატებითა და ეპიგრაფიკით დასტურდება. ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები წმინდა მთის მწვერვალზე მდგარ ეკლესიას, 968-1076 წლებში ქართველი ასკეტების მკვიდრობისა და ხელნაწერების გადაწერის ადგილად მიუთითებენ: *მთა წმინდა სინა, ეკლესია წმინდა მოსესი / მთა წმინდა სინა, საყოფელი წმინდისა მოსესი* (968-1076 წწ. – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-2124; N/Sin. georg. 67; O/Sin. georg. 15; O/Sin. georg. 40; N/Sin. georg. 12; O/Sin. georg. 19).

სინას მთა არაბეთის ნახევარკუნძულის აქტიურ სეისმურ ზონაში მდებარეობს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში არაერთი ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილი ერთ-ერთი დამანგრეველი მიწისძვრა 1312 წლის 30 აპრილს იმ დროს მომხდარა, როცა მოსეს მთის მწვერვალზე მიწისძვრით დანგრეული ეკლესიის აღსადგენად არაბეთის პეტრას მიტროპოლიტის მიერ წმ. ეკატერინეს მონასტერში გაგზავნილი ქვის ხელოსნები იმყოფებოდნენ (Димитриевсий 1890: 836-841; Памятники Синая 1925:14-15). უფრო ადრეული ცნობა 1312 წლამდე სინაზე მომხდარი მიწისძვრისა და წმინდა მთის ეკლესიის დანგრევის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოიპოვება. სინას მთაზე XI საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოინახა სინური ქართული ხელნაწერის კინკლოსურმა ჩანაწერმა (სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1947: 102; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია 1978: 138). სინაზე მოღვაწე ქართველი მწიგნობრის იოანე-ზოსიმეს მიერ 979 წელს გადაწერილ ოთხთავზე დართულ პასქალურ ცხრილში ადგილობრივმა ქართველმა ბერმა შესაბამისი წლის გასწვრივ შეიტანა ჩანაწერი, რომელიც სინაზე 1068 წლის ვნების სამშაბათს მიწისძვრისას მთის ეკლესიის დანგრევას ეხება:

ხქობ (6672), სპჱ (288) – ამას ნაკსა ზედა იძრა ქუეყანაჲ, ოდეს მთისა ეკლესია დაეცა, სამშაბათსა ვნებისასა (O/Sin. georg. 38, 118v).

ქართველი მოწესის ცნობით, მიწისძვრა ნაკიან 1068 წელს მოხდა. ამ წელს აღდგომა 23 მარტს, ხოლო ვნების შვიდეულის დიდი სამშაბათი 18 მარტს უწევდა. შესაბამისად, სინას მთაზე მიწისძვრა და მთის ეკლესიის ნგრევა 1068 წლის 18 მარტს მოხდა. მოსეს მთის წვერზე (Gebel Musa, Άγία Κορυφή) ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ამჟამად მდგარი წითელი გრანიტით ნაშენი მცირე ზომის სამების ეკლესია 1934 წელსაა აგებული. ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს აქ ძველი ეკლესიის ნანგრევებში შემთხვევით აღმოჩნდა, X საუკუნის ქართული ასომთავრულითაა შესრულებული და შემდეგი შინაარსისაა: „† აჰა მთა ღმრთისა, შემწყნარებელი მონანულთაჲ. ხარიტონ ცოდვილი. ლოცვა ყავთ!“ (ალექსიძე 2000: 16-18). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს X-XI საუკუნეებში მოსეს მთაზე მდგარ ეკლესიაში ქართველი ბერების მკვიდრობას და ქართული ხელნაწერების კოლოფონების ჩვენების სანდოობას თვითმხილველი ქართველი ბერის მიერ მთის ეკლესიის 1068 წლის 18 მარტს მიწისძვრით დანგრევის შესახებ.

სინას მთაზე ეკლესია-ნაგებობების ნგრევასა და მათ მრავალგზის აღდგენა-გადაკეთებაზე მინიშნებს არქეოლოგიური მასალებიც. 1998 წელს ბერძნული ექსპედიციის მიერ მოსეს მთაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილი იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) სამნავიანი ხით გადახურული ბაზილიკა ნართექსით (26, 75x11) და უფრო ადრეული IV საუკუნის შუახანების პატარა ეკლესიის ნაშთები, აგრეთვე ადრებიზანტიური და ისლამური, ფატიმიდების და მამლუქთა პერიოდის არტეფაქტების ფრაგმენტები (პანაგიოტიდი, კალოპის-ვერტი, ფისსა 2002: 69-90).

ქართველი ბერის ჩანაწერი ახალ ინფორმაციას გვაწვდის 1068 წლის 18 მარტს და 29 მაისს ახლო აღმოსავლეთში მომხდარი მიწისძვრების შესახებ. ეს ორი დიდი მიწისძვრა თანადროულ ისტორიულ წყაროებში ხშირად ერთ მიწისძვრად განიხილება (Ambraseys, Melville, Adams, 2005: 30-32). 18 მარტს, როდესაც ქართული წყაროს ცნობით სინას მთაზე მოსეს ეკლესია დაინგრა, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა სადღაც არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ტაბუკის რეგიონი); ხოლო მეორე, 29 მაისს მომხდარი, მიწისძვრა განსაკუთრებით დამანგრეველი იყო პალესტინის ქალაქ რამლაში, დაახლოებით 500 კმ. ჩრდილო-დასავლეთით. მომხდარი კატასტროფის შედეგად დაიღუპა დაახლოებით 20 000 ადამიანი, დიდი ზიანი მიაყენა სირიასა და პალესტინას, სადაც ცუნამმა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები გაანადგურა, აგრეთვე, ეგვიპტესა და არაბეთის ნახევარკუნძულს.

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ალექსიძე 2000** = ზ. ალექსიძე, ლუვრი, სინას მთა, ნაზარეთი. ეპიგრაფიკული ეტიუდები, *Μνήμη, ეძღვნება ალექსანდრე ალექსიძის ხსოვნას*, თბილისი, 2000.

**პანაგიოტიდი, კალოპის-ვერტი, ფისსა 2002** = Μ. Παναγιωτίδη, Σ. Καλοπίση-Βέρτη, Ν. Φύσσας, Γ. Μαγγίνης, Γ. Φουκανέλη, «Ανασκαφή στην Αγία Κορυφή του Όρους Σινά (Gebel Musa) Προκαταρκτικά Πορίσματα», in: ΙΔΡΥΜΑ ΟΡΟΥΣ ΣΙΝΑ, *Σιναϊτικά Ανάλεκτα*, Τόμος Α, 2002: 69-90.

**სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1947** = ივ. ჯავახიშვილი, *სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბილისი, 1947.

**სინის მთაზე ... აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 2005** = *სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, ათენი, 2005.

**ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია 1978** = *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.* სინური კოლექცია, I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ელ. მეტრეველმა,ც. ჭანკიევმა,ლ. ხევსურიანმა,ლ. ჯღამაიამ,თბილისი,1978.

**Ambraseys, Melville, Adams 2005** = N. N. Ambraseys, C. P. Melville, R. D. Adams, R. D., *The Seismicity of Egypt, Arabia and the Red Sea: A Historical Review*, Cambridge University Press, 2005: 30–32, 101.

**Димитриевсий 1890** = А. А. Димитриевсий, Землетрясение на Синае и его последствия для Синайской обители, *Церковные Ведомости*, 1890, №25: 836-841.

**Памятники Синая 1925** = *Памятники Синая, археологические и палеографические,* вып. I, под ред. В.Н. Бенешевича, Ленинград, 1925.



თმოგვის ციხესიმაგრე. მიწისძვრამდე საიდულო გვირაბი კიბით უკავშირდებოდა მდინარეს

## 6

1088/89 წ.

## აღმოსავლეთ საქართველო: 1 აპრილი – თმოგვი; 31 მაისი – დავით გარეჯის წამებულის მონასტერი, ალავერდი*

*პირველწყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი;*
*გარეჯის წამებულის მონასტრის წარწერა;*
*ალავერდის ტაძრის ფრესკული წარწერა*

საქართველოში XI საუკუნეში მომხდარი ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრა საბჭოთა და უცხოურ სეისმურ კატალოგებში 1088 წლის თმოგვის მიწისძვრის სახელითაა ცნობილი (Кондорская, Шебалин 1977, 1982; karapetian 1991; Guidoboni, Traina 1995). ამ მიწისძვრის არეალი საკმაოდ ფართო იყო. მიწისძვრამ, რომლის შემდგომი ძლიერი რყევები რამდენიმე თვის განმავლობაში, წლის ბოლომდე გრძელდებოდა, სავარაუდოდ, მთელი აღმოსავლეთ საქართველო მოიცვა. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი და ნივთიერი წყაროებით, ამ პერიოდში მიწისძვრა ფიქსირდება დაახლოებით 200 კმ-ით დაშორებულ გეოგრაფიულ ადგილებში: თმოგვი – სამხრეთ საქართველო, დავით გარეჯის კომპლექსის აღმოსავლეთ მასივი და ალავერდი – კახეთი.

XI საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ისტორიკოსი, რომელიც თვითმხილველია და კატასტროფას, სავარაუდოდ, ჯავახეთში შეესწრო, მოგვითხრობს, რომ დავითის გამეფებამდე ცოტა ხნით ადრე მიწისძვრამ მრავალი სული იმსხვერპლა და „საშინელი“ რყევები წლის ბოლომდე გაგრძელდა. აღდგომა დღეს მომხდარი მიწისძვრისას მაღალი მთები და კლდეები მტვრად იქცა, ქალაქები, სოფლები და იქ მდგარი ეკლესიები დაინგრა, სახლები კი მიწაში ჩაინთქა და იქ მცხოვრებთა საფლავებად იქცა. მიწისძვრამ დაანგრია თმოგვის ციხე-ქალაქი და მოიყოლა ციხის მფლობელი დიდებული კახაბერ ნიანიას ძე, ცოლითურთ. ისტორიკოსის ცნობით:

---

* ელექტრონულად გამოიცა 2021 წელს სათაურით „მიწისძვრები საქართველოში ისტორიული წყაროების მიხედვით: 1089 წლის მიწისძვრა“ (კლდიაშვილი 2021: 228-239).

ესე ყოველი მოიწია, და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად რომელი დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი. ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულისხმა ვყავთ, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა, ამისთჳსცა ქუეყანით მავალთთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზეგარდამონი, ღმრთისა მიერ მოვლინებულნი გუემანი მოიწივნეს ქუეყანასა ჩუენსა ზედა, რათა არა თქუან მცოდველთა, ვითარმედ: „ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩუენთათჳს იქმნნეს, არცა ღმრთისა მიერ მოიწივნეს, არამედ შეცვალებითა რამეთა ჟამთათა და დამთხუევითა აღძრვისა საქმეთათა“.

ამისთჳსცა დღესა აღვსებასა, თვით მას აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო, მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძვლითურთ, ესეოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკჳდრთა. რომელთა თანა თმოგჳცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ. და გაგრძელდა ესევითარი ძვრა ქუეყანასა საშინელი ვიდრე წელიწამდის (ვარ. ვიდრე განსრულებადმდე წელიწადისა), რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ.

მაშინ რისხვასა შინა მოიჴსენა წყალობა მან, რომელი „სწავლის ყოველსა შვილსა, რომელი უყუარს, მოაკუდინებს და აცხოვნებს“, რომელი მზა არს წყალობად, უფროს მამისა მოწყალისა, რამეთუ წერილისაებრ: „რათუმცა უფალმა დამიტევა ჩვენ თესლი, ვითარცა სოდომნიცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით“. რამეთუ ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა შინა მაცხოვარებისათა აღმოჭჳრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თჳოსახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თჳთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისამან, დავით.

მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგისაგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა ... რამეთუ

> მეფე იქმნა რა დავით, მოოჴრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა შინა სადმე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა შენებულობა. და მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი მისი ქვეყანა ლიპარიტს, და მეფეს დავითის წინაშე იყო რეცა ერთგულად. ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადავე და სოფლებადცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი 1955: 323-324; ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი 1992: 163-166).

„ქართლის ცხოვრების" დავით აღმაშენებლის თანამედროვე სომეხი მთარგმნელი საქართველოს სამეფოში მომხდარ მიწისძვრას მხოლოდ ზოგადად ეხება და არაფერს ამბობს თმოგვის ციხის დანგრევის შესახებ. მთარგმნელის თანახმად: „მაგრამ, რადგანაც ჩვენი ბოროტება ჩვენშივე იყო, ზატიკის დღესასწაულსაც კი არ მოგვცა გამრავლებულმა ჩვენმა ცოდვებმა გახარება ქრისტეს აღდგომით, რადგან უფალმა მოხედა ქვეყანას რისხვით და შეარყია ის საფუძვლითურთ. კლდოვანი მთები მტვრად იქცნენ, ქალაქები, სოფლები და ეკლესიები დაეცნენ და ჩვენი დღესასწაული წერილისამებრ გლოვად იქცა" (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი 1953: 236-237).

მიწისძვრა, რომელიც მხოლოდ მცირე ხნით უსწრებდა წინ დავითის გამეფებას, ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და განსაკუთრებით სამცხე დააზიანა. კატასტროფით გამოწვეული ნგრევა და მსხვერპლი იმდენად დიდი იყო, რომ ისედაც მძიმე საგარეო („დიდი თურქობა") და საშინაო მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა და პოლიტიკური ცვლილებების საჭიროების წინაშე დადგა. ასეთ ვითარებაში მიწისძვრის შემდგომ გიორგი II-მ სამეფო ხელისუფლება 16 წლის დავითს გადასცა, „რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოჴრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა შინა სადმე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა შენებულობა". ისტორიკოსის ცნობით, დავითი გამეფებისას „იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი იყო სამას და ცხრა", 1089 წელი (=780+309). დავითის გამეფებისა და მომხდარი მიწისძვრის დასახელებულ თარიღს ეთანხმება „კურთხევანის" ხელნაწერში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1110) შეტანილი ე.წ. „აფხაზთა ქრონიკის" კინკლოსური მინაწერი, რომელიც უფრო ძველ ქრონიკალურ ჩანაწერს უნდა იმეორებდეს. ამ ჩანაწერით, 1089 წელს დავითის ტახტზე ასვლა და მიწისძვრა თანადროულად მოხდა:

> [ქორონიკონსა] ტთ (309), [დასაბამითგან] ხქჟგ (6693) აქა დავით მეფე დაჯდა და ძრვა იყო (მცირე ქრონიკები 1968: 23).

დავითის მეფედ კურთხევა და მილოცვის ცერემონიალი დასახელე-

ბული მიზეზების გამო, როგორც ჩანს, საგანგებო მდგომარეობაში ძალზე მოკრძალებულად ჩატარდა. მისალოცად ახალგამეფებულ დავითთან მხოლოდ „მცირე-მცირედ“ შემოკრებილ აზნაურებს შორის, ისტორიკოსი თრიალეთის, კლდეკარის და მისი მიმდგომი ქვეყნის მფლობელთა შორის მიწისძვრისას დაღუპულ თმოგვის ციხის პატრონს კახაბერ ნიანიას ძეს აღარ ასახელებს და მხოლოდ მის ძეს, ნიანიას მოიხსენიებს (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი 1955: 322-323; 324). მიწისძვრა, რომელიც მხოლოდ მცირე ხნით უსწრებდა წინ დავითის გამეფებას, ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და განსაკუთრებით სამცხე დააზიანა.

## მიწისძვრის არეალი. არქეოლოგიის და არქიტექტურის ძეგლები

აღდგომის დღესასწაულზე მომხდარი მიწისძვრისას, ისტორიული მონაცემებით, თმოგვი და მისი მიმდებარე ადგილები ეპიცენტრს წარმოადგენდა. ჯავახეთის პლატოზე თმოგვის ციხესთან და მტკვრის ორივე ნაპირზე განლაგებულ ქალაქთან ერთად კატასტროფამ, როგორც ჩანს, ძლიერ დაანგრია თმოგვის საციხისთავო ქვეყანა და მისი მიმდებარე მხარეები – უპირველეს ყოვლისა, მტკვრის კანიონში, მდინარის ორივე ნაპირზე თმოგვის მახლობლად არსებული სოფლები, მათ შორის, ზემო ვარძია;[32] ხერთვისის ციხე-სიმაგრე, თმოგვის ციხის მოპირდაპირე მხარეს, წუნდის ტბასთან[33] მდებარე ერთ-ერთი უძველესი დასახლება წუნდა და მის ზემოთ, ჯავახეთის ზეგანზე 964 წელს აშენებული კუმურდოს ტაძარი; თმოგვიდან სამი კილომეტრის დაშორებით, ჯავახეთის პლატოს კლდის უბეში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გამოკვეთილი ვანის ქვაბები და სხვ.

*ვანის ქვაბები.* XI და XIII საუკუნეებში მომხდარი მიწისძვრებით გამოწვეული ნგრევის კვალი არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება არტაანის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე 16 იარუსად კლდეში გამოკვეთილ ვაჰანის ქვაბოვან მონასტერში.[34] 1964-1965 წლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის

32 ისტორიულად, ვარძია თმოგვის ციხეს ექვემდებარებოდა, რაც ასახულია XI საუკუნის დამდეგს კლდეკარის ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტის მიერ აშენებულ ზედა ვარძიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერაში (გაბაშვილი 1985: 50).

33 წუნდის ტბა (ასევე ცნობილი, როგორც „თამარის სარკე“) მდ. მტკვრის ხეობაში, ახალქალაქის პლატოს დასავლეთით, ნაქალაქარ წუნდასთან ახლოსაა. მიიჩნევენ, რომ ტბის ქვაბული წარმოიშვა ახალქალაქის ლავური პლატოს დასავლეთ პერიფერიის დამეწყვრის შედეგად. ტბა გაუმდინარია, თუმცა აქვს მიწისქვეშა სადინარი მდ. მტკვრის ხეობისაკენ (ნიკოლაიშვილი, სართანია, უჯმაჯურიძე, ლაღიძე, ტრაპაიძე, ნანობაშვილი 2016: 272).

34 იარუსებად გამოკვეთილი ვაჰანის სამონასტრო კომპლექსი მრავალრიცხოვან სენაკებთან ერთად მოიცავს: შვიდ დარბაზულ ეკლესიას და ნახევრადგამოქვაბულ გუმბათიან ტაძარს, სამეურნეო სათავსებს, ჯავახეთის ზეგანის წყაროებიდან გამოყვანილ წყალსადენს, არხებს, დამაკავშირებელ გვირაბებს და მონასტრის დამცველ ზღუდეს. ვანის ქვაბის ძირას, მის აღმოსავლეთით, გოგაშნელების ბაღებთან, მონასტერთან არსებულ სოფელ ვანის ქვაბს (1930-იან წლებში ამ ადგილას ნასოფლარიღა იყო შემორჩენილი).




1089 წლის თმოგვის მიწისძვრის ამსახველი რუკა. ვარსკვლავებით ნაჩვენებია თმოგვი, დავით გარეჯი და ალავერდი

ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ვანის ქვაბის დაზვერვითი გათხრებისას, 1966 წლიდან კი სტაციონარული არქეოლოგიურ-არქიტექტურული კვლევა-ძიებისას, XI საუკუნეში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამონასტრო კომპლქსის ცენტრში, მე-16 იარუსზე, კლდეში გამოკვეთილი XIV-XV სს-ში აგებული გუმბათიანი ტაძრის მიმდებარე მონაკვეთი. აქ გაიწმინდა ნაშალით დაფარული რამდენიმე ადრეული ქვაბი (№ 1 უბანი); ასევე, ქვედა იარუსში, მონასტრის ზღუდის შიგნით, ეზოსკენ, არქეოლოგიური სამუშაოებისას გამოჩნდა ნგრევის შედეგად დაფარული ხუთი სართული, ხოლო ტაძრის ქვემოთ, მე-13 სართულზე, გაიწმინდა მიწისძვრისას გაუქმებული ქვაბი (№57). ამ უკანასკნელში აღმოჩნდა დაკონსერვებული XI საუკუნის შუახანებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა – წერნაქიანი (წითელი ანგობი ანუ რკინის ჟანგშერეული წმინდა სტრუქტურული თიხა) ჯამები (გაფრინდაშვილი 1971: 108; გაფრინდაშვილი 1966: 108; ბურდილაძე 1988: 22). XI საუკუნის დამლევს მომხდარი მიწისძვრისას, სავარაუდოდ, დაინგრა ნახევრად კლდეში ნაკვეთი წმ. გიორგის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი (ე.წ. კუპელჰალე), რომელშიც სამონასტრო ცხოვრების განახლების კვალად მოგვიანებით აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებიათ, რაზედაც მიუთითებს XIII საუკუნეში აწყურის მიწისძვრისას ნანგრევებში მოყოლილი XII-XIII სს-ის დასაწყისის წარწერები. მათში საუბარია 1185-1191 წლებში ადგილობრივი დიდებულის, იჩქით გურგენისძის, მიერ წმ. გიორგის ქვაბოვანი ტაძრის აღდგენის, მისი კედლით გამაგრე-

ბისა და „გურგენთა სახლის“ საგვარეულო ეგვტერის მოწყობის შესახებ,[35] ხოლო მეორე წარწერა ეხება თამარის ზეობის მე-20, 1204 წელს სამეფო ხელისუფლებისა და მწიგნობართუხუცეს ანტონ ჭყონდიდელის მიერ მონასტრის 100 მეტრიანი ქვიტკირის ზღუდით გამაგრებას (გაფრინდაშვილი 1988: 42-45). მონასტრის გრანდიოზული ზღუდის მშენებლობას, როგორც ეს ეპიგრაფიკული წარწერებიდან ირკვევა, წინ უძღოდა მიწისძვრით დანგრეული წმ. გიორგის გუმბათიანი ტაძრის აღდგენა და მასში წირვა-ლოცვის განახლება.

*დავით გარეჯის წამებულის უდაბნო.* XI საუკუნის დამლევს კიდევ ერთი მიწისძვრა, სავარაუდოდ, აფტერშოკი, ფიქსირდება გარე კახეთის, ანუ ისტორიული კუხეთის, კიდეში, თბილისიდან 60 კილომეტრზე, მტკვრის პარალელურად გადაჭიმულ გარეჯის მთებსა და ივრის ხეობის ქვედა წელის ნახევრადუდაბნო მხარეში, რუსთავ-ყარაიას უდაბნოს დასამხარზე, დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის[36] ჩრდილო-დასავლეთ მასივში გამოკვეთილი წამებულის უდაბნოს ქვაბოვანი ეკლესიის წარწერაში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მრავალმთის დასავლეთ მასივის (წამებული, მრავალწყარო, თეთრი უდაბნო) და ივრისპირა გარეჯის (საბერეები, სატორგე, ქოლაგირი) მონასტრების კომპლექსურმა შესწავლამ და იქ ფიქსირებულმა მრავალრიცხოვანმა პილიგრიმულმა და ფრესკულმა წარწერებმა საფიქრებელი გახადა, რომ გარეჯის ამ ნაწილში გამოკვეთილი მონასტრები და მათ სიახლოვეს არსებული პატარ-პატარა ჯგუფები, იშვიათი გამონაკლისის გარდა (თეთრი უდაბნო – VII-VIII სს., ქოლაგირი – XII-XIII სს.), IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ XI საუკუნის შემდგომ სამონასტრო ცხოვრება იქ იმ მასშტაბით, როგორც ეს ადრეულ პერიოდში შეინიშნება, აღარ განვითარებულა, ხოლო XIII საუკუნის შემდგომ თანდათან ჩაკვდა და მიტოვებულ იქნა, რაც, სა-

---

35 ტაძრის შესასვლელთან აღმოჩენილი ბალავრის ქვაზე ვკითხულობთ: „იესო ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთ მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იჩქითმან გურგენისძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასვენენ ხატნი მაცხოვრისაჲ, ღმრთისმშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ და ჯუარი წმდისა სვიმეონისი, ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიხსენეთ.“

36 ისტორიულად დღევანდელი გარე კახეთის ჩრდილოეთ ნაწილი, ივრის მარცხენა მხარე, სუჯეთად იწოდებოდა, ივრის მარჯვენა მხარე – გარეჯად. ფიზიკურ-გეოგრაფიულად, ივრის, ანუ ჰერეთის, ზეგანი შემოსაზღვრულია: ჩრდილო-დასავლეთით – გომბორის ქედით, ჩრდილოეთით – საგურამო-იალნოს ქედით, ჩრდილო და სამხრეთ დასავლეთით – მტკვრის ხეობით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით შირაქის ველით (თოდრია – ფუტკარაძე 1988: 114-115, 116). ორ ათეულზე მეტი დიდი და მცირე ქვაბოვანი მონასტერი გამოკვეთილია მშრალი ხევებით, ხრამებითა და ღარტაფებით გამოყოფილი ქვიშაქვების, თიხებისა და კონგლომერატების ფერადი ქანებით აგებულ ქედებსა და სერებში. ეს ტერიტორია ამჟამად უწყლო ნახევარუდაბნო ველს წარმოადგენს, მშრალი სტეპისათვის დამახასიათებელი ტიპური კლიმატური პირობებითა და ლანდშაფტით.

ვარაუდოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად, მომხდარ მიწისძვრას უკავშირდებოდა. კატასტროფის შესახებ პირდაპირ წერილობით დადასტურებას დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთ მასივში გამოკვეთილ წამებულის უდაბნოში ამოკაწრულ XI საუკუნის ერთ-ერთ წარწერაში ვხვდებით. კომპლექსის ზედა იარუსს, რომლის ბირთვსაც დარბაზული ეკლესია, კარიბჭე და საცხოვრებელი სათავსი შეადგენს, წინა საფასადო მხარე ჩამორღვეული აქვს. ამის გამო იქ მოხვედრა მხოლოდ სპეციალური აღჭურვილობით შეიძლება. ეს ყოველივე მომხდარი კატასტროფით გამოწვეულ ნგრევაზე უნდა მიანიშნებდეს. მიწისძვრის შესახებ წარწერა წამებულის „ხარიტონის ქვაბის" სახელით ცნობილ ქვაბოვან სამლოცველოში საკურთხეველთან გასასვლელის დასავლეთ კედლის ნალესობაზეა ამოკაწრული. ადგილობრივი ბერის მიერ ნალესობაზე ამოკაწრულ წარწერაში მოთხრობილია 31 მაისს („მაისის გარდამავალსა"), ხუთშაბათ დღეს, „სამხრის" დროს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ, რომლის დროსაც დაინგრა ეკლესიები, ციხეები, შენობები და მრავალი ადამიანი დაიღუპა:

> მაისსა გარდამავალსა იძრა ქუეყანაჲ სამხრისა ჟამსა, დღესა ე შაბათსა, ეკლესიანი დაირღუეს და ციხენი დაეცნეს და ნაშენებნი და სულნი მრავალთანი გარდაიცვალნეს და დიდი შიში და ზარი დაეცა ყოველსა ხორციელსა (გაფრინდაშვილი 1976: 184-186; National Cultural Heritage Program 1997: 45).

კალიგრაფიული ნუსხური ხელით შესრულებული გრაფიტი პალეოგრაფიულად XI-XII საუკუნეებს არ სცილდება. ამის საფუძველზე სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გრაფიტში საუბარია 1089 წლის აღდგომა დღეს მომხდარ ცნობილ მიწისძვრაზე, რომლის შემდგომი ძლიერი რყევები წლის ბოლომდე გრძელდებოდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში წამებულის წარწერაში დაფიქსირებული მიწისძვრა არქიტექტორ გივი გაფრინდაშვილის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა XI საუკუნის დამლევს ჯავახეთში მომხდარ მიწისძვრასთან და, შესაბამისად, წარწერაც 1089 წლით იქნა დათარიღებული (გაფრინდაშვილი 1976: 177-186).

მიწისძვრა ჯავახეთში აღდგომა დღეს, 1089 წლის 1 აპრილს (მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, 1088 წლის 16 აპრილს), მოხდა, გარეჯის მრავალმთაში კი ორი თვის შემდეგ – 31 მაისს, ხუთშაბათ დღეს. სავარაუდოდ, ამ განმეორებითი ძლიერი მიწისძვრისას დაინგრა დავით გარეჯის დასავლეთ მასივის მონასტრები: წამებული, მრავალწყარო, თეთრი უდაბნო, ნათლისმცემლის ჩრდილოეთით გამოკვეთილი ადრეული ხანის ქვაბ-სამლოცველოები. გარეჯის ამ ნაწილში მომხდარ კატასტროფაზე მიანიშნებს როგორც გარეჯელი ბერის მიერ ამოკაწრული წარწერა წამებულის უდაბნოდან, ასევე დასახელებული მონასტრების ჩამორღვეული ფასადები

და მიწით დაფარული ქვაბ-სამლოცველოები. ამის თვალსაჩინო მოწმობაა თეთრ უდაბნოში ქვიშაქვაში გამოკვეთილი ქვაბოვანი ეკლესიის ჩამოქცეული ფასადი, ორად გაპობილი კონქი და მასზე შესრულებული გრაფიტები, რომლებიც XI-XII საუკუნეებს არ სცილდება. მომხდარი კატასტროფის შემდეგ ამ უდაბნოში სამონასტრო ცხოვრება, სავარაუდოდ, აღარ განვითარებულა. გარეჯის მრავალმთის დასავლეთი მასივის გამოქვაბული მონასტრების არქიტექტურის, კედლის მხატვრობისა და ეპიგრაფიკის სრული ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის მიზნით ჩატარებული ექსპედიციებისას გაირკვა, რომ მრავალმთის დასავლეთ მასივის უდაბნო-მონასტრებში სამონასტრო ცხოვრების მასშტაბები XI საუკუნის შემდეგ დაემცრო, ხოლო XIII საუკუნის გასულიდან თანდათანობით ჩაკვდა. სავარაუდოდ, ეს, ნაწილობრივ, კატასტროფით გამოწვეულ ნგრევას უკავშირდებოდა (კლდიაშვილი 1997: 41, ტაბ. XVII).

*ალავერდი*. 1089 წლის მიწისძვრას უნდა უკავშირდებოდეს მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირას, გაშლილ ველზე მდგარი ალავერდის წმინდა გიორგის საკათედრო ტაძრის ფრაგმენტულად მოღწეული ფრესკული წარწერა, რომელშიც საუბარია დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული სააღმშენებლო სამუშაოების და გუმბათის აშენების შესახებ. საუკუნეთა განმავლობაში მიწისძვრით მრავალგზის დანგრეულმა ტაძარმა პირველი დაზიანება, სავარაუდოდ, დავით აღმაშენებლის გამეფებისას მომხდარი მიწისძვრისას მიიღო. ალავერდის ტაძარში 1967 წელს მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებისას (მხატვარ-რესტავრატორები: შ. აბრამიშვილი, კ. ბაკურაძე) საკურთხევლის აფსიდში გამოჩნდა თეთრ ფონზე შავი საღებავით შესრულებული ვრცელი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები (სულ ექვსი), რომელიც ერთ დროს მონუმენტური წარწერის დაახლოებით მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენდა:

I. [...]ბითა და შემკ(ო)ბითა და სარკუმელთა გამოჭოლითა გ[...] |
[...]ისოსი მე ადგილსა მოდ[...]ხსაებრ[...] და შე[...]
II. [...]ოდ გუნბადი აღვ(ა)შ(ე)ნე და სრ(უ)ლ-ვყ(ა)ვ ყ(ოვლ)ით(უ)რთ [...] |
[... თანაშეწევნითა მამისა მა]თ(ი)სა გ(იორგ)ისითა, ძესა მ(ა)თსა მ(ე)ფ(ე)თა მ(ე)ფ(ე)სა დ(ავი)თს, ა(მე)ნ.
III. [...] და მომმადლა ღმერთმან [...]
IV. [...] და მერმე საკურთხეველ[...] | ჟ, ყოვლად საღმრთო [...]
V. [...]თა აღ(უ)მართე [...] | [...] [მ]გალობელთაჲსა მო[...]
VI. [...] და მრავალი სახ[ლი ა]ვაგენ [მა]თთ(ჳ)ს გამზადებულნი და [...] |
[...] გუნბადნი მოგებულნი [...] შენ მიერ შე[...] |
[...] რომლითა მშ(ჳ)დ[(ო)ბისა [...] |
ზღ[...]სი ამ[...]მა ათრი[...] |
[...]თმეთა მათ სტ[...] სიმრავლისაგან მ[...]დ |
[...] რაჲმე რა[...] და სი[...]ლასს იგ[ი ...] მყო ამ |

[... შემოვარ]ტყინ ? ეკ(ლე)სიასა [...] [ქარ]თლ(ი)საჲ ? [...] |
[...]ონდიდი ს [...] (სილოგავა 1992: 83-96).

წარწერაში იხსენიებიან გიორგი II და მისი ძე, მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორიული რეალიების გათვალისწინებით, წარწერა 1104-1112 წლებს შორისაა შესრულებული. სავარაუდოდ, წარწერა ეხებოდა მათ მიერ ტაძარში მასშტაბური აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, ჩამოქცეული გუმბათის ხელახლა აშენებას, აგრეთვე, ეკლესიებისა და ნაგებობების აღდგენას (სილოგავა 1992: 83-96; კულტურის ძეგლთა აღწერილობა (2) 2004: 45-46).

## მიწისძვრის თარიღი

ჯავახეთში აღდგომა დღეს მომხდარ მიწისძვრას, რომელსაც ერთწლიანი „საშინელი" ძვრები მოჰყვა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, წინ უსწრებდა დავითის გამეფება. ამ ცნობაზე დაყრდნობით მიჩნეულია, რომ ჯავახეთში მიწისძვრა მოხდა 1088/89 წელს.

XVIII-XIX საუკუნეების ავტორები (ბატონიშვილი ვახუშტი, ნიკო დადიანი), მიწისძვრის თარიღად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაზე დაყრდნობით, 1088 წელს ასახელებენ. ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) მიხედვით, მიწისძვრა მოხდა 1088 წელს: „ ...დღესა აღდგომისასა ესეოდენ შეიძრა ქუეყანა, რამეთუ დაირღუნენ კლდენი, ქალაქნი, ციხენი ნაშენებნი და მრავალნი მოსწყდნენ ქ(რისტ)ეს ჩ~პჱ (1088), ქართულსა ტ~ჱ (308) ... არამედ იყო ესევითარი ძვრა ერთ წელ. შემდგომად მიიცვალა მეფე გიორგი ქ(რისტ)ესა ჩ~პთ (1089), ქართულსა ტ~თ (309)."

ვახუშტის დათარიღება უმეტესწილად გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასა და სეისმურ კატალოგებში. ამის შესაბამისად, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მიწისძვრა ჯავახეთში მოხდა 1088 წლის აღდგომა დღეს – 16 აპრილს (The Georgian Chronicle 1991: 7, შენ. 17, 150), 22 აპრილს (Кондорская, Шебалин 1977: 479).

ჯავახეთში მომხდარი მიწისძვრის თარიღს ნაწილობრივ აზუსტებს კინკლოსური ჩანაწერი ე.წ. „აფხაზთა ქრონიკაში", რომელშიც მიწისძვრის თარიღად მითითებულია 1089 წელი – ქორონიკონი ტთ (309), დასაბამითგან – ხქკგ (6693), ე. ი. წელი, როდესაც დავითი მეფედ დაჯდა. 1089 წელს აღდგომა დღე 1 აპრილს მოდიოდა, ხოლო გარეჯის მრავალმთაში მიწისძვრა დაფიქსირდა ორი თვის შემდეგ – 31 მაისს, ხუთშაბათ დღეს (1089 წლის 31 მაისი მართლაც ხუთშაბათი იყო). კითხვაზე, შეეძლო თუ არა გარეჯში მყოფ ბერს 1089 წლის 1 აპრილის ჯავახეთში მომხდარი ძლიერი მიწისძვრიდან ორი თვის შემდგომ დაეფიქსირებინა განმეორებითი დამანგრეველი მიწისძვრა ქვეყნის მეორე კიდეში, პასუხია, რომ, სავარაუდოდ,

შეეძლო.[37] თუ გავითვალისწინებთ, რომ წარწერის პალეოგრაფიული დათარიღება არ გამორიცხავს ცდომილებას რამდენიმე ათეული წლის ფარგლებში, ასევე შეიძლება დავუშვათ, რომ გარეჯის წარწერაში საუბარია სხვა რომელიღაც მიწისძვრაზე, რომელსაც XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ჰქონდა ადგილი.[38]

წერილობითი და ნივთიერი მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯავახეთში მიწისძვრა მოხდა 1089 წლის აღდგომა დღეს, 1 აპრილს, ხოლო შემდგომი „საშინელი" დამანგრეველი ბიძგები წლის ბოლომდე (ვარ. ერთი წელი) გრძელდებოდა. საისტორიო წყაროების ჩვენებით, მიწისძვრის არეალი საკმაოდ დიდი იყო და, სავარაუდოდ, მოიცავდა სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, ჯავახეთის ვულკანური პლატოდან მოყოლებული ისტორიულ გარე კახეთში – რუსთავ-ყარაიას შესაყარზე მდებარე გარეჯის ქვაბოვან უდაბნოებსა და ალაზნის აუზს. 1089 წლის მიწისძვრის სიმძლავრე განისაზღვრება ±7.0-7.5 და მაკროსეისმური ეფექტით 9 (MSK შკალით) ბალით.

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**აფხაზეთის ქრონიკა** 1892 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892.

**ბატონიშვილი ვახუშტი** 1973 = ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

**ბერძენიშვილი** 1988 = დ. ბერძენიშვილი, ვარძია და თმოგვის ქვეყანა, *ძეგლის მეგობარი*, 2, 1988: 46-54.

ბერძენიშვილი 1964 = ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. I, თბილისი, 1964.

**ბუგიანაშვილი** 1988 = თ. ბუგიანაშვილი, დავით-გარეჯის უდაბნოს ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები, *გარეჯი. გარე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, VIII, თბილისი, 1988: 18-37.

37 უახლოეს წარსულში ასე მოხდა 1991 წლის 29 აპრილის რაჭის 8-9 ბალიანი მიწისძვრის შემდგომ, როცა მომდევნო თვეებში დაფიქსირდა ორ ათეულზე მეტი ძლიერი აფტერშოკი, მათ შორის, 3, 4 მაისსა და 15 ივნისს 8 ბალიანი მიწისძვრა ბარისახოში, რომლის დროსაც დაინგრა შიდა ქართლის სოფლები.

38 მაგალითად, 1114 წლის მიწისძვრების ჯაჭვი, რომელთა ეპიცენტრიც სირიასა და მესოპოტამიაში იყო და „გავრცელდა შორს, აღმოსავლეთის ყველაზე შორეულ რეგიონებშიც კი" (წურწუმია 2017: 156-164), ან 1139 წლის 30 სექტემბრის მიწისძვრა განჯაში (Guidoboni, Traina 1995: 134-137).

**ბურდილაძე** 1988 = ს. ბურდილაძე, წერნაქიანი ჭურჭელი ვანის ქვაბის უდაბნო-მონასტრიდან, *ძეგლის მეგობარი*, 2, 1988: 22-29.

**გაბაშვილი** 1985 = ც. გაბაშვილი, *ზედა ვარძია*, თბილისი, 1985.

**გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები** 1999 = *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები*, ტ. I, ნაკ. 1, გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ, თბილისი, 1999.

**გაფრინდაშვილი** 1966 = გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, *ძეგლის მეგობარი*, 2, 1966: 3-9.

**გაფრინდაშვილი** 1976 = გ. გაფრინდაშვილი, 1089 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ გარეჯის წამებულის უდაბნოს „ხარიტონის ქვაბიდან“, *მაცნე* (ისტორიის სერია), 2, 1976: 177-186.

**თოდრია – ფუტკარაძე** 1988 = თ. თოდრია, ა. თოდრია, მ. ფუტკარაძე, გარე კახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გარეჯი. გარე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII, თბილისი, 1988: 114-115, 116.

**კლდიაშვილი** 2021 = დ. კლდიაშვილი, მიწისძვრები საქართველოში ისტორიული წყაროების მიხედვით: 1089 წლის მიწისძვრა, *History, Archaeology, Ethnology // ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია,* №6: 228-239.

**Online ISSN:** 2449-285**X** / URL მისამართი: http://sciencejournals.ge/index.php/HAE.

**მცირე ქრონიკები** 1968 = *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები),* ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968.

**ნიკო დადიანი** 1962 = ნიკო დადიანი, *ქართველთა ცხოვრება*, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბილისი, 1962.

**ნიკოლაიშვილი, სართანია, უჯმაჯურიძე, ლაღიძე, ტრაპაიძე, ნანობაშვილი** 2016 = დ. ნიკოლაიშვილი, დ. სართანია, ა. უჯმაჯურიძე, ლ. ლაღიძე, ვ. ტრაპაიძე, თ. ნანობაშვილი, *სამცხე-ჯავახეთი. ცნობარი*, თბილისი, 2016.

**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა** 1990 = *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* წ. 2, თბილისი, 1990.

**სილოგავა** 1992 = ვ. სილოგავა, XII საუკუნის ქტიტორული წარწერის ფრაგმენტები ალავერდის ტაძრის საკურთხეველში დავით აღმაშენებლის მოხსენიებით, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,* ენისა და ლიტერატურის სერია, 1992, N4: 83-96.

**ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი** 1953 = *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი.* ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953.

**ცხოვრება მეფით მეფისა დავითისი** 1955 = ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, *ქართლის ცხოვრება*, I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

**ცხორებაჲ მეფით მეფისა დავითისი** 1955 = *ცხორებაჲ მეფით მეფისა დავითისი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბილისი, 1992.

**წურწუმია** 2017 = მ. წურწუმია, ცნობა საქართველოს შესახებ ფულხერიუს შარტრელის ქრონიკაში, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, XII, თბილისი, 2017: 156-164.

**Alexidze** 2000 = A. Alexidze, Martha-Maria: An Outstanding Personality in the Cultural History of Georgia and Byzantium, in: Koromila, M., *The Greeks and the Black Sea from the Bronze Age to the early twentieth century*, Athens, 2002.

**Buchukuri** 2001 = M. Buchukuri, The Restoration of Gareja Murals, in: Z. Skhirtladze ed., R*esults and Prospects, Desert Monasticism Gareja and Christian East.* Papers from the International Symposium. Tbilisi University, September 2000 (Tbilisi, 2001): 264-275.

**Guidoboni, Traina** 1995 = E. Guidoboni and G. Traina, 1995, A New Catalogue of earthquakes in the Historical Armenian Area from Antiquity to the 12th Century, *Annali di Geofisica*, Vol.38, N. 1, March, 1995: 85-147.

**Karapetian** 1986, 1991 = N.K. Karapetian, *Earthquakes of the Armenian Highlands (Seismic Settings)*, Yerevan. 1986 (რუსულ ენაზე); University of Southern California, Los Angeles, 1991 (ინგლისურ ენაზე).

**Kldiashvili, Elashvili** 2020 = D. Kldiashvili, M. Elashvili, Earthquakes on the Territory of the Davit Gareji Desert according to the Historical Sources, *International Conference – David Gareji. Multidisciplinary Study and Development Strategy. April 18, 19, 20, 2019, Georgia. Proceedings*, Tbilisi 2020: 165-169.

**National Cultural Heritage program 1997** = Complete Photo and Graphical Fixation of Architecture, Murals and Epigraphy of Rock-cut Monasteries in the western Massif of Gareji, *Open Society Georgia Foundation National Cultural Heritage Program. 1997 Annual Report,* Tbilisi: 40-49.

**Skhirtladze** 2000 = Z. Skhirtladze, Newly Discovered Early Paintings in the Gareja Desert, in: A. Eastmond ed., *Eastern Approaches to Byzantium*, Aldershot, 2000: 149-68.

**The Georgian Chronicle** 1991 = *The Georgian Chronicle*, Tr. K. Vivian, Amsterdam, 1991.

**Varazanashvili – Tsereteli** 2011 = O. Varazanashvili, N. Tsereteli, E. Tsereteli, *Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Sources Analysis and Catalogue Compilation,* Tbilisi, 2011.

**Гаприндашвили** 1988 = Г. Гаприндашвили, Пустинь, как монастырский ансамбль. Ванис-кваби – пустынь-монастырь, *საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. სპელეოლოგიური კრებული,* 12, თბილისი, 1988: 45-52.

**Кондорская, Шебалин** 1977**,** 1982 = Н.В. Кондорская, Н.В. Шебалин (ред.), *Новый каталог сильных землетрясений на территории СССР с древнейших времен до 1975 г.,* Москва, 1977 // N.V. Kondorskaya and N.V Shebalin (eds), New Catalogue of Strong Earthquakes in the USSR from Ancient Times through 1975. 2nd edition, Boulder, Colorado, 1982.

**Материалы по Архелогии Кавказа 1909** = *Материалы по Археологии Кавказа,* Вып. XII, Под редакцией графинии Уваровой, Москва, 1909.



სურ.1. თმოგვის ციხესიმაგრე. საერთო ხედი



1-1. ხედი თმოგვის ციხესიმაგრეზე, წმ. ეფრემის ეკლესიასა და ნამოსახლარზე. X-XIII სს.



1-2



1-3. ხედი წმ მარინეს ეკლესიაზე. 1304 წ.



სურ. 2. ვანისქვაბები. საერთო ხედი ზედა იარუსზე. VIII-XVI სს.

2-1





2-2. არქეოლოგიური გათხრების ამსახველი დოკუმენტური მასალა. პუბლიკაციიდან – გაფრინდაშვილი 1966, 1988.



2-3



სურ. 3. ზედა ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესია. XI ს. შუახანები



სურ. 4. კუმურდო. 964 წ. პუბლიკაციიდან: Материалы по Архелогии Кавказа 1909



სურ. 5. გრაფიტები და წარწერა მიწისძვრის შესახებ გარეჯის ნამებულის უდაბნოდან. პალეოგრაფიული ასლი დ. კლდიაშვილის მიხედვით. 1997 წ.





5-1. გარეჯის  წამებულის უდაბნოს ცენტრალურ ნაწილში გამოკვეთილი ხარიტონის ქვაბად სახელდებული ეკლესია. ზ. სხირტლაძის ფოტო. 1997 წ.



სურ. 6. გარეჯის მრავალმთის მრავალწყაროს მონასტერი. ზ. სხირტლაძის ფოტო. 1997 წ.



სურ. 7. გარეჯის მრავალმთის თეთრი უდაბნო. VIII-IX სს. ზ. სხირტლაძის ფოტო. 1997 წ.



7-1



გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერი. ზ. სხირტლაძის ფოტო. 1997 წ.

# 7

## 1190/91 წ.

## აზერბაიჯანი – შემახა; სომხეთი – გეტიკის მონასტერი

*პირველწყარო: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; კირაკოს განძაკეცი*

დიდი კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, XII საუკუნის დამლევს, ისტორიულ შირვანში, ქალაქ შემახაში, მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ მოთხრობილია თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება-ში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. შირვანში, რომელიც იმ დროს საქართველოს სამეფოს ვასალური ქვეყანა იყო,[39] მიწისძვრის დროს დაინგრა შემახას გალავანი და ციხეები, დაიღუპა თითქმის მთელი მოსახლეობა, მათ შორის, შარვანშაჰი აღსართან I-ის (1160-1196) ცოლი და 11-12 წლის ვაჟი, მანუჩეჰრი (უფროსი ვაჟი მანამდე გარდაეცვალა). მიწისძვრის შემდგომ შირვანელებს დახმარება მხოლოდ თამარ მეფემ და დავით სოსლანმა გაუწი-ეს, რამდენადაც მომხდარი ტრაგედია ბაგრატიონთა სამეფო სახლსაც შე-ეხო – აღსართან I-ის დედა, შარვანშაჰ მანუჩეჰრ III-ის (1120-1160) თანამეცხ-ედრე თამარი იყო დავით აღმაშენებლის „პირმშო“ ქალიშვილი და გიორგი III-ის აღმზრდელი მამიდა. მამის გარდაცვალებისა და ძალაუფლების მოპ-ოვების შემდეგ აღსართან I-მა თამარი, რომელიც უმცროს ვაჟთან ერთად ყივჩაღების ხელშეწყობით ცდილობდა შირვანის საქართველოსთან შეერთე-ბას, აიძულა ის, საქართველოში გაქცეულიყო თავის ძმისშვილთან და აღზ-რდილ გიორგი III-სთან. აქ თამარმა (†1156) ააშენა თიღვის მონასტერი, სად-აც მონაზვნად შემდგარი სიცოცხლის ბოლომდე იმყოფებოდა.[40] შემახაში

39 1124 წელს ანისის აღების შემდეგ დავით აღმაშენებელი „წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებელად აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი ... და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისაჲ, აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი, თარასნი“ (ცხოვრება მეფით მეფისა დავითისი 1955: 345). სავარაუდოდ, სწორედ ამ დროიდან ატარებდნენ ქართველი მეფეები შირვანშაჰის ტიტულს.

40 ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე 1955: 366; ისტორიანი და აზმანი შარ-ავანდედთანი 1959: 10. 1167 წელს გიორგი III დაეხმარა თავის დისწულს აღ-სართან I-ს ქალაქების შაბურანის და დარუბანდის დაბრუნებისას, ხოლო 1178 წელს ესტუმრა შირვანს და მეგობრობის ხელშეკრულება დადო აღსართანთან,

მომხდარ მიწისძვრას თამარის ისტორიკოსი საგანგებოდ ეხება და აღნიშნავს:

> ... მას ჟამსა შერისხვაცა მოიწია სახლსა ზედა შარვანისასა: „რომელი შეაძრწუნებს ქუეყანასა, შეახებს მთათა და აღკუმოლებს,“ შერყევითა შეარყივნა და დასცა ზღუდენი და ციხენი შამახიისანი; უჩინო იქმნეს ყოველნი მას შინა მყოფნი, რომელსა შინა წარწყმდეს შარვანშას ცოლი და შვილნი. და მსმენელთა ამისთა, მტყებელთა თავისათა, დამსხმელთა თავთა ნაცრისათა, აღიხილნეს თუალნი მათნი, და იმ ჟამს რისხვამ მოიწია შარვანის სახლსა ზედა, შეირყა და დაეცა შამახიის ზღუდენი და ციხეები, მათში მყოფი ადამიანები უჩინო იქმნენ, ამ დროს დაიღუპა შარვანშა [აღსართანის] ცოლ-შვილი. არავინ იხილეს მჴსნელი და მაცხოვარი მათი, გარნა ღმერთ-ქმნილნი დავით და თამარ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 63).

შემახაში მომხდარი მიწისძვრის შესახებ ცნობას ასევე ვხვდებით XIV-XVI საუკუნეებით დათარიღებულ ქართულ ხელნაწერში შეტანილ ე.წ. „აფხაზთა ქრონიკაში“ (კურთხევანი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1110). ქრონიკალურ ჩანაწერში შემახაში მომხდარი მიწისძვრის და ლაშა-გიორგის დაბადების თარიღად 1192 წელია მითითებული. სავარაუდოდ, კინკლოსური ქრონიკის შემდგენელმა ეს ინფორმაცია, სხვა ადრეულ ქრონოგრაფიულ ცნობებთან ერთად, გადმოიტანა უფრო ძველი ქრონიკიდან. კინკლოსური ჩანაწერით:

> ქკ~სა უიბ (412), დასაბამითგან ხღჟვ (6796), აქა შარვანს შამახაჲ დაიქცა და თამარს ძე მიეცა გიორგი ლაშა.

## მიწისძვრის შედეგები სომხეთსა და საქართველოში

დიდი კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე შემახაში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი უნდა გამოეწვია საქართველოსა და სომხეთის მიმდებარე ადგილებშიც. სომხეთში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ მოგვითხრობს სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი (1200/2-1271). მისი ცნობით, 1190 წლის ახლო ხანებში მომხდარმა მიწისძვრამ ბევრი ადგილი დააზიანა სომხეთში, მათ შორის, გეღარქუნიქის პროვინციაში მთლიანად დაანგრია გეტიკში მდგარი ეკლესია:

> Ապա եղեւ շարժ սաստիկ, որ զբազում տեղիս կործանեաց եւ տապալեաց զբարձբերձ շինուածս, ընդ որս խախտեցաւ եւ եկեղեցին Գետկայ սաստիկ յոյժ, մինչ զի ոչ լինէր հնար

რომელიც ჯარით დახმარებია მას დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობაში (Ашурбейли 1988: 90-93).

> վերստին նորոգել (კირაკოს განძაკეცი 1961: 210).
> ...შემდეგ ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ბევრ ადგილას მაღალი შენობები დაანგრია და გაანადგურა. მათ შორის, გეტიკის ეკლესია ისე დაზიანდა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა (მაია დიასამიძის თარგმ.).

საქართველოში გამოწვეული ნგრევის შესახებ წერილობით წყაროებს ცნობა არ შემოუნახავს. არქეოლოგიური მონაცემებით, მიწისძვრის კვალი დასტურდება ივრისპირეთში, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის განაპირა ქოლაგირის ქვაბოვან მონასტერში, რომლის თარიღიც იქ შემორჩენილი ისტორიულ პირთა ვრცელი ფრესკული გამოსახულებების გათვალისწინებით, XII-XIII საუკუნეების მიჯნით, უფრო კი XII საუკუნის დამლევით, განისაზღვრება. ქოლაგირის მთავარი ეკლესიის ნგრევის სურათი ნათლად წარმოჩნდა 1997-98 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოებისას, გამოქვაბული კომპლექსის ჩამონაშალი ლოდებისა და ინტერიერის მიწისგან განთავისუფლების პროცესში. მთავარი ტაძრის, სატრაპეზოსა და სათავსებისაგან დარჩენილ ნანგრევებში უზარმაზარი ლოდების არსებობა იმაზე მიუთითებდა, რომ მონასტერი უცბად დაინგრა და ამის უმთავრესი მიზეზი ბუნებრივი კატასტროფა (მიწისძვრა) იყო. ეკლესიის გაწმენდისას დიდი რაოდენობით აღმოჩენილ კედლის მხატვრობის ფრაგმენტებზე გამოსახულებები და მათი ფერები, თვით მონასმებიც კი, ცოცხლად, ყოველგვარი სახეცვლა-დაზიანების გარეშე იყო შემორჩენილი, მოხატვის პროცესში ჩამოღვრილი ჯერ კიდევ სრულიად გაუხუნარი სხვადასხვა ფერის საღებავების კვალი ხელუხლებელი იყო ნაშალი მიწით ამოვსებული ეკლესიის დარბაზისა და ეკვდერების ხარისხზე. ამას გარდა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ თავის დროზე ბოლომდე არ მიუყვანიათ და შეუწყვეტიათ სამუშაოები კომპლექსის ცალკეულ ნაწილთა დამაკავშირებელი ერთიანი სადერეფნო სისტემის შემადგენელი იმ გვირაბისა, რომელიც აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ამჟამად მოწყვეტილ სათავსს უნდა დაკავშირებოდა. მომხდარი კატასტროფის შემდეგ ასწლეულების მანძილზე მრავალმთის ივრისპირა ნაწილი რომ გაუდაბურებული და მიტოვებული რჩებოდა, მეტყველებს ის გარემოებაც, რომ XIII საუკუნიდან მოყოლებული ქოლაგირში წარწერები არ გაუკეთებიათ, აქ მხოლოდ ნანგრევებით და ნაშალით ამოვსებულ ქვაბ-სამლოცველოების ზედა ნაწილის ნალესობაზე გვხვდება ადგილობრივ თუ შემთხვევით მისულთა მიერ XVIII-XX საუკუნეებში შესრულებული წარწერები და ნახატი გრაფიტები (სხირტლაძე 2000: 105-106).

### მიწისძვრის არეალი და თარიღი

მიწისძვრის გავრცელების არეალი, რომლის ეპიცენტრიც ქ. შემახა იყო, საკმაოდ ფართო იყო. მიწისძვრამ ბევრ ადგილას დიდ ადამიანურ მსხვერპლთან ერთად დიდი ნგრევა გამოიწვია. ქართული და სომხური წყაროების ჩვენებით, 1091/1092 წელს მიწისძვრამ ისტორიულ შირვანში სრულიად

გაანადგურა ქალაქი შემახა (აზერბაიჯანი), ხოლო სომხეთში, ქ. დილიჟანიდან 15 კილომეტრზე, ისტორიული კაენის ოლქში მდებარე გეტიკის ეკლესია; საქართველოში მიწისძვრით გამოწვეული ნგრევა ფიქსირდება ივრისპირეთში მდებარე ქოლაგირის მონასტერში.

„აფხაზთა ქრონიკის" ჩანაწერში მიწისძვრის თარიღად მითითებულია 1192 წელი – ქორონიკონი უიბ (412), დასაბამითგან ხღჟვ (6696), წელი, როდესაც თამარ მეფეს შეეძინა ლაშა-გიორგი. XVIII-XIX საუკუნეების ქართველი ისტორიკოსები (ბატონიშვილი ვახუშტი, ნიკო დადიანი) ამ ცნობაზე დაყრდნობით მიწისძვრის და გიორგი ლაშას დაბადების თარიღად 1192 წელს მიიჩნევენ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 181). ეს თარიღი, უმეტესწილად, გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიწისძვრა შემახაში მოხდა 1193 წელს (კიკნაძე 1980: 135). ეს უკანასკნელი თარიღი ნაკლებ სავარაუდოა, რამდენადაც კირაკოს განძაკეცის ცნობით, გეტიკში მიწისძვრისას დანგრეული მონასტრის სანაცვლოდ (რომლის აღდგენაც უკვე შეუძლებელი იყო) მხითარ გოშმა თამარ მეფის მსახურთუხუცესის, ივანე მხარგრძელისაგან გეტიკის დანგრეული ეკლესიის მახლობლად მიცემულ მიწაზე[41] ახალი მონასტრის ნორგეტიკის, ანუ ახალი გეტიკის (იგივე გოშვანქი), მშენებლობა 1191 წლისთვის წამოიწყო, რომლის მშენებლობაც დასრულდა 1187 წელს სალადინის მიერ იერუსალიმის აღების მე-4 ანუ 1192 წელს (კირაკოს განძაკელი (ტერ-გრიგორიანის თარგმ.) 1946: 260-261; 273 შენ. 691). კირაკოსის ამ ცნობის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ ქრონიკებში თარიღის მითითებისას ხშირია ცდომილება ერთი-ორი წლით, უპირატესობა 1190/1191 წელს მივანიჭეთ.

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**აფხაზეთის ქრონიკა** 1892 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892.

**ბატონიშვილი ვახუშტი** 1973 = ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973.

**ისტორიანი და აზამანი შარავანდედთანი** 1959 = ისტორიანი და აზამანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.

**კირაკოს განძაკეცი,** 1946, 1961, 1976 = Киракос Гандзакеци, *История*, Перевод с древнеармянского Т. Тер-Григорьяна, Баку, 1946; *Կիրակոս Գանձակեցի,*

41 უფრო ადრე საქართველოს მეფე გიორგი III-ს (1156-1184) გეტიკის მონასტრისათვის სიგელით დაუმტკიცებია ორი სოფელი – აბასძორი და ტანძუსი, ბაღი მიჯნადშენში (კირაკოს განძაკეცი 1946: 273, შენ. 691).

*Պատմություն Հայոց Աշխատասիրությամբ* Կ.Ա. Մելիք - Օհանջանյանի, Երեվան, 1961 // კირაკოზ განძაკეცი, *სომხეთის ისტორია,* კ. მელიქ-ოჰანჯანიანის გამოც., ერევანი, 1961; Киракос Гандзакеци, *История Армении*, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларя, Москва, 1976.

**ლაშა-გიორგისდროინდელი მემეატიანე 1955** = *ქართლის ცხოვრება*, I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

**მცირე ქრონიკები** 1968 = *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერე-ბი)*, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968.

**ნიკო დადიანი** 1962 = ნიკო დადიანი, *ქართველთა ცხოვრება*, შ. ბურჯანაძის გა-მოცემა, თბილისი, 1962.

**სხირტლაძე** 2000 = ზ. სხირტლაძე, *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში*, თბილისი, 2000.

**ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი** 1955 = *ქართლის ცხოვრება*, ქართლის ცხოვრე-ბა, I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშ-ვილის მიერ, თბილისი, 1955.

**ცხოვრებაჲ მეფეთ მეფისა დავითისი 1992** = *ცხოვრებაჲ მეფეთ მეფისა დავითი-სი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბილისი, 1992.

**Guidoboni, Traina** 1995 = E. Guidoboni and G. Traina, 1995, A New Catalogue of earthquakes in the Historical Armenian Area from Antiquity to the 12th Century, *Annali di Geofisica*, Vol.38, N. 1, March, 1995.

**Varazanashvili – Tsereteli 2011** = O. Varazanashvili, N. Tsereteli, E. Tsereteli, *Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Sources Analysis and Catalogue Compilation*, Tbilisi, 2011.

**Ашурбейли 1988** = С. Б. Ашурбейли, Эпистолярное наследие Хакани Ширвани как источник по социально-политической истории государства ширваншахов во второй половине XII в., *Советское Востоковедение. Проблемы и перспективы*, Москва, 1988: 89-94.

**Кикнадзе** 1980 = Р. Кикнадзе, *Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и Картлис Цховреба*, Тбилиси, 1980.



სურ. 1. გეტიკის მონასტრის ნანგრევები



1-2



სურ. 2. ნორ-გეტიკი (გოშვანქი). XII, XIII სს.



სურ. 3. ქოლაგირის მონასტრის გაწმენდითი სამუშაოებისას გამოვლენილი ფრესკების ფრაგმენტები. ზ. სხირტლაძის ფოტო. 1998 წ.



3-1



3-2



3-3. წმინდანთა რიგი ცენტრალური ნავის დასავლეთის კედელზე



სურ. 4. დიდი ქვაბები




სურ. 5. გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსი. რუკა. პუბლიკაციიდან – სხირტლაძე 2000



აწყურის საკათედრო ტაძარი. 2016 წ.

8

1275 წ. 10–13 აპრილი

## აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო – აწყურის ტაძარი, მცხეთა, სვეტიცხოველი; აღმოსავლეთ ანატოლია და ჩრდილოეთ ირანი – კილიკია; ნიშაბური; თავრიზი; ხლათი

*პირველწყარო: ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“;*
*მხითარ აირივანეცი, „ქრონოგრაფიული ისტორია“;*
*სამუელ ანეცის „ქრონიკის“ გამგრძელებელი სტეფანოს ეპისკოპოსი*

ასწლოვანი მატიანის XIII საუკუნის უცნობი ჟამთააღმწერელი სამცხე-ჯავახეთში აღდგომის დღესასწაულისას მომხდარ ძლიერ მიწისძვრას აწყურში შეესწრო. მემატიანე, რომელიც კატასტროფის თვითმხილველია, დაწვრილებით მოგვითხრობს მიწისძვრის მიმდინარეობისა და სასტიკი ნგრევის შესახებ. მისი გადმოცემით, აღდგომის დღესასწაულის წინ, ვნების კვირის დიდ ოთხშაბათს, მიწა ძლიერ იძრა; ხუთშაბათს სუსტი ძვრა მოხდა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია; უფლის ვნების პარასკევს მიწა კვლავ იძრა და გაჩერდა, ხოლო შაბათს, დღის სამ საათზე, ძლიერი მიწისძვრა მოხდა, მაღალი კლდეები ჩამოინგრა და მიწიდან ამოხეთქა კუპრივით შავმა წყალმა; ამ დროს სხვა ნაგებობებთან ერთად დაინგრა აწყურის საკათედრო ტაძარი, რომლის გუმბათიც ჩამოიქცა და ქუდივით დაემხო ტაძრის შუაში ლიტანიობად დასვენებულ აწყურის ღმრთისმშობლის ხატს. აწყურში მომხდარი მიწისძვრისას მხოლოდ სამცხე დაზიანდა, ხოლო ერთი თვის თავზე – ქალაქი მცხეთა და „მცხეთის საყდარი“; მიწისძვრის შედეგად სამცხეში მრავალი სული დაიღუპა და დაუნგრეველი არ დარჩა არცერთი ციხე, ეკლესია და შენობა. მემატიანის გადმოცემით:

> და მოიწია ვნების კჳრიაკე და დიდსა ორშაბათსა შეიძრა მძაფრად ქუეყანა სამხილებლად უსჯულოებათა ჩუენთათჳს. და კუალად ხუთშაბათს მცირედ შეიძრა და არავინ გულისჴმა-ყო, რათამცა წყალობად აღეძრა ღმერთი შემნდობელი. და ვითარ მოიწია პარასკევი ვნებისა უფლისა, კუალადცა შეიძრა ქუეყანა, დაყუდდა და აღარა იქმნა. და ვითარ მოიწია შაბათი, და იქმნა სამ ჟამად დღე და ხვალისა დღე, ჯერ იყო სიხარული აღდგომისათჳს უფლისა და ყოველნი მოელოდეს სიხარულსა,

> ესეოდენ რისხვით მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა სიმრავლისათჳს უსამართლოებათა ჩუენთასა, რამეთუ საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შერწუნდა, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი და ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოჴრდეს, მთანი და ბორცუნი დაიზულეს, კლდენი, სახედ მტუერისა დაიგალნეს. და მიწა განიპო და შავი წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდიან ძრვასა ქუეყანისასა, რომლისათჳს საყდარი აწყუერის დაიქცა, რამეთუ ყოვლად წმიდა აწყუერისა ღმრთისმშობელი, ლიტანიობით შესუენებული, საშუალ საყდრისა ესუენა. გუმბადი ჩამოიჭრა და, ვითარ ქუდი კაცისა, ესრეთ თავსა დაერქუა, და დარჩა უვნებელად ძლიერებითავე მისითა. ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია, ვიდრე თჳსა ერთისა ჟამთამდე, გარნა სხუაგან არასადა ევნო. მცხეთის საყდარიცა დაიქცა, სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა, ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო (ჟამთააღმწერელი 1959: 277-278; ასწლოვანი მატიანე 1987: 167-168).

ჟამთააღმწერლის ცნობას იმეორებენ XVIII-XIX საუკუნეების ისტორიკოსები ვახუშტი ბატონიშვილი და ნიკო დადიანი. ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) იმეორებს რა ჟამთააღმწერლის ცნობას, მიწისძვრის თარიღად ასახელებს 1283 წელს: „შეიძრა ქუეყანა ხუთშაბათსა ვნებისასა სამხილებლად ცოდვათა ჩუენთათჳს; კუალად პარასკევს და შაბათს ეგრეთვე. გარნა არავინ გულისჴმა ჰყო, რათამცა აღსძრა ღმერთი მოწყალებად დღესა აღდგომისასა ესრეთ შეირყა, რამეთუ დაეცნენ ეკლესიანი, მონასტერნი, მთანი, კლდენი და ციხე-ქალაქნი, რომელ კუპრნიცა აღმოჴდებოდიან, რამეთუ აწყუერს ლიტანიობასა შემდგომად ესუენა ხატი აწყურისა საშუალსა ეკლესიისასა, ჩამოიჭრა გუმბათი და დაეხურა, ვითარცა ქუდი ხატსა მას დაუქცეველად ქ˜სა ჩ˜სპგ, ქართულსა ფ˜გ. არამედ ესევითარი ძვრა იყო სამცხეს და არა სადა სხუაგან, თჳნიერ დაიქცა მცხეთა“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 230). ნიკო დადიანი (1847-1903) იზიარებს ვახუშტის მიერ შემოთავაზებულ მიწისძვრის თარიღს და გვთავაზობს ჟამთააღმწერლის ცნობის შემოკლებულ ვარიანტს: „...მოიწია რისხვა ღვთისა და იქმნა საშინელი ძვრა, რომელი დაიქცა ეკლესიანი ღვთისანი, ციხე-ქალაქნი და ნაშენებნი ყოველნი, რომელ აღმოხდებოდა კუპრი მიწით. და ესრეთ ძვრა იქმნა თვით დღესა აღდგომისასა ქრისტეს ღვთისა ჩვენისასა“ (ნიკო დადიანი 1962: 109).

ამ პერიოდში მომხდარი მიწისძვრის შესახებ საუბარია XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მხითარ აირივანეცის (1230/35-1297/1300) ქრონოგრაფიულ ისტორიაში. მისი ცნობით, მიწისძვრა მოხდა კილიკიაში, ნიშაბურში, თავრიზში, ხლათსა და საქართველოში არღუნის მიერ სომხეთის

აღწერის მეორედ ჩატარებისას, ხოლო კილიკიაში – „მისრელთა“ მეორედ შესვლისას ხლათის ქვეყანაში:

> Ի Կիլիկիա շարժ մեծ եղեւ: Նուշաւուր եւ Թավրէզ կործանեցան: Արղունն կրկին համարեաց զաշխարհս: Շարժ եկն ի Վրացտուն եւ բազում վնաս արար: Մսրցին կրկին մտաւ ի Կիլիկիա: Շարժ եկն ի Խլաթ եւ համենայն սահմանս նորա (მხითარ აირივანეცი 1867: 83).
>
> კილიკიაში მოხდა დიდი მიწისძვრა. ნიშაბური და თავრიზი დაიქცა. არღუნმა ხელმეორედ აღწერა ჩვენი ქვეყანა. მიწისძვრა იყო საქართველოში, და დიდი ზიანი მოიტანა. მისრელები მეორედ შევიდნენ კილიკიაში. ხლათსა და მთელ მის საზღვრებში მიწა იძრა (მხითარ აირივანეცი, დავლიანიძის თარგმ.,1990: 84).[42]

მხითარ აირივანეცის ქრონოგრაფიულ ისტორიაში ცნობა საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შესახებ ჩართულია 1261 წლის შემდეგ მომხდარ იმ ამბებს შორის, რომლებიც ეხება მონღოლი დიდმოხელის არღუნის მიერ სომხეთში მოსახლეობის ხელმეორედ აღწერას (რაც სავსებით თანხვედრაშია ქართველი ჟამთააღმწერლის ცნობასთან აწყურის მიწისძვრის წინ არღუნის მიერ საქართველოში ჩატარებული აღწერის შესახებ) და მისრელთა (ეგვიპტელი მამლუქების) მეორედ შეჭრას კილიკიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1285 წელს ლევონ III-ის (1270-1289) დროს. მხითარ აირივანეცის ცნობის თანახმად, ამ პერიოდში მიწისძვრებმა მოიცვა კილიკია, ნიშაბური, დაანგრია თავრიზი, დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, ხლათს და მის მიმდებარე ადგილებს.

ვანის ტბის მიდამოებში, არჭეშსა და ხლათში, მომხდარი მიწისძვრის შესახებ ცნობებს გვაწვდიან XIII საუკუნის სხვა სომეხი ავტორებიც (სამუელ ანეცის ქრონიკის გამგრძელებელი სტეფანოზ ეპისკოპოსი, ანონიმი სებასტიელი), რომლებიც მიწისძვრის თარიღად 1275 წელს მიუთითებენ (ეპისკოპოს სტეფანოზის ქრონიკა 1951: 44; სამუელ ანეცი და გამგრძელებლები 2014: 255; ანონიმი სებასტიელი 1956: 146).

---

42 1283 წლის აგვისტო-სექტემბერში ვანის ტბის მიდამოებში მომხდარ მიწისძვრაზე ცნობები შემოინახა XIII საუკუნის სომხურმა ქრონიკებმა. სამუელ ანეცის ქრონიკის (XII ს.) და მისი გამგრძელებლების სხვადასხვა რედაქციებსა და გამოცემებში ეს მიწისძვრა 1280/82 და 1283/85 წლებზეა შეტანილი. მათევოსიანის ბოლო პუბლიკაციით, 1283 წლის აგვისტო-სექტემბერში (ნავასარდის თვეში) მიწისძვრა, რომელსაც წინ უსწრებდა მზის დაბნელება, მოხდა ვანის ტბის მიდამოებში, არჭეშსა და ხლათში (სამუელ ანეცის ქრონიკის გამგრძელებლები 2014: 257-258).

## მიწისძვრის თარიღი და არეალი

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, მიწისძვრა მოხდა 1283 წელს: „ქ˜სა ჩ˜სპგ, ქართულსა ფ˜გ“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 905). ამ თარიღს ნაწილობრივ ეთანხმება ნიკო დადიანი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ჟამსა ამას მოკვდა სარგის ჯაყელი“, რომელიც, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 1285 წელს (ნიკო დადიანი 1962: 109). ვახუშტი ბატონიშვილზე დაყრდნობით, მიწისძვრის ეს თარიღი ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიასა და სეისმურ კატალოგებში (Varazanashvili – Tsereteli 2011: 30-33).

ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ მიწისძვრამდე მონღოლთა მფლობელობისას „მთავართა იწყეს ჴელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდართა ზედა დიდებულსა აწყუერისასა. დაღათუ ამათ უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ნიკოლოზ მაწყუერელი ჯუანშერის-ძე, გარნა არავინ ყურად ილებდა სიტყვასა მათსა“, რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი უზენაესის მიერ მიწისძვრის სახით მოვლენილი სასჯელისა (ჟამთააღმწერელი 1959: 277). ჟამთააღმწერლის ტექსტზე დაყრდნობით, რევაზ კიკნაძემ დაადგინა, რომ მიწისძვრა სამცხეში მოხდა არა 1283, არამედ 1275 წელს, რასაც ამ პერიოდის სომხური ქრონიკების ავტორებიც ადასტურებენ. ჟამთააღმწერელთან მიწისძვრის შესახებ ცნობას წინ უძღვის თხრობა საქართველოსა და სომხეთში მონღოლთა მიერ მოსახლეობის აღწერის ახლო ხანებში სარგის და ბექა ჯაყელებთან არღუნის აწყურში მისვლისა და აღდგომის წმინდა მარხვის მეხუთე კვირას სარგისის ურდოში წაყვანის შესახებ. ამას უშუალოდ აგრძელებს ამბავი ვნების კვირის დიდ ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და უფლის ვნების პარასკევს პატარა მიწისძვრების შესახებ, რომელიც შაბათს დღის სამ საათზე დამანგრეველი მიწისძვრით და აწყურის ტაძრის დანგრევით დაგვირგვინდა. მიწისძვრის შესახებ თხრობას ჟამთააღმწერელი ასრულებს იმავე წელს („წელსა ამასვე შინა“) ყაენთან მისული არღუნის სიკვდილით, რომელიც ცნობილია, რომ 1275 წლის ივნისში გარდაიცვალა. ვინაიდან 1275 წელს აღდგომა 14 აპრილს მოდიოდა, შესაბამისად, შესაძლებელი გახდა აწყურში მომხდარი მიწისძვრის თარიღის ზუსტად განსაზღვრა 1275 წლის 10-13 აპრილით (კიკნაძე 1982: 175-176; Кондорская, Шебалин 1977:479).

1275 წლის მიწისძვრის არეალი საკმაოდ ფართო იყო და დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. ჟამთააღმწერლის გადმოცემით, „ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია, ვიდრე თჳსა ერთისა ჟამთამდე, გარნა სხუაგან არასადა ევნო. მცხეთის საყდარიცა დაიქცა, სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა, ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი“. აღდგომის წინ მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ მხოლოდ სამცხე დააზიანა, ხოლო დაახლოებით ერთი თვის თავზე (სავარაუდოდ, მაისის შუა რიცხვებში) განმეორებითმა მიწისძვრამ (სავარაუდოდ, აფთერშოკმა) ნგრევა გა-

მოიწვია მცხეთაში და დაანგრია სვეტიცხოველი. ქართული და სომხური წერილობითი წყაროების ჩვენებით, მიწისძვრა, საქართველოს გარდა, შეეხო კილიკიას (სომხური სახელმწიფო მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, 1080-1375 წწ.), ნიშაპურს (ქალაქი ჩრდილოეთ ირანში, ხორასან-რეზავის ოსტანში), თავრიზს (ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ოსტანის ადმინისტრაციული ცენტრი), ვანის ტბის სანაპიროზე მდებარე არჭეშს (ქალაქი ვანის ტბის სამხრეთით), ხლათს და მათ მიმდებარე ადგილებს (XIII საუკუნის დამდეგს სამხრეთ სომხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახელმწიფოს დედაქალაქი ხლათი მდებარეობდა ვანის ტბის დასავლეთ სანაპიროზე. ამჟამად ბითლისის პროვინცია აღმოსავლეთ ანატოლიაში).

## არქეოლოგიის და არქიტექტურის მონაცემები

მიწისძვრამ დიდი ადამიანური მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია სამცხესა და ქართლში, სადაც „ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი“. კატასტროფის შედეგების აღმოსაფხვრელად მიწისძვრის შემდგომ პერიოდში ჩატარებულ მასშტაბურ სამუშაოებზე მიუთითებს სამეფო ხელისუფლებისა და სამცხის ათაბაგთა მიერ სამცხე-ჯავახეთში დანგრეულ ეკლესია-მონასტრებსა და ციხე-სიმაგრეებზე (ვარძია, ვანის ქვაბები, თმოგვი, ხერთვისი...) ინტენსიური აღდგენით-სააღმშენებლო სამუშაოების წარმოება და ახლის აგება დაბაში, საფარაში, ზარზმაში, ჭულესა და სხვა ადგილებში (ბერიძე 1955: 18-19).

მიწისძვრას მნიშვნელოვნად უნდა დაეზიანებინა ჯავახეთის ზეგანსა და ერუშეთის მთიანეთს შორის თმოგვის კანიონსა და არტაანის მტკვრის ორივე ნაპირზე არსებული სამოსახლოები, ქვაბოვანი სამონასტრო კომპლექსები და ციხესიმაგრეები – ჯავახეთისა და არტაანის მტკვრის შესართავთან ხერთვისის ციხე-ქალაქი; არტაანის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, წუნდის ტბის მიდამოებში XII საუკუნის დამლევს აგებული დარბაზული ეკლესია; მის ზემოთ, ჯავახეთის ზეგანზე კუმურდოს ტაძარი; ვანის ქვაბების სამონასტრო კომპლექსი; წუნდის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარცხენა ნაპირას, ერუშეთის მთის ციცაბო ფერდობზე აღმართული თმოგვის ციხესიმაგრე და დასახლება; ვარძიის გრანდიოზული კომპლექსი და მის უკიდურეს დასავლეთით ანანაურის სამოსახლოები და ეკლესია; ზედა ვარძიის ეკლესია; სხვადასხვა დანიშნულების მცირე გამოქვაბული კომპლექსები: ჭოლთა, მარგასტანი, გელსუნდა, ფია, ბერთაყანა, კლდის სოფელი გაღმა ჭაჭკარი, მირაშხანი, ახჩია და მრავალი სხვა.

მნიშვნელოვანი ნგრევა უნდა მოჰყოლოდა მიწისძვრას ქართლშიც, რომლის დროსაც დაინგრა მცხეთა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. ქართლის მთელ რიგ ძეგლებზე 1275 წლის მიწისძვრის შემდგომ პერიოდში ჩატარებული აღდგენა-განახლებითი სამუშაოები მიწისძვრით გამოწვეულ ნგრევას უნდა უკავშირდებოდეს.

*აწყურის საკათედრო ტაძარი და ციხე.* ღვთისმშობლის მიძინების დიდი საკათედრო ეკლესია დგას სოფ. აწყურში, მდ. მტკვრის ნაპირზე, აბანოსღელის შესართავთან, ახალციხიდან 22 კმ-ზე (ახალციხის მუნიციპალიტეტი). ხელოვნურად მოსწორებულ დამრეც რელიეფზე მდგარი გრანდიოზული ტაძრის გუმბათი და ზედა ნაწილი მთლიანად ჩამონგრეულია. სოფლის მახლობლად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ძნელად მისადგომ კლდეზე აღმართულია აწყურის ციხე. ამჟამად აწყურის საკათედრო ტაძარზე და ციხესიმაგრეზე მიმდინარეობს სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები.

აწყური ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარია, რომელსაც ადრე სოსანგეთი რქმევია. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება I საუკუნეში ამ მხარეში ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, როცა აქ მდგარ არტემიდეს და აპოლონის საკერპო ტაძარში (შემდგომ „ძველ ეკლესიად წოდებული“ მცირე ეკვდერი) დაბრძანებულ იქნა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. აქ დიდი საყდრის აშენება და საეპისკოპოსოს დაარსება VII საუკუნეში ბიზანტიის კეისარ ჰერაკლეს ლაშქრობას უკავშირდება (ქართლის ცხოვრება 1955: 39-42; 224). აწყურში საეპისკოპოსო კათედრა და დასახლებული პუნქტია VIII-IX საუკუნეებში (გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება 1963: 267, 286,290-291, 294, 302). სავარაუდოდ, ამ დროს უნდა იყოს აგებული ციხესიმაგრეც. საყურადღებოა, რომ კათედრალის აგებისას გაუთვალისწინებიათ ადრე იქ მდგომი ადრეული ხანის დარბაზული ეკლესია, რომელიც ამჟამად მთლიანად მიწითაა დაფარული.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „თიხრევის ჴევს ზეით, მტკურის კიდეზედ, სამჴრით არს აწყუერი, ქალაქი და ციხე დიდშენი... აქა არს ეკლესია დიდშენი, შუენიერად ქმნული, გუმბათიანი, ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა. იჯდა მიტროპოლიტი, მწყემსი ყვიბის-კორტანეთის ზეითისა, და მტკურის ჩრდილოეთისა, და ბოცოს წყლის ჩრდილოეთის კერძოსი, ვიდრე გურიის მთისამდე. გარნა აწ უქმი არს, არამედ ციხესა შინა დგანან იენგიჩარნი. აქა არს ხიდი მტკუარსა ზედა“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 662). აწყურის ციხესიმაგრისა და ეკლესიის შესახებ XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საყურადღებო ცნობას გვაწვდის შვეიცარიელი მეცნიერ-მოგზაური, გეოლოგი და სიძველეების მკვლევარი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მისი დაკვირვებით, მიწისძვრით დანგრეული აწყურის კათედრალზე სხვადასხვა დროს ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შედეგად ნაგებობას მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია, ტაძარში: „ჩუქურთმები ჩინებულად არის ნაძერწი: პატრონიკეს შვერილი ქმნის ნახევარ დეკაგონს. რამდენიმე ფრესკის წყალობით, რომლებიც საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი, შეგვიძლია ვიმსჯელოთ სტილზე, რომელიც ბიზანტიურს მოგვაგონებს. პირველი ესკიზი წითლით იყო შესრულებული კედელზე, რომელიც შემდგომ თაბაშირით დაფარეს, რათა საბოლოოდ

დაეხატათ ზედ. შედარებით ძველი ეკლესია გამოიყენეს ამ უკანასკნელის ასაგებად. მისი ძველი ქანდაკებები კი დაამახინჯეს და უბრალო სამშენებლო ქვებად გამოიყენეს. ამგვარად აღდგენილი ეს ეკლესია დღეს თავის მხრივ სხვა ნაგებობათა აღსადგენად გვეხმარება, დაბისა და ციხესიმაგრის ყოველ კუთხეში კი მისი ლამაზი სარკმლებისა და კარნიზების ფრაგმენტები გვხვდება" (Dubois de Montpéreux, vol. 2: 336; თამარაშვილი 1995: 409).

მართკუთხედში ჩაწერილი ჯვრის ტიპის გუმბათიან საკათედრო ტაძარზე გამოიყოფა ორი ძირითადი სამშენებლო პერიოდი – თავდაპირველი, XI საუკუნის ნაგებობის დანგრევის შემდგომი, რომელიც 1089 წლის თმოგვის ცნობილ მიწისძვრას უნდა უკავშირდებოდეს და XIV-XV საუკუნეების, რომელიც ნაწილობრივ XIII საუკუნეში მომხდარი ძლიერ მიწისძვრასთან ჩანს დაკავშირებული. 1275 წლის მიწისძვრისას, რომლის დროსაც გუმბათი ჩამოიქცა და ქუდივით დაემხო ტაძრის შუაში ლიტანიობად დასვენებულ აწყურის ღმრთისმშობლის ხატს, როგორც ვარაუდობენ, გადარჩა მხოლოდ ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილი, საკურთხევლითა და პასტოფორიებით. ტაძრის აღდგენა მიმდინარეობდა XIV-XV საუკუნეებში სამცხის ათაბაგთა მიერ და დასრულდა ყვარყვარე II დიდისა (1451-1498) და მისი ძის, მზეჭაბუკის (1500-1515) მმართველობისას. მიწისძვრით ჩამოქცეული ახალი გუმბათისათვის გამოყენებულია გადარჩენილი საკურთხევლის მხრები და გუმბათქვეშა პილონები; მოშლილია დასავლეთ პატრონიკეები და შეცვლილია შუა ნავის სვეტების ფორმა და რიტმი; აღდგენისას შეუნარჩუნებიათ კარ-სარკმელთა სისტემა – სამმაგი სარკმლები გვერდით მკლავებში და შესასვლელები ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. გადაკეთება, ძირითადად, უნდა შეხებოდა საფასადო ორნამენტაციას – საფასადო მორთულობისათვის გამოუყენებიათ ახლად დამუშავებული ქვები, ხოლო მიწისძვრის დროს ჩამოცვენილი ორნამენტიანი ქვები უკუღმა ჩაუწყვიათ ან სათანადოდ ვერ აუწყვიათ (ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი 2013: 69-71; ჭანიშვილი 2015: 326-330).

საკათედრო ტაძრის დასავლეთ კარიბჭესთან 2006 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას (ხელმძღ. ვახტანგ ლიჩელი) მიკვლეულ იქნა ოთხიარუსიანი სამაროვანი. პირველი იარუსი შედგებოდა ორი ქვაყუთისაგან, რომელთაგან ერთ-ერთში მიცვალებულს მკერდის არეზე ედო ტიხრული მინანქრით შემკული ოქროსჩარჩოიანი პატარა ხატი (3,2x2,5 სმ.), იასპის ქვაზე ამოკვეთილი ჯვარცმის, ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის გამოსახულებებით. ამ სამარხთან დაკავშირებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ დაკრძალული პიროვნება დაიღუპა 1283 წლის მიწისძვრის დროს (ლიჩელი 2012: 78-88, 82). აწყური ჯაყელთა სახლის მფლობელობაშია XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა რუსუდან დედოფლის მიერ ქალიშვილისათვის მზითვად გადაცემული აწყური საბერძნეთის სულთან ფარმანას ჩამოერთვა და სარგის I-სა და მის ძეს, ბექას, ებოძა (ჟამთააღმწერელი 1959: 271). თუ გავითვალისწინებთ, რომ აწყურში ათაბაგთა

სახლის ერთ-ერთი საგვარეულო სასაფლაო იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხი სამცხის ათაბაგ-ამირსპასალართა ოჯახის ერთ-ერთ წევრს ან იქ დაკრძალულ მაღალ სასულიერო იერარქს ეკუთვნოდა. ათაბაგთა სახლის დაკვეთით დაწერილი აწყურის ღვთისმშობლის ტაძრისადმი მიძღვნილი ბერძნული პანეგირიკიდან ცნობილია, რომ აწყურში დაკრძალეს 1489 წლის 18 დეკემბერს გარდაცვლილი ათაბაგ ყვარყვარე II დიდის თანამეცხედრე დედისიმედი; აწყურში უნდა იყვნენ დაკრძალულნი: ყვარყვარე II დიდი († 1498. 1. 06) და მისი ძეები – უდროოდ გარდაცვლილი ბაადური († 1474. 10.10) და ათაბაგი ქაიხოსრო I († 1500. 5.05); აქვე უნდა დაეკრძალათ ათაბაგთა ოჯახთან დაახლოებული აწყურის ბერძენი მთავარეპისკოპოსი სიმეონ მაწყვერელი (კლდიაშვილი 2010: 202-230). მონაცემების უქონლობის გამო, მართალია, ძნელია სამარხში დაკრძალული პიროვნების იდენტიფიკაცია, თუმცა, რამდენადაც სამაროვანს არქეოლოგიურად XIII საუკუნით ათარიღებენ, შესაძლებლად მიმაჩნია ვარაუდის დაშვება, რომ იქ დაკრძალულია ჟამთააღმწერლის თხზულებიდან კარგად ცნობილი აწყურის იმჟამინდელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჯუანშერის-ძე, რომელიც დიდი შაბათის მსახურებისას მომხდარი მიწისძვრისას ტაძარში იმყოფებოდა და დაიღუპა.

*აგარა.* ისტორიულ სამცხეში, ახალციხიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, მდ. ურავლის მარჯვენა ნაპირას, მაღლა მთის თხემზე განფენილი დიდი სამონასტრო ანსამბლი მოიცავს ერთნავიან ეკლესიას, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ამ ტიპის ქართულ ეკლესიათა შორის (X ს. მეორე ნახევარი), სატრაპეზოს (XI-XII სს. მიჯნა), სამრეკლოს (შემორჩენილია მხოლოდ პირველი სართული; XIII-XIV სს.), ადრეული ხანის მცირე დარბაზულ სამლოცველოებისა და სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთებს. მთავარ ეკლესიასა და სატრაპეზოზე შემონახულია სააღმშენებლო წარწერები სტოისა (X ს.) და სატრაპეზოს (XI-XII სს. მიჯნა) აშენების შესახებ და წარწერათა ცალკეული ფრაგმენტები, რომელთა ნაწილიც თავის ადგილზე არ ზის და მეორადი გამოყენებისაა. XIV საუკუნეში ერთნავიანი ეკლესიისა და ცალკეული ნაგებობების საფუძვლიანი შეკეთება-აღდგენა უნდა მიუთითებდეს მიწისძვრით მათ შესაძლო ნგრევაზე (ბერიძე 2014: 10-11; სილოგავა 2012: 260-262).

*ვარძია.* ამ პერიოდში მიწისძვრით გამოწვეული ძლიერი ნგრევა დასტურდება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გიორგი III-ისა და თამარის მიერ კლდეში გამოკვეთილი ვარძიის სამონასტრო კომპლექსში, სადაც მომხდარ მიწისძვრასთან ჩანს დაკავშირებული ფასადის და გამოქვაბულთა დიდი ნაწილის ჩამოქცევა. მიწისძვრისაგან დაზიანებული კომპლექსი სათანადოდ გაუმაგრებიათ და ახალი ნაგებობები აუშენებიათ XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე – ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ორთაღიანი კარიბჭე და ორსართულიანი სამრეკლო, ხოლო ივანე ათაბაგის (1391-1444) დროს დიდი სატრაპეზო (ბერძენიშვილი 1988: 50-53; ჯავახეთი 2000: 118-120;

ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი 2013: 212-214).

*ვანის ქვაბები.* მიწისძვრის ნგრევის კვალი არქეოლოგიურად დადასტურდა არტაანის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ვანის ქვაბების უდაბნო-მონასტერში. 1964-1965 წლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სპელეისტიკური ლაბორატორიის მიერ (ხელმძღ. გივი გაფრინდაშვილი) მონასტრის ცენტრში ჩატარებული სამუშაოებისას გამოვლენილ იქნა მიწისძვრით დანგრეული ეკლესია და ხუთ იარუსად გამოკვეთილი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სათავსები, XII-XIII საუკუნეების ლაპიდარული წარწერები, მარანი ოთხი ქვევრით, კერამიკული სახელოსნო და წყალმომარაგების გაყვანილობა, მეორადი გამოყენების ორნამენტიანი ქვები ეკლესიის კარიბჭიდან, კანკელიდან და დარბაზული ეკლესიიდან (გაფრინდაშვილი 1988: 365-52). კლდის ნანგრევებით დაფარული ფერდობის ლოდებისა და მიწისაგან გაწმენდის შემდგომ არქეოლოგიურ ფენაში მრავლად აღმოჩნდა მიწით დაფარული გაჭყლეტილი ადამიანების ჩონჩხები, მიწისძვრით დანგრეული გუმბათიანი ტაძრის წინა ქვითკირის კედლის ნანგრევები, შესასვლელი და ჩუქურთმიანი ფრაგმენტები; XIII საუკუნეში აგებული ეკლესიის მიმდებარედვე აღმოჩნდა ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების ჩონჩხები, რომელთაგან რამდენიმე გადმონგრეული ქვითკირის კედლის ქვეშ იყო მოყოლილი; ერთ-ერთ მათგანს, კატასტროფისას გაქცეულს, სამი ვერცხლის თასი ეჭირა ხელში (გაფრინდაშვილი 1966: 7-8).

*სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.* ჟამთააღმწერლის ცნობით, აწყურის მიწისძვრიდან ერთი თვის თავზე მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა ქ. მცხეთა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. მიწისძვრით დანგრეული სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენას ვახუშტი ბატონიშვილი გიორგი ბრწყინვალეს (1314-1346) უკავშირებდა, ხოლო სხვადასხვა დროს ტაძარზე ჩატარებული საამშენებლო სამუშაოების შესახებ აღნიშნავდა: „ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა ქვიტკირითა და შეამკო დიდად. მანვე დასუა კათალიკოზი. შემდგომად, ძვრით დანგრეული აღაშენა ო˜ა (71-ე) მეფემან გიორგი, მერე შემუსრა ლანგთემურ, აღაშენა ო˜ვ (76-ე) მეფემან ალექსანდრე“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 905). ტაძარზე აღინიშნება სხვადასხვა დროს მიწისძვრით გამოწვეული ნგრევისა და შემდგომი აღდგენის კვალი. ტაძრის ყველა ფასადი სხვადასხვა დროსაა შეკეთებული, მორთულობის პირვანდელი სისტემა, ძირითადად, შენარჩუნებულია დასავლეთის ფასადზე. გუმბათის ყელი, მისი სარკმლების მორთულობა და რთულპროფილიანი ჩუქურთმით შემკული ლავგარდანი XV საუკუნისაა, გუმბათის სარტყელი და სხვა მცირე შეკეთებები XVII საუკუნეს მიეკუთვნება, ხოლო გრძივი ფასადის კლასიცისტური პროფილები და ტოსკანური ნახევარსვეტები – XIX საუკუნეს.

სვეტიცხოვლის ძირითადი ნაგებობებიდან 1275 წლის მიწისძვრისას უნდა დანგრეულიყო გალავნის სამხრეთ კედლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ქვეშ მდებარე XI საუკუნის მელქისედეკის სასახლე (38,5x18,5).

ნაგებობა პირველად XIV საუკუნეში კარგად გათლილი კვადრებით შეუკეთებიათ და აღუდგენიათ სამხრეთის კედელი, რომლისთვისაც მოუშლიათ ორსაფეხურიანი ცოკოლი, ხოლო სამხრეთი და ჩრდილოეთ კედლებისათვის გარედან მიუშენებიათ კონტრფორსები. შემდეგ სასახლისთვის აღმოსავლეთიდან მიუდგამთ ასევე ქვიშაქვის კვადრებით ნაშენი სათავსი. შემდგომ პერიოდში დანგრეული სასახლის და სათავსის შეკეთება უკავშირდება როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის მიერ XVII საუკუნეში ჩატარებულ აღდგენით სამუშაოებს, როცა ნაგებობის პერიმეტრში ჩასმულ იქნა კვადრატული აგურით ნაგები და კამარებით შეკრული, სამწყება ბურჯებზე დაყრდნობილი ორმალიანი შენობა და აგებულ იქნა ორი დიდი მარანი. ამის შემდგომ პერიოდში სასახლე მთლიანად დანგრეულა და დარბაზული ტიპის გლეხთა საცხოვრებელ სახლებს დაუფარავს. ამჟამად რესტავრირებულია დასავლეთ კედლის სამხრეთ ნაწილი, დანარჩენი დაკონსერვებულია (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 1990: 261-269).

1275 წლის მიწისძვრით დანგრეული ტაძრის გუმბათის აღდგენა-გამაგრება მოხდა გიორგი V ბრწყინვალის (1314-1346), ალექსანდრე I დიდის (1412-1443), შემდეგ, 1656 წელს, როსტომის (1632-1658) დროს (Чубинашвили 1970 : 277).

*სამთავრო.* მცხეთაში მიწისძვრას ზიანი მიუყენებია XI საუკუნის 30-იან წლებში აგებული სამთავროს ჯვარ-გუმბათიანი დიდი ეკლესიისთვისაც. მიწისძვრისას ჩანგრეული გუმბათი, როგორც ვარაუდობენ, აღდგენილ იქნა XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე, გიორგი V ბრწყინვალის დროს (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 1990: 253-257).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ანონიმი სებასტიელი 1956** = *Մանր Ժամանակագրություններ,* II, Երեվան, 1956 / მცირე ქრონიკები, ერევანი, 1956.

**ბატონიშვილი ვახუშტი 1973** = *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

**ბერძენიშვილი 1988** = დ. ბერძენიშვილი, ვარძია და თმოგვის ციხე-ქვეყანა, *ძეგლის მეგობარი,* 2, 1988.

**ბერიძე 2014** = ვ. ბერიძე, *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია,* II, თბილისი, 2014.

**გაფრინდაშვილი 1966** = გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, *ძეგლის მეგობარი,* 6, 1966.

**გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება 1963** = *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V-X სს.),* დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც.

ჯღამაიამ, თბილისი, 1963.

**ეპისკოპოს სტეფანოზის ქრონიკა 1951** = *Մանր ժամանակագրություններ,* I, Երեվան, 1951, 32-64 / მცირე ქრონიკები, I, ერევანი, 1951.

**თამარაშვილი 1995** = მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე,* რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა, თბილისი, 1995.

**კიკნაძე 1982** = რ. კიკნაძე, *საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები,* I, თბილისი, 1982.

**კლდიაშვილი 2010** = ჯაყელთა კიდევ ერთი საგვარეულო მატიანე ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან, *ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები,* თბილისი, 2010: 202-230.

**ლიჩელი 2012** = ვ. ლიჩელი, შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა აწყურიდან, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა,* თბილისი, 2012: 78-88.

**მხითარ აირივანეცი 1867, 1990** = Մխիթար Այրիվանեցի, *Պատմութիւն ժամանակագրական, Ս. Պետերբուրգ,* 1867; მხითარ აირივანეცი, *ქრონოგრაფიული ისტორია,* ძველი სომხურიდან თარგმნა ლიანა დავლიანიძემ, თბილისი, 1990.

**ნიკო დადიანი 1962** = ნიკო დადიანი, *ქართველთა ცხოვრება,* შ. ბურჯანაძის გამოც., თბილისი, 1962.

**ჟამთააღმწერელი 1959, 1987** = *ქართლის ცხოვრება,* II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959; ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე,* რ. კიკნაძის გამოცემა, თბილისი, 1987.

**სამუელ ანეცი და გამგრძელებლები 2014** = *Սամուէլ Անեցի եւ շարունակողներ, Ժամանակագրութիւն,* աշխատասիրությամբ՝ Կարեն Մաթևոսյանի, Երեւան, 2014.

**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 1990** = *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* ტ. 5, თბილისი, 1990.

**სილოგავა 2012** = ვ. სილოგავა, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ, *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი,* გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ და რ. ყავრელიშვილმა, თბილისი, 2012: 257-262.

**ქართლის ცხოვრება 1955** = *ქართლის ცხოვრება,* I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

**ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი 2013** = გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, *ქართლის ცხოვრების ტოპო-*

*არქეოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი, 2013.

**ჭანიშვილი 2015** = გ. ჭანიშვილი, „აწყური", *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ენციკლოპედია*, I, თბილისი, 2015: 326-330.

**ჯავახეთი 2000** = ჯავახეთი. *ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, თბილისი, 2000.

**Dubois de Montpéreux,** vol. 2 = Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée,* 6 vol., Librairie de Gide, Paris, 1839-1849 avec un atlas.

**Varazanashvili – Tsereteli 2011** = O. Varazanashvili, N. Tsereteli, E. Tsereteli, *Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Sources Analysis and Catalogue Compilation,* Tbilisi, 2011.

**Гаприндашвили 1988** = Г. Гаприндашвили, Пустинь, как монастырский ансамбль. Ванис-кваби – пустынь-монастырь, *საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. სპელეოლოგიური კრებული,* 12, თბილისი, 1988: 36-52.

**Вардзия 1957** = Г. Джамбурия, К. Мелитаури, Ш. Хантадзе, Х. Шошиашвили, *Вардзия. Путеводитель*, Тбилиси, 1957.

**Кондорская, Шебалин 1977** = Н.В. Кондорская, Н.В. Шебалин (ред.), *Новый каталог сильных землетрясений на территории СССР с древнейших времен до 1975 г.,* Москва, 1977 // N.V. Kondorskaya and N.V Shebalin (eds), New Catalogue of Strong Earthquakes in the USSR from Ancient Times through 1975. 2nd edition, Boulder, Colorado, 1982.

**Материалы по археологии Кавказа** = Материалы по археологии Кавказа, вып. XII, Под редакцией графини Уваровой, Москва, 1909.

**Чубинашвили 1970** = Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства,* т. I, Тбилиси, 1970.



სურ. 1. აწყურის საკათედრო ტაძარი. 2017 წ.



1-1



1-2. დასავლეთი ფასადი. ა. მამუჩაშვილის ფოტო. პუბლიკაციიდან – Материалы по археологии Кавказа 1909



**1-3. დასავლეთი ფასადი 2017 წ.**



1-4



1-5



1-6





1-8

1-7



სურ. 2. აწყურის ციხე



2-1



სურ. 3. სლესის ციხე



სურ. 4. გურკელის ციხის ნანგრევები



სურ. 5. აგარის სამონასტრო კომპლექსი ურავლის ხეობაში



5-1



5-2. მთავარი ეკლესია და სატრაპეზო



5-3. მეორადი გამოყენების რელიეფი ქტიტორის გამოსახულებითა და წარწერით სტოის აშენების შესახებ მთავარი ეკლესიის სარკმლის თავზე. X-XI სს. მიჯნა



5-4



5-5. სატრაპეზო. საერთო ხედი



5-6. სააღმშენებლო წარწერა სატრაპეზოზე. XI-XII სს. მიჯნა



5-7



სურ. 6. ხერთვისის ციხე. ა. მამუჩაშვილის ფოტო. პუბლიკაციიდან - Материалы по археологии Кавказа 1909



სურ. 7. წუნდის ტბა „თამარის სარკედ“ წოდებული



სურ. 8. წუნდის ეკლესია. XII ს.



8-1. იჩქით გურგენისძის საალმშენებლო წარწერა. XII ს.



სურ. 9. ვანისქვაბები



9-1. კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი დარბაზის ტიპის („კუპელჰალე“) ეკლესია. XI ს.



9-2



9-3. გუმბათიანი ეკლესია ზედა იარუსში. XIV-XV სს.



სურ. 10. ვარძია. საერთო ხედი



10-1. გიორგი III და თამარი. საქტიტორო გამოსახულებები ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში



10-2. ვარძია. XIX ს. საერთო ხედი. პუბლიკაციიდან – Dimitri Ermakov 2014



10-3. მთავარი ეკლესიის კარიბჭე



სურ. 11. მცხეთა. საერთო ხედი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარზე



11-1. მცხეთა. ანტიოქიის ეკლესია



11-2. სამთავრო. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთზე



კალას წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის წარწერა მიწისძვრის შესახებ

## 9

1330-იანი წლები

# დასავლეთ საქართველო – რაჭა-ლეჩხუმი: ლაბეჭინის ეკლესია; სვანეთი: წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია

*პირველწყარო: გაბრიელ ლაბეჭინელის ანგარიშგება;*

*წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის ფრესკული წარწერა*

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან ადრეული ხანის საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობებმა ნაკლებად მოაღწია და განსაკუთრებით ბევრია XVIII-XIX საუკუნეების ძეგლები; საუკუნეთა განმავლობაში აქ ადრეული ხანის ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები მიწისძვრისაგან მრავალგზის იქნა დანგრეული და ხელახლა აღდგენილი, ხოლო რაც გადაურჩა მიწისძვრებსა და საბჭოთა რეჟიმის დროს ანტირელიგიურ მოძრაობას, დაზიანდა და გაიძარცვა. ბუნების სტიქიისაგან მიყენებული ზარალი ამ მხარისათვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 1991 წლის რაჭის მიწისძვრისას, რომლის დროსაც ძლიერ დაზიანდა და დაინგრა – ლაბეჭინა, თაბორი, ზემო კრიხი, ბუგეული, ხიმში, ჯოისუბანი, შეუბანი, ზემო ბარი, მრავალძალი, ნიკორწმინდა, კვირიკეწმინდა, სორი, ბოყვა, გლოლა და სხვ., საბოლოოდ განადგურდა – ფარახეთი, ბეთლევი, ჭელიში.

მიწისძვრა, რომელიც რაჭა-ლეჩხუმში XIV საუკუნეში უნდა მომხდარიყო, წერილობითი წყაროებით, ფიქსირდება კავკასიონის სამხრეთ განშტოებაზე, ლეჩხუმის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე – ლაბეჭინაში და ზემო სვანეთში, ჩხუტნერის ქედზე, კალას თემში მდებარე წმ. კვირიკეს და ივლიტას („ლაგურკა“) ეკლესიაში (სვანეთის წერილობითი ძეგლები (სილოგავას გამოც.) 1988: 56-59). მიწისძვრის შესახებ ცნობას გვაწვდის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ლაბეჭინის ოთხთავში შეტანილი გაბრიელ ლაბეჭინელის ანგარიშგების დოკუმენტი[43] და კალას წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის ფრესკული წარწერა.

ანგარიშგება ანუ „დაწერილი“, რომელიც ლაბეჭინის მთავარანგელოზ-

43 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ლეჩხუმში მოგზაურობის დროს ეტრატზე ნაწერი ეს სახარება ჯერ კიდევ ლაბეჭინის ეკლესიაში ინახებოდა. მისი გადმოცემით, ლაბეჭინაში „წინეთ ბევრი ხელნაწერი ყოფილა, ზოგი დამპალა, ზოგი ფურცლებ-დაშლილი ყოფილა. 25 წლის წინეთ, ჩემს იქ მისვლამდის, მნათეს ეს ხელნაწერები, რომელიღაც კუნჭულში დაუმარხავს მიწაში, თვით ეკლესიაში“.

თა მონასტრის წინამძღვრის, გაბრიელ ლაბეჭინელის ნაღვაწ-ნამოქმედარის აღწერასა და ეკლესიისათვის მოგებული თუ შეწირული ქონების ანგარიშს წარმოადგენს, შეტანილია დვალ გიორგის ხელით გადაწერილი და მინიატურებით შემკული XIII საუკუნის ოთხთავის ბოლო გვერდებზე (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1563, 272r-275v).[44] გაბრიელ ლაბეჭინელის გადმოცემით:

> ესე რაჲცა მათ სულკურთხეულთა ლაბეჭინელთა მოძღუართაგან მოჭირვებული და შენებული ყოფილა მათ ყოველთაგან თითოეულად აქა დაწერითა ამას ადგილსა ზედა. მათად შემდგომად მე, გაბრიელ ლაბეჭინელი დავრჩი... და მოიწია დიდი და საშინელი ძრვაჲ. მათ პირუელთა ლაბეჭინელთა მოჭირვებული და შენებული, და თჳთ ჩემი, ყოველთაჲ ერთსა დღესა საფუძვლითურთ დაირღუა. შიგან ეკლესიასა რაჲცა ხატნი იყვნეს და მოწყობილობაჲ, დაილეწნეს, და იავარ იქნეს გარეთ ნაშენებიცა ყოველთაჲ. ამას ყოველთასა ზედა შეგუჱქნა შეჭირვებაჲ და წუხილი, არაჲ ვიცოდეთ, და არავინ ეჭუდა რგებასა ამის ადგილისასა. და არცა ვის ეგონა, თუ ლაბეჭინას ქვაჲ ქვასა ზედა და-ღა-იდებისო და არცა თჳთ მე, დადგომაჲ გამეგო. მერე მოვეგე გონებასა, მეშინოდა და მრცხუჱნოდა ღმრთისაგან და წმიდათა მთავარანგელოზთაგან და ყოველთა კაცთაგან. ვევედრე და შევეხუეწე ღმერთსა და ამათ წმინდათა მთავარანგელოზთა, უკეთუ ჯერ-გიჩნდეს ჩემგან შენებაჲ თანადგომითა და შეწევნითა თქუენითა, მიბოძეთ გამარჯუჱბაჲ, რათა წმიდათა მთავარანგელოზთა საყდარი აღვაშენო. ყვეს წყალობაჲ და თანადგომაჲ ჩემზედა, ჴელ-ვყავ შენებად და მოვასხენ გალატოზნი თორმეტნი ერთსა ზაფხულსა და ვშრომე, რაჲცა ძალ-მედვა და გავეც ფასად, რაჲცა ღმერთსა ებოძა ჩემთჳს მაშინ. მეორესა ზაფხულსა მოვასხენ ცამეტნი გალატოზნი და ეკლესიაჲ ზედა შევკარ მას ზაფხულსა. შეუნდვნეს ღმერთმან დედოფალთ დედოფალსა, ვ(ა)ნის (ქარაგმის გახსნა – დ.კ.) დედასა რუსუდანს. მის ჟამისა შენებისათჳს გალატოზთა ზედა ფასი მან გასცა, ცოტაჲთა მეც შევეწიე. მაშინ მოვასხენ კულავაცა გალატოზნი მესამესა ზაფხულსა,

44 ხელნაწერის დასაწყისში ოთხთავის ტექსტისაგან განსხვავებული ხელით ამავე პერიოდში ჩანს ჩაწერილი „ესე კალანდაჲ თქმული ეზარაჲსი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1563, 2v-3r) და კალენდარული გამოთვლებისა და ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიური რჩევების ტექსტი – „ზედნადები ქორონიკონისანი“ (68v-69v, 70v-72r, 113r-114v). მასში განსაკუთრებით საყურადღებოა ცალკე მუხლად გამოყოფილი მიწისძვრასთან დაკავშირებული პრაქტიკული რჩევები, სათაურით: „ძრვისა და ქოხილისა“. მნათე გარდაცვლილა და აღარავინ იცის, თუ რა ადგილას არის დამარხული ხელნაწერები“ (თაყაიშვილი 2017: 25).

და მოვავლეთ საცურე. გავეც მე ფასი, რაჲცაღა მქონდა და სრულ იქმნა ეკლესიაჲ და მოვგლისე შიგან, და დავდგენ კანკელნი ქვისანი, და გავეც ფასი მისთჳს. მოვიყვანე მხატვარი და რაჲცა დალეწილ იყვნეს, ყუელაჲ ახლად დავაწერინე. მოვიყვანე ოქრომჭედელი, რაჲცა ხატნი დალეწილ იყვნეს, ყუელაჲ ახლად მოვაჭედინე, რაჲცა შეიკაზმოდა, შევაკაზმინე. ორნი მთავარანგელოზთა ხატნი დიდნი, ერთი ყოვლად წმიდისაჲ ვედრებისაჲ, ერთი ზე-კანკელთა ყოვლად წმიდისა ვედრებისაჲ, და პეტრე-პავლეთა ხატნი. ესენი ახლად მოიჭედნეს, სახენი შეჰკაზმენ, ჯუმლათ თერთმეტნი ხატნი ახლად მოვაჭედინე, კანკელთა კარითურთ. ოცი ხატი წამლითა დავაწერინე. ამის შემდგომად მოვიყვანე მხატვარი და მოვახატვიე სრულიად ეკლესიაჲ, და გავეც რაჲცა მართებდა ფასი ჩემი. ჯუარსა ცხორებისასა აკლია ჯერეთ შეკაზმვაჲ, და თუ ცოცხალ ვიყო, მისსაცა შეკაზმვასა ვლამი. მოვასხენ მწერალნი და დავაწერიე ერთი დიდი ნეტაფრასი, და ერთი სჳნაქსარი, მოთხრობიანი ე (5), ერთი მარხვანი, ერთი საწინასწარმეტყველოჲ. ერთი პირველი ჴმაჲ პარაკლიტონი, ცხრა თუჱ, ერთი სტოდიელი, ერთი ნიკოლოზის ცხორებაჲ, და დიმიტრის წამებაჲ და შესხმაჲ, და კონდაკი – სამსგეფსოჲ. ამის ყოველი ფასი მე გამიცემია. ესე ყოველნი წიგნი შემოსილ არიან, მათთჳსცა ფასი მე გამიცემია. კანკელთა ზედათ რომელ ჯუარცმისა ხატი არს, მისი ფასი რუსუდანვე გასცა. ეკლესისა კარის ბჭენი და [კიდევ] ამას ქედსა ზედა თუ სახლნი არიან, ანუ ზღუდენი არიან, და თუ ჭურმარანი არს, რაჲცა ჭურჭელი [ჴელსადგი], და რაჲცა ბეღელნი არიან, რომელიცა შეიკაზმოვდა, შევჰკაზმე და სხვაჲ ახლად აღვაგე მრავალნი ქუაბ-საქუაბენი და სხუანი მრავალნი წვრილმალნი ჭურჭელი, რომელი თითოეულად არ დაიწერებოდა... (თაყაიშვილი 2017: 28-30; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) 1955: 77-79).

ანგარიშგებიდან ვიგებთ, რომ ძლიერმა მიწისძვრამ დიდი ზიანი მიაყენა ლაბეჭინის ეკლესიას და მის ახლომდებარე სოფლებსა და ნაგებობებს. მიწისძვრამ საფუძვლიანად დაანგრია ლაბეჭინის მთავარანგელოზთა ეკლესია, რომელიც დედოფალთ-დედოფალ რუსუდანის „საფასით" (ფინანსური დახმარებით) ხელმეორედ ააგო და მოახატვინა გაბრიელ ლაბეჭინელმა.[45] მისი გადმოცემით, მან მიწისძვრისაგან დანგრეული ძველი ეკლესიის ადგილზე სამი ზაფხულის განმავლობაში ახლად ამოაყვანინა კედლები, გადახურა, შელესა და მოახატვინა ეკლესია, დადგა ქვის ახალი კანკელი; მიწისძვრით

45 ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის XI საუკუნის ჭედური ხატები ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

განადგურებული ნივთებიდან „დალეწილი“ ხატების ნაწილი მხატვრებს ალადგენინა და ახლად შეაკაზმვინა, მათ შორის – „ორნი მთავარანგელოზთა ხატნი დიდნი, ერთი ყოვლად წმიდისაჲ ვედრებისაჲ და პეტრე-პავლეთა ხატნი“, ოცი ხატი „წამლითა დააწერინა“, ხოლო თერთმეტი ახლად მოაჭედვინა. მან ასევე იზრუნა ხელნაწერების გადაწერასა და შემოსვაზე.[46]

ლეჩხუმის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფ. ზედა ჭყვიშის მიდამოებში (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) მაღალ სერზე აგებული მიწისძვრისაგან არაერთხელ დანგრეულ-აღდგენილი ლაბეჭინის ეკლესიიდან ჩვენამდე შედარებით უკეთ მოაღწია ორი სამკუთხა ნიშით დანაწევრებულმა აღმოსავლეთ ფასადის ორი სამკუთხა ნიშით დანაწევრებულმა კედელმა. ეკლესია უხვადაა შემკული ძველი ჩუქურთმებით, რელიეფებითა და ასომთავრული წარწერებით, შემორჩა მოხატულობის ფრაგმენტები. ნაგებობა კიდევ უფრო დაზიანდა 1991 წლის მიწისძვრის შედეგად (აღდგენილ იქნა 1998 წელს).

ანგარიშგებაში ასევე საუბარია გაბრიელის მიერ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების აშენებისა და მამულისა და გლეხების შეძენის შესახებ ლაბეჭინის ახლომდებარე სოფლებში: ზემო და ქვემო აგარაში,[47] კვირიკეწმინდაში,[48] ზოგიშში,[49] ნასპერში,[50] ჟოშხაში,[51] საირმეში,[52] არპანაში[53]; ეს ის ადგილები უნდა იყოს, რომლებიც მიწისძვრამ დააზიანა. გაბრიელ ლაბეჭინელის თქმით, მან აღადგინა და ახლად ააგო მიწისძვრამ-

46 ამ დროს ლაბეჭინა მწიგნობრობის მნიშვნელოვანი ცენტრია, რომელსაც საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ხელნაწერების გადაწერა მიმდინარეობდა. გაბრიელ ლაბეჭინელმა მიწისძვრით დანგრეული ლაბეჭინის ეკლესიისათვის თავისი „ფასით“ გადააწერინა „ერთი დიდი ნეტაფრასი და ერთი სჳნაქსარი მოთხრობანი, ერთი პავლე, ერთი მარხვანი, ერთი საწინასწარმეტყველოჲ, ერთი პირველი ჴმაჲ პარაკლიტონი, ცხრაჲ თუჱ, ერთი სტუდიელი, ერთი ნ῀კზის ცხორება და დიმიტრის წამებაჲ და შესხმაჲ და კონდაკი სამსგეფსოჲ“.

47 ზემო და ქვემო აგარა – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ჭელიაღელის თემი), მდებარეობს მდ. ხოტეურის სათავეში, ზღვის დონიდან 1040 მეტრზე, ამბროლაურიდან 10 კილომეტრის დაშორებით. სოფელში დგას გვიანი ხანის ორი ეკლესია – აგარის წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის სახელობის.

48 კვირიკეწმინდა – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ველევის თემი), მდებარეობს რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ხოტეურის ხეობაში, ზღვის დონიდან 1040 მეტრი, ამბროლაურიდან 8 კილომეტრის დაშორებით.

49 ზოგიში – ისტორიული ლეჩხუმის სოფელი რიონის ხეობაში.

50 ნასპერი – სოფელი ცხენისწყლის ხეობაში, შედიოდა ტვიშის თემში.

51 ჟოშხა – ისტორიული ლეჩხუმის სოფელი რიონის ხეობაში, ამჟამად ჭვიშთან ერთად შედის ამბროლაურის რაიონში.

52 საირმე – ისტორიული ლეჩხუმის სოფელი რიონის ხეობაში, ამჟამად ჭვიშთან ერთად შედის ამბროლაურის რაიონში.

53 არპანა/ალპანა – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ცაგერის მუნიციპალიტეტი. მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ლაჯანურის შესართავთან, ზღვის დონიდან 560 მეტრზე, ცაგერიდან 23 კილომეტრის დაშორებით.

დე ქედზე არსებული სამეურნეო ნაგებობები და ზღუდეები („ამას ქედსა ზედა თუ სახლნი არიან, ან ზღუდენი არიან, და თუ ჭურმარანი არს, რაჲ-ცა ჭურჭელი [წელსადგი], და რაჲცა ბეღელნი არიან, რაიცა შეშის ვოდა, შევკაზმი, და სხუაჲ ახლად ავაგე." მანვე, სოფელ არპანაში, სავარაუდოდ, მიწისძვრით დანგრეული ეკლესიის ადგილზე ააგო ახალი ეკლესია, რომელიც მოახატვინა და საეკლესიო მოწყობილობით, ხატებით, წიგნებით, სამეურნეო ნაგებობებითა და მამულით უზრუნველყო. გაბრიელის მიერ აგებული და მოხატული ეკლესია და შეწირული საეკლესიო ნივთები XX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე აღარ არსებობდა, სავარაუდოდ, ისინი განადგურდა რაჭა-ლეჩხუმში მომხდარი მორიგი მიწისძვრის შედეგად. ამ ადგილას ამჟამად დგას XIX საუკუნეში აშენებული წმ. გიორგის სახელობის ქვის პატარა ეკლესია (თაყაიშვილი 2017: 19).

ამავე პერიოდში მიწისძვრა წერილობით დასტურდება ზემო სვანეთში. სვანეთის ქედზე მომხდარი მიწისძვრის შესახებ საუბარია კალას წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის XIV საუკუნის ასომთავრულით შესრულებულ ფრესკულ წარწერაში (სვანეთის წერილობითი ძეგლები (სილოგავას გამოც.) 1988: 89-90). ეკლესიის შიგნით, შუა თაღის სამხრეთ სვეტზე, XIII-XIV საუკუნის ასომთავრულით, შავი საღებავით ნაწერ სავედრებელ წარწერაში ვინმე ანტონის შვილი გიორგის მიერ აღნიშნულია მიწისძვრით „დარღვეული" ეკლესიის შემკობის თაობაზე:

> † საყდარი ესე წმიდისა კჳრიკესი, ოდეს მიწისა ძრვამან დაარღვია, მე, ანტონის შვილმან გიორგი ახლად შევამკე. ვინცა არ დამივიწყო, ღმერთმან შეგინდოს.

ლაგურკის სახელით ცნობილი წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის კალას თემში, ზღვის დონიდან 1760-1840 მეტრამდე სიმაღლეზე, ჩხუტნერის ქედის სამხრეთით, მდინარეების ენგურისა და ხალდეჭალის შესართავთან. X საუკუნის დარბაზულ ეკლესიაში მეტნაკლებად დაუზიანებლადაა მოღწეული 1111 წელს მეფის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებული მხატვრობა. ეკლესიაში ინახება კალას თემის ხატების ძვირფასი საგანძური, მათ შორის მინანქრებით შემკული სანაწილე ხატი, რომელსაც სვანები „შალიანის ხატს" უწოდებენ (თაყაიშვილი 2017: 174-179).

## მიწისძვრის თარიღი და არეალი

მიწისძვრის თარიღი წერილობითი წყაროების მონაცემებით XIV საუკუნით განისაზღვრება (სვანეთის წერილობითი ძეგლები (სილოგავას გამოც.) 1988: 57).

გაბრიელ ლაბეჭინელის ანგარიშგება ჩაწერილია გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ოთხთავის XIII საუკუნით დათარიღებულ ნუსხაში, ამიტომ ის ამავე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე ვერ დაიწერებოდა. საბუთში მოხსენიებულია რუსუდან დედოფალთ-დედოფალი, რომელიც „ვ˜ნის დედად" იწოდება. იგი, შემდეგდროინდელი, განსხვავებული ნუსხური ხელით ტექსტთან გაკეთებული შენიშვნის („მგონივ ვახტანგის დედასა იტყჳს") საფუძველზე, ვახტანგის დედად არის მიჩნეული. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, რუსუდანი, შესაძლოა, იყო ნარინ დავითის ვაჟის, აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებული ვახტანგ II-ის (1289-1292) დედა, ნარინ დავითის მეორე თანამეცხედრე და ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ III პალეოლოგის ასული, რომლის სახელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია (თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 2017: 30). ეს მოსაზრება ნაკლებ მისაღებია, რამდენადაც დავით და ვახტანგ მეფეების მიერ 1287/88 წელს ზარდახანის უხუცეს ვახტანგ თულაისძისადმი რაჭაში მიცემულ პიპილეთის ეკლესიისა და მისი შესავალი სოფლების წყალობის სიგელში დავით ნარინის მეორე თანამეცხედრის სახელია მარიამი და არა რუსუდანი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1331; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984: 181). კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, დედოფალთ-დედოფალი რუსუდანი ადგილობრივი ერისთავის მეუღლე უნდა ყოფილიყო (ბერძნიშვილი 1989: 61-62). ანგარიშგების შედგენის დროის დასადგენად დედოფალთ-დედოფალ რუსუდანის ვინაობის და მოღვაწეობის დროის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ლაბეჭინელის დაწერილში რუსუდანის „ვ˜ნის დედად" მოხსენიებამ, როგორც ჩანს, უბიძგა გვიანდელი მინაწერის ავტორს, ტექსტის შესაბამის ადგილას ქარაგმა არასწორად გაეხსნა და წაეკითხა „ვ(ახტა)ნ(გ)ის) დედასა". ეჭვს არ იწვევს, რომ ქარაგმის სწორად გახსნის და წაკითხვის შემთხვევაში რუსუდანი უნდა მივიჩნიოთ არა ვახტანგის, არამედ „ვ(ა)ნის დედად" ანუ ქალთა სავანის წინამძღვრად. რაც შეეხება დედოფალთ-დედოფალ რუსუდანის ვინაობას, ის, სავარაუდოდ, უნდა იყოს დავით ნარინის (1245-1293) უმცროსი ძის, მიქაელის თანამეცხედრე, რომელმაც ორიოდე წლით მოახერხა ლიხთ-იმერეთში ტახტის დაკავება. მიქაელმა დავით ნარინის გარდაცვალებისა და ძმის, კონსტანტინე I-ის (1293-1327) გამეფების ახლო ხანებში შეძლო რაჭა-ლეჩხუმსა და არგვეთში გაბატონება, ხოლო კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, 1327-1329 წლებში, ლიხთ-იმერეთში ტახტიც დაიკავა (ჟამთააღმწერელი 1959: 295). 1329 წელს, მიქაელის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი V ბრწყინვალემ ქუთაისის დაკავების შემდეგ ტახტის კანონიერ მემკვიდრეს,

ბაგრატს, მხოლოდ შორაპნის ერისთავობა უბოძა. როგორც ჩანს, ამავე ხანებში დედოფალთ-დედოფალი რუსუდანი ეკლესიურ ცხოვრებას შეუდგა და დედათა მონასტრის წინამძღვარი (ვანის დედა) გახდა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გაბრიელ ლაბეჭინელს ანგარიშგება უნდა შეედგინა 1329 წლის შემდგომ, მის ახლო ხანებში; შესაბამისად, XIV საუკუნის 30-იანი წლებით უნდა თარიღდებოდეს რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში მომხდარი მიწისძვრაც.

ორივე ქედი, რომელზედაც ლაბეჭინის და ლაგურკის ეკლესიები მდებარეობს, მთების ერთიანი სისტემისგან შედგება და დიდი კავკასიონის სამხრეთ განშტოებას წარმოადგენს.

განხილული წყაროების მიხედვით, მიწისძვრის ეპიცენტრი რაჭა-ლეჩხუმის გასაყარზე, ლეჩხუმის ქედზე, ან მასთან ახლოს, გველისთავის მთის სამხრეთით არსებულ ქედზე, ჟოშხასა და ჭყვისის დასვლეთით, მაღლობზე მდგარ ლაბეჭინის ეკლესიის სიახლოვეს გადიოდა. ლაბეჭინაში ნგრევის უფრო დიდი მასშტაბები დასტურდება, ვიდრე ზემო სვანეთში ლაგურკის ეკლესიაზე. მართალია, გიორგი ანტონის შვილი წარწერაში აღნიშნავს: „საყდარი ესე... მიწის ძრვამან დაარღვიაო“,[54] მაგრამ მის სრულ დანგრევას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. წმ. კვირიკეს ეკლესიის ყველა კედელი, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის შედარებით მცირე ნაწილისა, თავდაპირველი სახით და 1111 წლის მხატვრობითაა ჩვენამდე მოღწეული, მაშინ, როდესაც ლაბეჭინის ეკლესიის კედლებს ხელმეორედ მშენებლობისა და თავდაპირველი სამშენებლო ქვების მეორედ გამოყენების კვალი ატყვია. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თავდაპირველი ეკლესიის შემამკობელი XI-XII საუკუნეების წარწერებიანი ქვები ადგილშეცვლილია — ზოგი კიდეებშემოჭრილი, ზოგიც თავდაღმა ან გვერდულად ჩასმული შეუსაბამო ადგილას კედლის წყობაში. ამასვე ადასტურებს გაბრიელ ლაბეჭინელის ცნობა „დიდი და საშინელი“ მიწისძვრისა და ეკლესიის „საფუძველითურთ“ დანგრევის შესახებ (სვანეთის წერილობითი ძეგლები (სილოგავას გამოც.) 1988: 57).

მომხდარი მიწისძვრის არეალისა და შედეგების შესახებ მხოლოდ ვარაუდით შეიძლება მსჯელობა, რამდენადაც საისტორიო წყაროები ამის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა. მიწისძვრით დაზიანებულ ადგილთა შორის უნდა ვიგულისხმოთ გაბრიელ ლაბეჭინელის ანგარიშგებაში ჩამოთვლილი რაჭა-ლეჩხუმის სოფლები და ადგილები: ზემო და ქვემო აგარა, კვირიკეწმინდა, ზოგიში, ნასპერი, ჟოშხა, საირმე, არპანა. ეს ის ადგილებია, სადაც მიწისძვრის შემდგომ გაბრიელ ლაბეჭინელმა აღდგენითი და საამშენებლო სამუშაოები ჩაატარა. ამ დროს უნდა დანგრეულიყო ლაჯანურ-ხელიშურის ხეობაში ლაილაშის მახლობლად მდგარი თაბორის ეკლესია, რომლის აღსადგენადაც, როგორც ჩვენი პროექტის ფარგლებში 2019 წელს ჩატარებული საველე სამუშაოებისას გავარკვიეთ, გამოყენებუ-

54 „დარღუევა“ ნიშნავს „მოშლა მტკიცეთა“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 199).

ლია ადრე იქ მდგარი X-XI საუკუნეების დანგრეული ეკლესიის სარკმლის თავები და საპირეები; იგივე ითქმის ორბელის ციხესა და ეკლესიაზე და სხვ.

მიწისძვრას ნაკლები ზიანი უნდა მიეყენებინა სვანეთისათვის. ზემო სვანეთში კალას თემში მდგარი წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის („ლაგურკა“) გარდა, სავარაუდოდ, ასევე მიწისძვრით დაზიანდა სვანეთის ქედის სამხრეთი კალთის ერთ-ერთ განშტოებაზე, ქვემო სვანეთის, ჩოლაურის თემში სოფლის თავზე, ციცაბო ქედის ბოლოში მდგარი X-XI საუკუნეების ტვიბის წმ. მთავარანგელოზთა დარბაზული ეკლესია („თარგზელ“), რომელიც XIV საუკუნეში გაუახლებიათ და ხელახლა მოუხატავთ.[55]

ისტორიული წყაროებისა და სეისმური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაჭა-ლეჩხუმში XIV საუკუნის 30-იან წლებში მომხდარი მიწისძვრის შედეგები და გავრცელების არეალი საკმაოდ ფართო იყო. სავარაუდოდ, მიწისძვრამ მოიცვა რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და იმერეთის ნაწილი. სეისმოლოგების მიერ მიწისძვრის თარიღი – 1350 წლით, ხოლო სიმძლავრე – მაგნიტუდით 7.0, ეპიცენტრში 9.5 (MSK შკალით) ბალით განისაზღვრება (Varazanashvili – Tsereteli 2011: 33-36).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ბერძენიშვილი, ბანძელაძე, სურამელაშვილი, ჭურღულია** 1983 = დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, *ლეჩხუმი*, თბილისი, 1983.

**ბერძნიშვილი** 1989 = მ. ბერძნიშვილი, *ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები*, თბილისი, 1989.

**ბოჭორიძე** 1994 = გ. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, თბილისი, 1994.

**დასავლეთ საქართველოს წარწერები** 1980 = *დასავლეთ საქართველოს წარწერები*, ნაკ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბილისი, 1980.

**თაყაიშვილი** 2017 = ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, *თხზულებანი*, 3, თბილისი, 2017.

**ლეჩხუმი 2019** = *ლეჩხუმი*, თბილისი, 2019.

55 შირიმის ქვით ნაგები მცირე დარბაზული ეკლესიის კედლები 1991 წლის მიწისძვრის შედეგად გადმოიბურცა და კამარა ჩაინგრა. ნაგებობას გასამაგრებლად გარედან შემოუყვებოდა ხის მჭიდები. კამარას იმაგრებდა ცენტრალური და დასავლეთის შეკიდული კაპიტელები. ინტერიერი მთლიანად მოხატული ყოფილა, ჩრდილოეთ ფასადზე შემორჩენილი იყო გველეშაპის გამკრთალებული დიდი გამოსახულება. გაირჩევა მოხატულობის ორი ფენა, XIV საუკუნის მოხატულობაში შემონახულია ეკლესიის განმაახლებელ ქტიტორთა, ასრჯიანთა და ივაჩიანთა გამოსახულებები (სვანეთის წერილობითი ძეგლები (სილოგავას გამოც.) 1988: 57-59).

**ჟამთააღმწერელი** 1957, 1987 = *ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959; ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, რ. კიკნაძის გამოცემა, თბილისი, 1987.

**რაჭა – 1991** 2008 = *მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები რაჭაში*, თბილისი, 2008.

**სვანეთის წერილობითი ძეგლები (სილოგავას გამოც.) 1988 =** *სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.)*, II, *ეპიგრაფიკული ძეგლები*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბილისი, 1988.

**სულხან-საბა ორბელიანი** 1991 = სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1993.

**ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა / National Cultural Heritage program. Annual Report 1997, 1998** = *ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა*. საანგარიშო კრებული, 1997, 1998.

**ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A)** 1955 = *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, A კოლექცია, ტ. V, თბილისი, 1955.

**ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი** 1984 = *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984.

**Varazanashvili – Tsereteli 2011** = O. Varazanashvili, N. Tsereteli, E. Tsereteli, *Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Sources Analysis and Catalogue Compilation*, Tbilisi, 2011.



სურ. 1. ლაბეჭინის სახარება. „ზედნადებნი ქორონიკონისანი“ ქვედა აშიაზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1563, 71v



1-1. „ზედნადებნი ქორონიკონისანი“, 72r



1-2. „ძრვისა და ქუხილისა“, 113v



1-3. გაბრიელ ლაბეჭინელის ნალვაწ-ნამოქმედარის ანგარიშგება. 69r, 70r




სურ. 2. ლაბეჭინის მთავარანგელოზთა ეკლესია



2-1



2-2. ადრეული ხანის რელიეფები და წარწერები ეკლესიის ფასადებზე



სურ. 3. ლაბეჭინის ეკლესიის სიძველეები დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან

3-1





3-4

3-2


Лабичини цер. серебряный образъ складня богородицы сложена 7.



3-3



3-5



სურ. 4. კალას წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია





4-2

4-1



4-3







სურ. 5. თაბორის ეკლესია



5-1. მეორადი გამოყენების ორნამენტის ფრაგმენტები თაბორის ეკლესიაზე

სურ. 6. ბუნებრივი სვეტი სოფელ საირმესთან





სურ. 7. ორბელის ციხე





სურ. 8. ადრეული ხანის წარწერები და ორნამენტი
ზემო სიმონეთის წმ. გიორგის ახალ ეკლესიაზე









ალავერდის ტაძარი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთ ფასადზე

# 10

## XV ს. შუახანები

## კახეთი – ალავერდის ტაძარი

*პირველწყარო:* 1492 *წელს ალექსანდრე კახთა მეფის შეწირულების წიგნი;*
*„ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა*

კახეთში XV საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის შესახებ ცნობა დაცულია 1492 წელს ალექსანდრე კახთა მეფის მიერ ალავერდის ტაძრისადმი მიცემულ შეწირულების წიგნში (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1448-10021). ალექსანდრე I კახთა მეფის შეწირულების საბუთში აღნიშნულია, რომ მან 1492 წლისათვის მიწისძვრით დანგრეული ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარი მეორედ აღაშენა და მის საჭეთმპყრობლად, მამამთავართა მთავრად და ამბა ალავერდელ მთავარეპისკოპოსად დაადგინა ევთვიმი მიჩაბისძე. მიწისძვრით დანგრეული ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის აღდგენასთან დაკავშირებით საბუთში ვკითხულობთ:

> და აწ დიდებულსა... ცათა მობაძავსა საყდარსა ალავერდისასა, ტაძარსა და საყოფელსა მთავარმოწამისა წმიდისა გიორგისასა, და ჟამთა სიგრძისაგან დაძველებული და ძვრისაგან დაქცეული, მეორედ აღვაშენე თავი სა[მამათავ]რო მარცხენის მჴარსა და [სრულიად] განვასრულე (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, 2014: 289-293).

„ანასეული ქართლის ცხოვრების“ ნუსხაზე დართულ ანდერძში, რომელიც 1479-1495 წლებით თარიღდება, ასევე საუბარია კახთა მეფე ალექსანდრეს, მისი დედის, დედოფალ ნესტან-დარეჯანის და მეუღლის, დედოფალ ანას მიერ წარმართთაგან მიტაცებული და დანგრეული ალავერდის ტაძრის აღდგენისა და შემკობის შესახებ:

> ადიდენ ღმერთმან და დაამყარენ ორთავე ცხოვრებათა შინა პატრონნი დედოფალ-დედოფალი ნესტან-დარეჯან და ძე მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა. ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა და მთავართა მორწმუნენი, მაშენებელნი ეკლესიათანი, რამეთუ ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ ჴელ ეყო განწმედად და აღშენებად, ამათ აღაშენეს და განწმიდნეს ყოვლისაგან ღუარძლისა, *აღაშენნეს ცაჲ და გუმბათი და*

> *სამჭრონი*, რაბამ რამე აღმატებულად და შემსგავსებულად, ვითარცა იყო წინანდელთა ქმნულთა ნივთთა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებელობისა და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათათა წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა ყოვლითა სიკეთითა... (ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა 1942: XIV).

მიწისძვრის შესახებ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ რედაქტირებულ ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში (1761 წლის ნუსხა) აღნიშნულია:

> ქორონიკონსა რ˜ჟჲ (sic)... ამასვე წელიწადსა აღესრულა კახთა მეფე ვახტანგ და დაჯდა მის წილ კახეთს ძმა მისი ალექსანდრე ... ამან ალექსანდრე და დედამან მათმან ბაგრატიონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან დაქცეული და დაძველებული აღუშენა ალავერდსა სამჭრენი და გუმბათნი, და დაახატვინა და შეამკო ჯუარითა და ხატითა, წიგნითა და ეკლესიის შესამკობელითა, და შემდგომად ამისა ყოველნივე საეპისკოპოზო ეკლესიანი კახეთისანი შეამკუნა და შესწირა ყოველნივე საეკლესიო სამკაულნი (ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი 1959: 487).

## მიწისძვრის თარიღი და არეალი

*ალავერდი*. ალაზნის მარჯვენა ნაპირას, გაშლილ ველზე აღმართული ალავერდის წმ. გიორგის საკათედრო ტაძარი ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო ნაგებობაა (41,7x26,4, სიმ. 50 მ.), რომელიც მიწისძვრით არაერთგზის დაინგრა. რიყის ქვით ნაგები ტაძრის კედლები შიგნით და გარეთ მოპირკეთებულია შირიმის კვადრებით. ხოლო გვიანი შეკეთების დროს აღდგენილი გუმბათი და ცალკეული ნაწილები აგურისაა (Чубинашвили 1959: 371-2; Чубинашвили 1970: 265, 277, 393-5; კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2004: 45-46).

წერილობითი წყაროს ცნობით, XV საუკუნეში მომხდარი მიწისძვრისაგან დაზიანებული და დანგრეული ალავერდის ტაძარი აღადგინა კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511), მისმა დედამ, დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა და თანამეცხედრემ, ანა დედოფალმა. XV საუკუნის 80-იან წლებში მათ განაახლეს და მოახატვინეს ალავერდის ტაძარი, აღადგინეს გუმბათის ყელი, მკლავები და კედლების ცალკეული ნაწილები, უხვად უბოძეს ყმა-მამული. „ანასეული ქართლის ცხოვრების“ ნუსხაზე დართულ ანდერძში აღნიშნულია, რომ „ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთა-

გან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ ჴელ ეყო განწმედად და აღშენებად, ამათ აღაშენეს და განწმიდნეს ყოვლისაგან ღუარძლისა, *აღაშენნეს ცაჲ და გუმბათი და* სამჴრონი." როგორც ირკვევა, კარგა ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა დანგრეული ტაძრის აღდგენა, რაც სავარაუდოს ხდის, რომ მიწისძვრა გარკვეული ხნით უსწრებდა ალავერდში აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას და, სავარაუდოდ, მოხდა XV საუკუნის შუახანებში.

*თბილისი.* ქალაქის მიწისძვრით გამოწვეული შესაძლო ნგრევის შესახებ არაპირდაპირ ცნობას გვაწვდის ვენეციის ელჩი ამბროჯო კონტარინი, რომელიც 1475 წლის 12 ივლისს ჩამოვიდა თბილისში. ის აღნიშნავს: „ტიფლისი ცნობილი იყო თავისი სიდიდითა და სიმდიდრით, მაგრამ ახლა სულ დანგრეულია, თუმცა ის უბნები, რომლებიც დანგრევას გადაურჩა, საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული" (Контарини 1836: 60, 62).

*არეში (მთისძირი).* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციებისას (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი) გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალებით კავკასიონის ქედის მთისწინეთში, ყვარლიდან 26 კილომეტრის დაშორებით, ისტორიული არეშის (სოფელ მთისძირის) ტერიტორიაზე ადრე შუა საუკუნეების დარბაზული და სამეკლესიანი ბაზილიკების, სამაროვნებისა და დასახლებების ნაწილმა ფუნქციონირება საბოლოოდ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე შეწყვიტა, ნაწილი კი აღდგენილ იქნა XVI საუკუნეში. ასეთია: სოფლის თავში მდებარე სამნავიანი ბაზილიკა მდ. არეშის მარჯვენა ნაპირას, „ბეჩას კაკლებად" წოდებულ საკარმიდამო ნაკვეთზე; სოფლიდან 1 კმ-ზე ტყეში საყდრისყურის სამეკლესიანი ბაზილიკა; ხერთვისის უბანში სასახლე და თავდაცვითი ნაგებობები (ჭილაშვილი 1991: 150; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2013: 408-410; 414-415). სავარაუდოდ, ეს ფაქტი, საგარეო ფაქტორთან ერთად, გარკვეულწილად უკავშირდებოდა XV საუკუნის შუახანებში მომხდარ მიწისძვრას.

*საბუე.* საუკუნეთა განმავლობაში მიწისძვრით არაერთხელ დაინგრა სოფელ საბუედან ჩრდილოეთით, 6-7 კმ-ზე, მდ. ინწობის მარცხენა ნაპირას, ყადორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე კლდის ძირში მდგარი ნათლისმცემლის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკა. VIII-IX საუკუნეების დიდი ზომის ნაგებობა ძლიერ არის დაზიანებული: მთავარი ეკლესიის კამარა კონქი და ჩრდილოეთ კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია; მიწით და ნანგრევებითაა ამოვსებული ჩრდილოეთით ეკლესია და სამკვეთლო, დანგრეულია ბაზილიკის გარშემოსასვლელის დასავლეთი კედელი, სადიაკვნეს კამარა აქვს ჩამოშლილი. ნაგებობა, სავარაუდოდ, აღდგენილია XVI საუკუნეში. ამ დროს ჩატარებული აღდგენითი-სარემონტო სამუშაოებისას აღდგენილ ნაწილებში გამოყენებულია აგური და ცისფრად მოჭიქული ნატეხები (Чубинашвили 1959: 178-181; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2013: 437-439).

*სამთავისი.* XV საუკუნის შუახანებში მიწისძვრას დიდი ზიანი მიუყენებია ქართლში, კასპიდან 11 კმ-ის მანძილზე, სამთავნელ ეპისკოპოს ილარიონის მიერ მდ. ლეხურის მარცხენა ნაპირზე 1030 წელს აგებული ჯვარ-გუმბათიანი დიდი კათედრალისათვისაც. მიწისძვრის შედეგად ჩამონგრეულა გუმბათი, დასავლეთის კარი, გუმბათქვეშა პილონი და მთლიანად ფასადები. ტაძრის დასავლეთ ფასადზე შემორჩენილი წარწერების თანახმად, ძეგლი XV საუკუნის 70-იან წლებში მეორედ აუშენებია და აღუდგენია ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის (1466-1478) დას, ამირინდო ზევდგენიძე-ამილახორის მეუღლეს, გაიანესა და მის ვაჟს, სიაოშს. აღდგენითი სამუშაოებისას თავიდან აუშენებიათ ტაძრის ჩრდილოეთ-დასავლეთ ბურჯი, გუმბათი და დასავლეთ კედელი (გუმბათის გადმოვარდნისას ფასადი მთლიანად გადმოქცეულა). დასავლეთ ფასადის მარცხენა სარკმლის ზემოთ ორ ფილაზე განთავსებული სააღმშენებლო წარწერაა: „ჰოი, დიდისა ამილახორის თანამეცხედრესა, მეფეთ-მეფისა ასულისა, მეორედ აღმაშენებელსა გაიანეს შუნდვნეს ღმერთმან. ამინ." ხოლო სარკმლის ქვემოთ შესრულებულ წარწერაში ვკითხულობთ: „წ. ხატო ღმრთაებისაო, მეოხ ექმენ მეორედ აღმშენებლისა შვილისა სიაოშისა. ამინ, უფალო ღმერთო" (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 1990: 191-197).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი** 1959 = ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი (1761 წლის ნუსხა), *ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959.

**ბატონიშვილი ვახუშტი** 1973 = ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

**კულტურის ძეგლთა აღწერილობა** 1990; 2004; 2013 = *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* თბილისი, წ. 1 (2013); წ. 2 (2004); წ. 5 (1990).

**ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III,** 2014 = *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. XV საუკუნის მეორე ნახევარი*, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამომც. მ. სურგულაძე, III, თბილსი, 2014.

**ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა** 1942 = *ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა,* დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942.

**ჭილაშვილი 1991** = ლ. ჭილაშვილი, *არეში*, თბილისი, 1991.

**Контарини 1836** = А. Контарини, *Путешествие к персидскому шаху Узун-Гасану*, Библиотека иностранных писателей о России, отд. I, т.I, СПб., 1836.

**Чубинашвили** 1959 = Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, Тбилиси, 1959.

**Чубинашвили** 1970 = Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства*, т. I, Тбилиси, 1970.



სურ. 1. ალავერდის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადი ნ. სევეროვის მიხედვით. 1923 წ. პუბლიკაციიდან – Чубинашвили 1959



1-1. გუმბათქვეშა სივრცე



1-2. წარწერები აღმოსავლეთ ფასადზე



1-3. საკურთხევლის მოხატულობა



სურ. 2. იყალთოს სამონასტრო კომპლექსი. საერთო ხედი



2-2. გუმბათი



2-2. აკადემიის შენობა



სურ. 3. სამთავისის საკათედრო ტაძარი



3-1. აღმოსავლეთ ფასადი





3-2





3-3. სამთავისის ტაძრის მეორედ აღმშენებლის წარწერები. XV ს. 70-იანი წწ.

## 11

1545 წ.

## სამხრეთ საქართველო

*პირველწყარო: გელათური წმ. გიორგის გულანის კინკლოსის ქრონიკა*

Სამცხელი კალიგრაფის, სვიმონ კარგარეთელის, მონაწილეობით გადაწერილი გელათური გულანის კინკლოსის ქრონიკალურ ჩანაწერებში (ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი, K-16, 1161r-1165r), რომლებშიც XVI-XVIII საუკუნეების ამბებია გადმოცემული, დაცულია ცნობა 1545 წელს საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ. გელათის გულანის ქრონიკალური ჩანაწერით:

> ქ῀კს: სლგ: აქა ძრვა იყო საშინელი (ქრონიკები 1897: 387).

**თარიღი და არეალი**

ქრონიკალური ჩანაწერი დათარიღებულია 233 (სლგ) ქორონიკონით, ანუ 1545 წლით.

მიწისძვრა, სავარაუდოდ, მოხდა დასავლეთ საქართველოში, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ცნობა ეხება სამხრეთ საქართველოს. ამას გვაფიქრებინებს 1545 წლის ახლო ხანებში სამცხიდან იმერეთში გადასული ცნობილი კალიგრაფის, საფარის წმ. საბას ლავრის დიაკონის, სვიმონ კარგარეთელის (იხ. 1541 წელს იოაკიმე მაწყვერელი მთავარეპისკოპოსის ბრძანებით სვიმონის მიერ გადაწერილი კრებულის ანდერძი. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-312) მონაწილეობა დიდტანიანი ხელნაწერის „გულანის" გადაწერაში, რომელმაც, სავსებით შესაძლებელია, რომ გულანზე დართულ კინკლოსში 1545 წელს საათაბაგოში მომხდარი მიწისძვრის შესახებ გააკეთა ჩანაწერი.

### ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ქრონიკები** 1897 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, ტფილისი, 1897.



ცაიშის ღმრთისმშობლის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადი

# 12

1614/15 წ.

## დასავლეთ საქართველო – ცაიშის საკათედრო ტაძარი, ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესია

*პირველწყარო: ცაიშის ხატების წარწერები;*
*„ჯეგეთას“ ეკლესიის წარწერა*

დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში, XVII საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ ცნობები შემოინახა ცაიშის ღვთისმშობლის ეკლესიის კუთვნილი ხატებისა და ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესიის წარწერებმა.

აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქი და ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსი მალაქია II გურიელი ცაიშის ეკლესიის დიდი ჯვარცმის ხატის (ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, 20831, ჭხ. 393) წარწერაში მოგვითხრობს ძლიერი მიწისძვრის შესახებ, რომლის შემდეგაც რყევები კიდევ ერთი წლის განმავლობაში გაგრძელებულა. მალაქია II გურიელის გადმოცემით, სხვა მრავალ ეკლესიასთან და დასახლებასთან ერთად, მიწისძვრამ საფუძვლამდე დაანგრია მის მიერ ცაიშში ახლად აშენებული მოხატული გუმბათიანი ტაძარი, გალავანი და შენობები, გაანადგურა საეკლესიო ნივთები. მიწისძვის შესახებ 1619 წლით დათარიღებული ვრცელი წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და განთავსებულია ცაიშის ეკლესიის დიდი ჯვარცმის ხატის ჩასასვენებლის ქვედა ნაწილის მთელ სიგრძეზე (ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, 20831, ჭხ. 393):

> წ. მას ჟამსა, ოდეს საჭედ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმათის საყდარსა ზედა, ჩვენ, ძემან გურიელის პატრონისა გიორგისამან, პატრონმან მალაქია ჴელვყავ ცაიშის ტაძრისა შემკობად და დავახატვინეთ, აღვასრულე გუმბადი ვიდრე საფუძვლადმდე, და ესრეთ შევამკევით, ვითარცა შვენის სახლსა ღმრთისასა და წმიდათა მისთა და განვისვენე წელ ერთ, ეჰა სახიერებასა და მიუწდომელობასა ღმრთისასა შეაძ[რ]წოვა და შეარყია ქვეყანა, ესრეთ იქმნა ძრვა დიდი და საკვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი და დაირღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თა-

> ვითგან ვიდრე საფუძვლადმდე, გალავნით, ყოველთა ნაშენებით მითურთ და დაილეწნეს ყოველნი ხატნი და იარაღნი ეკლესიისანი და არა დაშთა რა, ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობითა თვისითა და დაეყენა ძვრა იგი ამისა შემდგომად წელსა მეორესა, ჯერჩინებითა ღმრთისათა და მოწმობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა, მყუვეს კათალიკოზ აფხაზეთისა და [...] მეორედ ჴელვყავ აღშენებად ტაძრისა ამის და მკობად ხატთა... ქრონიკონსა ტზ (=1619) (ბერაია 2000: 16-17).

მიწისძვრით დანგრეული ცაიშის ეკლესიის ხელმეორედ აშენების შესახებ საუბარია ცაიშის ღმრთისმშობლის ვერცხლის ჭედური ხატის წარწერაშიც (ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, 20832, ჭხ. 394). ხატზე გამოსახულია აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია II, ხოლო ქვედა აშიაზე 1622-1639 წლებში შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში საუბარია მიწისძვრის და ცაიშის ტაძრის აღდგენის შესახებ:

> ქ. აჰა, ესერა ზედამხედველმან და განმგებელმან ყოველთამან მოავლინა ძრვა საშინელი. წელსა ერთსა სრულად ქვეყანა იძროდა და ცათა მობაძავი საყდარი ცაიშისა ღმრთისმშობლისა სრულიად დაიქცა გალავნითა და შიგან გარშენობითა და სამრეკლოთა, სრულიად აღმოიფხვნა. და აწ ჩვენ [...] ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა და კათალიკოზმან, ცაიშელ, ჯუმათელ, ხონელ მთავარეპისკოპოზმან, გურიელის გიორგის ძემან, ბატონმან მალაქია ახლად ჴელვყავ აღშენებად საყდრისა და აღვაშენე ცაიშისა და ღმრთისმშობლისა საყდარი და შევამკევით ხატითა და ჯვარითა და იარაღითა, ვითა შვენის სახლსა ღმრთისასა და წმიდათა მისთა (ბერაია 2000: 20-21).

ცაიშში მომხდარი მიწისძვრის შესახებ ცნობები შემონახულია XIX საუკუნის წერილობით წყაროებშიც – ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანის მიერ 1811 წელს ცაიშის ხატებზე შესრულებულ მხედრულ წარწერებსა და ნიკო დადიანის „საქართველოს ისტორიაში“.

აფხაზეთის კათოლიკოს მალაქია II-ის მიერ მოჭედილ ცაიშის ღმრთისმშობლის ხატის (ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, 20832, ჭხ. 394) ქვედა აშიაზე კაცია დადიანის მთავრობის დროს 1811 წელს შესრულებული ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანის მხედრული წარწერა მოგვითხრობს:

> ... პირველიდამ გვაცნობებს ძველნი წერილობანი, რომელ საყდარი [ცაიშის] ესე დაქცეულ ქმნილა საშინელის ძვრისგან, და კვალად აღეშენათ მართ-მორწმუნეთა კაცთა, გარნა ქვეყნისა მიმორყეულობის გამო მისცემია ხელთ ერისკაცთასა, რომელიცა მრავლის ჟამიდგან იყო საერისკაცოთ საყდარი

> ესე შენი .... წელსა ჩღოზ (1777) გარნა ოდეს დავიდგინე მე, ყოვლითურთ დამხთა ეკლესია გაოხრებული, რომელ კნინღა დარღვეულ იყო ეკლესია ესე ... ხოლო საყდარი ესე შენი შე-ძლებისაებრ განვათავისუფლე დარღვევისაგან. და შემოვავლე ირგვლივ გალავანი და განვაახლე ყოველნი დაძველებულნი შენებულებანი, შევამკევ ყოვლითა სახმარებელითა ეკლესიუ-რითა... ხოლო ხატები სიძველისაგან განრყვნილი განვაახლე ... (ბერაია 2000: 34-35).

მიწისძვრის შესახებ ასევე საუბარია XVII საუკუნის ცაიშის ღმრთისმ-შობლის ჩვილედი ხატის XIX საუკუნის დასაწყისის წარწერაში (ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, 1783, ჭხ.15). 1811 წელს, კაცია დადიანის მთავრო-ბის დროს, ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანის მიერ შესრულებულ მხედრულ წარწერაში აღნიშნულია:

> [...] ფრიად ესაჭიროობოდა ეკლესიასა ამას შენსა ღვწა და მუ-შაკობა, რომელ უწინარსავე საშინელისა ძვრისა მიერ სრულიად დაქცეულ იყო და რაოდენმე აღეშენებინა კვალადვე კათალიკოზ ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელ მთავარეპისკოპოსს გურიელის გიორ-გის ძეს მალაქიას [...] *ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტსა* გარნა ვიხილე ესე ეკლესია ფრიად დაცემული და დარღვეული შინა-გან კედელი და გარეგანიცა [...] აღვაშენე ესე ეკლესია, რაოდენ დარღვეული იყო, საფასითა შინაგან და გარეგანა და კვალად შემოვავლე ეკლესიასა ამას ირგვლივ გალავანი, გაუკეთე მურ-დახილათ ხატებისა დასასვენებელი შინაგან ეკლეისიასა შინა, გაუკეთე სალხინებელი წმინდანსა ტრაპეზსა შენსა და დაძველე-ბულნი ხატნი შენნი განვაახლენ... (ბერაია 2000: 20-21).

ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრებაში" ასევე აღნიშნავდა, რომ „ცა-იშის ეკლესია აღაშენა დაქცეული ძვრისაგან კათალიკოსმან მალაქია გუ-რიელის ძემან" (დადიანი 1962: 151).

აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქის და ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსის, მალაქია II გურიელის კიდევ ერთი წარწერა, რომელ-იც ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესიაზეა შესრულებული, ასევე მოგვითხრობს საშინელ მიწისძვრაზე, რომელმაც იქ მდგარი ეკლესია დაანგრია (ზაქარაია 1947: 82-84). ეკლესიის დასავლეთის კარის არქიტრავის ქვაზე შესრულე-ბული ასომთავრული წარწერის თანახმად, ლევან II დადიანის და მისი ბი-ძის გიორგი ლიპარტიანის ბრძანებით, მიწისძვრით დანგრეული ეკლესია ახლად აუგია მალაქიას, მისი ცაიშსა და ჯუმათში მამამთავრობის დროს:

> აჰა ესერა ზედამხედველმან და განმგებელმან ყოველთამან წყალობა მისი რისხვად შესცვალა და მოავლინა ძრვა საშინე-ლი სრულიად ერთს წელიწადსა. დაიქცა საყდარი ცაიშისა და

ესეც, და მრავალნი საყდარნი და შენობანი. ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ცაიშელ-ჯუმათელ მამათმთავარმან გურიელის შვილმან, პატრონმან მალაქია მივყავი ჴელი აღშენებად საყდარსა ამას და აღვაშენეთ ბრძანებითა დადიანისა, პატრონისა ლეონისითა, და ბიძის მისისა ლიპარტიანისა პატრონისა გიორგისასა და მეაბჯრეთუხუცესობასა მერაბ და კაციაჲსასა.[56]

## მიწისძვრის არეალი და თარიღი

ცაიშის ხატების და ჯეგეთას წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერების თანახმად, მიწისძვრა საკმაოდ მასშტაბური იყო და ერთი წელი გაგრძელდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ცაიშთან ახლოს, ურთის მთასთან და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა ვივარაუდოთ. ურთის მთის არქიტექტურულ კომპლექსებში ნგრევის უფრო მეტი მასშტაბები ფიქსირდება, ვიდრე სამეგრელოს სხვა ადგილებში, მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი წყაროების ცნობით, მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის არეალი გაცილებით დიდი იყო და მრავალი ეკლესია და დაბა დაანგრია: „ესრეთ იქმნა ძრვა დიდი და საკვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი და დაირღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა...“, „განმგებელმან ყოველთამან ... მოავლინა ძრვა საშინელი სრულიად ერთს წელიწადსა. დაიქცა საყდარი ცაიშისა და ესეც (ჯეგეთა – დ.კ.), და მრავალნი საყდარნი და შენობანი“.

არაპირდაპირ მითითებას მიწისძვრის თარიღის შესახებ ვხვდებით ცაიშის ჯვარცმის დიდი ხატის 1619 წლით დათარიღებულ წარწერაში, რომელშიც აფხაზეთის კათოლიკოსი და ცაიშელ-ჯუმათელი მთავარეპისკოპოსი მალაქია აღნიშნავს: „დაეყენა ძვრა იგი, ამისა შემდგომად წელსა მეორესა (მიწისძვრის შემდგომ – დ.კ.), ჯერჩინებითა ღმრთისათა და მოწმობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა, მყუვეს კათალიკოზ აფხაზეთისა და ... მეორედ ჴელვყავ აღშენებად ტაძრისა ამის და მკობად ხატთა... ქრონიკონსა ტზ (=1619 წ.)“. ამრიგად, ერთწლიანი მიწისძვრის მეორე წელს მალაქია აფხაზეთის კათოლიკოსად დაუსვამთ. გელათური წმ. გიორგისა და ერკეთის „გულანების“ კინკლოსური ქრონიკების მიხედვით, მალაქია აფხაზეთის კათოლიკოსი გახდა 1616 წელს (ქრონიკები 1897: 455; კაკაბაძე 1913; ზაქარაია 1981: 93-94). ამავე წელს მალაქიას დაუწყია მიწისძვრით დანგრეული ცაიშის ტაძრის აღდგენა, რასაც ადასტურებს გელათის ხელნაწერი გულანის მინაწერი: „ამასვე ქორონიკონსა, თვესა მაისსა იგ (13), დღესა ორშაბათსა ჴელი ყვეს ცაიშის საყდარს ახლად აღსაშენებლად“. კალენდრის მიხედვით, 13 მაისი, ორშაბათი, სწორედ 1616 წელს მოდიოდა. ისიც ცნობილია, რომ მალაქიამ ერთი წლით ადრე კათალიკოსად დანიშ-

56 გასული საუკუნის 40-იან წლებში წარწერა გადატანილ იქნა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ამჟამად იქ ინახება (ზაქარაია 1947: 71-86).

ვნამდე, ცაიშსა და ჯუმათში მთავარეპისკოპოსობის პერიოდში, 1615 წელს ახლად ააშენა მიწისძვრით დანგრეული ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიწისძვრის თარიღი განისაზღვრება 1614 წლით (ზაქარაია 1947: 84-86; ზაქარაია 1981: 94).

## არქეოლოგიის და არქიტექტურის მონაცემები

*ცაიშის საკათედრო ტაძარი* – ცაიშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია მდებარეობს ურთას მთის ერთ-ერთ ფერდობზე, მდ. ჯუმიდან ასიოდე მეტრის სიმაღლეზე (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ამჟამად ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის საკათედრო ტაძარი). ცაიშში საეპისკოპოსო კათედრა VI-VII საუკუნეთა მიჯნიდან არსებობდა. ცაიშის საეპისკოპოსოს სამწყსო, ძირითადად, მოიცავდა ხობისწყალსა და ენგურს შორის ტერიტორიას, ზღვიდან უნაგირის ქედამდე. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მასში შედიოდა ზემო სვანეთი და სამურზაყანო.

*ცაიშის ეპარქიის საკათედრო ტაძარი.* კომპლექსში შემავალი ნაგებობები შემოსაზღვრულია ფართო და მაღალი გალავნით, რომლის ცენტრშიც ტაძარია აღმართული, ხოლო სამხრეთ ნაწილში – ორსართულიანი სამრეკლო. ტაძრის დასავლეთით, გალავნის გარეთ შემორჩენილია საეპისკოპოსო სასახლის ნანგრევები, რომლებსაც ადგილობრივნი „პალატს“ უწოდებენ (გამოიყენებოდა სატრაპეზო ღვინის შესანახად). პალატის შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, ურთას მთასთან არის ვიწრო გამოქვაბული. ინტერიერის მიხედვით მას XI საუკუნის შემდგომი პერიოდით ათარიღებენ.

ადრეფეოდალური ხანის ტაძრის ნაშთები ჩართულია 1614/15 წლის მიწისძვრისას დანგრეულ და 1616-1619 წლებში აღდგენილ ტაძარში. მნიშვნელოვანი აღდგენითი და სააღმშენებლო სამუშაოები ჩატარდა ცაიშში XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც, როდესაც აშენდა სამრეკლო და გალავანი.

ცაიშის საეპისკოპოსო კომპლექსში გამოიყოფა რამდენიმე საამშენებლო ფენა: X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული დარბაზული ეკლესიის ადგილზე XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აგებულ იქნა ღმრთისმშობლის გუმბათოვანი ტაძარი (გამორიცხული არაა, უკავშირდებოდეს სვანეთში XIII-XIV სს-ში მომხდარ მიწისძვრას). XVII საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში ცაიშელ-ჯუმათელმა მთავარეპისკოპოსმა, შემდგომში აფხაზეთის კათოლიკოსმა, მალაქია II გურიელმა (1616-1639) ტაძარი მოახატვინა და გუმბათიც აღადგინა („აღვასრულე გუმბადი ვიდრე საფუძვლადმდე“). ერთი წლის შემდეგ, 1614/15 წელს, მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ცაიშის ტაძარი მნიშვნელოვნად დაანგრია („საყდარი ცაიშისა ღმრთისმშობლისა სრულიად დაიქცა გალავნითა და შიგან გარშენობითა და სამრეკლოთა, სრულიად აღმოიფხვნა“). მიწისძვრით დანგრეული ტაძარი 1616-1619 წლებში ხე-

ლმეორედ აღაშენა და ახლად შეამკო 1616 წელს აფხაზეთის კათოლიკოსად დასმულმა ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელმა მთავარეპისკოპოსმა, მალაქია II-მ (1616-1639); XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ცაიშელმა მიტროპოლიტმა, გრიგოლ ჩიქოვანმა, კაცია II დადიანის მხარდაჭერით, 1777 წელს მოახერხა ცაიშის ეკლესიისათვის დაებრუნებინა „საეროთაგან" მიტაცებული ყმა-მამული და სარესტავრაციო სამუშაოები ჩაეტარებინა ტაძარში, აეშენებინა სამრეკლო და შემოევლო გალავანი.

*ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესია* – მდებარეობს ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთით, მწვერვალზე, ცაიშიდან შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით. ეკლესია ცილინდრული კამარით გადახურულ ცალნავიან ნაგებობას წარმოადგენდა (3,60x7,30); იგი ნაწილობრივ ყოფილა შემოსილი კარგად თლილი კვადრებითა და ფლეთილი ქვით. ეკლესიის შიდა სივრცეს თავის დროზე ფრესკები ამკობდა (ფრაგმენტები შერჩენილი იყო კამარასა და თაღებზე), რომელიც, თავისი ხასიათითა და ორნამენტული მოტივით, ცაიშის ეკლესიის მხატვრობის მსგავსი ყოფილა. დასავლეთის ფასადი შემკული იყო ცხვრის, ფეხმორთხმით მჯდომი თარიანი და ლანგრიანი (sic!) (დაირიანი – დ.კ.) მუსიკოსების რელიეფური გამოსახულებებით. ტაძარს ირგვლივ უვლიდა ოთხკუთხედი მოხაზულობის ქვის გალავანი, სალოცავთან იყო ორი ბუნებრივი და ერთი ხელოვნური გამოქვაბული (ზაქარაია 1947: 71-86). მიწისძვრით დანგრეული ეკლესიის ხელმეორედ აშენება და მისი მოხატულობით შემკობა უკავშირდებოდა 1615/16 წელს ცაიშელ-ჯუმათელი მთავარეპისკოპოსის მალაქიას მიერ აქ ჩატარებულ სააღმშენებლო სამუშაოებს.

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ბერაია** 2000 = ლ. ბერაია, *სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარხატების წარწერები,* თბილისი-ზუგდიდი, 2000.

**დადიანი** 1962 = ნ. დადიანი, *ქართველთა ცხოვრება,* თბილისი, 1962.

**ზაქარაია** 1947 = პ. ზაქარაია, ჯეგეთა, *ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები,* I, თბილისი, 1947.

**ზაქარაია** 1981 = პ. ზაქარაია, *ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა. XI-XVIII სს.,* 3, თბილისი, 1981.

**თაყაიშვილი** 1914, 2017 = ე. თაყაიშვილი, *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*, ტფილისი, 1914 / მეორე გამოცემა: ე. თაყაიშვილი, *თხზულებანი*, 4, თბილისი, 2017.

**კაკაბაძე** 1913 = ს. კაკაბაძე, *საცაიშლოს გამოსავლის დავთარი*, ტფილისი, 1913.

**ქრონიკები** 1897 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, ტფილისი, 1897.

**Varazanashvili – Tsereteli 2011** = O. Varazanashvili, N. Tsereteli, E. Tsereteli, *Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Sources Analysis and Catalogue Compilation*, Tbilisi, 2011.




1614/15 წლის მიწისძვრის ამსახველი რუკა. პუბლიკაციიდან – Varazanashvili – Tsereteli 2011



სურ. 1. ცაიშის ღმრთისმშობლის ტაძარი. სამხრეთ ფასადი





1-2

1-1. სამრეკლო



1-3





1-4



1-5









სურ. 2
ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესია და პალატი. ნ. მურღულიას ფოტოები. 2010 წ.




შემახა. 1734 წლის გერმანული გრავიურა

# 13

1668 წ. 4 იანვარი

## აღმოსავლეთ საქართველო – ალავერდის ტაძარი, თბილისი; აზერბაიჯანი / ირანი / სომხეთი – შემახა, განჯა, თავრიზი, დამურლაფუნი; ატრპატაკანი: არდებილი, ახპატის ეკლესია, ტესევანცის ეკლესია; ერევანი*

*პირველწყარო: ქართული და სომხური ხელნაწერების მინაწერები (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A-1755, H-1738, A-401; მატენადარანი, MS № 2281); ბერი კირაკოზი, გრიგორ კამახეცის ქრონიკის გამგრძელებელი; ჰაკობ კარნეცის ქრონიკა; ზაქარია აგულეცის „დღიური“*

სეისმური აქტივობის თვალსაზრისით, 1668 წელი გამორჩეული იყო სამხრეთ კავკასიასა და ანატოლიაში. აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი ამ ძლიერი მიწისძვრის შესახებ ცნობა შემოგვინახა XVII საუკუნის ქართული ხელნაწერების კინკლოსების (აღდგომის და მასთან დაკავშირებული მოძრავი დღესასწაულების დასაანგარიშებელი ციკლური ცხრილების) ისტორიულმა მინაწერებმა – 1672 წელს ნათანელ ბედისმწერლიშვილის მიერ გადაწერილი „ჟამნის“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1755) გადამწერისეულ  მინაწერში აღნიშნულია: „ტნვ (=1668) აქა ძრვა იყო წლამდი“, ხოლო XVII საუკუნის „ჟამგულანის“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1738) მინაწერით: „ტნვ (=1668), აქაჲ დიდი ძრვაჲ იყო“ (მცირე ქრონიკები 1968: 45-46; 47-49).

1668 წელის 4 იანვარს კახეთში მიწისძვრისა და ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის მეორედ დანგრევის შესახებ ცნობა შემოგვინახა ზოსიმე ვალელის მიერ 1514 წელს გადაწერილ ოთხთავზე შესრულებულმა მინაწერმა:

> ქ. ქორონიკონსა ტნვ (386), იანვარსა დ (4), იძრა დედამიწა გასაკვირვებლათ და დაიქცა მეორეთ წმინდა გიორგი ალავერდისა, არჩილ აშენა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-401, 4r; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) 1986: 3-4).

---

* დაიბეჭდა 2021 წელს სათაურით „1668 წლის 4 იანვრის დიდი მიწისძვრა სამხრეთ კავკასიაში“ (კლდიაშვილი, დიასამიძე 2021: 79-105).

კახეთში ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის მიწისძვრით დანგრევის შესახებ მოგვიანებით საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757). ალავერდის აღწერასთან დაკავშირებით ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მიწისძვრით დანგრეული საკათედრო ტაძრის აღდგენა დაიწყო როსტომმა და დაასრულა არჩილ მეფემ, მაგრამ 1741 წელს მომხდარმა მიწისძვრამ ტაძარი კვლავ დაანგრია. ვახუშტის ცნობით:

> შტორის ჴევს ზეით, ალაზნის დასავლით არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე-პალატიანი, გუმბათიანი, რომელმან მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონგუერდს, შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი. აღაშენა ი῀გ მამათაგანმან წმიდამან იოსებ და ყო მონასტერი წმიდისა გიორგისა, დაფლულ არს მუნვე. და იყო მონასტერი განდგომილებისამდე, ქრისტესსა ჩ῀ჳჲვ (1466), და ამათ ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი თურდოს-ჴევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე, და უპირველეს კახთა ეპისკოპოზად. დაიქცა ძვრით. როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა. კუალად დაიქცა ქრისტესსა ჩ῀ღმა (1741) ძვრისთვე (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 549).

ვახუშტის ცნობას 1668 წლის მიწისძვრამდე როსტომ მეფის მიერ ალავერდის ტაძარში გარკვეული აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შესახებ ადასტურებს როსტომის თანამედროვე ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე. მისი გადმოცემით: „ალავერდის საყდარი ბატონის თეიმურაზის დროს დაქცეულიყო და აშლილობისაგან არ დასცალებოდა, რომ აეშენებინა და მეფე როსტომ მისი დაქცეულობა აუშენებინა (sic)“; მისივე ცნობით, გრემში „მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეულ ვნახეთ, უკარო და უჭერო, ნადირთ სადგომ მქმნილი“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია 1925: 261).

1668 წლის 4 იანვარს მიწისძვრით მეორედ დანგრეული ალავერდის ტაძრის აღდგენა დასრულდა არჩილ II შაჰ-ნაზარ-ხანის (კახეთის მეფე 1664-75 წწ., იმერეთის მეფე 1661-63, 1678-79, 1695-96 წწ.) კახეთში მეფობის დროს – 1668-1675 წლებს შუა.

ქართულ წერილობით წყაროებს საქართველოში 1668 წლის მიწისძვრით დაზიანებული სხვა ადგილების შესახებ მეტი ცნობა არ შემოუნახავს.

ფრანგი კომერსანტი და მოგზაური ჟან შარდენი (1643-1713), რომელიც მიწისძვრისას სპარსეთში ქ. ისპაჰანში იმყოფებოდა, მოგზაურობის ჩანაწერებში აღნიშნავდა კასპიის ზღვის მეზობელ პროვინციებში 1668 წლის 4 იანვარს მომხდარი კატასტროფისა და დიდი მსხვერპლის (50 000 კაცი) შესახებ:

> Sur la fin de cette même année, vinrent de tristes nouvelles à Ispahan des provinces voisines de la mer Caspienne, savoir qu'à

Chirvon (Chyrvâun), la principale ville d'une province appelée du même nom, et qui fait une partie de l'Arménie majeure, proche de Tefflis (Teflys), capitale de la Géorgie, un tremblement de terre avoit ébranlé la plus grande partie de cette ville et avoit renversé quatre villages voisins; que dans ces ruines plus de trente mille personnes étoient péries; qu'en une autre ville appelée Chamaky (Chamakhy), dans la province du même nom, qui est la Médie australe, un autre tremblement également épouvantable avoit causé la perte de vingt mille personnes, et abîmé les trois quarts de la ville, que ces terribles accidents avoient mis ces deux provinces dans la dernière désolation (Chardin 1811: X, 81-82).

იმავე წლის ბოლოს სამწუხარო ამბავი მოვიდა ისფაჰანში კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე მეზობელი პროვინციებიდან, სახელდობრ შირვანიდან, ამავე სახელწოდების მქონე პროვინციის დედაქალაქიდან, რომელიც დიდი სომხეთის ნაწილია და საქართველოს დედაქალაქ ტფილისთან ახლოს მდებარეობს. მიწა ძლიერად ზანზარებდა ქალაქის უმეტეს ნაწილში და მის მახლობლად მდებარე ოთხი სოფელი შეარყია. 30 000-ზე მეტი ადამიანი ნანგრევებში გაუჩინარდა. სხვა ქალაქში, სახელად შემახა, ამავე სახელწოდების მქონე პროვინციაში, რომელიც სამხრეთ მედიას წარმოადგენს, ასეთივე საშინელი სხვა მიწისძვრა დაატყდა თავს. ამან 20 000 ადამიანის დაღუპვა გამოიწვია და ქალაქის სამი მეოთხედი დააზიანა. ამ ორმა საშინელმა მიწისძვრამ ეს ორი პროვინცია უკიდურესად გაანადგურა (მაია დიასამიძის თარგმ.).[58]

განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს გვაწვდის ამ მიწისძვრის შესახებ სომხური წერილობითი წყაროები – თანამედროვეთა მიერ ხელნაწერებზე შესრულებულმა ანდერძ-მინაწერებმა და ქრონიკებმა არაერთი ცნობა შემოინახეს 1668 წლის 4 იანვრის მიწისძვრაზე. ამ ცნობების თანახმად, მიწისძვრა საკმაოდ მასშტაბური იყო, მას დიდი მსხვერპლი მოჰყვა და განსაკუთრებული სისასტიკით დაანგრია ქალაქი შემახა, ხოლო საქართველოში სერიოზული ზიანი მიაყენა ქალაქ თბილისს.

1666 წლამდე გადაწერილ სომხურ ხელნაწერ კრებულზე დართული ანდერძ-მინაწერი (სომხ. ჰიშატაკარანი) ვრცლად მოგვითხრობს 1668 წლის 4 იანვარს შემახასა და თბილისში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ. მინაწერის ავტორი მიწისძვრის თვითმხილველია და გამორიცხული არაა, რომ ამ დროს თბილისში იმყოფებოდა. ამ მხრივ მის მიერ

58 მადლობას ვუხდით ტოკიოს უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს და ჩვენი პროექტის უცხოელ კონსულტანტს, ჰიროტაკე მაედას, შარდენის ამ ცნობის მოწოდებისათვის.

მოწოდებული ცნობა თბილისში მომხდარი მიწისძვრის შესახებ სანდოო-ბის თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს. ჰიშატაკარანის ავტორის გადმოცე-მით, 1668 წლის 4 იანვარს მიწისძვრამ და შემდგომმა ბიძგებმა თბილისში მრავალი ეკლესია, ბურჯი (კოშკი), გალავანი და საცხოვრებელი სახლი დაანგრია, ხოლო შემახაში ქალაქის სამი უბანი მაცხოვრებლებიანად მი-წაში ჩამარხა, რაც შეეხება „არარატის ქვეყანას", მას ზიანი არ მისდგომია; მიწისძვრამ, უცხოელების ჩაუთვლელად, შეიწირა 40 000 კაცი:

> Ի թվականութեանս hոոմց ՌՃ [1100] եւ ԺԷ (1668) ամին եւ յամսեանն յունվարի Դ (4) եւ օրն էր շաբաթ, ի տօնի սրբոյ Բարսեղի հայրապետին, ի ժամս ԲԺ(12) –ան, զի մինչդեռ կատարէաք զաղօթս առաւօտեան, յանկարծակի եղեւ շարժ մեծ, որ յահէ բազումք ահաբեկք եւ կիսամահք եղեն. Նաեւ բազումք ի կանանց վիժեցին զզաւակս իւրեանց, բայց աղոթիւք սուրբ իջման տեղոյս, ոչ ինչ վնաս եղեւ ի յերկիրս Արարատեան: Այլ սակային ի Տփխիս քաղաքի բազում եկեղեցիք եւ բուրճք եւ պատուարք ի վայր կործանեցան եւ թէպետ վնաս ամրոցաց եւ ապարանից յոլով եղեւ, սակային ումեք վնաս չի դիպեցաւ երբէք, յորմէ երկուցեալք խանն եւ կաթողիկոսսն Վրաց բազում նուէրս եւ պատարագս մատուցին. Եւ զվաճառումն Վրաց ի բաց բարձին բնաւ յերկրէն իւրեանց վրանօք, քանզի յերեբմանէն երբէք ոչ դադարիւր քաղաքն. Յաղագս որոյ երկուցեալք ոմանք ի փախստեայ գնային եւ ոմանք յանդիման քաղաքին լինէին: Իսկ զՇամախոյ Գ (3) բաժինն կործանեցաւ, յերկիր նաեւ, թէ յանդունդս սուզեցաւ, մինչ զի նշմարանք քաղաքին բնաւ ոչ երեւէր եւ ի բնակչացն ԽՌ (40 000) ոգիս կորընչէր, թող զօտարոտիս, իսկ որք ի յեկեղեցիս էին զերծան եւ որք արտաքոյ՝ ոմանք կործանեցան մի անգամ եւ ոմանք կիսամահ եւ երկնախոցք եղեն, յորոց փրկեսցէ զմեզ կործանմանէ քրիստոս Աստուած մեր. Ամէն: (მატენადარანი, MS № 2281, fol. 402. მცირე ქრონიკები 1956: 279, შენ. 64).
>
> ბერძნული წელთაღრიცხვის ՌճԺէ [=1668] წლის 4 იანვარს, წმ. ბარსელ ჰაირაპეტის დღესასწაულის დღეს, 12 საათზე, ვიდრე დილის ლოცვას ვიტყოდით, მოულოდნელად დიდი მიწისძვრა მოხდა. შიშმა მოიცვა მრავალი [ადამიანი] და სი-ცოცხლე მოუსწრაფა. ქალებმა ნაადრევად შობეს ბავშვები. მაგრამ [მაცხოვრებელთა] ლოცვით, წმინდა გარდამოსვლის ადგილზე არარატის ქვეყანას ზიანი არ მიდგომია. თბი-ლის-ქალაქში კი მრავალი ეკლესია და ბურჯი, [აგრეთვე] გალავანი დაინგრა. ციხესიმაგრეები და საცხოვრებელი

სახლები ძალიან დაზიანდა, თუმცა ზოგი სრულიად უვნებლად გადარჩა. ქართველთა ხანმა და კათოლიკოსმა მრავალი ძღვენი და შესაწირი გაიღეს. ქართველი ვაჭრები ხელაპყრობილი ლოცულობდნენ, ოჯახებით გარეთ გამოვიდნენ და მიწაზე კარვებში დაბანაკდნენ, რადგან ქალაქში რყევა არ შეწყვეტილა. ამის გამო ზოგიერთები საერთოდ გარბოდნენ, ზოგნი კი ქალაქგარეთ ბანაკდებოდნენ. შემახიის სამი უბანი განადგურდა, მიწა უფსკრულებად დასკდა და ისე ჩავარდა, რომ ქალაქის კვალიც არ დარჩენილა. უცხოელებს თუ არ ჩავთვლით, 40 000 ბინადარი დაიღუპა. ზოგი ეკლესიას აფარებდა თავს, ზოგი გარეთ რჩებოდა, ზოგი მყისვე გარდაიცვალა, ზოგი კი ცოცხალმკვდარი და დაზიანებული დარჩა. გვიხსენ დალუპვისგან, უფალო ჩვენო ქრისტე. ამინ. (მაია დიასამიძის თარგმ.).

1668 წლის 4 იანვარს, გამთენიისას, თანამედროვე აზერბაიჯანის, ირანის, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ ძლიერ მიწისძვრაზეა საუბარი კიდევ ერთი სომხური ხელნაწერის ჰიშატაკარანში. ანდერძ-მინაწერი, რომელიც შესრულებულია 1663 წლის ნუსხაზე (მატენადარანი, MS, N1773, fol. 430) მოგვითხრობს, რომ მიწისძვრისას სრულიად განადგურდა ქალაქი შემახა, ნგრევა გამოიწვია ქალაქებში: თბილისი, არდებილი,[59] თავრიზი, ერევანი, განჯა, დამურღაფუნი, და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. მიწისძვრის შედეგად, ისტორიულ ლორე-ტაშირში ჰაღპატის მონასტრის ეკლესიიდან ქვები ჩამოცვივდა, ხოლო ჰაღპატსა და სანაჰინს შორის მდებარე ტესევანცის ეკლესია მთლიანად დაინგრა. მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ქალაქ თბილისს, სადაც ახლადაშენებული ეკლესიის კედელი და ზედა ციხის კედელი ჩამოიქცა. მიწისძვრით გამოწვეული ადამიანური მსხვერპლი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ აღრიცხვაც კი შეუძლებელი იყო:

Թվին ՌճԺէ(1668) յունվար ամսոյ Դ(4) սաստիկ եւ ահագին շարժ եղեւ յամենայն սահմանս Ատրպատականի, ի յառաւօտուն մինչ զհարցի ժամն ասէաք: Եղեւ թնդումն եւ զկնի նորին եկն շարժ եւ այնքան ուժգին եղեւ , մինչ զի կանթեղք եւ ջահք, որք կախեալք էին յեկեղեցոջն ամենեքեան տարաբերէալք երթային եւ գային: Եւ մարդիկք , որք ընդ երեսս որմոյ յեցեալք կանգնեալք կային ի տեղւոյն ի բաց ձգեաց. Եւ եղեւ շարժս այս յԱրտաւել քաղաք, ի Թավրէզ, յԵրեւան, ի տփխիս, ի

59 ქალაქი არდებილი (არდაველი) – კასპიის ზღვასთან დაახლოებით 70 კილომეტრში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი ირანის ჩრდილოდასავლეთში. არდებილზე გადიოდა შემახადან სპარსეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზა. შემახას შემდეგ, სწორედ არდებილი იყო სავაჭრო საქონლის პირველი გამანაწილებელი მთელ ირანში.

Գանջայ, ի Շամախի, ի Դամուրղափուն, եւ յամենայն սահմանս իւրեանց: Եվ յայսմ շարժմանէ Հախպատայ վանից եկեղեցոյ ներսի երեսէն որոմոյ քարինքն թափեցան եւ եկեղեցին, որում անուն Տեսեւանց ասէն, որ ի մէջ Հախպատայ Սանահնոյ կար շինեալ, բնաւին բլաւ: Եւ ի Տփխիս քաղաքին մէկ նոր շինեալ եկեղեցոյ որմն եւ վերին բերդի որմն խախտեցաւ: Իսկ Շամախի քաղաքն հիմն ի վեր լեալ ամենեւին տապալեցաւ, որ բնաւին ոչ մնաց շինուածք եւ անթիւ մարդիկք մեռան, զորոց զթիւն աստուած միայն գիտէ: (მატენადარანი, MS № 1773, fol. 430 r-v; მცირე ქრონიკები 1951: 251, შენ. 31).

ՌՃԺԷ (1668) წლის 4 იანვარს სასტიკი და საზარელი მიწისძვრა მოხდა ატრპატაკანის ტერიტორიაზე გამთენიისას, ვიდრე სამი ყრმის ლოცვას ვიტყოდთ. ჯერ იყო გრუხუნი, რასაც მოჰყვა მიწისძვრა, რომელიც ისეთი სიძლიერის იყო, რომ კანდელებმა და სასანთლეებმა, რომლებიც ეკლესიაში სხვადასხვა ადგილას ეკიდა, აქეთ-იქით ქანაობა დაიწყეს. მათ წინ მდგომი ადამიანები კი ადგილიდან მოწყდნენ და გარეთ იქნენ გასროლილნი. ასეთივე მიწისძვრა მოხდა ქალაქ არდაველში, თავრიზში, ერევანში, თბილისში, განჯაში, შემახაში, დამურღაფუნსა და სხვა მიმდებარე ტერიტორიებზე. ამ მიწისძვრისგან ჰაღპატის მონასტრის ეკლესიის შიდა მხარეს ჩასმული ქვები ჩამოცვივდა და ეკლესია, რომელსაც ტესევანცს ეძახიან, რომელიც ჰაღპატსა და სანაჰინს შორის იყო აშენებული, მთლიანად დაინგრა. ქალაქ თბილისში ახლადაშენებული ეკლესიის კედელი და ზედა ციხის კედელი ჩამოიქცა. ქალაქი შამახა აღიგავა მიწის პირიდან, არცერთი ნაგებობა არ გადარჩა. უამრავი ადამიანი დაიღუპა. გარდაცვლილთა რაოდენობა მხოლოდ ღმერთმა იცის (მაია დიასამიძის თარგმ.).

ზერი კირაკოზი, გრიგოლ კამახეცის მიერ რედაქტირებული სომხური ქრონიკის XVII საუკუნის გამგრძელებელი, აღნიშნავს, რომ 1668 წელს მომხდარი მიწისძვრისას შემახა უფსკრულში გაუჩინარდა:

ՌՃԺԷ [1668]- ին շարժ եղեւ եւ Շամախի խոր գնաց: (ზერი კირაკოზი 1956 : 272).

ՌՃԺԷ [1668] წელს მიწა იძრა და შემახა ჩაიმარხა (მაია დიასამიძის თარგმ.).

1668 წელს უფლის გამოცხადების დღესასწაულზე შემახაში, განჯაში, თბილისსა და ერევანში მომხდარი მიწისძვრისა და შემახაში დიდი ნგრევისა და ადამიანური მსხვერპლის თაობაზე მოგვითხრობს იაკობ კარნეცი

(1622-1672), სომეხი სასულიერო პირი ქ. კარინიდან (თანამედროვე ერზრუმი, თურქეთი). მისი გადმოცემით:

> Դարձեալ ՌճԺԷ(1668) յաւուր նաւակատեաց Յայտնութեան տեառն մերոյ ի լուսանալ առաւօտին, որ յասելն փառք ի բարձունս, ահագին որոտմամբ եւ սաչիւն դողաց երկիրն Շամախու, գանճայու եւ Թիւլիսու եւ Երեւնա:
> Ապա ումմեք երկրի վնաս ոչ եղեւ, բայց միայն Շամախու, տեսցուք եղբայրք եւ զգոշասցուք, որպէս ասէն մարգարէն ՛ « ո՛ հայր երկիր եւ տա դողալ սմա» եւ այլն. զի եղեւ յայտնի եւ մէծ հրաշք, որ աղօթից զօրութիւնն ցուցաւ հայտնապէս, զի որչափ ժողովուրդ, որ կային ի Շամախոյ քաղաքին յեկեղեցի բնաւին ոչ քար մի անկաւ, ոչ Ա մարդոյ զարար եղեւ, այլ արտաքոյ եղեալքն ընդ հողով կորեան եւ կործանեցան (ჰაკობ კარნეცის ქრონიკა 1951: 243-244).
>
> ՌճԺԷ 1668 წლის უფლის გამოცხადების დღესასწაულის დღეს გამთენიისას, უზენაესის ნებით, საშინელი გრუხუნით და გრიალით მიწა იძრა შემახაში, განჯაში, თბილისსა და ერევანში. არც ერთ ქვეყანას ისეთი ზიანი არ მიდგომია, როგორც შემახას. ნახეთ ძმებო და გაფრთხილდით, რადგან წინასწარმეტყველმა თქვა: „ჰოი, მამაო ზეციერო და იქნა ეს ძვრა“ და დიდი სასწაული გაცხადდა, რომელმაც ლოცვის დიდი ძალა გამოავლინა. იმ ხალხს, რომელიც ქალაქ შემახას ეკლესიაში იყვნენ, ერთი ქვაც კი არ დასცემიათ და არც ერთი კაცი არ დაღუპულა, მაგრამ გარეთ მყოფი ადამიანები კი მიწაში ჩაცვივდნენ და დაიღუპნენ (მაია დიასამიძის თარგმ.).

სომეხი ვაჭრის, ზაქარია აგულეცის, მოგზაურობის „დღიურში“ (1647-1691) შეტანილ ჩანაწერებში ვხვდებით ცნობას 1668 წლის 4 იანვარს შემახაში, ხოლო 7 აგვისტოს აღმოსავლეთ ანატოლიაში მომხდარი მიწისძვრის შესახებ. მიწისძვრის დროს ზაქარია სოფელ აგულისში (ამჟამად ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა, აზერბაიჯანი) იმყოფებოდა. მისი გადმოცემით, 4 იანვრის მიწისძვრისას ბევრი ციხესიმაგრე და შენობა დაინგრა, განსაკუთრებით კი ქ. შემახა, სადაც დაიღუპა 6-7 ათასი ადამიანი:

> Թվին ՌճԺԷ 1117(1668) յունվարի դ-ումն (4) Ագուլիս կամաց շարշ եկաւ: Այս շարշս էլ յունվարի դ.ումն (4) Շամախի քաղաքն յենց եկաւ, որ մինչի զէռ (6000-7000) հոգի մեռաւ: Շատ սարայ, բէրթ ու պարիսպ փլաւ. վասն մեղաց մերոց (ზაქარია აგულეცი 1938: 74).

> 1668 წლის 4 იანვარი. აგულისში იყო პატარა მიწისძვრა. მიწისძვრა 4 იანვარსვე ძალიან ძლიერი იყო ქალაქ შემახაში. აქ დაიღუპა ექვსი-შვიდი ათასი ადამიანი. ჩვენი ცოდვების გამო დაიქცა ბევრი შენობა, ციხესიმაგრე და კედელი (ზაქარია აგულეცი (დავლიანიძის თარგმ.) 1979: 41).

„დღიურში“ შეტანილი კიდევ ერთი ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ 1668 წლის 26 თებერვალს დასავლეთით დიდი უბედურების მომტანი ვარსკვლავი გამოჩნდა, ხოლო 22 სექტემბერს აგულისში მისული კაცისაგან და წერილიდან ზაქარიას შეუტყვია, რომ 7 აგვისტოს მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ანატოლიის მთელი რიგი ქალაქები, რომლის დროსაც დაიღუპა ადამიანების დიდი რაოდენობა (ზაქარია აგულეცი 1938: 42; 43).

1668 წლის ზაფხულის მიწურულს სამხრეთ კავკასიაში 4 იანვარს დაწყებული მიწისძვრების ჯაჭვი გაგრძელდა და ამჯერად, მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, მოიცვა ჩრდილოეთ ანატოლიის მთელი რიგი ადგილები. 1668 წლის 17 აგვისტოს, შაბათს, 4 საათზე ანატოლიაში მომხდარი მიწისძვრისას, რომლის შემდგომაც რყევები 6 თვის განმავლობაში გრძელდებოდა, ბევრი ქალაქი (თოღათი, ნიკსარი, ბოლია, ბურსა, მარზივანი, ერზინკა), სოფელი, შენობა, ციხესიმაგრე და მეჩეთი დაინგრა (Ambraseys, Finkel 1988: 173-1801). 7 (sic) აგვისტოს მომხდარი მიწისძვრისა და მისი შედეგების შესახებ მოგვითხრობენ დიაკონ ანდრეას ევდოკეცის XVI საუკუნის ქრონიკის XVII საუკუნის გამგრძელებელი და ფრაგმენტული ქრონიკები, რომლებშიც თვითმხილველის მიერ გადმოცემულია 1651-1668 წლებს შორის მომხდარი ფაქტები (ანდრეას ევდოკეცის ქრონიკის გამგრძელებელი 1951: 162; ანონიმი ავტორის ფრაგმენტული ქრონიკები 1956: 519).[60]

## 4 იანვრის მიწისძვრით დაზიანებული არქეოლოგიის და არქიტექტურის ძეგლები საქართველოში

*ალავერდის ტაძარი* – X-XI საუკუნეების მიჯნა, არა უგვიანეს XI საუკუნის პირველი მეოთხედი. ალაზნის მარჯვენა ნაპირას, გაშლილ ველზე აგებული ალავერდის წმ. გიორგის საკათედრო ტაძარი საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს და მაღალ საეკლესიო ნაგებობას წარმოადგენს (41,7x26,4, სიმ. 50 მ.). ტაძრის გეგმას საფუძვლად ჯვარი უდევს, რომლის ერთმანეთის ტოლი სამი მკლავი ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება და ქმნის ე. წ. ტრიკონქს, ხოლო დასავლეთ მკლავი წაგრძელებულია და გვერდითა ნავების მალით უკავშირდება ბოძებზე დაყრდნობილი თაღების წყვილს.

60 ეს მიწისძვრა ერთ-ერთი დიდი იყო ჩრდილოეთ ანატოლიის ზონაში, რომელიც სიძლიერით, როგორც ვარაუდობენ, 1939 წლის ერზინჯანის მიწისძვრასაც კი უსწრებდა; გავრცელების არეალი დასავლეთიდან ბოლუდან მოყოლებული სამხრეთით ერზინჯანის მიმართულებით მოიცავდა 100 კმ სიგანის და სიგრძით 600 კილომეტრის ფართობს (Ambraseys, Finkel 1988: 173-180; Albini et al 2014: 51).

თავდაპირველად რიყის ქვით ნაგები ტაძრის კედლები შირიმის კვადრებით შიგნით და გარეთ სრულად ყოფილა მოპირკეთებული. ტაძრის შემამკობელ რელიეფებსა და აგურით ამოყვანილი გუმბათის და კედლების დაზიანებულ ნაწილებზე ამჟამადაც თვალნათლივ გაირჩევა გვიანი ხანის დაზიანებისა და შეკეთების რამდენიმე სამშენებლო ფენა. ტაძრის გარდა, სამონასტრო კომპლექსში შედის გალავანი, სამრეკლო, პალატი, სასახლე, მარანი და აბანო (Чубинашвили 1959: 369-404, 371; საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (2) 2004: 45-53).

საუკუნეთა განმავლობაში ალავერდის ტაძარი მიწისძვრით რამდენჯერმე დაზიანდა. სხვადასხვა დროს ტაძრის მიწისძვრით ნგრევის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში რამდენიმე წელი ფიქსირდება: 1088/89 წელი, XY საუკუნის შუახანები, 1668 წლის 4 იანვარი, 1742 წლის 4 ივლისი.

პირველი დაზიანება ალავერდის ტაძარმა, სავარაუდოდ, 1088/1089 წელს, დავით აღმაშენებლის გამეფებისას მომხდარი ძლიერი მიწისძვრისას მიიღო. ამაზე მიუთითებს საკურთხევლის აფსიდში სარესტავრაციო სამუშაოებისას გამოვლენილი შავი საღებავით შესრულებული წარწერა, რომელიც 1104-1112 წლით თარიღდება. ვრცელი მონუმენტური წარწერის ფრაგმენტებში საუბარია გიორგი II-ისა და დავითის მიერ ტაძარში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ.

ძლიერმა მიწისძვრამ XV საუკუნის შუახანებში ალავერდის ტაძარი განმეორებით დაანგრია. ამ დროს ჩამოიქცა ტაძრის გუმბათი, კამარა და მკლავები, რომელიც აღადგინა კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511) და მისმა ოჯახმა.

1668 წლის 4 ინავარის მიწისძვრისას ალავერდის წმ. გიორგის ტაძარი „მეორეთ“ დაინგრა, 1668-1675 წლებში აღადგინა ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის ძემ, კახეთის მეფე არჩილ II შაჰ-ნაზარ-ხანმა (კახეთის მეფე 1664-75, იმერეთის მეფე 1661-63, 1678-79, 1695-96).

*თბილისი* – სომხური წერილობითი წყაროების თანახმად, მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა თბილისი. ამ დროისათვის ქალაქი ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური სიჭრელით გამოირჩეოდა და მჭიდროდ იყო დასახლებული. 1668 წლის 4 იანვრის მიწისძვრისას თბილისში ახლად აშენებული ეკლესიის და ზედა ციხის კედელი ჩამოიქცა, „მრავალი ეკლესია და ბურჯი, [აგრეთვე] გალავანი დაინგრა. ციხესიმაგრეები და საცხოვრებელი სახლები ძალიან დაზიანდა, თუმცა ზოგი სრულიად უვნებლად გადარჩა“. ძლიერი რყევების შეწყვეტამდე თბილისელი ვაჭრები ოჯახებით კარვებში ცხოვრობდნენ, ნაწილი კი ქალაქგარეთ იყო დაბანაკებული.

ფრანგი მოგზაური და კომერსანტი ჟან შარდენი, რომელიც თბილისში 1672 წელს იმყოფებოდა, წერდა: „ქალაქი თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ“ (შარდენი (მგალობლიშვილის თარგ.) 1975: 325).




სურ. 1. თბილისი შარდენის მიხედვით. 1672 წ.




სურ. 2. თბილისი ტურნეფორის მიხედვით. 1701 წ.

მოგვიანებით, ფრანგი ბოტანიკოსი და მოგზაური ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი (1656-1708) თბილისის აღწერისას აღნიშნავდა, რომ 1701 წლისთვის თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 20 000-მდე სულს (14 000 სომეხს, 3 000 მაჰმადიანს, 2 000 ქართველს და 500 გაკათოლიკებულ სომეხს). მისი გადმოცემით, ქალაქში იდგა მართლმადიდებლური და სომხური ეკლესიები, აგრეთვე, კაპუცინელ მისიონერთა ერთი მშენებარე ეკლესია და ორი მეჩეთი ციხეში; ცუდად მოკირწყლულ ვიწრო ქუჩებზე მდგარი დაბალი ბანიანი სახლები ალიზითა და აგურით იყო ნაგები, ხოლო ქალაქის თავზე დაქანებულ ფერდობზე სუსტი კოშკებით გამაგრებული ციხის გალავანი ნახევრად იყო დანგრეული (ტურნეფორი (მგალობლიშვილის თარგმ.) 1988: 64-70). XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში ქალაქის განაშენიანების და მისი გარეგნული სახის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა ის თანადროული გრაფიკული მასალა, რომელიც შემოგვინახა შარდენისა და ტურნეფორის წიგნებზე დართულმა თბილისის გამოსახულებებმა.

*სვეტიცხოველი* – ტაძარი სერიოზულ ნგრევას, სავარაუდოდ, გადაურჩა იმ მიზეზით, რომ 1668 წლის მიწისძვრას წინ უსწრებდა როსტომ მეფის მიერ 1656 წელს ჩამოვარდნილი გუმბათის გამაგრება. ვახუშტის ცნობით, „[ქ˜კს] ტ˜მდ (=344) ბატონი თეიმურაზ რუსეთს წარვიდა. კ˜დ მცხეთის გუნბათი ჩამოვარდა. როსტომ მეფემ აღაშენა“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 905); იგივე ცნობა დაცულია „პარიზის ქრონიკაში“: „ქორონიკონსა ტმდ გუმბათი დაიქცა სვეტისცხოვლისა და მეფემ როსტომ აღაშენა“ (პარიზის ქრონიკა 1980: 106). 1656 წელს სვეტიცხოვლის გუმბათის ჩამონგრევის შესახებ აღნიშნულია გუმბათის ყელის კარნიზის ცეროზე შესრულებულ წარწერაშიც: „ქკ ტმდ დაქცეული გუმბათი აღვაშენე მეფემან როსტომ და დედოფალმა მარიამ ა(1) ნავრუზს“ (Натроев 1900: 262; Иоселиани 1843: 205; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (5) 1990: 261-269; სვეტიცხოველი 2000: 182-193). სამუშაოების ხელმძღვანელი ხუროთმოძღვარი და ოთხი მაშენებელი ოსტატი გამოსახულნი არიან რელიეფზე გუმბათის ყელს დასავლეთ მხარეს, კარნიზის ქვეშ (გონიოთი, ჩაქუჩით, საშენი მასალის ასაზიდი ამწეთი). მიუხედავად ახლად ჩატარებული აღდგენითი სამუშაოებისა, 1668 წლის მიწისძვრას ტაძარი მაინც დაუზიანებია. შარდენმა, რომელიც 1672-1673 წლებში იმყოფებოდა საქართველოში, 1672 წლის 17 დეკემბერს ახლოს ჩაუარა მცხეთაში მტკვრის ნაპირზე მდგარ ნახევრად დანგრეულ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას. მისი აღწერით: „ერთი ნაწილი ეკლესიისა დანგრეულია, მეორე ნაწილი კი შორიდან მთელი და მეტად ლამაზი ჩანს“ (შარდენი (მგალობლიშვილის თარგ.) 1975: 325).

*ურბნისი* – 1668 წლის მიწისძვრას მნიშვნელოვნად უნდა დაეზიანებინა შიდა ქართლის ადგილები. შარდენი მოგზაურობის ჩანაწერებში აღნიშნავდა, რომ მტკვრის ხეობაში, აწყურსა და სურამს შორის გზაზე ბევრ ადგილას ხვდებოდა ნაქალაქარის, ციხეების, კოშკების და ეკლესიის ნან-

გრევებს. უძველეს ნაქალაქარ ურბნისს უნდა გულისხმობდეს ის, როცა შენიშნავს: „მთაზე ასვლამდე, ხელმარჯვნივ მოჩანს დიდი ქალაქი, თითქმის მთლიანად დანგრეული, სადაც ხუთიოდე სახლი თუ იქნება; ძველად კი ამბობენ, თორმეტი ათასი იყოო. აქ ცხოვრობს ეპისკოპოსი, არის ერთი დიდი ეკლესია აშენებული იმ დროს, როდესაც ქართველები თავისუფალნი იყვნენ“ (შარდენი (მგალობლიშვილის თარგ.) 1975: 273-274).

მიწისძვრას საფუძვლიანად უნდა დაენგრია ნაქალაქარ ურბნისის აღმოსავლეთ ნაწილში აღმართული სიონის სამნავიანი ბაზილიკა. ტაძრის ინტერიერსა და ფასადებზე ნათლად გამოიყოფა ადრინდელი (VI-VII სს. მიჯნა; IX-X ს.) და გვიანი (1668 წლის) შეკეთება-აღდგენის სამშენებლო ფენები; ეკლესიის არაერთხელ აღდგენაზე, მათ შორის, ბუნებრივად (სიძველით თუ მიწისძვრით), ნგრევაზეა საუბარი მასზე შესრულებულ სხვადასხვა დროის წარწერებში.[61]

1668 წელს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ტაძრის აღსადგენად დიდი სამუშაოები ჩაუტარებია ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) თანამეცხედრეს, დედოფალ მარიამ დადიანს. მის მიერ „ძირითურთ აღმოფხვრული ტაძრის“ აღდგენის თაობაზე გვაუწყებს ურბნისის ეკლესიის სამხრეთის კარის ტიმპანზე შესრულებული 1668 წლით დათარიღებული მხედრული წარწერა: „ქ. შენ, ყოვლად სანატრელო, ღვაწლმრავალო და დიდებულო, ყოელთა მოწამეთა უწინარესო და უწარჩინებულესო, წმიდაო სტეფანე, შემწე მექმენ ორსავე შინა ცხორებასა, რომელმან აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხვრული ტაძარი შენი, ჩვენ, დადიანის ასულმან, დედოფალმან, პატრონმან მარიამ, რათა მეოხ ექმნა სულსა ჩემსა და სულსა ძისა ჩვენისა – სასურველისა ოტიასასა, წინაშე ღვთისა შენისა, დღესა მას გაკითხვისასა, ქორონიკონსა ტნვ“ (შოშიაშვილი 1965: 150-151); ასევე, გიორგი ბატონიშვილის მიერ ახლად აღდგენილი ურბნისის ტაძრისათვის 1669 წელს მიცემული შეწირულების წიგნი (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1488-9999). ამ დროს მნიშვნელოვანი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებიათ, ტაძრის ჩამონგრეული ზედა ნაწილები მთლიანად, ხოლო ბოძებისა და პილასტრების ნაწილი აგურით აღუდგენიათ (ძველი წარწერებისათვის ადგილი შეუცვლიათ და ზოგიც უკუღმა ჩაუშენებიათ), გვერდის ფასადებზე კი მედეგობისათვის აგურისავე ორ-ორი კონტრფორსი მიუშენებიათ (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (5) 1990: 401).

---

61 ნაწილობრივ დანგრეული ტაძრის აღდგენას ეხება X საუკუნის ასომთავრული საალმშენებლო წარწერა, რომელშიც აღნიშნულია: „უფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ეპისკოპოსი, მაშენებელი ამის სიონისაჲ, ოდეს ღმერთმან ღირს მყო ამის სიონისა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძუელებულ უფროჲს ზომასა. ოთხნი კუთხენი და კონქი განპებულ იყვნეს, სუეტნი ქტცი (sic) დამპალ იყუნეს და მოჰმადლა ღმერთმან ამის ყოვლისაჲ აღშენებაჲ, ყოველთა გაკეთებაჲ. ძალითა ღმრთისაჲთა, ყოველი გათავებითა მიქმნია“ (შოშიაშვილი 1965: 146-147).

## მიწისძვრის არეალი და ეპიცენტრი

მიწისძვრა შემახაში მოხდა 1668 წლის 4 იანვარს და დიდი ზიანი მიაყენა ჩრდილო-დასავლეთ ირანის, ჩრდილოეთ სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ ადგილებს: შემახა, ატრპატაკანის ტერიტორია, ქალაქები: არდებილი, თავრიზი, ერევანი, განჯა,[62] დამურლაფუნი, ისტორიული ლორე-ტაშირი[63] – ჰაღპატის და სანაჰინის მონასტრები, მათ შორის მდებარე ტესევანცის ეკლესია, ქართლი და კახეთი – ქალაქი თბილისი და ალავერდის საკათედრო ტაძარი.

1668 წლის 4 იანვრის მიწისძვრისას ეპიცენტრი, სავარაუდოდ, დიდი კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარე შემახასთან (აზერ. Şamaxı, აზერბაიჯანი) გადიოდა. შუა საუკუნეებში ქალაქი დიდი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო. დარუბანდისაკენ მიმავალი სატრანზიტო გზა შემახას ჩრდილოეთთან აკავშირებდა, ხოლო მეორე, არდებილზე გამავალი სამხრეთის გზა, სპარსეთთან.[64] განვითარებულ და გვიან ფეოდალურ ხანაში შემახა ისტორიული შირვანის[65] სატახტო ქალაქი და შირვანშაჰების რეზიდენცია იყო, მოგვიანებით კი – შემახას სახანოს მთავარი ქალაქი. შემახაში ისტორიულად რამდენიმე დიდი მიწისძვრა ფიქსირდება, რამაც ქალაქის ნგრევა და დიდი ადამიანური მსხვერპლი გამოიწვია.[66]

---

62 *განჯა* (ელიზავეტპოლი, იგივე კიროვაბადი) – ისტორიულად სპარსეთის მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელიც მდებარეობს მცირე კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მტკვრის აუზის მდინარის განჯაჩაის ნაპირზე (ამჟამად აზერბაიჯანი). სელჯუკი შედადინების მმართველობისას არაერთხელ დაილაშქრა ქართველების მიერ, XII საუკუნეში საქართველოს ვასალური ერთეული იყო. 1139 წლის 29/30 სექტემბერს განჯაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრისას საქართველოს მეფე დემეტრე I-მა ლაშქრობიდან ალაფად წამოიღო „განძის კარი", რომელიც დღესაც გელათის მონასტერში კარიბჭის შესასვლელშია დაცული (ჯაფარიძე 2012: 165-169).

63 *ტაშირი/ლორე* – საქართველოს ისტორიული პროვინცია, რომელიც მოიცავდა მდინარე ძორაგეტის, მისი მარცხენა შენაკადის, ტაშირწყლის და დებედას ხეობებს (ამჟამად სომხეთი).

64 კახეთ-ჰერეთი და ქართლი შირვანსა და სპარსეთის ქალაქებს გრემი-შემახას ტრასით (თბილისი – ხაშმი – გომბორი – შუამთა/თელავი – გრემი/ნეკრესი – გავაზი/არეში – თოღა – ბაზარი – კაკი – გიში) უკავშირდებოდა (ჭილაშვილი 1980: 251-253; პაპაშვილი-სილაგაძე, საქართველო საუკუნის ევროპულ წყაროებში 2021: 442-465; 468-474).

65 შირვანი / შარვანი (აზერ. Şirvan, სპარს. شروان) – ისტორიული ქვეყანა აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მტკვრის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

66 შემახაში ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრა 1902 წლის 31 იანვარს მოხდა. მიწისძვრის შემდეგ დანგრეული შემახას კადრები შემოინახა დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებულმა ფოტოებმა, რომელთა შორის არის ქალაქის ერთ-ერთ უბანში მდებარე გურჯი-ბაზარის (ქართველთა ბაზარი) ფოტო. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტო-ფონდი, დ. ერმაკოვის ალბომი №29, ფოტო 37, 42.

ფრანგი მოგზაური და კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა 1820 წელს ახალ შემახაში ჩავიდა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ იყო აშენებული. მისი გადმოცემით, მდ. აქსუს ნაპირზე აშენებულმა ახალმა შემახამ ძველი შემახა შეცვალა 1736 წელს, „როცა ეს უკანასკნელი მთლიანად ალიგავა პირისაგან მიწისა; მაგრამ შემდგომში, როცა ეს მხარე მრავალრიცხოვანი შემოსევების ასპარეზად იქცა, ახალი შემახაც განადგურდა“ (გამბა 2021: 126-127, 246-247).

1858 წელს კავკასიაში მოგზაურობისას შემახაში იმყოფებოდა ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელიც აღნიშნავდა: „ცოტაა ქვეყანაზე ისეთი ქალაქი, რომელსაც ამდენი განეცადოს. [ქალაქის] ქვემო ნაწილში წელიწადის სამი თვის განმავლობაში საშინელი, შემმუსვრელი ციებ-ცხელება მძვინვარებს, მთაზე შეფენილი მოსახლეობა შედარებით დაცულია ამ სენისაგან, სამაგიეროდ იგი არ არის დაცული მიწისძვრისაგან. დღეს შემახიამ არ იცის, გადარჩება თუ არა იგი ხვალაც. ციებ-ცხელებასა და მიწისძვრას შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ციება ხანგამოშვებითია, ხოლო მიწისძვრა თითქმის განუწყვეტელი“ (ალექსანდრე დიუმა, „კავკასია“ (ქიქოძის თარგ.) 1970: 204).

სხვადასხვა წერილობითი წყაროს მონაცემით, 1668 წლის 4 იანვრის მიწისძვრის დროს, უცხოელების გარდა, დაიღუპა 40/50 000 ადამიანი, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროსთან, საქართველოს მეზობელ შირვანის პროვინციაში – 30 000, აქედან შემახაში 6-7 000/20 000.

ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე მიჩნეულია, რომ 1668 წლის 4 იანვრის მიწისძვრის სიმძლავრე 8±0,5 და მაკროსეისმური ეფექტით 9 (MSK შკალით) ბალი იყო და სამხრეთ კავკასიაში ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში ერთ-ერთ დიდ მიწისძვრას წარმოადგენდა (Eppelbaum, Khesin 2012: 337).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ანდრეას ევდოკეცის ქრონიკის გამგრძელებელი** 1951 = Անդրեաս Սարկավագ Եվդոկեցու Ժամանակռութեան շարունակող, *Մանր Ժամանակագրություններ*, I, Երեվան, 1951.

**ბატონიშვილი ვახუშტი** 1973 = ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

**ბერი კირაკოზი, გრიგოლ კამახეცის ქრონიკის გამგრძელებელი** 1956 = Կիրակոս Աբեղայ (Գրիգոր Կամախեցի շարունակող), *Մանր Ժամանակագրություններ*, II, Երեվան, 1956.

**გამბა 2021** = ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში (მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, კავკასიის ქედის გადაღმა, რომელიც განახორციელა 1820-1824 წლებში შევალიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილის-*

*ში)*, II, ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 2021.

**დიუმა (ქიქოძის თარგ.)** 197 = ალექსანდრე დიუმა, *კავკასია.* მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, თარგმნა ფრანგულიდან თ. ქიქოძემ, თბილისი, 1970.

**ზაქარია აგულეცი** 1938 **(სომხური ტექსტი);** 1979 **(დავლიანიძის თარგმ.)** = Զաքարիա Ագուլեցու, *Որագրությունը,* Երեվան, 1938; ზაქარია აგულეცი, *დღიური*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბილისი, 1979.

**კლდიაშვილი, დიასამიძე** 2021 = დ. კლდიაშვილი, მ. დიასამიძე, 1668 წლის 4 იანვრის დიდი მიწისძვრა სამხრეთ კავკასიაში, *კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის,* II, *ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. მიძღვნა ზაზა ალექსიძის დაბადების 85 წლისთავისადმი*, თბილისი, 2021: 79-105.

**მცირე ქრონიკები** 1951 = *Մանր ժամանակագրություններ*, I, Երեվան, 1951.

**მცირე ქრონიკები** 1956 = *Մանր ժամանակագրություններ*, Կազմ՝ Վ Ա, Հակոբյան, II, Երեվան, 1956.

**მცირე ქრონიკები** 1968 = *მცირე ქრონიკები* (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968.

**პაპაშვილი – სილაგაძე** 2021 = მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლიძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე, *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, თბილისი, 2021.

**პარიზის ქრონიკა** 1980 = *ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა)*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, 1980.

**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა** 2 (2004); 5 (1990) = *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, თბილისი, 2 (2004); 5 (1990).

**სვეტიცხოველი** 2000 = სვეტიცხოველი, თბილისი, 2000.

**სომხურ ხელნაწერთა აღწერილობა** 1965 = *Ցուցակ ձեռագրաց Մաշտոցի անվան Մատենադարանի*, հատոր Ա, կազմեցին Օ. Եգանյան, Ա. Զեյթունյան, Փ. Անթաբյան. ներածությունը՝ Օ. Եգանյանի, խմբագրությամբ՝ Լ. Խաչիկյանի, Ա. Մնացականյանի, Երևան, 1965.

**ტურნეფორი (მგალობლიშვილის თარგ.)** 1988 = ჟ.პ. ტურნეფორი, *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში,* ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1988.

**უცნობი ავტორის ფრაგმენტული ქრონიკა** 1956 = Ժամանակագրական Մանր Հատվածներ, *Մանր ժամանակագրություններ*, II, Երեվան, 1956.

**ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია 1925 =** ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, *საისტორიო მოამბე*, წ. II, ტფილისი, 1925.

**ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A)** 1986 = *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია*, II-1, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ელ. მეტრეველის რედ., თბილისი, 1986.

**შარდენი (მგალობლიშვილის თარგ.)** 1975 = *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ),* ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975.

**შოშიაშვილი** 1965 = ნ. შოშიაშვილი, ურბნისის ძველი ქართული წარწერები, *პალეოგრაფიული ძიებანი,* I, თბილისი, 1965.

**ჯაფარიძე** 2012 = გ. ჯაფარიძე, რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში, *ძიებანი*, I, თბილისი, 2012.

**ჰაკობ კარნეცის ქრონიკა** 1951 = *Մանր Ժամանակագրություններ*, I, Երեվան, 1951.

**Albini et al 2014 =** P. Albini, R.M.W. Musson, A. Rovida, M. Locati, A.A. Gomez Capera, D. Viganò, *The Global Earthquake History. Earthquake Spectra.* 2014; 30(2).

**Ambraseys, Finkel 1988 =** N.N. Ambraseys, C. Finkel, The Anatolian Earthquake of 17 August 1668. In: W.H.K. Lee, H. Meyers, K. Shimazaki (eds), *Historical Seismograms and Earthquakes of the World,* London, 1988.

**Chardin** 1811: Jean Chardin, *Voyages de Chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient*, ed. L. Langrès, 10 vols., Paris, 1811.

**Eppelbaum, Khesin** 2012 = L. Eppelbaum, B. Khesin, Geophysical Studies in the Caucasus, *Lecture Notes in Earth System Sciences*, Berlin Heidelberg, 2012.

**Иоселиани** 1843 = П. Иоселиани, *Краткая история Грузинской церкви*, С-Петербург, 1843.

**Натроев** 1900 = А. Натроев, *Мцхет и его собор Светицховели, историко-археологическое описание*, Тифлис, 1900.

**Чубинашвили** 1959 = Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, Тбилиси, 1959.




**1668 წლის 4 იანვრის მიწისძვრის რუკა**



სურ. 1. ალავერდის საკათედრო ტაძარი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



სურ. 2
სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი



სურ. 3. ურბნისის საკათედრო ტაძარი



3-1. სხვადასხვა პერიოდის საამშენებლო წარწერები კარის ტიმპანზე

სურ. 4
ბიდეიზის ეკლესია.
IX-X სს. (აზერბაიჯა-
ნი, შექის რ-ნი)





სურ. 5. გიშის ეკლესია. XVI ს. (აზერბაიჯანი, შექის რ-ნი)





სურ. 6
ზედზგითის ეკლესია. X ს. (აზერბაიჯანი, შექის რ-ნი)





სურ. 7
ყუმის ბაზილიკა. VI ს.
(აზერბაიჯანი, კახის რ-ნი)



სურ. 8. ლექართის წრიული ტაძარი. VII ს. (აზერბაიჯანი, კახის რ-ნი)



8-1



სურ. 9. ლექართის სამონასტრო კომპლექსი. განვითარებული შუა საუკუნეები (აზერბაიჯანი, კახის რ-ნი)



9-1



9-2





9-3



სურ. 10. ჰაღპატი (სომხეთი, ალავერდის რ-ნი)



სურ. 11. სანაჰინი (სომხეთი, ალავერდის რ-ნი)



სურ. 12. ქობაირი (სომხეთი, ალავერდის რ-ნი)



12-1. მთავარი ეკლესიის საკურთხეველი. 2010 წ.

სურ. 13
აქორი (სომხეთი,
ალავერდის რ-ნი)





13-1



13-2





სურ. 14. ჰნევანქი. საერთო ხედი. ქართული ასომთავრული წარწერა კარიბჭეზე (სომხეთი, ალავერდის რ-ნი)



სურ. 15. ქარანიცის მონასტერი /„ტახტერი“ (სომხეთი, ალავერდის რ-ნი)



სურ. 16
ახტალა (სომხეთი, ალავერდის რ-ნი)






თავრიზი 1650-1670-იან წლებში

## 14

1721 წ. 15/16 აპრილი

## ჩრდილო-დასავლეთ ირანი – თავრიზი

*პირველწყარო: მეფე ერეკლეს ქორონიკონი; დავით რექტორის ქრონიკა; ფურცელაანთ ქრონიკა; კარბელაშვილის ქრონიკა*

ჩრდილო-დასავლეთ ირანში მომხდარ ისტორიულ მიწისძვრებს ეხება იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიურ ნაშრომში „კალმასობა ანუ ხუმარსწავლა“, ნაკვეთი „ბუნებითის ისტორიისათვს“, რომელშიც განხილულია ქალაქ თავრიზის მიწისძვრები. პირველი მიწისძვრა თავრიზის აშენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მომხდარა და ქალაქი დაუნგრევია. იოანე ბატონიშვილის ცნობით, „დოვლათ ომაიყაიმის“ დროს, ულდ (=434) ქორონიკონს, ქალაქი აღადგინეს. რამდენიმე წლის შემდეგ შირაზელი წინასწარმეტყველის მიერ მოსალოდნელი მიწისძვრის გაფრთხილების მიუხედავად თავრიზში 50 000 ადამიანი მიწის ქვეშ მოექცა:

> ...ადრიბეჟანის დედაქალაქია თავრიზი, რომელიც აღუშენებია პირველ არუნ რაშიდის ცოლს – მუბეიდა ხანუმს. და რამოდენსამე წელსა შემდგომ ძვრისაგან დაიქცა  ქალაქი ესე და მერე აღაშენა კუალად მათექალიმმან დოვლათ ომაიყაიმის დროს, ქკს ულდ. შემდგომად რაოდენისამე წლისა მუნ დაესწრა აბრუთაიმ შირაზელი, ვარსკვლავთმრიცხველი და შეიტყო, რომ ძვრა იქმნებოდა საფარიოს მთოვარის თოთხმეტში და ყოველთა ხალხთა აცნობა, რომ ქალაქს გარეთ განსრულიყვნენ და მინდორში დამდგარიყვნენ. ზოგთა ირწმუნეს მისი სიტყვა და ზოგთა – არა. და ვინც დარჩნენ ქალაქში, იმ ღამეს ასეთი ძვრა მოხდა, რომელ ორმოცდაათი ათასამდინ სული სახლებს ქვეშ მოყვნენ და თითქმის მთლად დაიქცა ქალაქი (იოანე ბატონიშვილი 1991: 253).

თავრიზში მომხდარი პირველი მიწისძვრის თარიღად იოანე ბატონიშვილი მიუთითებს 434 ქორონიკონს, რომელიც მე-13 მოქცევის შემთხვევაში აღნიშნავს 1214, ხოლო მე-14 მოქცევისას – 1746 წელს, თუმცა ეს თარიღები ისტორიული წყაროებიდან ცნობილ არცერთ მიწისძვრას არ შეესაბამება. იოანე ბატონიშვილის მიერ განხილული მიწისძვრები შესაბამისობაშია თავრიზში IX და XI საუკუნეებში მომხდარ ორ მიწისძვრასთან, რომელთა

შესახებაც საუბარია XIII საუკუნის სპარსულ ანონიმურ გეოგრაფიულ თხზულებაში „სამყაროს საკვირველებანი“ („სამყაროს საკვირველებათა ცნობები“ 1978: 29; 41, შენ. 51-54). მოცემულ შემთხვევაში იოანე ბატონიშვილი, სავარაუდოდ, სარგებლობდა თურქი ისტორიკოსის და ენციკლოპედისტის ქათიბ ჩელების (1609-1657) გეოგრაფიული ნაშრომით „სამყაროს მეგზური“ („ჯიჰან-ნუმა“), რომელშიც აღმოსავლური წყაროების გარდა, ფართოდაა გამოყენებული ევროპული ლიტერატურაც. „ჯიჰან-ნუმაში“ თავრიზს ეხება თხრობა აბასიანთა დინასტიის ხალიფა ჰარუნ-არ რაშიდის (766-809) ცოლის ზუბეიდას მიერ 791/2 წელს აშენებული ქალაქის 858/9 წელს ძლიერი მიწისძვრით დანგრევის და ხალიფა მუთავაქილის მიერ მისი განახლების შესახებ. 1042 წლის 13 ოქტომბერს (საფარის თვის მე-12 დღეს) თავრიზი მიწისძვრამ კვლავ საფუძვლიანად დაანგრია, რაც უწინასწარმეტყველებია აბუ თაჰირ შირაზის სახელით ცნობილ ასტროლოგს. მისი გაფრთხილებით, მოსახლეობის ნაწილი ქალაქიდან ველად გასულა, მაგრამ ღამით მომხდარმა მიწისძვრამ ქალაქში დარჩენილი 50 000-მდე ადამიანი მიწისქვეშ მოიყოლა. ასტროლოგის რჩევით, 1043/44 წელს, როცა ზოდიაქოს ნიშანი მორიელი იყო, დაიწყეს ქალაქის აღდგენა. მისივე წინასწარმეტყველებით, ამის შემდეგ ქალაქს მიწისძვრა აღარ დაანგრევდა. ჩელების თქმით (იმოწმებს ჰამდალაჰის გადმოცემას), ხშირი მიწისძვრების მიუხედავად, სამასი წლის განმავლობაში ქალაქი მართლაც არ დანგრეულა, რასაც იმით ხსნის, რომ ქალაქში გაყვანილი იქნა მრავალი არხი ორთქლის ძალის შესაჩერებლად (ქათიბ ჩელები 2013: 86).

XVII-XVIII საუკუნეებში სპარსულ, სომხურ და ქართულ წერილობით წყაროებში თავრიზსა და მის მიმდებარე ადგილებში რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა ფიქსირდება: 1641 წლის 5 თებერვალი, 1721 წლის 26 აპრილი და 1781 წლის 27 დეკემბერი (Melville 1981; Ambraseys, Melville 2005). ამ ცნობებს შორის ინფორმაციის სიზუსტითა და სიუხვით გამოირჩევა სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის/თავრიზელის (1595-1669) ისტორიათა წიგნი. თავში „მიწისძვრის შესახებ დიდ ქალაქ თავრიზში“ ვრცლადაა მოთხრობილი 1641 წლის 5 თებერვლის მიწისძვრის ამბავი:

> მიწისძვრის შესახებ დიდ ქალაქ თავრიზში. სომეხთა წელთაღრიცხვის 1090 [=1641] წელს, 5 თებერვალს, პარასკევს, უეცრად და მოულოდნელად საშინელი მიწისძვრა მოხდა ძლიერი რყევებით თავრიზსა და მის ახლოს გავარებში, მიწის ზედაპირი ისე ძაგძაგებდა, როგორც ხელში მოფარფატე ფოთოლი, როგორც აქეთ-იქით მოქანავე წყალი ჭურჭელში. მიწამ საშინლად დაიგრუხუნა, ქვესკნელიდან გრგვინვის ხმა მოისმა, რასაც მოჰყვა მიწისძვრა, რომელმაც დაანგრია, ჩამოშალა და გაანადგურა ქალაქის ყველა ნაგებობა. უმეტესი ნაწილი დიდებული და ლამაზი შენობებისა, რომლებიც ძველი დროიდან და მეფეებისგან გვერგო და ქალაქში იდგა, თვალის

დახამხამებაში ჩამოინგრა და მიწის გროვად იქცა. მიწისძვრის დროს დაინგრა ცნობილი შენობა სახელად უსტაშაგიტრი და თან ჩაიტანა მრავალი აქლემი და სხვა ცხოველი, რომლებიც შენობის ქვეშ სიცივისა და თოვლისგან თავის დასაცავად იყვნენ შეფარებულნი. თავბრუდამხვევი სიმაღლიდან მეჩეთის მოხდენილი კოშკები და მინარეთები წყდებოდნენ და ქვევით ეშვებოდნენ, მიწაზე ეხეთქებოდნენ და უჩინარდებოდნენ. ასევე [განადგურდა] უზარმაზარი, დიდებული და თვალსაჩინო შენობა სახელად შამლაზანი, რომელიც ქალაქისგან მოშორებით, მდინარე შორის ნაპირას მდებარეობდა. მისი სახურავი მთლიანად ჩამოინგრა, მხოლოდ გარშემო კედლეებილა დარჩა, მაგრამ მათი საძირკველიც შეირყა, ოთხივე მხრიდან ნაპრალები გაჩნდა, კედლები ოთხად გაიპო და დღემდე ამ მდგომარეობაშია. რაც შეეხება სახლებს და სასახლეებს, აბანოებსა და ქარვასლებს, ვინ დაითვლის, რამდენი მათგანი დაინგრა საძირკვლამდე. მრავალი ადამიანი და პირუტყვი, საყოფაცხოვრებო ნივთი და ავეჯი, ძვირფასეულობა და ქონება დარჩა მიწის ქვეშ. ადამიანები 20-30 დღის განმავლობაში თხრიდნენ მიწას და ნანგრევებს, საიდანაც ძლივს ამოჰქონდათ ხან გვამები და ხან ნივთები.

მართალია, ამ მიწისძვრამ დიდი ზიანი მიაყენა ქალაქ თავრიზს, მაგრამ უფრო მეტი ზიანი – ნგრევა და გაჩანაგება, ადამიანების და პირუტყვის სიკვდილი მიადგა მეზობელ გავარებს, ისეთებს როგორებიცაა ხოსროვ-შაჰი და უსკუ, სოფელი დუხურკანი. ძლიერმა და საშინელმა რყევებმა მიწის სქელი ზედაპირის გახეთქვა და ზემოთ ამოწევა გამოიწვია. იქიდან შავმა წყალმა წყაროსავით ამოხეთქა და თავისი გზა იპოვა. სამი დღის შემდეგ ისევ ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ძველი ნაკადულები დაშრა და ახალი წყაროები გაჩნდა სხვა ადგილებში. როცა წყალი გროვდებოდა, ისევ ძველ შავ ნაკადულს მოგაგონებდა. ყოველთვის, როცა მიწისძვრა კვლავ გრძელდებოდა, შავი წყლის ნაკადულები ჩნდებოდა, როგორც კი მიწა ჩერდებოდა, კვლავ ქრებოდა. ვილაც ასეთ ამბავსაც მოჰყვა, რომ ერთი მწყემსი თურმე ცხვრების ფარას მწყემსავდა, როცა მიწამ ზანზარი დაიწყო. მიწა შუაზე გაიპო და მეცხვარე და მისი ფარის ნაწილი მიწაში ჩაიტანა. არავის ისინი აღარ უნახავს. ასევე მთლიანად [გაუჩინარებულა] ერთი სოფელი, რომელიც კლდის თავზე იყო გაშენებული. მიწისძვრა რომ მოხდა, კლდე გაიპო, ქვებად დაიშალა და ქვიშის, ქვისა და მიწის ლავა გადმოეშვა და დაეცა სოფელს, მთლიანად დაფარა იგი, მოსპო და გაანადგურა.

ეს მიწისძვრა მოხდა საშინელი სიცივის დროს – ზამთარში დიდთოვლობისას. იმის მაგივრად, რომ ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ შერყეულიყო მიწა და დაწყნარებულიყო, კიდევ ექვსი თვე გრძელდებოდა. პირველი ორი თვე რყევა ძალიან ხშირად ხდებოდა მთელი დღის განმავლობაში, დღისით და ღამით. ზოგჯერ ხუთჯერ და ექვსჯერ, ხანდახან მეტჯერ ან ნაკლებად. ასე იყო ყოველდღე. ორი თვის მერე კი – ათ დღეში ერთხელ, ოც დღეში ერთხელ და ბოლოს ოცდაათ დღეში ერთხელ.

ამ ყველაფრის გამო ყველა შეძრწუნებული და შეშინებული იყო. მიწისძვრები მოულოდნელად ხდებოდა და ამან ყველა ჭკუიდან გადაიყვანა. ბევრი თავს შველოდა შენობიდან გარეთ გამოქცევით, რომ ნანგრევებში არ მოყოლილიყო, მაგრამ ბევრი ამას ვერ ახერხებდა და ნანგრვებში იგუდებოდა. იმ ზამთარში ხალხი სახლებში ვერ ჩერდებოდა. ყველა ქოხებსა და კარვებში ცხოვრობდა: ზოგი ჭიშკართან, ზოგი ვენახში ან ბაღში, ზოგი სხვა ადგილას. ყველა ელოდა, როდის გაუვლიდა გაბრაზება ღმერთს. ქვეყნის მცხოვრებლები და ასევე სხვა ყველა მიხვდა, რომ ეს ჩვეულებრივი მიწისძვრა არ იყო. ღმერთი განრისხდა და მათაც ეს სასჯელი მოუვლინა, როგორც ნინევიელებს (მაია დიასამიძის თარგ.; არაქელ დავრიჟეცი (არაქელიანის გამოც.) 1988: 375; ხანლარიანის რუს. თარგმ. 1973: 372-375, 495).

1641 წლის მიწისძვრას თავრიზსა და მის ახლომდებარე ადგილებში დიდი ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა. სააკაძეთა საგვარეულოდან, სეფიანთა კარზე მოღვაწე ირანის ლაშქრის უმაღლესი მთავარსარდლის (სეფაჰსალარი), როსტომ-ხანის[67] მიერ მიწისძვრით დაზიანებული ნაგებობების და მსხვერპლის რაოდენობის შესახებ შაჰ-სეფი I-ისათვის (1629-1642) წარდგენილი ანგარიშიდან ვიგებთ, რომ მიწისძვრისას თავრიზში დაზიანდა 14 900 ნაგებობა, დაიღუპა 12 600 სხვადასხვა ასაკის კაცი და ქალი. შაჰმა დაზარალებული რაიონის მცხოვრებლებს პატივი მიაგო და გაუგზავნა თანაგრძნობის წერილი, ბრძანა დანგრეული ადგილების აღდგენა და დაჭრილებისათვის სალბუნის გაგზავნა (აფშარი (გამომც.) 1989/90: 286-287).[68]

შემდეგი ცნობა თავრიზში ძლიერი მიწისძვრის შესახებ XVIII საუკუნეს განეკუთვნება. XVIII-XIX საუკუნეების ქართულ და სომხურ ქრონიკებში[69]

67 როსტომ-ხანი იყო შაჰ აბას I-ის მიერ ქართლის მმართველად დასმული ბაგრატ VII-ის (1615-1619) სახლთუხუცესის, ბეჟან სააკაძის ვაჟი; როსტომ-ხანი ქართულ დოკუმენტში „ყიზილბაშთა სარდლად" იხსენიება. ის 1633 წელს ახლდა შაჰ-სეფის მიერ ქართლის გამგებლად გამოგზავნილ როსტომ მეფეს (ქრონიკები 1897: 461-462; მაედა 2011: 28-31)

68 ამ სპარსული წყაროს შესახებ ცნობა და ტექსტი მოგვაწოდა პროექტის კონსულტანტმა ჰიროტაკე მაედამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

69 ისააკ ვარდაპეტი (ჰაკობიანის გამოც.) 1951: 305; სამუელ ანეცი (მათევოსიანის გამოც.) 2014: 351.

არაერთი ცნობაა შესული 1721 წლის 15/16 აპრილს თავრიზში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრისა და დიდი ადამიანური მსხვერპლის შესახებ.

„მეფე ერეკლეს ქორონიკონში“, რომელშიც 1689-1760/1788 წლის ამბებია გადმოცემული, 1721 წლის ქვეშ აღნიშნულია:

> თავრიზი რომ დაიქცა აპრილის იე (15), გასულსა დღესა შაბათსა, ქკ˜ს უთ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1362; ქრონიკები 1967: 613).

დავით რექტორის ქრონიკის ავტოგრაფული ნუსხიდან კი ვიგებთ, რომ 1721 წლის 16 აპრილს მომხდარი საშინელი მიწისძვრისას ქალაქ თავრიზში ზოგიერთი ადგილი მიწაში ჩავარდა:

> ქ. თავრიზის რომელიმე ადგილი ჩაძვრა საშინელის ძვრისაგან, აპრილის ივ (16) (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-2515; ქრონიკები 1967: 616).

დავით რექტორის ქრონიკის ცნობას თავრიზის მიწისძვრით დანგრევის და მისი ცალკეული უბნების მიწაში ჩავარდნის შესახებ იმეორებენ XIX პირველი მეოთხედის წყაროები: ფურცელაანთ (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1446-137) და პ. კარბელაშვილის (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-5302) ქრონიკები (ქრონიკები 1967: 626; 631).

### მიწისძვრის თარიღი

XVIII საუკუნეში, ჩრდილო-დასავლეთ ირანში, თავრიზში, 1721 წლის 26 აპრილს მომხდარი მიწისძვრა ქართულ ისტორიულ ქრონიკებში 1721 წლის 15/16 აპრილითაა დათარიღებული. ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე, მიწისძვრის დროს ქალაქის სამი-მეოთხედი დაინგრა და, როგორც ვარაუდობენ, დაახლოებით 80 000 ადამიანი დაიღუპა. მიწისძვრის ეპიცენტრი თავრიზის მახლობლად გადიოდა, რომლის სიმძლავრეც განსაზღვრულია 7.7 მაგნიტუდით (Melville 1981; Ambraseys, Melville 2005).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**არაქელ დავრიჟეცი (არაქელიანის გამოც.) 1988; 1973 (ხანლარიანის თარგმ.)** = Առաքել Դավրիժեցի, *Պատմութիւն*, Վարագ Առաքելյան, Երեւան, 1988; Аракел Даврижеци, *Книга истории,* Перевод с армянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян, Москва, 1973.

**აფშარი 1989/90** = *Khulāṣat al-siyar,* Īraj Afshār (ed.), Tehran, 1989/90 (1368).

**იოანე ბატონიშვილი 1991** = იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა ანუ ხუმარ-სწავლა*, წ. II, თბილისი, 1991.

**მაედა 2011:** ჰ. მაედა, *ქართველები სეფიანთა ირანში. ღულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა*, თბილისი, 2011.

**ისააკ ვარდაპეტი (ჰაკობიანის გამოც.) 1951** = *Մանր ժամանակագրություններ* XIII-XVIII դդ., I, Կազմեց Վ.Ա. Հակոբյան, Երեւան, 1951.

**სამუელ ანეცი (მათევოსიანის გამოც.) 2014** = *Սամուէլ Անեցի եւ շարունակողներ*, Ժամանակագրութիւն, աշխատասիրությամբ՝ Կարեն Մաթևոսյանի, Երեւան, 2014.

**„სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები 1978** = *„სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბილისი, 1978.

**ქათიბ ჩელები 2013** = *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ*, თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, 2013.

**ქრონიკები 1967** = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, ტფილისი, 1897; ტ. III, თბილისი, 1967.

**Melville 1981** = C.P. Melville, *Historical Monuments and Earthquakes in Tabriz*, Iran, Taylor & Francis, 1981.

**Ambraseys, Melville 2005** = N.N. Ambraseys, C.P. Melville, *A History of Persian Earthquakes*, Cambridge University Press, 2005.





იალბუზი

## 15

### 1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო

### აღმოსავლეთ საქართველო – კახეთი: ალავერდის ტაძარი, ლალისყურის და ახმეტის ციხეები; იალბუზის მთები; ქართლი – სვეტიცხოველი

*პირველწყარო: პაპუნა ორბელიანი; ბატონიშვილი ვახუშტი;*
*პ. კარბელაშვილის ქრონიკა; დავით რექტორის ქრონიკა;*
*ფურცელაანთ ქრონიკა*

პაპუნა ორბელიანი ისტორიულ თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“, რომელშიც გადმოსცემს საკუთარი თვალით ნანახ და სარწმუნო კაცთაგან გაგონილ 1739-1758 წლების ამბებს, მოგვითხრობს 1742 წელს კახეთსა და ქართლში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ. მიწისძვრა 40 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და დიდი ადამიანური მსხვერპლი და ზარალი გამოიწვია. ამ დროს ბევრ ადგილას ჩამოინგრა „იალბუზის მთები“, დაინგრა ალავერდის ტაძარი, ლალისყურის და ახმეტის ციხეები, ქართლში მრავალი ნაგებობა:

> ამა ხანთა შინა შეიქმნა ძვრა საშინელი, რომ ორმოცი დღე და ღამე ქვეყანა ირყეოდა. დიდი საშინელება შეიქმნა. ქუეყანა რყევისაგან აღარ დადგა. კახეთს ალავერდის ტაძარი დაიქცა. ლალისყურის და ახმეტის ციხეები ორივ დაიქცა, იალბუზის მთები ბევრს ალაგს გარდამოიქცა და მრავალი სული, მსახლობელი კაცი ქვეშ მოიტანა. ქართლშიაც მრავალი შენობა დაიქცა. თითონ მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ, ვითაც ღვთის საყვარელნი იყვნეს და ტრფიალ ზენათა სურვილისა, ეგრე გულმხურვალე ქვეითნი მოიარნეს გულმდუღარედ, თვალცრემლოვან და მოილოცნეს წმიდათა ადგილნი და ევედრებოდენ ღმერთსა მყუდროებასა ქვეყნისასა. აგრევე ქართლში იყო ყოველგან ტირილი და ვედრება ღვთის წინაშე. ქორონიკონი იჯდა ულ, თვე იყო აგვისტო (პაპუნა ორბელიანი 1981: 57-58).

პაპუნა ორბელიანისავე ცნობით, 1742 წლის მიწისძვრისას ჩამოქცეული ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის გუმბათი და მკლავები („სამხრონი“) ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (კახეთის გამგებელი 1709-15, მეფე 1733-44 წწ; ქართლის მეფე 1744-62 წწ.), დედოფალთ-დედოფალი თამარისა

და მათი ძის, კახეთის მეფის, ერეკლე II-ის „საფასით“ 1750 წლისათვის ალადგინეს და ახლად შეამკეს. ისტორიკოსის გადმოცემით:

> მცირეს ჯარით მიბძანდნენ ორივ მეფენი [თეიმურაზი და ერეკლე] ალავერდს წმიდის გიორგის მონასტერში, მოილოცნეს წმიდათ საფლავნი. მაშინ განსრულებულიყო გუმბათი და სამხრონი ეკლესიისანი, რომელ დაიქცა ძვრისა მიერ, იგულისმოდგინა და ჴელყო აღშენებად საფასითა თვისითა სულბრწყინვალემან და ცხებულთა მეფეთა ასულმან, დედოფალმან ქართლისა და კახეთისამან თამარ და შემდგომად მისსა განასრულა ძემან მისმან, პატრონმან კახეთისამან მეფემან ერეკლე და შეამკო ყოვლადვე (პაპუნა ორბელიანი 1981: 179).

ბატონიშვილი ვახუშტი (1696-1757), რომელიც 1724 წლიდან გარდაცვალებამდე მოსკოვში იმყოფებოდა და მიწისძვრის თვითმხილველი თავად არ არის, თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ აღნიშნავდა, რომ „კუალად დაიქცა [ალავერდი] ქრისტესსა ჩ˜ლმა (1741)“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 549). მისი გადმოცემით, თეიმურაზის კახეთში მეფობის პერიოდში, 1742 წელს, მოხდა მიწისძვრა, რომლის დროსაც დაინგრა მხოლოდ ალავერდის ეკლესია და ხოდაშნის ციხე:

> ...მაშინ მოხედნა რისხუამან და შეიძრა ქუეყანა ქ˜სა ჩ˜ლმბ, ქარ. უ˜ლ (=1742), და დაირღუა და შეიმუსრა ალავერდის ეკლესია, კუალად ციხე ხოდაშენისა. არამედ ესეოდენს ძრვასა შინა არა რაი შეიმუსრა თჳნიერ მათთა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 630).

მიწისძვრის შესახებ ცნობა შეტანილია ვახუშტის თხზულებაზე დართულ ქრონოლოგიურ ცხრილშიც:

> [ქ˜კს] ულ (=1742). კუალად დიდი ძვრა იყო, დაიქცა ალავერდის ეკლესია და ხოდაშნის ციხე (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 913).

1742 წელს მიწისძვრით ალავერდის ტაძრის დანგრევის და კახეთის სხვადასხვა ადგილის დაზიანების შესახებ ცნობა ხშირად გვხვდება XVIII-XIX საუკუნეების ქართულ ისტორიულ ქრონიკებში. პ. კარბელაშვილისეული ქრონიკის ცნობით, ალავერდის გუმბათი ჩამოიქცა 1742 წლის 4 ივლისს მომხდარი მიწისძვრისას:

> ქ˜კს ულ დედამიწა იძრა, ალავერდის გუნბათი დაიქცა, მკათათვის დ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-5302; ქრონიკები 1967: 632).

დავით რექტორისეულ (XVIII ს. 30-იანი წწ. – 1824) ქრონიკაში შეტანილი ჩანაწერით, კახეთის სამეფოში მიწისძვრა ხდებოდა 6-ჯერ

დღეში, რომლის დროსაც „მთვარის ოთხს, მკათათვის კდ (24), ვართე ვურის შაბათს დღეს“ დაინგრა ალავერდის ტაძარი და განადგურდა დიდოს სოფელი:

> ქ. იქმნა ძრვა საშინელი. ერთსა შინა დღესა ექვს-გზის და კახეთის სამეფოსა შინა. პირუჱლი სამღუდელ-მთავრო ალავერდის ეკლესია დაიქცა და დიდოს სოფელი დაიღუპა. მთვარის ოთხს, მკათათვის კდ, ვართე ვურის შაბათს დღეს (დავით რექტორის ქრონიკა, ხეც, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-2515; ქრონიკები 1967: 618).

1742 წლის ივლისში მომხდარი მიწისძვრისას ალავერდის ტაძრის დანგრევის შესახებ ასევე საუბარია ფურცელაანთ ქრონიკის ფრაგმენტულ ჩანაწერში:

> ქ˜კს ულ (=1742). ქ. დედამიწა დაიძრა და ალავერდის გუნბეთი (sic) დაიქცა, კათა[თვის]... (ფურცელაანთ ქრონიკა, სეა, ფ. 1446-137; ქრონიკები 1967: 626).

## მიწისძვრის თარიღი და არეალი

პაპუნა ორბელიანი მომხდარ კატასტროფას, სავარაუდოდ, კახეთში შეესწრო. ის თვითმხილველია და დაწვრილებით მოგვითხრობს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის, ბიძგების თანმიმდევრობისა თუ შედეგების შესახებ. პაპუნა ორბელიანის და ქრონიკალური ცნობების თანახმად, მიწისძვრა მოხდა 1742 წლის 4 ივლისს, შაბათ დღეს, ძლიერი რყევები აგვისტოშიც გაგრძელდა ორმოცი დღის განმავლობაში, მიწა დღეში 6-ჯერ იძვროდა; მოიცვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონები, კახეთის მთიანეთი – იალბუზის ანუ კავკასიონის მთები, თანამედროვე ახმეტისა და თელავის რაიონები, კახეთის სამხრეთით მოსაზღვრე დიდოეთის ქისტური სოფლები და ქართლსაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

## არქეოლოგიის და არქიტექტურის მონაცემები

მიწისძვრამ კახეთში დაანგრია ალავერდის საკათედრო ტაძარი, ახმეტის, ლალისყურის და ხოდაშნის ციხეები, ჩამოიქცა იალბუზის ანუ კავკასიონის მთები:

*ალავერდის ტაძარი.* მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირას, გაშლილ ველზე მდებარე კომპლექსს ვახუშტი შემდეგნაირად აღწერს: „შტორის ჴევს ზეით, ალაზნის დასავლით არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე-პალატიანი, გუმბათიანი, რომელმან მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონგუერდს, შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი. აღაშენა ი˜გ მამათაგანმან წმიდამან იოსებ და ყო მონასტერი წმიდისა

გიორგისა, დაფლულ არს მუნვე. და იყო მონასტერი განდგომილებისამდე, ქრისტესსა ჩ˜უჲვ (1466), და ამათ ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი თურდოს-ჴევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე, და უპირველეს კახთა ეპისო-პოზად. დაიქცა ძვრით. როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა. კუალად დაიქცა ქრისტესსა ჩ˜ლმა (1741) ძვრისთვე" (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 549).

მიწისძვრის შემდგომ ტაძარზე ჩატარებული აღდგენითი სამუშაობის თანახმად, მიწისძვრას განსაკუთრებით უნდა დაეზიანებინა კათედრალის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილი (Чубинашвили 1970: 265).

XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ლეკიანობის გამო ალაზნის ე.წ. გაღმა მხარე, იქ, სადაც დაღესტნიდან გადმოსასვლელები იყო, სპეციალურად გა-მაგრდა ციხესიმაგრეებით: ფშაველი, ლალისყური, საბუე, შილდა, ყვარელი და სხვ.

*ხოდაშენი.* ვახუშტის მიხედვით, „ხოლო ალავერდს ზეით ერთვის ალა-ზანს ახმეტის-ჴევი. გამოსდის კახეთის მთას, ამას და თიანეთს შორისს, მოდის დასავლეთიდან აღმოსავლეთად" (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 549). აქ მდებარეობს კახთა მეფე ლეონის (1520-1574) და მისი ძის, ალქსანდრე II-ის (1574-1605) მიერ ათონის ფილოთეოსის მონასტრისათვის აშენებული მეტოქი მონასტერი, სადაც 1760 წელს ათონიდან ჩამოსულმა კოზმან ბერმა ერეკლე II-ის (კახეთი, 1744-1562; ქართლ-კახეთი, 1762-1598) წარსაგებლით ეკლესია გაადიდა, გააკეთა მარანი ციხით (ზაქარაია 2002: 493-494). ზემო ხოდაშენში: კოშკები, ბოჭორმის ეკლესია (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2004: 88-93); ქვემო ხოდაშენში: თემის საკრებულოს ცენტრი – ამაღლების ეკლესია, ამიდასტურის ეკლესია, აღ-დგომის, ნაეკლესიარი ადგილები, სამების ეკლესია (საქართველოს ისტო-რიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2004: 356-365; ზაქარაია 2002: 492-495).

*ლალისყურის ციხე.* ფშავლის თემის საკრებულო. ამჟამად მდ. შტორის ნაპირზე სოფლის განაპირას 1742 წლის კატასტროფის შემდეგ აგებული ციხე-გალავნის სამსართულიანი კოშკები, რომელთაც ზედა ნაწილი მორღ-ვეული აქვთ. მიწისძვრამ კატასტროფამდე მაღლობზე მდგარი ციხე სრუ-ლად გაანადგურა და ძველის ადგილი ზუსტად არაა ცნობილი (ზაქარაია 2002: 411-414; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერი-ლობა, 2004: 298-306).

*ახმეტის ციხე.* მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, მდ. ილ-ტოს ქვემო დინებასა და მდ. ორვილს შორის გაშლილ ველზე, პანკისის ხეობის შესასვლელთან (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2, 2004: 33-35). აქვეა ჯანდიერაანთ ციხე-კოშკოვანი მარანი (ზაქარაია 2002: 495-496).

*იალბუზის მთები* – კავკასიონის მთათა სისტემის გვერდითა ქედი, რო-მელიც ამგვარად იწოდება აქ მდებარე უმაღლესი მწვერვალის „იალბუზის"

(5 642 მ) მიხედვით. იალბუზი (სპარს. البرز, ყაბარდ. – Ошхомахо, ბალყარ. – Мингитау, რუს. – Эльбрус) დაახლოებით 2000 წლის წინ ჩამქრალი სტრატოვულკანია, სადაც ბოლო ამოფრქვევა ჩვ. წ. 50 ± 50 წელს მოხდა. ქართულ ხალხურ საგმირო ეპოსში იალბუზთან და ვახტანგ გორგასალთანაა დაკავშირებული ლექსი: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა."

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „არამედ ქართლიდამ ესე კავკასნი უმეტეს ყოველთა კავკასთაგან მჩენარებენ და დიდად, და ამისთჳს უწოდესცა სპარსთა იალბუზი, ქარმყინვარე, და მარადის მყინვარედ იხილვებიან, რამეთუ ზაფხულს გზებთა ამათ ზედა ვლნენ ცხენით, გარნა დიდიჭირითა, და თჳნიერ ზაფხულისა ვერცა ერთი სულიერი" (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 648).

*დიდო* (ქართ. დიდოეთი). ისტორიული რეგიონი დღევანდელი დაღესტნის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც XVIII საუკუნემდე საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. დიდოეთის ლეკურ მხარეს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა თუშეთი, სამხრეთით – კახეთი, ჩრდილოეთით – ჭარი, ქისტურ მხარეში შედიოდა სამ ათეულზე მეტი სოფელი (ბეშო, ბარნაბი და სხვ.); კახეთიდან ჰყოფდა კირქვიანი ქედის დაუსახლებელი მთიანეთი (გიულდენშტედტი 1964: 93). ვახუშტის მიხედვით, „ხოლო დიდოეთი არს ლოპოტისა, გრემისა, შილდა-ყვარელისა და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩრდილოთ კერძოსა შინა. და არს დიდოეთი ორ ჴეობად, და დის მის შორის მისივე მდინარე, რომელსა ლეკეთს უწოდებენ ყოზლუხი, და უმეტეს ვაკესა შინა. ...ხოლო მზღვრის ამ ორ ჴეობას დიდოეთისასა: აღმოსავლეთით კავკასი ჰავარისა, ლეკეთისა და ამას შორისი; სამჴრით მდინარე ამისივე და კავკასიდამ ჩამოსული კავკასივე, ჩრდილოთ მდებარე; დასავლით მთა კავკასი, ამასა და გაღმა-მჴარის კახეთს შორისი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი" (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 552).

დასახელებული ადგილების გარდა, 1742 წლის მიწისძვრისას, სავარაუდოდ, დაზიანდა იყალთო, უტოსხევზე კუეტერის ციხე, ბახტრიონის ციხე, ლოწობანი, მარილისი, ქაჩალაური, წმ. მარინეს მონასტერი, ცხრაკარა, ნეკრესი, ყვარლის ციხე და სხვ. მრავალი ნაგებობა.

*ქართლი*. წერილობით წყაროებს, მართალია, ქართლში მიწისძვრით დანგრეული კონკრეტული ადგილების შესახებ პირდაპირი ცნობები არ შემოუნახავს, მაგრამ ცნობილია, რომ აქ მიწისძვრამ მრავალი შენობა დაანგრია. პაპუნა ორბელიანის ცნობით, „ქართლშიაც მრავალი შენობა დაიქცა. ... აგრევე ქართლში იყო ყოველგან ტირილი და ვედრება ღვთის წინაშე" (პაპუნა ორბელიანი 1981: 57-58).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ბატონიშვილი ვახუშტი** 1973 = ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973.

**გიულდენშტედტი** 1964 = *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბილისი, 1964.

**ზაქარაია** 2002 = პ. ზაქარაია, *ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია*, თბილისი, 2002.

**პაპუნა ორბელიანი** 1981 = პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.

**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა** 2004 = *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 1-2, თბილისი, 2004.

**ქრონიკები** 1967 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, ტ. III, თბილისი, 1967.

**Путеводитель Экскурсии** 1971 = *Путеводитель Экскурсии – Минеральные воды – долина Баксана – Эльбрус – Орджоникидзе. Военно-Грузинская дорога – Тбилиси* (Ред. Г.С. Горшков), Н.В.Короновский, Н.И. Схиртладзе, Тбилиси, 1971.

**Чубинашвили** 1970 = Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства*, т. I, Тбилиси, 1970.

**Ambraseeys, Finkel 1995** = N. Ambraseys & C. N. Finkel, *The Seismicity of Turkey and Adjacent Areas. A Historical Review*, 1500-1800, Istanbul, 1995.



სურ. 1. დაღესტანი. აული არაკანი. გრ. გაგარინის გრავიურა. 1840-იანი წლები



სურ. 2. დაღესტანი. გიუნიბის მთა. თ. ვებერის გრავიურა. XIX ს. მეორე ნახევარი



სურ. 3. დაღესტანი. დათუნას ეკლესია. X ს.



სურ. 4. გრემი. ხედი მთავარანგელოზის ეკლესიის კომპლექსზე



სურ. 5. ლალისყურის ციხე



სურ. 6. მაჩხაანი. „ღვთაების“ ეკლესია

## 16

1766 წ. [22] მაისი

## თურქეთი — სტამბოლი

*პირველწყარო: იოანე ხუცის დღიური*

ახალციხელი კათოლიკე მღვდლის, იოანე ხოჯაშვილის (1730-1809) დღიურში, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 1763-1809 წლებში ახალციხის საფაშოს და იმერეთის სამეფოს ისტორიისათვის, 1766 წლის მაისს შეტანილი ჩანაწერი სტამბოლში მომხდარ დიდ მიწისძვრას ეხება:

> სტამბოლს დიდი მიწისძვრა იქმნა (ლომსაძე 1979: 124).

ჩანაწერი ეხება 1766 წლის 22 მაისს სტამბოლში მომხდარ ერთ-ერთ უძლიერეს მიწისძვრას, რომელმაც დიდი ნგრევა გამოიწვია და ვრცელი არეალი მოიცვა (Ambraseeys, Finkel 1995: 136-145).

### ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ლომსაძე** 1979 = შ. ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979.

**Ambraseeys, Finkel 1995** = N. Ambraseys & C. N. Finkel, *The Seismicity of Turkey and Adjacent Areas. A Historical Review, 1500-1800*, Istanbul, 1995.

## 17

1772 წ. 14 თებერვალი

## აღმოსავლეთ საქართველო — [თბილისი]

*პირველწყარო: ფურცელაანთ ქრონიკა*

ფურცელანთეულ ქრონიკაში (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1446-137), რომელშიც გადმოცემულია 1623-1825 წლების ამბები, შეტანილია ცნობა 1772 წლის 14 თებერვალს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შესახებ:

> ქ. დედამიწა იძრა ვახშმობისას, თებერვლის იდ (ქრონიკები 1967: 628).

მიწისძვრა ძლიერი არ ყოფილა. ამ მიწისძვრის შესახებ გერმანელი ნატურალისტი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781), რომელიც 1772 წლის 14 თებერვალს თბილისში იმყოფებოდა, აკეთებს ჩანაწერს:

> 14 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მშვიდ და მოწმენდილ ამინდში, ვიგრძენით მიწისძვრა 2 წამის განმავლობაში (გიულდენშტედტი, I, 1962: 15).

### ძირითადი წყაროები და ლიტერატურა


**გიულდენშტედტი** 1962 = *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში,* გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962.

**ქრონიკები** 1967 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა,* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, ტ. III, თბილისი, 1967.

**Ambraseeys, Finkel 1995 =** N. Ambraseys & C. N. Finkel, *The Seismicity of Turkey and Adjacent Areas. A Historical Review, 1500-1800*, Istanbul, 1995.



თბილისი. XIX ს. მიწურული. პუბლიკაციიდან – Dimitri Ermakov 2014

# 18

## 1778 წ. 30/31 ივნისი
## აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი

*პირველწყარო: ფურცელაანთ ქრონიკა*

ფურცელანთეულ ქრონიკაში, შეტანილია ცნობა 1778 წლის თიბათვის გასულს ქალაქში (=თბილისი) მომხდარი მიწისძვრის შესახებ:

> ქ. მიწა იძრა ქალაქს თიბათვის გასულს (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1446-137; ქრონიკები 1967: 628).

### მიწისძვრის თარიღი და არეალი

„ფურცელანთეულ ქრონიკაში" შეტანილი ჩანაწერის თანახმად, თბილისში მიწისძვრა მოხდა 1778 წლის „თიბათვის გასულს", ე.ი. 30/31 ივნისს.

ამ პერიოდში თბილისის განაშენიანებისა და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები და გრაფიკული მასალები. XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ქალაქი ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ტფილისი ანუ სეიდაბადი, კალა, ისანი და გარეთუბანი. მისი მოსახლეობა დაახლოებით 20 000-მდე სულს შეადგენდა (ბერიძე 1983: 48-63).

1778 წლის მიწისძვრას მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში მნიშვნელოვნად უნდა დაეზიანებინა ეკლესიები, სასახლეები, სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები და ქარვასლები, განსაკუთრებით კი, თიხანარევი კირით მიჯრით აშენებული ბანიანი საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები,[70] რაც კიდევ უფრო ზრდიდა არსებული ანტისანიტარიის პირობებში ისედაც ხშირი ეპიდემიების გავრცელების რისკს. იმდროინდელი თბილისის დეტალური აღწერა დაგვიტოვა გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781), რომელიც 1771-1772 წლებში საქართველოში იმყოფებოდა. თბილისის აღწერილობა შესულია გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებსა და პეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისათვის 1772 წლის 4 იანვარს გაგზავნილ ანგარიშში (გიულდენშტედტი 1962: 87-93;

---

70 ასე მოხდა 1819 წელს, როცა ძლიერ ყინვას მიწისძვრა მოჰყვა და 17 იანვარს „ტფილისს ესრეთი ძვრა იყო, რომელ დედამიწა ბლუოდა ქუხილივით ძლიერად, და მრავალი შენებულებაც დაიქცა" (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა 1941: 160-161).

II, 1964: 133-135). ეს აღწერა საკმარისია იმისთვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო თბილისი მიწისძვრის წინა პერიოდში:

> თბილისი არის სპარსული და ევროპული სახის დედაქალაქი და რეზიდენცია ქართლის მეფისა... ის მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც აქ სამხრეთ კავკასიის მთისწინეთის ჩამოწოლის გამო მოხრილია, ქალაქის ზემოთ და ქვემოთ კი უფრო ციცაბოა.
>
> თანამედროვე ქალაქი შეადგენს თითქმის ბლაგვ სამკუთხედს და, გარდა ერთი ადგილისა მტკვართან, შემორტყმულია აგურის კედლით; ამასთან აღმოსავლეთ კუთხეში არის პატარა ციხე ნარიყალა და დასავლეთისაში – სიმაგრე შარდახტი. ქალაქის კედელი მათ შორის არის 600 საჟენის სიგრძისა და მთელი ქალაქის გარშემო შეადგენს დაახლოებით 3 რუსულ ვერსს ან 1 500 საჟენს. ამ, არც ისე დიდ ფართობზე ცხოვრობს დაახლოებით 20 000 მცხოვრები; ამიტომ ქუჩები არის დაახლოებით 1 საჟენი სიგანისა, შესახვევები კიდევ უფრო ვიწრო.
>
> სახლები ნაგებია აგურისა და ფილაქნებისაგან, თიხანარევი კირით, ერთსართულიანი, დაახლოებით 15 ფუტი სიმაღლისა, სახურავები სწორი ... თიხით დაფენილი; ოთახებს აქვთ ბუხარი და ფანჯრებზე, შუშის მაგიერ, გაქონილი ქაღალდებია. ყველაფერი არის მსუბუქი, ცუდი, ტლანქი და ძალიან შეუხედავად ნაშენი. ქალაქის აღმოსავლეთის ნაწილთან არის ხიდი მტკვარზე, ამ ხიდით შევდივართ მეტეხის პატარა ციხეში, მტკვრის მარცხენა ნაპირას.
>
> ქალაქის ქვემოთ, ახლოს მასთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არის თბილი წყაროები და მათთან საზოგადო აბანოები ორივე სქესისათვის. აბანოების ქვემოთ არის წინაქალაქი, გარეთუბანი, ან უფრო უკეთ ძველი თბილისი. ქალაქისა და გარეუბნის გარშემო არის მნიშვნელოვანი ვენახები და ხილის ბაღები, რომლებიც მდინარის ქვევით აღწევენ 5 ვერსამდე, და პატარა წისქვილებისა და არხების საშუალებით ირწყვებიან მტკვრის წყლით. ბაღებთან და მათ ქვემოთ არის აგრეთვე ხორბლის პატარა ყანები. ასევე მტკვრის მარცხენა ნაპირზეც, ქალაქის პირდაპირ, არის ბაღები და ყანები.
>
> 20 000 მოსახლებისათვის ისედაც პატარა ფართობიდან დიდი ადგილი უჭირავს ეკლესიებსა და სასაფლაოებს. მცხოვრებთა ეს სივიწროვე, დაქანებული მდებარეობა ქალაქის თიხიან ნიადაგზე, რომელიც წვიმის დროს მთლიანად იჟღინთება და არა აქვს წყლის საწრეტები, სასაფლაოები, ცუდი პოლიცია, რომელიც ნებას აძლევს, რომ ქუჩები დაიფაროს ნაგვით და

> ა.შ. – ყოველივე ეს სწამლავს ჰაერს, ამიტომაც დიზინტერია, ავთვისებიანი ციებ-ცხელება და ეპიდემიები, აგრეთვე ჭირიც, არც თუ იშვიათია. 1770 წელს ამ უკანასკნელმა გაწყვიტა 4 000 მცხოვრები. დიდი სიკვდილიანობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, სახლები რომ არ იყოს ბევრ-ჰაერიანი, რადგან ცუდი კარებებიდან, ქაღალდიანი ფანჯრებიდან, ბუხრებიდან და ა.შ. მუდამ არის ჰაერის მიმოქცევა. 1770 წლის ჭირის დროს, ავადმყოფებს აწვენდნენ უმეტესად ქუჩებში და შეიმჩნეოდა, რომ ამათგან შედარებით მეტი რჩებოდა, ვიდრე სახლში მწოლიარეთაგან.
>
> ქალაქის მოსახლეობა ნახევარზე მეტი სომხებია. მეორე ნახევარს შეადგენენ უმთავრესად ქართველები და, ამათ გარდა, კიდევ არიან თათრები. სომეხთა შორის დაახლოებით 400 რომაული სარწმუნოებისაა, მათ ჰყავთ პატრები; ყველანი უხვად არიან უზრუნველყოფილი ეკლესიებით... ამათგან 12 დგას ქალაქში და 8 ქალაქის გარეუბანში...
>
> ქალაქის მოსახლეობა ცხოვრობს უმთავრესად თავისი ვენახებითა და ნარგავებით, განსაკუთრებით ბამბის კულტურით. ბევრი არიან ვაჭრები, ანუ, უფრო უკეთ წვრილი მედახლეები, რომლებთანაც შეიძლება შეიძინოს კაცმა გასავლიანი საქონელი, წვრილმანი საქონელი, სურსათი, სანელებელი და სხვა რამეები. არიან სხვადასხვა [ხელოსნები]: მეტყავეები, მღებავები, მქსოველები, მჭედლები. ყოველგვარ საქალაქო ხელოსნობას ეწევიან მცირე რაოდენობით და ისიც მოხალისენი და არა ოსტატები. აქ მეფეს აქვს მარილის სახდელი ქარხანა და ზარაფხანა (გიულდენშტედტი 1962: 87-93).

მიწისძვრას თბილისში უნდა დაეზიანებინა ქართველების, სომხების და თათრების კუთვნილი ეკლესიები და მეჩეთები. თანამედროვეთა გადმოცემით, ამ დროს ქალაქში იყო: ქართველების 15 ეკლესია, სომხების – 20, კათოლიკე სომხების ერთი ეკლესია და ერთი მონასტერი, თათრების სამი მეჩეთი. ვახუშტის ნაშრომზე შესრულებული გვიანდელი მინაწერიდან ვიგებთ, რომ 1778 წლის მიწისძვრამ თბილისში ზიანი მიაყენა 1747-1749 წლებში კაპუცინთა მისიონის ვიკარის პატრ ნიკოლა და ჯირჯენტის მიერ აგებულ წმ. იოსების სახელობის გუმბათიან ეკლესიას. 1755 წელს, როცა თეიმურაზ II-მ ეს ეკლესია კათოლიკებს ჩამოართვა და ქართველ მართლმადიდებლებს გადასცა, ის ხარების სახელზე აკურთხეს, ხოლო „ძვრისაგან საშიშად დაძრული" მოგვიანებით განაახლა ერეკლე II-მ. ქალაქის სხვა ნაგებობებთან ერთად ეკლესია 1778 წლის ივნისში მომხდარი მიწისძვრისას ძლიერ დაზიანებულა. ეს დაზიანებები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის ახლო ხანებში, პატრი ფრანჩისკე პადუელი 1802 წელს აცნობებდა რა რომში კარდინალს კათოლიკების

კუთვნილი ეკლესიებისა და სახლების მძიმე მდგომარეობის და ძლიერი დაზიანების შესახებ, აღნიშნავდა, რომ ტფილისის ეკლესიის გუმბათი ჩამონგრევის პირასაა და ამის შიშით ბევრი ქართველი შიგ აღარ შედისო. რუსეთის მმართველობისას, 1804 წელს, ეკლესიის დაზიანებული გუმბათი მოანგრიეს, სახაზინო საკუთრებად აქციეს და იქ მარცვლეულის საწყობი მოაწყვეს (ბატონიშვილი ვახუშტი 1967: 336 შენ., გვიანი მინაწერი). გერმანელი ლინგვისტ-ორიენტალისტი ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაფროტი, რომელიც 1808 წელს იმყოფებოდა თბილისში, წერდა, რომ ძლიერ მიწისძვრას ხარების ეკლესია რამდენიმე ადგილას გაუხეთქავს და წაქცევის პირასაა (Klaproth 1814: 411; Иоселиани 1866: 234-238). ნაგებობამ არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა შემდგომ ხანებშიც. ამჟამად ეს შენობა მდებარეობს გ. აბესაძის ქუჩის № 13-ში და მრავალგზის გადაკეთების მიუხედავად, კვლავაც ინარჩუნებს იმ არქიტექტურულ დეტალებს, რომლებიც მის ეკლესიასთან კავშირს ამჟღავნებს (ხოშტარია 2009: 159-167).

სამწუხაროდ, თბილისში ამ მიწისძვრისას დაზიანებული სხვა ეკლესიების შესახებ პირდაპირი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ, მიწისძვრამ დააზიანა ძველ ისანში, მტკვრის მარცხენა კლდოვან ნაპირზე მდგარი იმ დროისათვის გაუქმებული მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ტაძრის სამხრეთ კედელი და გუმბათი. აქ 1748 წლამდე მონაცვლეობით თურქთა და სპარსთა გარნიზონი იდგა, სანამ ერეკლე II-მ ბრძოლით არ აიღო და დამპყრობლები არ გააძევა. XIII საუკუნეში, დემეტრე II თავდადებულის (1270-1289) მიერ, ხელმეორედ აშენებული ტაძრიდან გადარჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები კამარების დონემდე, დასავლეთი კედლის ქვემო ნაწილი, მტკვრისაკენ მიმართული სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი. ტაძარში XVI-XVII საუკუნეებში აღუდგენიათ: თავისუფლად მდგომი აგურის ოთხი ბოძი, დასავლეთი პატრონიკე, კამარები, გუმბათის ყელი; XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის დროს – სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი (ბერიძე 2014: 86-87).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა** 1941 = *დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა*, გამოსცა თ. ლომოურმა, თბილისი, 1941.

**ბერიძე** 1983; 2014 = ვ. ბერიძე, *XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება*, ტ. I, თბილისი, 1983; ტ. II, თბილისი, 2014.

**გიულდენშტედტი** 1962 = *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962.

**ქრონიკები** 1967 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*,

შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხან-თაძემ, ტ. III, თბილისი, 1967.

**ხოშტარია** 2009 = დ. ხოშტარია, ხარების ეკლესია თბილისში, *საქართველოს სიძველენი* (13, 2009): 159-165.

**Klaproth** 1814 = Julius von Klaproth, *Travels in the Caucasus and Georgia, Performed in the years 1807 and 1808 by Command of the Russian Government*, translated from German by F. Shoberl, London, 1814.

**Иоселиани** 1866 = Иоселиани П., *Описание древностей города Тифлиса*, Тифлис, 1866.

**Полиевктов** 1946 = М. А. Полиевктов, *Европейские путешественники по Кавказу 1800–1830 гг.*, Тбилиси, 1946.



ველი. ნაეკლესიარები და სასახლე (თურქეთი, არდაგანის ილი)

## 19

1779 წ. [იანვარი].

## სამხრეთ საქართველო – ახალციხე, სოფ. ველი

*პირველწყარო: იოანე ხუცის დღიური*

ჩანაწერი სამცხე-ჯავახეთში 1779 წელს მომხდარი მიწისძვრის შესახებ შეტანილია ახალციხელი კათოლიკე მღვდლის, იოანე ხოჯაშვილის დღიურში:

> ველს წავედი დიაკვნითა. 1779 წ. 1 ღამის 2 და 3 ჩარექზედ მიწა იძრა, ოთხშაბათი რომ თენდებოდა (ლომსაძე 1979: 157).

ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ლომსაძე** 1979 = შ. ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979.



ჩანჩქერი თორთუმის ტბასთან

# 20

## 1784 წ. [18] ივლისი

## თურქეთი – ერზინჯანი, ერზერუმი

*პირველწყარო: იოანე ხუცის დღიური*

აღმოსავლეთ ანატოლია ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური სეისმური ზონაა თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც ისტორიის განმავლობაში არაერთი დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. ჩრდილოეთ ანატოლიის რღვევა მცირე აზიაში ძირითადი ტრანსფორმაციის რღვევის ის საზღვარია, სადაც ევრაზიის ფილა ესაზღვრება პატარა ანატოლიის ფილას. აქ მიწისძვრები ძალიან ხშირად ხდება და რღვევის სიგრძე 1600 კმ-ია, რომელიც ვრცელდება აღმოსავლეთ თურქეთიდან მარმარილოს ზღვამდე. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მიწისძვრა ქალაქ ერზინჯანთან მაგნიტუდით 7,8 და მაქსიმალური ინტენსივობით მერკალის შკალით (XII) მოხდა 1939 წლის 27 დეკემბერს ადგილობრივი დროით 1:57 წუთზე, რომელმაც დიდი ნგრევა და ცუნამი გამოიწვია შავი ზღვის სანაპიროზე, დაიღუპა 32 968 ადამიანი, დაშავდა დაახლოებით 100 000-ზე მეტი.

რეგიონში ისტორიულად მომხდარი მიწისძვრების შესახებ წერილობით წყაროებს შორის ინფორმაციის სიუხვით სომხური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები (ჰიშატარაკანები) გამოირჩევა, რომელთა ავტორების ძირითადი ნაწილი ერზერუმის, ერზინჯანის და ვანის ტბის მიდამოებში მცხოვრები სომხები არიან. ცნობები წარსულში მომხდარი მიწისძვრების შესახებ გაბნეულია საისტორიო თხზულებებში, ქრონიკალურ ჩანაწერებში, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში, დღიურებში. მათგან განსაკუთრებით ფასეულია თანამედროვეთა და თვითმხილველთა მიერ მოწოდებული ის ცნობები, რომლებშიც გადმოცემულია მიწისძვრის თარიღი, დაზიანებული ადგილები და ნგრევის არეალი, მსხვერპლის რაოდენობა, მიწისძვრით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესი და სხვ. ამ ცნობებში, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი თანამედროვე ერზერუმისა და ართვინის პროვინციებში არსებულ იმ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებსა თუ ადგილებზე, რომლებიც მიწისძვრას საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ უნდა დაეზიანებინა და დაენგრია. ერზერუმის ჩრდილოეთით მიმდებარე ისპირისა და თორთუმის ქართულ ისტორიულ ოლქებში მიწისძვრით გამოწვეული ნაგებობებისა და ეკლესიების ნგრევა ფიქსირდება 1766 წლის 9 ოქტომბერს (Ambraseeys, Finkel 1995: 149). ასევე სეისმურ პროცესებს უკავშირდება XVIII

საუკუნის დამლევს მიწისძვრის შედეგად ქედებს შორის მოქცეულ დაბლობში თორთომის ტბის (თურქ. Tortum Gölü) გაჩენა, რომლის ზედაპირის ფართობი 8 კმ, ხოლო მაქსიმალური სიღრმე დაახლოებით 100 მეტრია.

ერზერუმსა (ძვ. ბერძ. კარანიტისი, თეოდოსიოპოლისი, სომხ. კარინი/ გარინი, ქართ. კარნუქალაქი; არზენი, ერზენი) და ერზინჯანის (ძვ. ბერძნ. ასილიზენი, იუსტინიანოპოლისი; ერეზი) მიწისძვრების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სომხური წერილობითი წყაროები, მათ შორის ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები, რომელთა ნაწილიც ადგილობრივი სომხების მიერაა შესრულებული. ერზინჯანში მომხდარი მიწისძვრების შესახებ განსაკუთრებით საყურადღებოა XVII საუკუნის სომეხი ქრონისტის ამირას ერზინკაცის „ქრონიკები“, რომელშიც მის მიერ აღნუსხულია მშობლიურ ერზინჯანში 1045, 1166, 1168, 1236, 1254, 1268, 1281, 1287, 1290, 1345, 1356, 1374, 1458, 1576, 1584 და 1666 წლებში მომხდარი დიდი თუ მცირე მიწისძვრა. სომეხი სეისმოლოგები მიიჩნევენ, რომ ერზინკაცის ქრონიკა ამ მხრივ მიწისძვრების აღნუსხვისა და კატალოგიზაციის პირველ მცდელობას წარმოადგენს (Karakhanian, Abgaryan 2004; Kldiashvili, Diasamidze 2020).

ქართული წყაროებიდან ერზინჯანსა და ერზრუმში 1784 წლის ივლისში მომხდარ მიწისძვრას ეხება ახალციხელი კათოლიკე მღვდლის, იოანე ხოჯაშვილის (1730-1809) მიერ დღიურში შეტანილი ჩანაწერი, რომლიდანაც ვიგებთ მიწისძვრისსას ერზერუმის ფაშისა და მისი მრავალრიცხოვანი ჯარის დაღუპვის შესახებ:

> [1784, ივლისი], ეზინგას ძვრა ქმნილა. არზრუმის ფაშა მრავლის ჯარით დაღუპულა. არზრუმსაც 5 დღე ძვრა ქმნილა, მაგრამ უზიანოდ (ლომსაძე 1979: 163).

ცნობა ეხება 1784 წლის 18 ივლისს ერზინჯანში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრას, რომელმაც ვრცელი ტერიტორია მოიცვა ერზინჯანიდან და მისი მიმდებარე პროვინციებიდან მოყოლებული მუშამდე, ვანის ტბამდე, განადგურდა მრავალი ქალაქი და სოფელი, დაიღუპა 12 000 ადამიანზე მეტი. ოსმალეთის ოფიციალური პირების მიერ პორტისადმი წარდგენილი ანგარიშებიდან ვიგებთ, რომ მომხდარ კატასტროფას ექვსი თვის განმავლობაში ინტერვალებით წინ უძღოდა სუსტი მიწისძვრები. 1784 წლის 18 ივლისს, 23:17 წუთზე ძლიერმა მიწისძვრამ, რომელიც 7-8 წუთი გრძელდებოდა, საფუძვლიანად დაანგრია ერზიჯანი; ქალაქის ნაგებობებიდან გადარჩა მხოლოდ ერთი ჰამამი (აბანო) და დიდი მეჩეთი, დაიღუპა მოსახლეობის ნახევარი, მათ შორის, მიწისძვრამდე ერთი კვირით ადრე იქ ჩასული ერზრუმის ვალი, ვეზირი სულეიმან ფაშა; მისი ამალიდან გადარჩა მხოლოდ ქალაქგარეთ მყოფი მნე, აბჯრის მტვირთელი, რამდენიმე პირი და სამდივნო. მიწისძვრის შემდგომ ბიძგები ხდებოდა დღეში 3-5-ჯერ ოთხი თვის განმავლობაში. რაც შეეხება ერზერუმს, აქ მიწისძვრამ მხოლოდ სახლის კედლები და საცხოვრებლები დააზიანა და დამანგრეველი შედეგი არ ჰქონია (Ambraseeys, Finkel 1995: 160-163).

ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ლომსაძე** 1979 = შ. ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979.

**Ambraseeys, Finkel 1995** = N. Ambraseys & C. N. Finkel, *The Seismicity of Turkey and Adjacent Areas. A Historical Review*, 1500-1800, Istanbul, 1995.

**Karakhanian, Abgaryan 2004** = A. Karakhanian, Ye. Abgaryan, Evidence of historical seismity and volcanism in the Armenian Highland (from Armenian and other sources), *Annals of geophysics*, 2004, №2/3, 793-809.

**Kldiashvili, Diasamidze 2020** = D. Kldiashvili, M. Diasamidze, Earthquakes in the East Anatolia Region According to the Georgian and Armenian Sources from the Late Antiquity to the 19th Century, *Tarih Bouynca Anadolu – Gürcistan İlişkileri Sempozyumu, 27-29 Ekim, 2018, Erzurum,* Ankara, 2020: 105-119.





სომხურ და ქართულ წყაროებზე დაყრდნობით შედგენილი აღმოსავლეთ ანატოლიის სეისმურობის რუკა. პუბლიკაციიდან – Kldiashvili, Diasamidze 2020



სურ. 1. თორთუმის ტბა



სურ. 2
საფაჲას ციხე
(თორთუმის ტბის
მახლობლად)





სურ. 3
ორჯოხის ციხე
(ოლთისის მხარე)



სურ. 4. ესბეკის ციხე



სურ. 5. პეტერეკის ციხე



სურ. 6. კავკასიძეების ციხე. 2008 წ. (2023 წლიდან მოექცა იუსუფელის წყალსაცავში)



სურ. 7. იშხნის საკათედრო ტაძარი რესტავრაციამდე. 2008 წ.





სურ. 8. ხანძთის ეკლესიის გუმბათქვეშა სივრცე. 2008 წ.



8-1. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 2012 წ.




სურ. 9. ხახულის ღვთისმშობლის ეკლესია



სურ. 10. ოთხთა ეკლესია



სურ. 11. ოშკის საკათედრო ტაძარი





11-1. ხედი სამხრეთ-დასავლეთზე



შემოქმედის მონასტერი. გრავიურა დიუბუა დე მონპერეს პუბლიკაციიდან. 1830-იანი წლები

## 21

### 1785 წ. 7 მაისი

### დასავლეთ საქართველო – შემოქმედი

*პირველწყარო: გაბრიელ მახარაძის „მატიანე“*

დასავლეთ საქართველოში, გურიაში 1785 წლის 7 მაისს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ ცნობას გვაწვდის შემოქმედის მონასტრის ბიბლიოთეკის მხედრულად ნაწერ პატარა ხელნაწერში შეტანილი „მატიანე“, რომელიც მოიცავს 1784-1879 წლების ქრონიკალურ ჩანაწერებს. 1853-1879 წლების ჩანაწერების შეტანა „მატიანეში“ გაუგრძელებია შემოქმედელ მღვდელს გაბრიელ მახარაძეს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1370):

> ჩღპე (=1785), მაისის ზ-ს დ(ღესა) საშინელი მიწისძვრა იქმნა და სახლები დაინგრა (ქრონიკები 1967: 075-076, 491-493, 645).

„მატიანის“ 1784-1853 წლების ქრონიკალურ ჩანაწერებს რამდენადმე უზუსტოდ იმეორებს დიმიტრი ბაქრაძე 1873 წელს გურიასა და აჭარაში მოგზაურობის დღიურში. ბაქრაძის შემოქმედში ყოფნისას, მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერიდან შესრულებული ქრონიკის გადმონაწერი მისთვის მიუწოდებია ადგილობრივ მღვდელს. ამ გადმონაწერის თანახმად:

> ჩღჟე (=1795) წელსა მაისის 8-სა საშინელი მიწის ძვრა იყო (ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში 1878, 1978: 138).

მიწისძვრები გურიაში არცთუ იშვიათი მოვლენა ყოფილა. შემოქმედელი გაბრიელ მახარაძის „მატიანე“ გურიაში მომხდარ კიდევ ერთ მიწისძვრას გვამცნობს 1872 წლის მაისის თვეში:

> ჩყობ (1872) მაისის თვეში საშინელი ქარი მევიდა დღე და ღამის გაყრის დროს, მრავალი ხეები წაიქცნენ და ამ დროს საშინელი მიწისძვრა იქმნა, სახლები დაშალა თვით ითქმეს, რომ ქვეყანა შეშინდა (ქრონიკები 1967: 646).

წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, 1785 წლის მაისის მიწისძვრის სიმძლავრე 5,5±0,5 და მაკროსეისმური ეფექტით 8 (±1) ბალით განისაზღვრა (Varazanashvili – Tsereteli 2011: 48-49).

## ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში** 1878, 1978 = Дм. Бакрадзе, *Археологическое путешествие по Гурии и Аджарии (с атласом), Санктпетербург, 1878; არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ)*, ბათუმი, 1987 (ქართ. თარგ.).

**ქრონიკები** 1967 = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა,* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბილისი, ტ. III, თბილისი, 1967.

**Varazanashvili – Tsereteli** 2011 = O. Varazanashvili, N. Tsereteli, E. Tsereteli, *Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Sources Analysis and Catalogue Compilation*, Tbilisi, 2011.

# 22

## 1796 წ. ოქტომბერი

## სამხრეთ საქართველო – ქ. ახალციხე

*პირველწყარო: იოანე ხუცის დღიური*

ახალციხეში, 1796 წლის ოქტომბერში მომხდარი მიწისძვრის შესახებ ჩანაწერი შეტანილია ახალციხელი კათოლიკე მღვდლის, იოანე ხოჯაშვილის დღიურში:

> ამ საღამოზედ ძვრა იქნა საათნახევარზედა (ლომსაძე 1979: 180).

### ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ლომსაძე** 1979 = შ. ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979.




ახალციხე. ფრანგული გრავიურა. XIX ს. მეორე ნახევარი

## 23

1799 წ. თებერვალი

### სამხრეთ საქართველო – ქ. ახალციხე

*პირველწყარო: იოანე ხუცის დღიური*

ახალციხეში მომხდარი მიწისძვრის შესახებ ახალციხელი კათოლიკე მღვდლის, იოანე ხოჯაშვილის დღიურში 1799 წლის თებერვალს აღნიშნული:

> ამ საღამოს საათისა 2-ის ნახევარზედ მიწის ძვრა იქნა (ლომსაძე 1979: 186).

ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

**ლომსაძე** 1979 = შ. ლომსაძე, *გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები*, თბილისი, 1979.

## გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი*


აბასძორი 124

აბანოსღელე (მდ. მტკვრის შენაკადი) 136

აგარა (ურავლის ხეობის), მონასტერი 138, 149-151

აგარა / ზემო და ქვემო აგარა (ამბროლაურის რ-ნი) 164, 167

აგულისი 216

ადიგენი 90, 91

აზერბაიჯანი/ ადრიბეჟანი 9, 24, 121, 124, 135, 209, 213- 215, 221, 228-232

ათონის ფილოთეოსის მონასტერი 250

ალავერდი / ალავერდის წმ. გიორგი, კათედრალი 25, 27, ***99, 103, 106** (1088 წ., 16 აპრილი /1989 წ. 1 აპრილი), ***182-185, 188 -190** (XV ს. შუახანები), ***209 -210, 216-217, 221, 226** (1668 წ. 4 იანვარი) ***247-250** (1742 წ. 24 ივლისი-აგვისტო), 293

ალაზანი მდ. / ალაზნის აუზი 106, 108, 184, 210, 216, 249, 250

ანანაური, ეკლესია და სამოსახლოები 135

ანანური, ეკლესია 32

ანისი 67, 121, 290

არაბეთის ნახევარკუნძული 95-96

არაგვი მდ. 57, 59, 68, 77-78

არარატის ქვეყანა 212

არაქსი მდ. 32

არგვეთი 166

არდებილი /არდაველი ***209, 213-214, 221** (1668 წ. 4 იანვარი)

არეში მდ. 81

არეში (მთისძირი) 38, 81, 85, 185

ართვინის პროვინცია 267

არმაზციხე, იხ. ბაგინეთი

არმაზ, მთა 57-59

არპანა/ალპანა 164-165, 167

არტაანი 102, 135, 139

არტაანის მტკვარი მდ. 102, 135, 138

არჭეში 133, 135

ატენი, ეკლესია 27

ატრპატაკანი 209, 214

აქორის ეკლესია 32, 35, 236

აღმოსავლეთ ანატოლია 24, 131, 135, 215-216, 267, 269, 290

აღმოსავლეთ საქართველო, იხ. საქართველო

აქსუ მდ. 223

აწყური, ციხესიმაგრე და კათედრალი 27- 28, 87, 103, ***130-134, 136-139, 143-147** (1275 წ, 10-13 აპრილი), 219, 289

აჭარა-თრიალეთის ქედი 9

აჭარა-იმერეთის ქედი 90

ახლო აღმოსავლეთი 96, 292

ახალქალაქის პლატო 102

ახალციხე 90, 136, 138, 256, 265, 268, ***281** (1796 წ. ოქტომბერი), ***282-283** (1799 წ. თებერვალი)

ახალციხის ქვაბული 90

ახმეტა, ციხე ***24, 249-250** (1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო)

ახმეტის-ჴევი 250

ახპატის ეკლესია 209

ახტალა, კათედრალი 237


* ხშირად დასახელებული გეოგრაფიული სახელები საძიებელში ყოველთვის არ არის მითითებული, საისტორიო პირველწყაროებში დადასტურებული მიწისძვრის ადგილის შესაბამისი გვერდების წინ კი დასმულია ფიფქის ნიშანი, გამუქებულია და მითითებულია თარიღი.

ახჩია, ქვაბები 135
ბაგინეთი/არმაზციხე: „ძუელ ქალაქი ყოფილ-იყო და ციხჱ“ 57
ბაკთა, ნადირთა შესაკრებელი 87-88
ბარაკონი, ეკლესია ***46** (1991 წ. 29 აპრილი)
ბარისახო ***108** (1991 წ. 15 ივნისი)
ბარნაბი 251
ბახტრიონის ციხე 251
ბეთლევი, ეკლესია ***161** (1991 წ. 29 აპრილი)
ბერთყანა 135
ბეშო 251
ბიდეიზის ეკლესია 228
ბიზანტია 69-70
ბითლისის პროვინცია 135
ბირიტი, ციხე 121
ბოლია 216
ბოყვა, ეკლესია ***161** (1991 წ. 29 აპრილი)
ბოცოს წყალი 136
ბოჭორმის ეკლესია 250
ბუგეული, ეკლესია ***46 ,161** (1991 წ. 29 აპრილი)
ბურსა 216
განჯა (ელიზავეტპოლი/ კიროვაბადი) 40, 72, 108, ***209, 213 -215, 221** (1668, 4 იანვარი)
განჯაჩაი მდ. 221
გარე კახეთი (ისტორიული ჰერეთი) 104
გარეჯი /დავით გარეჯი / გარეჯის მრავალმთა 27, 99, 103-108, 117-120, 123, 129, 293; უდაბნო-მონასტრები: დიდი ქვაბები 129; თეთრი უდაბნო 104-106, 119; მრავალწყარო 104-105, 118; ნათლისმცემელი 105; საბერეები 104; სატორგე 104; ქოლაგირი 104, 120, 123- 124, 127-128; წამებული ***104-105, 117-118** (1089 წ. 31 მაისი, ხუთშაბათი)
გარეჯის მთები 104
გელათის მონასტერი 221
გეტიკის ეკლესია / მონასტერი ***121-124, 126** (1190/91 წ.)
გეღარქუნიქის პროვინცია 122
გიშის ეკლესია 228
გლოლა, ეკლესია ***161** (1991 წ. 29 აპრილი)
გოდერძის უღელტეხილი 90
გომბორის ქედი 104
გორი ***45** (1920 წ.), 161
გრემი 210, 251, 253
გუასპურაგანი 71
გუდარეხი, კოშკი 36-37
გულსუნდა 135
გურია 279
გურიის მთა 136
გურკელის ციხე 148
დაბა, ეკლესია 135
დავით გარეჯი, იხ. გარეჯი
დამურლაფუნი ***209, 213-214, 221** (1668, 4 იანვარი)
დარუბანდი 121
დასავლეთ საქართველო, იხ. საქართველო
დაღესტანი / დაღესტნის რესპუბლიკა 250-251, 253-254
დებედა მდ. 221
დედოფლის გორა 38, 78
დვინი 23
დიდო/დიდოეთი/დიდოს სოფელი ***249, 251** (1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო)
დილიჟანი 124
დოლოჭოპი, იხ. ნეკრესი
დოლლაური 78
დურუჯი მდ. 40, 72, 78, 80
დუხურკანი 241
ეგვიპტე 95-96
ენგური მდ. 165

ერევანი ***209, 213 -215, 221** (1668, 4 იანვარი), 290

ერელაანთ საყდარი 44

ერზერუმი ***267-268** (1784 წ. 18 ივლისი)

ერზინჯანი 216, ***267- 268** (1784 წ. 18 ივლისი)

ერუშეთ-არსიანის თხემი 90

ერუშეთის მთიანეთი 90, 135

ესბეკის ციხე 272

ვანის ტბა 133, 267-268

ვანის ქვაბები /ვაჰანის ქვაბი, მონასტერი 27, 102-103, 114-115, 135, 139, 154-155; წმ. გიორგის ეკლესია 103

ვარძია, მონასტერი 27, 102, 135, 138, 156-157

ველი ***264-265** (1779 წ., იანვარი)

ზადენი, მთა, იხ. ზედაზენი

ზანავი 89

ზარზმა/ზარზმის მონასტერი/ ზარზმის ფერისცვალების ეკლესია 21, 28, ***86-92** (VIII-IX სს., X ს.), 135, 286

ზეგანი, ეკლესია 32

ზედა ვარძია: ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესია 102, 116, 135

ზედაზენი/ზადენი, მთა 57, 59, 76-79, 83

ზედაზნის (ზედა ზადენის) წმ. იოანე ზედაზნელის ეკლესია და ლუსკუმა 76; ზედაზნის მონასტერი 78

ზედზგითის ეკლესია 229

ზემო ბარი, ეკლესია ***161** (1991 წ. 29 აპრილი)

ზემო კრიხი, მთავარანგელოზთა ეკლესია ***46** (1991 წ. 29 აპრილი), 161

ზემო სვანეთი 161, 167-168, 201

ზოგიში 164

თაბორი, ეკლესია 161, 167, 178-179

თავრიზი 131-133, 135, ***209, 213 -214, 221** (1668, 4 იანვარი), ***238-241, 243, 268** (1721 წ. 15/16 აპრილი)

თახვირი, ნასოფლარი 91

თბილისი /ტფილისი 24, 32, ***185** (XV ს. შუახანები), ***209, 211- 215, 217- 219, 221** (1668 წ. 4 იანვარი), ***257** (1772 წ. 14 თებერვალი), ***258- 262** (1778 წ. 30/31 ივნისი); ეკლესიები: თბილისის სიონი, კათედრალი 32; კაპუცინთა წმ. იოსების ეკლესია 261; ლურჯი მონასტერი 32; მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია 262; უბნები: ტფილისი ანუ სეიდაბადი, კალა, ისანი, გარეთუბანი 259

თიანეთი 250

თილვის მონასტერი 121

თმოგვი/თმოგვის ციხესიმაგრე ***98, 99, 100- 103, 112-113, 135, 137** (1088/89 წ.); წმ. მარინეს ეკლესია 113

თმოგვის კანიონი 135

თორთუმი 267

თორთუმის ტბა ***266, 268, 270** (XVIII ს. დამლევი)

თოღათი 216

თრიალეთი/თრიალეთის ქედი/ თრიალეთი და კლდე-კარნი 90, 101-102

თურდოს-ჴევი 210, 250

თურქეთი/ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთი 9, 13, 215, 256, 264, 267

თუშეთი 251

თხოთის მთა 58, 64

იალბუზი, მწვერვალი, იხ. კავკასიონი

იალბუზის მთები, იხ კავკასიონი

ივრის/ჰერეთის ზეგანი 104

ივრის ხეობა 104

ივრისპირეთი 123-124

ილტო მდ. 250

იმერეთი *** 46** (1991 წ. 29 აპრილი; 3, 4, 15 მაისი), 168, 195, 256

ინწობი მდ. 185

ირანი/ჩრდილო-დასავლეთ ირანი 9, 131, 209, 213, 221, 239, 242, 289, 290

იორი მდ. 104

ისპაჰანი 210-211

ისპირი 267

იყალთო, მონასტერი 191-192, 251

იშხანი, კათედრალი 33, 274, 274

კაბენის გეთსიმანიის ეკლესია 49

კაენის ოლქი 124

კავკასი, იხ. კავკასიონი

კავკასიონი: დიდი კავკასიონი/მცირე კავკასიონი/კავკასიონის მთავარი ქედი/კავკასიონის ქედის სამხრეთ განშტოება 9, 46, 81, 121-122, 161, 167, 185, 221, 249-250; იალბუზი, მწვერვალი 251; იალბუზის მთები ***246-247, 249, 250- 251** (1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო)

კავკასიძეების ციხე 273

კალას წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია, იხ. წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია („ლაგურკა“)

კასპი 37, 58, 186

კასპიის ზღვა 210, 221

კახეთ-ჰერეთი 221

კახეთი 25, 32, 38-39, 44, 71-72, 78-79, 99, 104, 108, 183-184, 209-210, 217, 221, 247-251

კახეთის მთა 250

კვირიკეწმინდა, ეკლესია ***161** (1991 წ. 29 აპრილი), 164, 167

კილიკია 131-133, 135

კლდეკარი 101-102

კონსტანტინეპოლი 23, 69, 70, 289

კუეტერის ციხე 251

კუმურდო, კათედრალი 102, 116, 135

ლაბეჭინა: მთავარანგელოზთა ეკლესია 18, 25, 27, ***161-164, 166-167, 170-172, 174-175** (1330-იანი წლები), 293

ლაილაში 167

ლალისყური, ციხე ***247, 249-250, 255** (1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო)

ლაჯანური (მდ. რიონის შენაკადი) 164

ლექართის მონასტერი 232-233

ლექართის წრიული ეკლესია 231

ლეჩხუმის ქედი 164

ლეხურა მდ. 186

ლიახვის ხეობა 48

ლიხთ-იმერეთი 166

ლოპოტა 251

ლორე / ლორე-ტაშირი 32, 213, 221

ლოწობანი 251

მარგასტანი 135

მარზივანი 216

მარილისი 251

მაჩხაანი: ღვთაების ეკლესია 255

მესოპოტამია 108

მთისძირი, იხ. არეში

მირაშხანი 135

მიჯნადშენი 124

მტკვარი მდ./მტკვრის კანიონი 32, 57-59, 68, 78, 102, 104, 135-136, 138-139, 219, 221, 260, 262

მრავალძალი, ეკლესია ***46, 48, 161** (1991 წ. 29 აპრილი)

მუხრანი 58

მუში 268

**მცხეთა *47, 57-59, 61-62, 65** (IV ს. 20-30-იანი წწ.), ***68-71, 73** (411-423; 413/17-425/29 წწ.), 77, 79, ***131-132, 134-135, 139-140, 158-159** (1275 წ. 10-13 აპრილი), 219; ეკლესიები: ანტიოქია 158; გარეუბნის ეკლესია 70; მაყვლოვანი: „მაყუალთა ადგილი არს ზემოჲსა ეკლესიისა საკურთხევლისა ადგილი“ 79-80; სამთავრო 80, 140, 159; სვეტიცხოველი/მცხეთის საყდარი, კათედრალი 27, 36-37, 58, 65-66, 71, 73, ***131, 135, 139, 158** (1275 წ. მაისი), 219, 226, ***247** (1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო), ქუემო ეკლესია 70-71, 79

ნასპერი 164, 167

ნეკრესი, ნაქალაქარი 27, 38-40, 71-72, 74-75, 78, 80-81, 84, 221, 251; ეკლესიები: დოლოჭოპი 40-41, 72, 75, 78, 80, 84; ნეკრესის ეკლესია 72; ჭაბუკაური 38-40, 72, 74

ნიკორწმინდა, ეკლესია ***46 , 161** (1991 წ. 29 აპრილი)

ნინოწმინდა, კათედრალი 32

ნისკარი 216

ნიშაბური 131-133, 135

ნორ-გეტიკი/გოშვანქი, მონასტერი 124, 126

ოთხთა ეკლესია 276

ონი, სინაგოგა ***46** (1991 წ. 29 აპრილი)

ორბელის ციხე 168, 180

ორველი მდ. 250

ორჯოხის ციხე 271

ოშკი, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია 56, 277

პალესტინა 96, 288, 291

პეტერეკის ციხე 272

პანკისის ხეობა 250

პიპილეთის ეკლესია 166

ჟოშხა 164, 167

რამლა, პალესტინის ქალაქი ***96** (1068 წ. 29 მაისი)

რაჭა ***46- 48, 108** (1991 წ. 29 აპრილი), 166

რაჭა-ლეჩხუმი 18, 25, 46, 161, 164-168

რიონი მდ. 164

რომი 59

რუისი, კათედრალი 27, 45

რუსეთი 42, 49

რუსთავ-ყარაიას უდაბნოს შესაყარი 104, 108

საბუე: ნათლისმცემლის ეკლესია 38, 185; ციხე 250

საგურამო: საგურამოს ქედი/ საგურამო-იალნოს ქედი 78-79, 104

სათახვის ტბა ***87, 88 - 91** (VIII-IX სს., X ს.)

საირმე 164, 167, 180

სამთავისი, კათედრალი 27, 186, 192-194

სამეგრელო 197, 200

სამცხე 134, 138, 195

სამცხე-ჯავახეთი 24, 28, 90, 131, 135, 265

სამწევრისი: წმ. გიორგის ეკლესია 27, 43

სამხრეთ კავკასია 10-12, 209, 216, 222, 260

სანაჰინის მონასტერი *** 213-214, 221, 234** (1668 წ. 4 მაისი)

საფარა: წმ. საბას ლავრა 28, 135, 195

საფაჯას ციხე (თორთუმის ტბასთან) 270

საქართველო: 69, 71, 73, 79, 101, 121-124, 132-135, 195, 198, 200, 210-211, 213, 216, 219, 221-222, 251, 259; აღმოსავლეთ საქართველო 20, 29, 38, 57, 69, 77, 99, 108, 131, 166, 209, 221, 247, 249, 257, 259, 289; დასავლეთ საქართველო 27, 161, 195, 197, 279, 291; სამხრეთ საქართველო 87, 99, 131, ***195** (1545 წ.), 265, 281, 283

სვანეთი: ქვემო სვანეთი/ზემო სვანეთი 27, 161, 164-168, 201, 293

სივნიეთი 71

სიმონეთი: წმ. გიორგის ეკლესია 181

სინა: სინას მთა/მოსეს მთა (Gebel Musa)/მთის (წმ. მოსეს) ეკლესია ***23 - 24, 94 - 96** (1068 წ., 18 მარტი); წმ. ეკატერინეს მონასტერი 95

სირია 77, 96, 108, 288

სლესის ციხე 148

სომხეთი 9, 13, 32, 34, 71, 121-122, 124, 132-135, 209, 211, 213, 221, 234-237

სორი, ეკლესია ***161** (1991 წ. 29 აპრილი)

სტამბოლი (კონსტანტინეპოლი) ***256** (1766 წ. 22 მაისი)

სურამი 219

სუჯეთი (ივრის მარცხენა მხარე) 104

ტაბუკის რეგიონი, არაბეთის ნახევარკუნძული * **96** (1068 წ. 18 მარტი)
ტანძუსი 124
ტაო 32
ტაშირწყალი, მდ. ძორაგეტის შენაკადი 221
ტესევანცის ეკლესია ***209, 213-214, 221*** (1668 წ. 4 იანვარი)
ტვიბის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია 168
უნწა/უმწა ***87, 89-90*** (VIII-IX სს., X ს.)
ურაველი მდ. 138
ურბნისი: ნაქალაქარი/კათედრალი 27, 32, 36- 37, 219-220, 227
ურთის მთა 200, 202
უსკუ 241
უტოსხევი 251
უფლისციხე 27, 58
ფარახეთი, ეკლესია ***161*** (1991 წ. 29 აპრილი)
ფია 135
ფრონე მდ. /აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრონეები 78
ფშაველი, ციხე 250
ქარანიცის მონასტერი („ტახტერი“) 237
ქარელი 78
ქართლი 32, 57-62, 71, 77-79, 101, 135, 186, 221, 247-249, ***251*** (1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო)
ქასური წმ. გიორგის მონასტერი (ქვემო ზადენი) 38, ***78-79, 83*** (VI ს. 50-80-იანი წწ.)
ქაჩალაური 251
ქემერტის წმ. გიორგის ეკლესია 48
ქვაბლიანის ხეობა 89, 90
ქობაირის მონასტერი 235
ქსნის ხეობა 42,
ყადორის უღელტეხილი 185
ყარაგელის ტბა, იხ. სათახვის ტბა
ყარსი 32
ყაურმა, ეკლესია 32
ყვარელი: ყვარლის ციხე 40, 72, 78, 81, 185, 250-251
ყვიბის-კორტანეთი 136
ყინწვისი, ეკლესია 28
ყუმის ეკლესია 230
შაბურანი
შემახა/ შამახია ***121-124*** (1190/91 წ.); ***208-209, 211-216, 221-222*** (1668 წ. 4 იანვარი)
შემოქმედი ***278-279*** (1785 წ. 7 მაისი)
შეუბანი, ეკლესია ***161*** (1991 წ.)
შიდა ქართლი 38, 42-43, 45-46, 48-49, 78, 108, 219
შილდა, ციხე 250-251
შირაქის ველი 104
შირვანი/შარვანი 121-123, 211, 221-222
შტორი: შტორის-ჴევი 210, 249-250
ჩანგლი, ეკლესია 32
ჩოლაურის თემი 168
ჩორჩანი 89
ჩხუტნერის ქედი 161, 165
ცაიში/ღმრთისმშობლის ეკლესია, კათედრალი 27, ***196-202, 204-206*** (1614/15 წ.)
ცხრაკარა 251
ძორაგეტი მდ. 321
წირქოლი, ეკლესია 33, 42
წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია („ლაგურკა“)/კალას წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესია 26-27, ***160-161, 165, 168, 176-177*** (1330-იანი წწ.), 293
წმ. მარინეს ეკლესია 251
წრომი, ეკლესია 27-30, 32
წუნდა, ნაქალაქარი/წუნდის ეკლესია 102, 135, 152-153
წუნდის ტბა („თამარის სარკე“) 102, 135, 152
ჭარი 251
ჭაჭკარი /გაღმა ჭაჭკარი, კლდის სოფელი 135

ჭელიში, ეკლესია ***161**
(1991 წ. 29 აპრილი)

ჭიაური 251

ჭოლთა 135

ჭულე, ეკლესია 28, 135

ჭყვისი: ზედა ჭყვისი 164, 167

ხალდეჭალა (მდ. ენგურის შენაკადი) 165

ხანძთა, ეკლესია 33, 275

ხახიეთი, ***46** (1991 წ. 29 აპრილი)

ხახული, ღვთისმშობლის ეკლესია 32, 35, 276

ხერთვისი, ციხე 102, 135, 152, 185

ხიმში, ეკლესია ***161**
(1991 წ. 29 აპრილი)

ხლათი 131, 133, 135

ხმელთაშუა ზღვა 96

ხოდაშენი: ციხე ***248, 250**
(1742 წ. 24 ივლისი – აგვისტო);
ზემო ხოდაშენი – კოშკები;
ქვემო ხოდაშენი – ამაღლების ეკლესია, ამიდასტურის ეკლესია, აღდგომის ეკლესია, სამების ეკლესია 250; ათონის ფილოთეოსის მონასტრის მეტოქი 250

ხოსროვ-შაჰი 241

ხცისი: იოანე ნათლისმცემლის ეკლესია 27-29

ჯავახეთი 105, 107

ჯავახეთის ვულკანური ზეგანი / ჯავახეთის პლატო 9, 102, 108, 135

ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესია ***197, 199-202, 207** (1614 /15 წ.)

ჯოისუბანი: მცხეთის წმ. გიორგის ეკლესია ***46-47, 161**
(1991 წ. 29 აპრილი)

ჯუმათის საყდარი 197, 199

ჰალბატის მონასტერი ***213-214, 221, 234**
(1668 წ. 4 იანვარი)

ჰნევანქი: ძელიჭეშმარიტის ეკლესია 34, 236

# Appendix 1

## ცნობარი წყაროებისა და ავტორების შესახებ

### ქართული წყაროები და ავტორები

**ბასილი ზარზმელი, „ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“** – ცხოვრების ავტორია ბასილი ზარზმელი, ზარზმის ეკლესიის აღმშენებლის წმ. სერაპიონ ზარზმელის ძმისწული და ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, სასწაულთა მთხრობელი – გიორგი აწყურის ეპისკოპოსი, წარმოშობით შუარტყლის ხევიდან, აღზრდილი ოპიზის უდაბნოში.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროსთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული: VI საუკუნის დამლევი ან VII საუკუნის დასაწყისი (პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, პ. პეეტერსი, ა. ბოგვერაძე, გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, მ. ჩხარტიშვილი); VII-VIII საუკუნეების მიჯნა (მ. ჯანაშვილი); VIII-IX სს. (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი); IX ს. / 825-900 წწ. (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ე. გაბიძაშვილი, ს. ცაიშვილი, ნ. ვაჩნაძე, ე. ჭელიძე).

თხზულებაში გადმოცემულია სერაპიონ ზარზმელის და მისი მოწაფეების მოღვაწეობა ისტორიულ სამცხეში ზარზმის მონასტრის მშენებლობის ფონზე. ისტორიული რეალიებით თხზულება დაწერილი ჩანს X საუკუნის დასაწყისში და უნდა ასახავდეს IX საუკუნის ამბებს.

**დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (XII ს.)** – „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულების „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ანონიმი ისტორიკოსი. ვარაუდით, სასულიერო პირი (ეფრემ მცირე – დ. ჩუბინოვი, უცნობი სასულიერო პირი – თ. ჟორდანია, არსენ საღირისძე – კ. კეკელიძე, არსენ ბერი – ივ. ჯავახიშვილი). თხზულებაში გადმოცემულია გიორგი II-ისა (1072-1089) და დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მეფობის ეპოქის ისტორია. მნიშვნელოვან მასალას შეიცავს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის და ქართველთა მიწა-წყლის კონსოლიდაციის საკითხების შესახებ. როგორც თვითმხილველი, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დავით აღმაშენებლის გამეფებისას ჯავახეთში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ.

**ვახუშტი ბატონიშვილი** (1696-1757) – გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი. მის აღზრდა-განათლებას ხელმძღვანელობდნენ ძმები გარსევანიშვილები და თბილისში მყოფი ფრანგი კათოლიკე მისიონერები. აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1724 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში, სადაც დაასრულა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". მასში გადმოცემულია საქართველოს გაბმული ისტორია უძველესი დროიდან („ქვეყნის შექმნიდან") XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ნაშრომში იყენებს სხვადასხვა ისტორიულ წყაროებს, ქრონოლოგიას, მოცემული აქვს ისტორიული პერიოდიზაციის ცდა, პოლიტიკურ მოვლენებში ცდილობს დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი; ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დეტალური გეოგრაფიული აღწერა, რომელსაც ურთავს გეოგრაფიულ ატლასებს; საქართველოს მხარეების აღწერისას ითვალისწინებს ბუნებივ-კლიმატურ, ნიადაგურ-რელიეფურ და სხვა სამეურნეო-ეკონომიკურ თავისებურებებს.

**ზაქარია ქართველი** (V ს. მეორე ნახ.) – პეტრე იბერის მოწაფე. V საუკუნის დამლევს სირიულ ენაზე დაუწერია პეტრე იბერის ცხოვრება, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ზაქარიას მიერ სირიულ ენაზე დაწერილ პეტრეს ცხოვრებას, მართალია, არ მოუღწევია, მაგრამ ის XIII-XIV საუკუნეებში სირიულიდან ქართულად თარგმნა და რედაქტირება გაუკეთა მაკარი მესხმა (იხ.). ამის შესახებ ცნობილი ხდება თხზულებაზე დართული ანდერძებიდან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზაქარია ქართველს ეკუთვნის პეტრეს ცხოვრების ის სირიული ვერსია, რომლის ავტორადაც მიიჩნევენ იოანე რუფუსს (იხ.), პეტრეს მოწაფეს V საუკუნის 80-იანი წლებიდან და მონოფიზიტური თხზულების „პლეროფორიების" ავტორს.

**იოანე ბატონიშვილი** (1768-1830) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, ძე. განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი. დაკავებული იყო მხატვრობითაც. არის ავტორი 1813-1828 წლებში დაწერილი ენციკლოპედიურ-სასწავლო ხასიათის ნაშრომისა „კალმასობა ანუ ხუმარსწავლა", რომელშიც წარმოდგენილია ცნობები საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგიდან და კარგად ასახავს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის მეცნიერულ დონეს. ასევე ეკუთვნის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ენციკლოპედია (1814 წ.).

**„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"** – „ქართლის ცხოვრებაში" შემავალი თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულება, რომლის ავტორის სახელი და სადაურობა უცნობია. ის თამარ მეფის თანამედროვეა და მონაწილეა მთელი რიგი მოვლენებისა. თხზულებაში

გადმოცემულია ერთიანი საქართველოს მეფეების, გიორგი III-ის (1156-1184) და თამარის (1184-1210) ეპოქის ამბები.

**ლეონტი მროველი** – XI საუკუნის ისტორიკოსი და რუისის ეპისკოპოსი. მას მიეწერება „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებები: „ცხოვრება ქართველ მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, „არჩილ მეფის წამება“. მათში ასახულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. VI საუკუნემდე.

**მაკარი მესხი**, **„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ“** – XIII –XIV საუკუნის მთარგმნელი. მან სირიულიდან თარგმნა თხზულება, რომელიც V საუკუნის გასულს დაწერა პეტრე იბერის მოწაფემ ზაქარია ქართველმა (იხ.). „ცხოვრების“ მაკარისეული ტექსტის რედაქცია ეკუთვნის პავლე დეკანოზს. თხზულებაში გადმოცემულია სირია-პალესტინაში საბერმონაზვნო ცხოვრებისა და სამონასტრო აღმშენებლობის ფონზე V საუკუნის ცნობილი მოღვაწის, მეფე ბაკურის ძის, პეტრე ქართველის ცხოვრება.

**მოქცევაჲ ქართლისაჲ** – ისტორიულ-აგიოგრაფიული თხზულება. ცნობილია ოთხი რედაქცია (სინური (N/Sin-48 – X ს., N/Sin-50 – X ს. პირველი ნახევარი, შატბერდული (X ს. 70-იანი წწ.), ჭელიშური (XIV-XV სს.)). შედგება ორი ნაწილისაგან: „ქრონიკა“ (ქართლის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX საუკუნემდე) და „წმ. ნინოს ცხოვრება“ (ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების ისტორია და წმ. ნინოს ცხოვრება).

**პაპუნა ორბელიანი** (XVIII ს.) – XVIII საუკუნის შუახანებში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე და სამეფო კართან დაახლოებული პირი. თეიმურაზ II-ის მდივანბეგი 1743-1749 წლებში. ეკუთვნის ისტორიული თხზულება „ამბავი ქართლისანი“, რომელიც ეხება 1739-1758 წლების საქართველოს ისტორიას. კარგად იცნობს საქართველოს და მეზობელი ქვეყნების ცხოვრებას, გადმოგვცემს თვალით ნანახ და სარწმუნო კაცთა მონათხრობ ფაქტებს, ემყარება სანდო წყაროებს.

**ჟამთააღმწერელი (XIII-XIV სს.)** – უცნობი ანონიმი მემატიანე, რომლის „ჟამთააღმწერლობა“ მოიცავს ისტორიას XIII საუკუნის 10-იანი წლებიდან XIV საუკუნის 10-იან წლებამდე. წარმოშობით სამხრეთ საქართველოდანაა, კარგად იცნობს თავისი დროის საეკლესიო მწერლობას, ბიზანტიურ, სომხურ და სპარსულ წყაროებს. თხზულებაში საქართველოს პოლიტიკური ისტორია გადმოცემული აქვს ფართო საერთაშორისო ფონზე, ეხება საქართველოს სახელმწიფო წყობილებას, ეკონომიკას, საეკლესიო ცხოვრებას; ვრცლად ახასიათებს ახლო

აღმოსავლეთის ქვეყნების მდგომარეობას მონღოლთა დაპყრობების ეპოქაში, ძვირფას ცნობებს გვაწვდის მონღოლთა ისტორიისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ. თვითმხილველია აღდგომის დღესასწა-ულზე აწყურში მომხდარი ძლიერი მიწისძვრისა. ახასიათებს პროვი-დენციალიზმი, ცდილობს ახსნას ისტორიული და ბუნებრივი მოვლენები არა მათი შინაგანი კანონზომიერებით, არამედ განგების ძალით, როგორც უზენაესის სასჯელი ხალხის და, პირველ რიგში, მეფე-მთავართა ცოდვების გამო.

**ფარსადან გორგიჯანიძე** (1626-1696 ახლო ხანები) – წარმოშობით ქალაქ გორიდან, აღიზარდა როსტომ მეფის (1633-1658) კარზე. სხვადასხვა დავალებით ახალგაზრდობაში რამდენიმეჯერმე იმყოფებოდა ირანში, ყაზვინსა და გილანში. 1656 წლიდან იყო ირანის დედაქალაქ ისპაჰანის ტარუღა (მოურავი), როგორც როსტომის ნაცვალი, ხოლო გამაჰმადიანების შემდეგ, ისპაჰანის მოურავი. აქ იგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში იმყოფებოდა შაჰ აბას II-ისა და სულეიმან I-ის კარის სამსახურში. არის ავტორი თხზულებისა „საქართველოს ისტორია“, რომელიც მოიცავს პერიოდს გაქრისტიანების დროიდან 1696 წლამდე. გორგიჯანიძე თხზუ-ლების დაწერისას, გარდა ქართულისა, სარგებლობდა სპარსული და სომხური წყაროებით, განსაკუთრებით ისქამდერ მუნშის ნაშრომით. მის თხზულებაში, როგორც პირველხარისხოვან პირველწყაროში, ირანის, ოს-მალეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVI-XVII საუკუნეების ისტორიის მომცველი ნაწილი. მასვე ეკუთვნის „ჯამი-აბასის“ (მუსლიმთა სამართლის წიგნი) ქართული თარგმანი და ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი.

**ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ** – თხზულებაში გადმოცემულია სირიელი მარტომყოფი მამის იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების სამისიონერო მოღვაწეობა და სამონასტრო აღმშენებლობა VI საუკუნის შუახანებში აღმოსავლეთ საქართველოს ვითარების ფონზე. X საუკუნის მეორე ნახევარში თხზულება განაახლა და განავრცო არსენ II კათალიკოსმა (955-980?), ზედაზნის უდაბნოს მოწესის მიქაელის მომგებლობით (გამოც.: ძქალძ, I, 1963: 191-217).

**ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოჲსი და ევაგრესი** – თხზულებაში გადმოცემულია სირიელი მამის შიო მღვიმელის სამი-სიონერო მოღვაწეობა და სამონასტრო აღმშენებლობა მცხეთის და-სავლეთით მდებარე სარკინის მთაზე VI საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ვითარების ფონზე. „ცხოვრების“ პირველ აღმწერელია იოანე მარტჳრი, იოანე კონსტანტინეპოლელის მოწაფე; X საუკუნის მეორე ნახევარში თხზულება განაახლა და განავრცო („სხუათა მიერ აღწერილ ადგილ-ადგილ ერთად შემოჰკრიბა“) ბასილი კათალიკოსმა, დიდი პატრიკის ვაჩეს ძემ (გამოც.: ძქალძ, I, 1963: 217-229).

**ისტორიული ქრონიკები –** ე.წ. „აფხაზთა ქრონიკა“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1110); მეფე ერეკლეს ქორონიკონი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1362); დავით რექტორის ქრონიკა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-2515); ფურცელაანთ ქრონიკა (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1446-137; კარბელაშვილის ქრონიკა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-5302).

## სომხური წყაროები და ავტორები

**ზაქარია აგულეცი** (1630-1691) – სომეხი ვაჭარი ჯულფასთან მდებარე სოფელ აგულისიდან (ნახჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა). ვაჭრობამ საშუალება მისცა მოევლო ირანის, ოსმალეთის და საქართველოს ბაზრები, 1658-1660 წლებში ემოგზაურა დასავლეთ ევროპაში – იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ჰოლანდიაში და სხვ. მისი მოგზაურობის „დღიური“ მოიცავს 1647-1691 წლებს, მასში მოთხრობილია მოგზაურობის, მნიშვნელოვანი მოვლენების, პირადი თუ სავაჭრო და ფინანსური ოპერაციებისა და სხვა ამბების შესახებ. მისი „დღიური“ განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVII საუკუნის თბილისისა და იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაზე; მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის შემახასა და აღმოსავლეთ ანატოლიაში 1668 წლის 4 იანვარსა და 7 აგვისტოს, ხოლო 1679 წლის 4 ივნისს ერევანში მომხდარი ძლიერი მიწისძვრების შესახებ.

**იაკობ კარნეცი** (1622-1672) – სომეხი სასულიერო პირი ქალაქ კარინიდან (თანამედროვე ერზრუმი, თურქეთი). ხელნაწერების გადამწერი და ქრონიკების ავტორი. მას ეკუთვნის კარინის ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის ისტორია, კარნუქალაქის ანუ თეოდოსიოპოლისის (იგივე ერზერუმის) ისტორია, ზემო სომხეთის ტოპოგრაფია და სხვ. მისი ქრონიკა ასახავს ქალაქ კარინში მომხდარ ამბებს 1482 წლიდან 1672 წლამდე.

**კირაკოს განძაკეცი** (1200/1202-1271) – სომეხი ისტორიკოსი. მისი „სომხეთის ისტორია“ XIII საუკუნის უმნიშვნელოვანესი წყაროა სომხეთში, მის მომიჯნავე ქვეყნებსა და მათ შორის საქართველოში, მონღოლთა დაპყრობებისა და ბატონობის ისტორიისათვის.

**სამუელ ანეცი** (1100/05-1185/90) – XII საუკუნის მემატიანე, ქ. ანისის საკათედრო ტაძრის ხუცესი. 1182 წლამდე დაწერილი „ქრონოგრაფიის“ ავტორი, რომელშიც გადმოსცემს ამბებს ნოედან სომხური წელთაღრიცხვის 626 (5 თებერვალი 1177 – 6 თებერვალი 1178) წლამდე (გრიგოლ ვკაიასერის მოღვაწეობამდე). პირველი ავტორია, რომელმაც

სომხური ქრონოლოგია გამოიყენა მოვლენების აღსაწერად. ჰყავს რამდენიმე გამგრძელებელი.

**სტეფანოს ორბელიანი** – XIII-XIV საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწე. ორბელიანთა ქართული გვარის გასომხებული შტოდან. მისი ისტორიული თხზულებიდან მნიშვნელოვანია „სისაკანის სახლის ისტორია", რომლის 66-ე თავში „ცხოვრება ორბელიანთა" გადმოცემულია ორბელიანთა ფეოდალური საგვარეულოს თავგადასავალი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიის მრავალი საკითხი.

## აღმოსავლური წყაროები და ავტორები

**იოანე რუფუსი (V-VI ს. პირველი ნახ.)** – საეკლესიო ისტორიკოსი, ანტიქალკედონიტი მღვდელი, მაიუმის ეპისკოპოსი. მან სამართალი შეისწავლა ბეირუთში, შემდეგ მღვდლად ეკურთხა ანტიოქიის მონოფიზიტი პატრიარქის ფულონის მიერ. პალესტინაში ყოფნისას, 480-იანი წლების მეორე ნახევარში, დაუახლოვდა პეტრე იბერს, ითვლება მის ერთ-ერთ მოწაფედ. პეტრე იბერის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა მაიუმის საეპისკოპოსო კათედრა. ეკუთვნის სირიულად დაწერილი ცნობილი მონოფიზიტური თხზულება „პლეროფორიები". მას ასევე მიიჩნევენ ავტორად პეტრე იბერის ბერძნულად დაწერილი ცხოვრებისა, რომლის მხოლოდ სირიულმა ვერსიამ მოღწია.

## ევროპული წყაროები და ავტორები

**ჟაკ ფრანსუა გამბა** (1763-1833) – ფრანგი მოგზაური და კომერსანტი. მისი მოგზაურობის აღწერა ორ ტომად, რომლის სრული სათაურია „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ მაიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820-24 წლებში შევალიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში. ოთხი გეოგრაფიული რუკით" (პარიზი, 1826) ნაშრომში გადმოცემული არის ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ცნობები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოზე, ჩრდილოეთ კავკასიაზე. მოცემული აქვს აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, რედუტკალეს (ყულევი), გელათის, სიღნაღის, თელავის, წინანდლისა და სხვა ადგილების აღწერა; აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის რუკები; ეკლესიების და ციხეების ჩანახატები.

**ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე** (1798- 1850) – შვეიცარიელი მეცნიერ-მოგზაური, გეოლოგი, სიძველეთა მკვლევარი და არქეოლოგი. მისმა

ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და საფუძველი დაუდო ევროპაში ქართველოლოგიის განვითარებას. 1831-1834 წლებში იმოგზაურა კავკასიასა და ყირიმში, რის საფუძველზეც პარიზში გამოაქვეყნა ექვსტომიანი ნაშრომი „*Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*, 6 vol., Librairie de Gide, Paris, 1839-1849 avec un atlas (მოგზაურობა კავკასიონის გარშემო, ჩერქეზებთან და აფხაზებთან, კოლხეთში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში). ნაშრომზე დართულ სქელტანიან ატლასში თავმოყრილია ფასდაუდებელი ფაქტობრივი მასალა ქვეყნების ბუნებისა და სიძველეების შესახებ სხვადასხვა სერიებით: გეოგრაფიული, ფერწერული, არქიტექტურული და გეოლოგიური.

**იოჰან ანტონ გიულდენშტედტი** (1745-1781) – გერმანელი მეცნიერი, ნატურალისტი, მედიცინის დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, „თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების“ პრეზიდენტი. 1770-1773 წლებში პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში მონაწილეობისას იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში. ამ მოგზაურობის ჩანაწერები შესულია წიგნში „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“.

**ალექსანდრე დიუმა** (1803-1870) – გამოჩენილი ფრანგი მწერალი, ცნობილი არა მარტო როგორც რომანისტი და დრამატურგი, არამედ მოგზაურიც. ავტორი წიგნისა „კავკასია. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი“, რომელშიც საისტორიო მასალასა და ლიტერატურულ ნიმუშებზე დაყრდნობით გადმოცემულია მწერლის პირადი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები კავკასიასა და საქართველოზე.

**ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაფროტი** (1783-1835) – გერმანელი ლინგვისტ-ორიენტალისტი. იმოგზაურა კავკასიასა და საქართველოში, 1808 წელს რამდენიმე თვე იმყოფებოდა თბილისში. მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა წიგნში „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“.

**ჟან შარდენი** (1643-1713) – ცნობილი ფრანგი მოგზაური, იუველირი და კომერსანტი. ეკუთვნის ვრცელი თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომელშიც გადმოცემულია საქართველოში 1672 წლის სექტემბერსა და 1678 წლის თებერვალში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ასახულია საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება. მისი ათტომიანი კრებული „სერ ჯონ შარდენის მოგზაურობა“ სპარსეთსა და ახლო აღმოსავლეთზე ადრეული დასავლური კვლევების საუცხოო ნიმუშად ითვლება.

## ქართული და სომხური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები

გაბრიელ ლაბეჭინელის ანგარიშგება XIII საუკუნეში გიორგი დვალის მიერ გადაწერილი ოთხთავიდან (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1563, 269v-272).

1668 წლის 4 იანვრით დათარიღებული მინაწერი 1514 წელს ზოსიმე ვალელის მიერ საათაბაგოში გადაწერილ ოთხთავზე (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-401, 4r. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია, II-1 1986: 3-4).

1668 წლის 4 იანვრით დათარიღებული ანდერძ-მინაწერი სომხური ხელნაწერის XVII საუკუნის (1666 წლამდე გადაწერილ) ნუსხაზე. გადამწერები: ჰოვჰანესი და სიმეონ მწიგნობარი. მომგებელი: ეპისკოპოსი ლუკასი (მატენადარანი, MS № 2281, fol. 402. გამოც. მცირე ქრონიკები, II, 1956: 279, შენ. 64).

1668 წლის 4 იანვრით დათარიღებული ანდერძ-მინაწერი 1663 წლით დათარიღებულ სომხურ ხელნაწერზე (მატენადარანი, MS, N1773, fol. 430. გამოც. მცირე ქრონიკები, I, 1951: 251, შენ. 31).

## ისტორიული დოკუმენტები

1492 წელს ალექსანდრე კახთა მეფის მიერ ალავერდის ტაძრისადმი მიცემული შეწირულების წიგნი (საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1448-10021).

## ეპიგრაფიკა

წარწერა მიწისძვრის შესახებ დავით გარეჯის წამებულის უდაბნოს „ხარიტონის ქვაბიდან“ (XI ს.).

ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის 1104-1112 წლის სააღმშენებლო ფრესკული წარწერა დავით აღმაშენებლის მოხსენებით.

წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის („ლაგურკა“) ფრესკული წარწერა მიწისძვრის შესახებ სვანეთიდან (XIII-XIV სს.).

1615 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ ჯეგეთას წმ. გიორგის ეკლესიაზე სამეგრელოდან.

1619 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ ცაიშის ეკლესიის დიდი ჯვარცმის ხატის ჩასასვენებელზე (ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი, 20831, ქხ. 393).

# Appendix 2

## ძირითადი სეისმური ტერმინები

**აფტერშოკი** – მიწისძვრის შემდგომი ძლიერი რყევები. შეიძლება განმეორდეს მთავარი მიწისძვრიდან რამდენიმე კვირაში.

**ბირთვი** – დედამიწის ცენტრი, რომელიც შედგება მკვრივი ლითონებისაგან (ძირითადად რკინისაგან). მისი შიდა მხარე მყარია, ხოლო გარეთა თხევადი ლითონია.

**დედამიწის მანტია–** დედამიწის ქერქსა და ბირთვს შორის არსებული შრე, რომლის სისქეც 2 900 კილომეტრია.

**ეპიცენტრი** – წერტილი დედამიწის ზედაპირზე მიწისძვრის წარმოშობის ადგილის თავზე.

**ვულკანი** – მიწის ზედაპირზე არსებული ღია ყელი, რომლის გავლით დედამიწის გავარვარებულ გულში დაგროვილი გამდნარი ქანები და ლავა (მაგმა) მაღალი წნევის შედეგად მაღლა ამოდის და კრატერიდან ამოფრქვევისას ფერფლის ღრუბლები და ლავის შადრევნები იწყებს დენას. ვულკანი სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა, რაც ლავის სისქესა და იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად გრილდება ლავა და რა ფორმისაა ვულკანის ყელი: კონუსური, ფარისებრი თუ ხაზოვანი. ვულკანი შეიძლება იყოს: მოქმედი, ჩამქრალი (რომელიც რამდენიმე ათასი წელია არ ამოქმედებულა), და მთვლემარე (რომელიც რამდენიმე ათასეული წლის განმავლობაში არ ამოქმედებულა, მაგრამ ბოლო ათწლეულში ამოიფრქვა).

**კერა** – წერტილი დედამიწის მანტიაში, საიდანაც მიწისძვრა მომდინარეობს.

**კრატერი** – ვულკანის მწვერვალის ჩაქცევის შედეგად წარმოქმნილი ღრმული.

**კრატერული ანუ ლავური ტბა** – ტბა, რომელიც ვულკანის კრატერში ან კალდერაში (გიგანტური თასის ფორმის კრატერი ვულკანის თავზე) წვიმის წყლის დაგროვების შედეგად წარმოიქმნება.

**ლავა** – ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული, გამდნარი ქანები.

**ლითოსფერო** – დედამიწის მანტიის ზედა ნაწილი ანუ გარსი, რომელიც შედგება დანალექი, გრანიტული და ბაზალტური შრეებისაგან.

**მაგმა** – დედამიწის სიღრმეში არსებული გამდნარი ცხელი ქანები.

**მაგნიტუდა** – ტერმინი გამოიყენება მიწისძვრის მასშტაბის ან სიმძლავრის გასაზომად. მის შესაფარდებლად ყველაზე ხშირად რიხტერის სკალა გამოიყენება.

**მერკალის სკალა** – სკალა, რომელიც გამოიყენება მიწისძვრის ინტენსიურობისა და მისი შედეგების გასაზომად. სიმძლავრის სკალა 1902 წელს შეადგინა იტალიელმა ჯუზეპე მერკალიმ და სიმძლავრის დასადგენად მიწისძვრის 12 დონე გამოყო.

**მიწისძვრა** – დედამიწის ლითოსფეროში მიმდინარე ტექტონიკური პროცესები, როდესაც ქანებში დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ენერგიის განტვირთვის და ბლოკების ანუ ფილების გადაადგილებისა და მათი „შეჯახების" შედეგად მიწისძვრის კერაში ხდება ძვრები. ფიქლების ყოველი „შეჯახება" თუ „ხახუნი" განსხვავებულ ენერგიას წარმოქმნის, რასაც ზედაპირზე სხვადასხვა ეფექტი აქვს. განასხვავებენ სამი ტიპის „მიწისძვრას": *დივერგენტული* (ფილები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ), *კონვერგენტული* (ფილები ერთმანეთის მიმართ მოძრაობენ, რომელთა შეჯახებით მოძრაობაც იწვევს ვულკანურ აქტივობას და ქერქის დეფორმაციას) და *ტრანსფორმული* (ორი ფილა ერთმანეთის გასწვრივ ჰორიზონტალურად გადაადგილდება. ძირითადად გვხვდება შუაოკეანურ ქედებზე). მიწისძვრის სიძლიერის შეფასება ხდება მაგნიტუდით (ტალღების საერთო ენერგიით) და ბალებით, რომლის სიდიდეც კერის სიღრმესა და მაგნიტუდაზეა დამოკიდებული.

**ნაპრალი** – დიდი ბზარი დედამიწის ზედაპირზე. ნაპრალის ამოფრქვევა ნიშნავს, რომ ნაპრალიდან ლავა იწყებს დენას.

**რიხტერის სკალა** – სკალა, რომლითაც იზომება მიწისძვრისას გამოთავისუფლებული და სეისმოგრაფების მიერ დაფიქსირებული ენერგია. მისი შედგენა ხდება მიწისძვრის ტალღების ჩანაწერის, ე. წ. სეისმოგრამის შედგენის შედეგად. ეს სკალა გამოიყენება მას შემდეგ, რაც 1930-იან წლებში ამერიკელმა სეისმოლოგმა ჩარლზ რიხტერმა (1900-1985) მაგნიტუდის გამოსათვლელად გამოიანგარიშა მანძილი მის ადგილმდებარეობასა და მიწისძვრის ეპიცენტრს შორის და ის რეგისტრირებულ ბიძგების არეალს შეადარა.

**სეისმოგრამა** – სეისმოგრაფის მიერ მიწისძვრისას დარტყმის ტალღების ჩაწერილი დიაგრამა.

**სეისმომეტრი** – მიწისძვრის დარტყმის ტალღების დამაფიქსირებელი მოწყობილობა.

**სეისმური სარტყელი** – დედამიწაზე ორი ძირითადი სეისმური სარტყელია ცნობილი: ალპურ-ჰიმალაური და წყნაროკეანური. საქართველოს ტერ-

იტორია, როგორც კავკასიის სეისმური რეგიონის განუყოფელი ნაწილი, ალპურ-ჰიმალაურ სეისმოაქტიურ სარტყელს მიეკუთვნება.

**სეისმური ტალღები** – მიწისძვრისას გამომწვევია ქანებიდან ენერგიის გამოთავისუფლების შემდეგაც ბიძგით გამოწვეული ტალღები, რომლებიც ყველა მიმართულებით ვრცელდება. მიწისძვრის ეპიცენტრიდან წრიულად გავრცელებული ვიბრაციის ან დარტყმის ტალღები სწრაფი გავრცელებისას ქანებში დაახლოებით 25 000 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს. მიწისძვრის ფაზებია: პირველადი ტალღები (სუსტი), მეორეული ტალღები (დამანგრეველი) და ზედაპირული ტალღები (ზოგ შემთხვევაში ჩნდება ეპიცენტრიდან შორს დამანგრეველი ეფექტით).

**ტალახის ნიაღვარი** – ტალახის, წყლისა და ხშირად ვულკანური ფერფლისა და ტუფის სწრაფად მოძრავი ნაკადი.

**ტექტონიკური ფილა** – ამ თეორიის თანახმად, დედამიწის ზედაპირი დიდი ზომის ფილებადაა დაყოფილი. ისინი მუდმივად მოძრაობენ და წელიწადში რამდენიმე სანტიმეტრით გადაადგილდებიან. მიწისძვრები და ვულკანები ძირითადად ამ ფილების საზღვარზე, შეერთების ადგილას ხდება, იქ, სადაც ტექტონიკური ფილები ერთმანეთს ედება, ეხახუნება ან სცილდება.

**ფუმაროლი** – შახტი ან ღიობი დედამიწის ზედაპირზე, საიდანაც ორთქლი ან გაზი იფრქვევა.

**ცუნამი** – სწრაფად მოძრავი ტალღები, რომელიც ჩნდება ისეთი მიწისძვრის ან ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ, რომელიც ოკეანის ფსკერისა და წყლის გადაადგილებას იწვევს.

**ცხელი კერა** – ადგილი ტექტონიკური ფილის შუაში (იშვიათად საზღვარზე), სადაც მანტიიდან დედამიწის ქერქში მაგმის სვეტები აღწევს და ვულკანს წარმოქმნის.

**ჰიდროთერმული შახტი** – ადგილი, სადაც მაგმის მიერ მიწის ქვეშ გაცხელებული, მინერალით მდიდარი წყალი ზედაპირზე იფრქვევა. ჰიდროთერმული შახტის სახეობებია: გეიზერები, მინერალური წყაროები და ცხელი წყლები.

# Appendix 3

## List of historical earthquakes in the South Caucasus and other seismic zones
### Georgian historical sources 4th-18th cc.

| № | Date | Major Effect Zone | Places | Attending Natural Phenomena and Consequences | States |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4th c. 20-30s | East Georgia – district of Mtskheta | **Mtskheta** | Solar Eclipse | Georgia |
| 2 | 411-423 / 413/17-423/29 | East Georgia – district of Mtskheta | **Mtskheta**<br>Architectural and Archaeological monuments:<br>Mtskheta – "Lower church" (Svetitskhoveli); Former city of Nekresi – basilicas of Chabukauri and Dolochopi (Kakheti region) | Destruction | Georgia |
| 3 | 6th c. 50-80s / (± 485/552) | East Georgia – Foothills of Mount Zedazeni (district of Mtskheta, near Saguramo), and the southern slope of the Caucasus Mountains (Alazani Valley) | **Mount Zedazeni, Khasuri St George Church**<br>Architectural and Archaeological monuments: Khasuri church of St George; Former city of Nekresi – Dolochopi basilica; Mtisdziri/ Areshi (Kakheti region); Dedoplis Gora (Kartli region) | Powerful tremors and destruction | Georgia |
| 4 | 8th-9th c. / First quarter of the 10th c. | South Georgia – Goderdzi Pass | **Zarzma, Untsa** | Disappearance of the lake; earthquake; death toll | Georgia |
| 5 | 1068, March 18 | Sinai Peninsula – Mount Sinai | **Mountain of Moses (Gebel Musa)** | Destruction of the "Mount church" | Egypt |
| 6 | 1088, April 22 / 1089, April 1; May 31 | South and East Georgia | **Tmogvi**<br>Architectural and Archaelogical monuments:<br>Tmogvi fortress; Vani rock-cut monastery (district of Aspindza); David Gareja rock-cut monasteries: Tsamebuli, Mravaltskaro and Tetri Udabno (junction of Rustavi – Karaia valley); Alaverdi cathedral (Kakheti region) | Powerful tremors during a year; destruction and high mortality | Georgia |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1190/91 | Southeast slope of the Greater Caucasus – district of Shemakha | **Shemakha**, **Getik church**<br><br>Architectural and archaeological monuments:<br>David Gareja cave monastery Kolagiri on the bank of the Iori river (Kakheti region); Getik church (North Armenia) | Destruction and High mortality | Azer-baijan Georgia Armenia |
| 8 | 1275, April 10-13 | South Georgia – distrit of Atskuri; Northeast Anatolia; North Iran | **Atskuri, Nishabur, Tabriz, Cilicia, Khlat/Ahlat** (surroundings of the Lake Van)<br><br>Architectural and archaeological monuments: Atskuri cathedral; churches of Tsromi and Khtsisi; Mtskheta: Svetitskhoveli cathedral, Samtavro church (Kartli region) | Powerful tremors for one month; destruction and high death toll | Georgia Iran Turkey |
| 9 | 1330s | West Georgia – southern branch of the Greater Caucasus Range, Lechkhumi Ridge | **Labechini Archangel church; Lagurka St Kvirike and Ivlita church**<br><br>Architectural and Archeological monuments:<br>Racha-Lechkhumi region – Labechina Archangel church; Upper Svaneti region –St Kvirike and St Ivlita church; Tvibi St Archangel church; Imereti region –Simoneti St George church. | Destruction; high death toll | Georgia |
| 10 | Mid 15 th c. | Foothills of the southern slope of the Caucasus Mountain in Kakheti region (Alazani Valley) | **Alaverdi, St Ceorge Catedral**<br><br>Architectural and archaeological monuments:<br>Alaverdi cathedral (the right bank of the Alazani river), Sabue church (Kakheti region); Samtavisi church (the left bank of the Lekhura river, Kartli region). | Destruction | Georgia |
| 11 | 1545 | South Georgia | – | – | Georgia |
| 12 | 1614/15 | West Georgia – surroundings of the Urta mountain | **Tsaishi Catedral**<br><br>Architectural and archeological monuments:<br>Tsaishi church of Mother of God; Jegeta St George church (Samegrelo region) | Strong tremors during the year; destruction of churches, villages and buildings, a large number of casualties | Georgia |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13 | 1668, January 4 | Southeast slope of the Greater Caucasus Mountain – district of shemakhi; East Georgia – Kakheti and Kartli regions; Northwest Iran; North Armenia | **Shemakha, Tbilisi, Alaverdi cathedral, Haghpat church, Sanahin church, Tesevants church, Atrpatacan, Ardebil, Tabriz, Ganzak, Damurghapun**<br>Architectural and Archeological monuments:<br>Alaverdi cathedral (Kakheti region), Svetitskoveli cathedral, Urbnisi cathedral (Kartli region); churches of Haghpat, Sanahin and Tesevants (North Armenia) | Destruction of the cities, villages, churches and buildings. Powerful tremors lasted for 6 months.<br>The earthquake apparently claimed the lives of approximately 50 000 people. According to one source about 40 000 people died, excluding foreigners. Another source says 30 000 died on western shore of the Caspian Sea – in the Shirvan region and 6-7 000/ 20 000 in Shemakhi | Azerbaijan<br>Armenia<br>Georgia<br>Iran |
| | 1668, August 7 | Northwestern Turkey | **Toghat, Niksar, Bolia, Bursa, Marzivan** | Destruction; high death toll | Turkey |
| 14 | 1721, April 15/16 | Northwest Iran – Tabriz | **Tabriz** | Massive destruction | Iran |
| 15 | 1742, July 24 – August | "Mounts Elbrus" or southern ridge of the Greater Caucasus Mountain; present-day districts of Akhmeta and Telavi in East Georgia | **Dagestan villages** bounding with Tusheti and Kakheti regions; **Alaverdi cathedral,** fortresses of **Laliskhuri, Akhmeta** and **Khodasheni** in Kakheti region, and many places in **Kartli** region. | Many places on the southern ridge of the Greater Caucasus collapsed; powerful tremors were felt 6 times a day for 40 days | Georgia<br>Dagestan (Russia) |
| 16 | 1766, May [22] | Marmara Region – Istanbul | **Istanbul** | Death toll | Turkey |
| 17 | 1772, February 14 | East Georgia – Tbilisi | **Tbilisi** | Earthquake for 2 seconds | Georgia |
| 18 | 1778, June 31 | East Georgia – Tbilisi | **Tbilisi** | Destruction | Georgia |
| 19 | 1779, January | South Georgia – district of Akhaltsikhe | **Akhaltsikhe**, **Veli** | – | Georgia |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20 | 1784, July [18] | North Anatolia – district of Erzincan | **Erzincan**, **Erzurum** | High death toll in Erzinkan; tremors lasted for 5 days | Turkey |
| 21 | 1785, May 7 | West Georgia – Guria region | **Shemokmedi** | A strong quake | Georgia |
| 22 | 1796, October | South Georgia – district of Akhaltsikhe | **Akhaltsikhe** | – | Georgia |
| 23 | 1799, February | South Georgia – district of Akhaltsikhe | **Akhaltsikhe** | – | Georgia |

ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS